საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

11–17 თებერვალი №7 (633) * ფასი 1,50 ლარი



როგორ სთხოვა ნიუ-იორკში ხელი გიორგი ნაზღაიძემ მარიამ ქინქლაძეს ზღაპრის წიგნის დახმარებით და ვის აჩვენებდა ის დუბაიში ბეჭდიან ხელს

გვ. 75

გვ. 46

ვისთან ერთად მოხვდნენ მანიკა ასათიანი და ნინუცა მაყაშვილი საოცნებო პლანეტაზე და როგორ აპირებენ ისინი ყოველ დილას მაყურებლის გაღვიძებას

გვ. 30

ვის გამო ჩამოაშორეს სცენას ნინო ანანიაშვილი და ვისზე იძია მან შური



გვ. 14

რა განსაცდელების ფასად დაუჯდა ეკა ბესელიას პოლიტიკური კარიერა და როდის ხდება ის „ფაიფურის ქალი“



გვ. 38

როგორ გახდა რობერტ სტურუა გურამ ბრეგაძის მეჯვარე, გურამ ბრეგაძე კი – რობერტ სტურუას რჩეული რეჟისორი და როგორ უსრულებდა კალიაგინი მას ყველა ნატვრას



გვ. 22

რამ გადააწყვეტინა ლუბა ელიაშვილის შვილს 4 წლის ასაკში ხორცის ჭამისთვის თავის დანებება, ვინ შეუქმნა საფრთხე მის ოჯახს და როგორ გადაურჩა ის ნეკნების დამტვრევას



რაში გამოადგა აჩი ფურცელაძის მომავალ მეუღლეს ფიარის სპეციალობა და რა აკავშირებს მას ჟურნალ „ვოგთან“

გვ. 70



სად „დაბოდიალობს“ სალომე კორკოტაშვილის მეორე ნახევარი და რატომ ვერ გამოსდის მას მეგობრობა გოგონებთან

გვ. 43



გვ. 74

როგორ მოიტაცა ეგვიპტელმა ბედუინმა ნიკა წულუკიძე და დათო ტურაშვილი და რა ტრადიციული თავისებურება შეიტყო ნიკა წულუკიძემ ეგვიპტელი შეიხისგან



როგორ გაიარა ოთო ნემსაძემ უკრაინული „ვოისის“ შესარჩევი ტურები და რატომ გადაწყვიტა ამ პროექტში მონაწილეობა

გვ. 19



გვ. 18

რატომ იყვნენ ზაზა და მაია მიმინოშვილები კატა და ძაღლივით და რა კომპოზიცია მიუძღვნა დას ზაზა მიმინოშვილმა

## გილოცავთ მირქმას!

# ს ა რ ჩ ე ვ ი


როდიდან გაუქმდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკების მოხმარებაზე და რა პრინციპით მოხმარდება ადმინისტრაციული ჯარიმები ნარკომანთა რესოციალიზაციას ............... 6

როგორ შეიცვლება 2013 წელს ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ტესტი და რატომ ექნებათ აბიტურიენტებს საშუალება, აირჩიონ სასურველი ფაკულტეტები ერთიანი გამოცდების შედეგის გაგების შემდეგ ........................ 8

რას გამოხატავს „ნაციონალური მოძრაობისა“ და კოალიცია „ოცნების“ პოლიტიკური ჭიდილი და ორ ძალას შორის რა ტიპის გარიგებაზე მიუთითებს ის ........................................... 10

ვინ და რატომ „გამოეკიდა“ ანსამბლ „ერისიონს“ ხუთ ქვეყანაში და ვის უწოდეს ფრანგებმა „21-ე საუკუნის ქორეოგრაფიის მეტრი“ ........................ 11

რა აკავშირებს საფოსტო მტრედებთან დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელიზაბეთ მეორეს და ბრიტანეთის წყლების რომელი ბინადრები ჰყავს მას ............................................................... 12

რამდენ მილიარდ დოლარად არის შეფასებული ბიძინა ივანიშვილის ხელოვნების ნიმუშების კოლექცია ...... 13

ადვოკატი გირჩევთ ................................ 17

სჭირდება თუ არა გრძნობას გამოცდა და როდის ჩნდება ცოლ-ქმრის ცხოვრებაში ვიღაც მესამე .................. 20

როგორ დაკარგეს ერთმანეთი ტყუპმა დებმა და რა გაარკვია ტყუილით გაშვილებული ტყუპისცალის დამ ...... 21

რომელი ლეგენდა უკავშირდება ალექსანდრე მელიქ-აზარიანცის „შემოსავლიანი სახლის” მშენებლობას და რომელი ცნობილი რევოლუციონერის სიცოცხლე დასრულდა ვერის დაღმართზე ........... 23

რატომ უშვებს ღმერთი ჩვენზე განსაცდელებს და როდის შეიძლება დაღუპოს ადამიანი სიკეთემ ................ 24

რომელი პროფესიის დაუფლებაზე ოცნებობდა პელე და რა წვლილი მიუძღვის მას ბრაზილიაში წერა-კითხვის პოპულარიზაციაში ................ 26

ექიმის რჩევები ........................................ 29

რამდენჯერ იბადება და კვდება ადამიანის სული და როდის იძენს ის ახალ შეგრძნებებსა და გამოცდილებას ........................................ 32

რატომ სძულს აზია არჯენტოს მონიკა ბელუჩისა და ჯინა ლოლობრიჯიდას ტიპის მსახიობები და რატომ არ არის მისთვის პრობლემა კამერის წინ გაშიშვლება ............................................ 34

კოსმეტოლოგის რჩევები ...................... 47

ვინ და როგორ შეკრიბა თბილისელი ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებსაც მეტრო უნდა აეფეთქებინათ ................ 48

რატომ გაწირა მამაკაცმა საყვარელი ქალი სასიკვდილოდ და როგორ მოაწყო მან თვითმკვლელობის ინსცენირება ............................................ 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ................................................ 51

ვეტერინარის რჩევები .......................... 56

ფლორის სამყაროში .............................. 56

რომელი სეზონური ხილი აძლიერებს ზამთრის პერიოდში დათრგუნულ იმუნიტეტს და რა უნდა გაითვალისწინოთ ცივ სეზონზე კვების მხრივ ........................................................ 57

მე – დაქირავებული მკვლელი ............ 58

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები .................... 63

მკვდარი ვერსია ...................................... 66

რატომ უნდა ატაროს კონკრეტულ თვეში დაბადებულმა ადამიანმა მისთვის შესაბამისი ასტროლოგიური ქვები ........................................................ 72

კვირის დღეების ასტროპროგნოზი .... 73


## Lounge Club Clubberry ვალენტინობის დღეს შეყვარებულებს სპეციალური პროგრამით ელოდება




ვერაზე, გართობისა და კლუბების მოყვარულთათვის Lounge Club Clubberry გაიხსნა და 14 თებერვალს, ვალენტინობას, შეყვარებულებს სპეციალურ პროგრამას სთავაზობს. კლუბი ვერაზე, ყაზბეგის ქუჩა №12-ში მდებარეობს (ყოფილი ერეკლე ტატიშვილის ქუჩა, ფილარმონიასთან) და 12:00 საათიდან გვიან ღამემდე მუშაობს. ვალენტინობას Lounge Club Clubberry-ის სტუმრებს ცოცხალი შესრულება და დიჯეი Nic Gautinho-ს ჰიტების მიქსები ელოდებათ, ხოლო „კარაოკეს“ მოყვარულებს საშუალება ექნებათ, შეყვარებულს მათთვის სასურველი სიმღერა შეუსრულონ.

Lounge Club Clubberry-ს მენეჯმენტი მზადაა, იქ მისულ სტუმრებს ყველა დღესასწაულზე განსაკუთრებული პირობები შეუქმნას. სწორედ ამ სტრატეგიის ფარგლებში, 14 თებერვალს, ვალენტინობაზე კოქტეილების მოყვარულები ყოველ მეორე კოქტეილს 50-პროცენტიანი ფასდაკლებით მიიღებენ.





Lounge Club Clubberry-ს შესაძლებლობები გართობის თვალსაზრისით რომ შეუზღუდავია ეს კლუბის ოფიციალურად გახსნამ და დავითობის ივენთმაც დაადასტურა. Lounge Club Clubberry-ს პრეზენტაცია 6 თებერვალს შედგა. გახსნის ოფიციალურ საღამოზე ახალგაზრდა პოპულარულმა მომღერლებმა იმღერეს, კარაოკესა და იქს-ბოქსის კონკურსში მონაწილე სტუმრებმა კი პრიზები არა მხოლოდ კლუბისგან, არამედ ისეთი კომპანიებისაგან მიიღეს, როგორებიცაა: კოსმეტიკური კომპანია „ეივონი“, სალონი „ბელისიმა“, „ახალი ნათება“, არაყი „ნემიროვი“, „რედ ბული“, დიზაინერი თამუნა სუჯაშვილი და სხვები. 8 თებერვალს, დავითობას, კლუბმა სტუმრებს თეო თევზაძისა და ნათია არინდაულის დუეტის ახალი სიმღერა წარუდგინა, კლუბში მყოფი ყველა დავითი კი, სახელობით დღესთან დაკავშირებით, სპეციალური საფირმო კოქტეილით დაასაჩუქრა. საღამო გვიან ღამემდე DJ Nic Gautinho-სთან ერთად გაგრძელდა.

„გვახარებს, რომ შეგვიძლია, შევთავაზოთ სტუმრებს საუკეთესო DJ-ების, მათ შორის DJ Nic Gautinho-ს მუსიკა და გემრიელი სამზარეულო. გვაქვს „ლანჩ მენიუც“ და სტუმრებს დღის განმავლობაშიც ველოდებით. კლუბში სტუმრებს უგემრიელეს კერძებთან და კარგ მუსიკასთან ერთად საუკეთესო განათება და ყველასთვის საყვარელი გასართობი კარაოკე და იქს-ბოქსი დახვდებათ. ამასთანავე, ჩვენ თავიდანვე ვეცდებით, ჩვენი კლუბის მოყვარულებისთვის განსაკუთრებული პირობები შევქმნათ. თუ დღესასწაულების მოწყობას ჩვენს კლუბში გადაწყვეტენ, მათ სპეციალურ ფასებს შევთავაზებთ,



კლუბისგან საჩუქრად კი ულამაზეს და უგემრიელეს ტორტს გადავცემთ,“ – აცხადებენ Lounge Club Clubberry-ში. კლუბში ამჟამად აქცია მოქმედებს, რომლის ფარგლებშიც, 14 თებერვლის ჩათვლით, ყოველ მეორე კოქტეილს სტუმრები 50-პროცენტიანი ფასდაკლებით მიიღებენ.

# დიდად კოაბიტირებულები

## „იგი წავა და სხვა მოვა“

მართალია, ნათქვამია, **„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო“,** მაგრამ, რაკი, ჯერ ერთი, **ტურფა საბაღნარომდე ბევრი უკლია ამ ჩვენი პარლამენტის ქუთაისურ შენობას** (მიუხედავად **მოშუშვისა**) და **წამსვლელსაც ვადა პირველ ოქტომბრამდე აქვს** (მრავალგზის იავარქმნილი და მიცვლილ-მოცვლილი ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით), სულ რაღაც ერთიოდე დღით ადრე **შევიტყვეთ, რომ პრეზიდენტი პარლამენტში სიტყვით აღარ გამოვიდოდა.** უნდა ვაღიაროთ, რომ **ეს ნამდვილად გულისმომკვლელი ამბავია**, რადგან, საქართველოს **მოსახლეობას ერთი ტონუსის ამწევი საღამო დააკლდა**. თუმცა, თუ ჩვენს რჩეულებს დავუჯერებთ, **ადრე თუ გვიან (იქნებ, უშაბათო კვირასაც), პრეზიდენტი პარლამენტში მაინც გამოვა** და უმცირესობა-უმრავლესობა დებატებშიც შეეჭიდება ერთმანეთს.



მოვლენები კი შემდეგნაირად განვითარდა: **როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ გაგვანდო**, ბ-ნი სააკაშვილის საკანონმდებლო ორგანოში მისვლასთან დაკავშირებით გამართული **კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ პრეზიდენტის მოსმენა მოგვიანებით შედგება**. მოგვიანებით, ანუ, მას შემდეგ, რაც მორიგი საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდება.

თუ გავიხსენებთ, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, **მავანნი პრეზიდენტისთვის სირცხვილის დერეფნის მოწყობას აპირებდნენ**, არ არის გამორიცხული, ზემომოყვანილი **ამაღლებული მოტივის** გარდა, **ამ ფაქტორსაც შეესრულებინა როლი პრეზიდენტის გამოსვლის გადავადებისთვის.**

თავის მხრივ, აწ უკვე უმცირესოელი და ერთ დროს პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი **ბაქრაძე გვარწმუნებს, რომ პრეზიდენტი სრულ მზაობაში იყო, მიბრძანებულიყო პარლამენტში,** თუმცა (მომყავს ციტატა ბ-ნი ბაქრაძის გამოსვლიდან): „რაკი უმრავლესობას გადაუწყვეტია, კი ბატონო, **გადაწყვეტილებას იღებს უმრავლესობა და ბიურო და ჩვენ ვიღებთ მათ პოზიციას, როგორც ფაქტს, რომ ხვალ სხდომა არ ჩატარდება**.“

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **მოვლენათა განვითარების ჰარმონიულობა** (განსაკუთრებით, უმრავლესობა-უმცირესობის კონსტრუქციული შეფასებები), ბუნებრივია, **ბევრ ეჭვს აღძრავს**, მათ შორის, იმისაც, რომ **დიდი გარიგება**, გნებავთ, **დიდი კოაბიტაცია, შემდგარია** და, მათ შორის, შესაძლოა, **იმიტომაც, რომ პოლიტიკოსობა სამყაროსავით უძველესი პროფესიაა.**

# საოცნებო დაკითხვა

## მთის, ანუ მაღალჩინოსნისა და მუჰამედის, ანუ პროკურატურის პრინციპით

რაკი ისე მოხდა, რომ **არჩევნების შემდეგ პროკურატურაში 20 000-მდე განცხადებაა შესული**, სავსებით ბუნებრივია, რომ **ყოფილსა და მოქმედ ჩინოვნიკებს დაკითხვებზე პანტა-პუნტით იბარებენ.** თუმცა, **მათგან სამმა საკუთარი პირობები წამოაყენა: პირველი მერცხალი ნაპროკურორალი და აწ მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი** ბ-ნი **საყვარელიძეა** (მოგეხსენებათ, პროკურატურაში არ გამოცხადდა, მოტივით – მეტი საქმე არ მაქვსო); **მეორეობას თბილისის მერი დასჯერდა** და უფრო **ორიგინალურიც აღმოჩნდა**: ბ-ნმა უგულავამ **დაკითხვაზე გამოცხადების დრო დაიწუნა** და მისთვის **სასურველ დროს პროკურორები მერიაში მიიწვია**. რაც მთავარია, **გაკეთილებულმა პროკურატურამ მერის რჩევა გაითვალისწინა** და **პროკურორები ადგილზე აფრინა**.



შესაძლოა, **დედაქალაქის თავკაცის წაბაძვით,** ანალოგიური **ულტიმატუმი ყოფილ კოლეგებს** ბ-ნი საყვარელიძესავით გარჩეულებულმა ბ-ნმა **ღვინიაშვილმაც წაუყენა** (დასაკითხად **პარლამენტში მეწვიეთო**).

იმის გათვალისწინებით, რომ **ღვინიაშვილი უგულავაზე ნაკლები არ არის**, სავარაუდოა, რომ **პროკურორები მასაც ადგილზე ეწვევიან**, ხოლო, რაკი პროკურატურას **მთისა და მუჰამედის პრინციპი აურჩევია**, სავარაუდოა, რომ **ხალხის რჩეულ ღვინიაშვილსაც ადგილზე დაჰკითხავენ.** თუმცა, რაკი მთისა და მუჰამედის პრინციპი აურჩევიათ, ვფიქრობ, **პროცესის მეტი კომფორტულობისთვის** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მხოლოდ დაკითხვის პროცესს ვგულისხმობ) **დამკითხველებს მომსახურების პაკეტში, იქნებ, საერთო მასაჟიც დაემატებინათ** (ბუნებრივია, **რელაქსაციის მართლმსაჯულების სამსახურში ჩასაყენებლად)?!**

მეც **ვისარგებლებ შემთხვევით** და გაგიმხელთ, რომ **საკუთარი დაკითხვა შემდეგნაირად წარმომიდგენია**: **ოკეანის პირას, ჯაზის ფონზე** (შესაბამისმა ორგანოებმა, გთხოვთ, გაითვალისწინოთ). თუმცა, ჩემი ამ ენაკვიმატობის მიუხედავად, ისიცაა, რომ **ჰუმანურობას დემოკრატია არ მოუკლავს.**

# ჩანგლების მბრძანებელი

## ანუ „როგორ მოვიპაროთ მილიონი“

**„ვინც მოიპარა ფუნთუშა, ზის ციხეში, ვინც მოიპარა მილიონი, ზის პარლამენტში“,** – ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა **ბერნარდ შოუ**, თუმცა, ჩვენ ამჯერად კვლავაც **უმცირესობა-უმრავლესობის დაპირისპირებაზე ვისაუბრებთ**, რომელიც კლასიკურად ჯდება **დიალექტიკური მატერიალიზმის იმ კანონში, დაპირისპირებულთა ერთიანობასა და ბრძოლას რომ ეხებოდა.**



ერთი სიტყვით, **უმცირესობა კვლავ ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილებების ჩვენებას „აწვება“, უმრავლესობა – საპირისპიროს.** შესაბამისად, **პირველები ამ ორიენტაციის უცვლელობის ფიცით განმტკიცებას ითხოვენ** (კონსტიტუციაში ჩაიწეროსო). ხოლო, რადგან **უმრავლესობა იმ საკონსტიტუციო ცვლილებებს ამზადებს** (მათ შორის, ბ-ნი **ბუკიკიოს** რჩევა-**კურთხევით**), რის მიხედვითაც, **პრეზიდენტს საიმპერატორო უფლებები უნდა ჩამოერთვას, სავაჭრო სივრცეც გამზადებულია.**

კერძოდ, **უმრავლესობის მიერ ჩაფიქრებული საკონსტიტუციო ცვლილებით, პრეზიდენტს აღარ ექნება მთავრობის პარლამენტის ნების საწინააღმდეგოდ გადაყენების უფლება** და ამის შემდეგ **თავის მიერ დამტკიცებული მინისტრთა კაბინეტის განუსაზღვრელი ვადით შენარჩუნება**. თუმცა, **შეეძლება ნებისმიერ დროს პარლამენტის დათხოვნა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა**.

**უმცირესობა უმრავლესობის** ამ ცვლილებებზე **თანახმაა**, ოღონდ, თუკი **კონსტიტუციითვე განმტკიცდება ქვეყნის პროდასავლური საგარეო კურსი**. მაგალითად, ბ-ნი **ბაქრაძე მოსწრებულად ბრძანებს: მათ ეშინიათ სკამების, ჩვენ – ევროპული ორიენტაციის დაკარგვისო** (პირადად მე **ეჭვი მაქვს, რომ სკამებს ლომის წილი უჭირავს თვით ევროპული ორიენტაციის დეკლარირებულ ერთგულებაშიც კი**). თუმცა, ბუნებრივად იბადება **რიტორიკული კითხვა: მაინც როგორ ესმის ბ-ნ ბაქრაძეს ევროპული ორიენტაცია,** როდესაც **პარლამენტის თავმჯდომარის შვილები ბიუჯეტის ხარჯზე თვეში 10 000 ლარს დახარჯავენ სატელეფონო საუბრებში?!** ოღონდ, **თუ ბერნარდ შოუს დავუჯერებთ, არც უამისობა უნდა იყოს.**


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე

რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი

კორექტორი: ხატია ჟღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, სოფო ლომიძე, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე

ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

**რედაქციის მისამართია:** თბილისი, ასლანიდის (ყოფილი ალმასიანის) ქუჩა №14 სპორტის სასახლის გვერდით („მაკდონალდსის“ უკან)

ტელ: 233-42-24; 599 10-15-20 221-31-12

სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 221-31-34

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: info@tbiliselebi.ge
tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ჯიბეთხელნი

## „ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია“

მიუხედავად ლიბერტალიანთა ოპტიმიზმისა (რომელიც, ცხადია, პესიმიზმად შეიცვალა პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ), ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობა, ჯიბეთხელობის მიზეზით, იაფფასიან პროდუქციას ეძალებოდა და ეძალება. ხოლო, იმის გათვალისწინებითაც, რომ ჩვენი საზღვრებიც ღიაა და არც შემოტანილი პროდუქციის შემმოწმებელი ორგანო გვაქვს (თუმცა გვქონდა, მაგრამ, საკუთარი, რაღა საკუთარი, წინა მთავრობის, ნებით გავიუქმეთ), რას ვჭამთ (იმის პარალელურად, რომ ბლომადაც „გვაჭმევენ“), ვეჭვობ, შემოქმედისთვისაც გაურკვეველია.



როგორც უნდა იყოს, გასულ კვირას სოფლის მეურნეობის მინისტრმა გაგვიმხილა, რომ, სურსათის უვნებლობის სააგენტოს ინფორმაციით, ჩვენს ბაზრებში საქონლის ხორცის ნაცვლად ვირისა და ცხენის ხორცი შედიოდა.

ამ განმარტების შემდეგ, სავარაუდოა, რომ ძროხის ნაცვლად ვირს აღარ შემოგვასაღებენ (არც ცხენს), თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენივე კანონმდებლობით, აკრძალულია მომხმარებლის მოტყუება, იმედია, ვირ-ცხენების შემომსაღებლების ვინაობასაც გაგვიმხელენ.

ხოლო, თუ ზოგადად ჩვენი ზედა ეშელონების წარმომადგენლების ქცევა-მოქმედებებს გავიხსენებთ, ჩნდება ეჭვი, რომ ვირის ხორცმა მათ რაციონშიც შეაღწია: ცოდვა გამხელილი ჯობს და (როგორც ზემოთ, ისე ქვემოთ), ვირისტვინნაჭამებს რალაცით ნამდვილად წავაგავდით.

# ღიპი თუ ქამარ-ხანჯალი

## „ვის მივმართო, ზიგმუნდ ფროიდი მკვდარია“

გასულ კვირას პარლამენტის წევრმა ბიძინა გუჯაბიძემ კოლეგებს საკუთარი ინიციტივა გააცნო, რის მიხედვითაც, უნდა დაწესდეს ხალხის რჩეულთა ჩაცმის სტილი. ამ ინიციატივაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი დეტალი, რამაც ჩემებიც გაამხიარულა და, უპირველესად და უფრო – უმრავლესობის უმცირესოელი კოლეგები. კერძოდ, პარლამენტის წევრს პარლამენტის ტერიტორიაზე (თუ, რასაკვირველია, ბ-ნი გუჯაბიძის ეს ინიციატივა კანონად იქცევა), მათ შორის, ნაციონალურ სამოსში გამოწყობილსაც შეეძლება, გამოცხადება.



ერთი სიტყვით, სჯა-ბაასი საპარლამენტო ჩოხაზე ქამარ-ხანჯლის ყოფნა-არყოფნამაც გამოიწვია (მაინც ცივი იარაღია) და იმანაც, ვის უფრო მოუხდება ჩიხტიკოპი: ქ-ნ ბესელიას თუ ქ-ნ გოგორიშვილს.

ჩიხტიკოპის რა მოგახსენოთ, მაგრამ, ღიპიანებს, ფაქტია, რომ ჩოხა ვერ დაამშვენებს. რაც შეეხება ქამარ-ხანჯალს: თუ გავიხსენებთ, რომ ქართულ ჩოხას ქამარ-ხანჯალი ბ-ნი ბუშის თბილისში ვიზიტისასაც აჰყარეს და ეს არავის გაუპროტესტებია, მგონია, რომ ჩვენი რჩეულებიც გადაიტანენ უხანჯლობას.

უმრავლესოელი კოლეგის ინიციატივა უმცირესოელ კოლეგებს ბუსუსებიანი პრეზერვატივების კანონს ახსენებს. თუ, ამის პარალელურად, ბ-ნი უგულავას ჩუკენობის ასოციაციას გავიხსენებთ და, ზედაც, მის თანაგუნდელთა ჩოხა-ჩიხტიკოპზე პრეზერვატივის ასოციაციას დავამატებთ, ერთი, სულ მცირე, ფსიქოანალიტიკოსი „დაგვხატავდა“ ამ ჩვენს ზემოეშელონელთა ფანტაზიების გამოსაკვლევად, მაგრამ, „რომელ მსაჯულს ვკითხო სამართალია, ვის მივმართო“ – ვაი რომ, არა მხოლოდ რუსთაველი, ზიგმუნდ ფროიდიც მკვდარია.



# მაინც შევღებავთ

## მკვდრების ძეგლებთან მებრძოლები

ის-ის იყო გავარკვიეთ, რომ ვირის თავ-ფეხს მივირთმევდით, რაკი ძროხისა გვეგონა, რომ, სრულიად არაოკუპირებული საქართველოს ტერიტორიაზე სტალინის ბიუსტების ვარდისფრად შეღებვაც დაიწყო. ამის პარალელურად კი, სოციალურ ქსელებში რამდენიმე ათეული ადამიანის „აღიარებითი ჩვენებაც“ გაჩნდა – მე შევღებე სტალინის ძეგლიო (დაახლოებითი პათოსით: თქვენ მოჰკალით ძერა?!).

უფრო მეტიც, „ამღიარებლები“ გვპირდებიან, რომ შეღებეს და კვლავაც შეღებავენ ყველაფერს, რაც სტალინის ფორმის არის. ამ, როგორც თავად უწოდებენ, „პატრიოტულ აქტს“ ანტისაოკუპაციო დანიშნულება აქვს, კერძოდ, საბჭოური მენტალობის ამოძირკვის.

მიზანი ფრიად კეთილშობილურია, ოღონდ ფორმა – უხეირო, რადგან, ძეგლებთან (თანაც – მკვდრების) ომი დიდი ვერაფერი ვაჟკაცობაა, თუმცა, მეტად ჰარმონიულად უთავსდება ევროპულ მორალს: „წაქცეულს წიხლიც მიაყოლე“ (ფრიდრიხ ნიცშე), და მერე რა, რომ ქართული ხალხური ლოგიკით: „წაქცეული, მტერიც რომ ნახო, წამოაყენე“.

ხოლო, რაკი სიტყვამ „ოკუპაცია“ მოიტანა, ისიც სათქმელია, რომ, სავსებით ცოცხალი და საღ-სალამათი ოკუპანტი, მართალია, პარლამენტის გარეშეა დარჩენილი, მაგრამ, მაინც დედაქალაქიდან 40 კილომეტრშია და, წესით, არც მათ აწყენდათ ამოძირკვა, თუმცა, თუ თუთაშხიას დავესესხები, ძეგლების წინააღმდეგ გაჩაღებული ეს ჩვენი აგერ უკვე რამდენიმეწლიანი ბრძოლა მოწმობს, რომ ესენი ის კაცები არ არიან, ცოცხალ ოკუპანტს რომ ესვრიან, მათ ძეგლებთან შეჭიდება ურჩევნიათ – ძეგლებს ხომ ხელის შემობრუნება არ ეხერხებათ?!

# პროინფანტილური კურსით

## ქართული მწუხარება ამერიკულ სიხარულსა ზედა

აშშ ჩვენი არა მხოლოდ სულზე უტკბესი პარტნიორია, ლამის ბაბუაჩვენების სურათის ნაცვლად მისი დავიკიდოთ (ფოტო, რასაკვირველია). უფრო მეტიც, ქართველი პოლიტიკოსების აბსოლუტური უმრავლესობა საჯარო სუიციდისთვისაც კი პიონერულ მზადყოფნაშია (განსაკუთრებით, „ნაც-უმცირესობის“ წარმომადგენლები), თუკი ჩვენი პროდასავლური კურსი არათუ შეიცვლება, შეგვიკანკალდება. თუმცა, თუ ჩვენს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების დინამიკასა და რაოდენობას გადავხედავთ (ადამიანის უფლებებს, მედიისა და სასამართლოს თავისუფლებას, თავის ცხოვრების დონიანად სათვალავში არც ავიღებ), ეს ზუსტად ის შემთხვევაა, ბოლო (გაკვირვებას ვინ ჩივის) რომ გაგიჟებს!



ასე, მაგალითად, აშშ-ის კონსტიტუცია 1787 წელს მიიღეს (ფილადელფიის შტატში) და 225 წლის განმავლობაში მასში მხოლოდ 27 ცვლილება განხორციელდა. მათ შორის 11 ცვლილება – მეთვრამეტე საუკუნეში.

საქართველოს კონსტიტუცია 1995 წელს მივიღეთ და მასში უკვე იმდენი ცვლილებაა შესული, რომ დედ-მამაც (ანუ, შემქმნელ-დამწერიც) ვერ ცნობს, ხოლო, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პროცესი შეუქცევადია.

კერძოდ, აწ უკვე მერვე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე უმცირესობას (აი, იმ უმცირესობას, დედა რომ არ დაუტოვა კონსტიტუციას), გამოსავლის სახით, საკონსტიტუციო კომისიის შექმნას სთავაზობს.

თუ უმცირესობის (ამ საკითხზე უმრავლესობასთან თითქმის შეხმატკბილებული) კომენტარებით ვიმსჯელებთ, სავარაუდოა, რომ უმრავლესობა თავის უმცირესოელებთან საერთო ენას გამონახავს (ბოლოს და ბოლოს, საქმე ძალაუფლების გადანაწილებას ეხება, სკამი კი, როგორც ჩვენი რეალობა მოწმობს, სულზე ტკბილია).

რაკი აშკარაა, რომ ამ ჩვენს კონსტიტუციას დედა აღარა ჰყავს (და არც ის თამრო აღარ არის), არც კიდევ ერთხელ გადაწერ-გადმოწერა ასცდება. ხოლო, თუ ამ ფონზე აშშ-ის კონსტიტუციაში ორასზე მეტი წლის განმავლობაში შეტანილ სულ რაღაც 27 ცვლილებას გავიხსენებთ, კურსი პროდასავლური კი არა, მკაფიოდ პროინფანტილური გვქონია, საიდანაც, მე რომ მკითხოთ, რაც მალე გადავუხვევთ, მით უკეთესი.

გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძე

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან
ზარი ფასიანია



# როდიდან გაუქმდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკების მოხმარებაზე და რა პრინციპით მოხმარდება ადმინისტრაციული ჯარიმები ნარკომანთა რესოციალიზაციას



**პორტუგალია უფრო ლიბერალურ დეკრიმინალიზაციაზე წავიდა: საკმაოდ მცირე ჯარიმებია დაწესებული და ამასაც ძალიან იშვიათად იყენებენ. მგონია, რომ საქართველოში ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ იქნება სწორი**

*მართალია, კვლავაც უცნობია ჩვენს ქვეყანაში ნარკომანთა რაოდენობა, თუმცა, ყველანი ვთანხმდებით, რომ პრობლემა მნიშვნელოვანია, რადგან, არაოფიციალური სტატისტიკით, ნარკომომხმარებელთა რაოდენობა, შესაძლოა, ორ ასეულ ათასსაც აღწევდეს. თუ არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას გავითვალისწინებთ, აშკარაა, რომ ვითარება კატასტროფულია. მიიჩნევა, რომ ხელმისაწვდომობა ნარკომანიის გავრცელების ერთ-ერთი ფაქტორია, ამიტომაც ყველა ქვეყანა ცდილობს ბალანსის დამყარებას ხელმისაწვდომობასა და შეძენის აუცილებლობას შორის.*

*რაც მთავარია, ნარკოტიკული საშუალების დამზადება სახლის პირობებშიც შეიძლება. კუსტარულად წარმოებული ნარკოტიკი გაცილებით ძლიერად აზიანებს ორგანიზმს და მის ლპობას იწვევს. ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ნარკოტიკულ საშუალებად ითვლება კალიუმის პერმანგანატის დახმარებით მომზადებული ნარკოტიკი: ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ის ბიდნავს და გაუვალს ხდის ვენებს. ასევე, კუსტარულად მიიღება ეგრეთ წოდებული „კრაკადილი“. ის მზადდება სითხით, რომელსაც კანალიზაციის გაბიდნილი მილების გასახსნელად იყენებენ. მისგან მიღებული დეზომორფინი მორფინზე ასჯერ ძლიერია და ამ ტიპის ნარკოტიკის გამოყენებისას სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 7 თვეა.*

*მოქმედი კანონმდებლობით, ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს პირველ ჯერზე 500-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმა ეკისრება, იმავე წელს განმეორებით დაკავების შემთხვევაში ჯარიმა 2 000-ლარიანია, აი, მესამედ კი უკვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, რაც ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას.*

*ბოლოს განხორციელებული ამნისტია ნარკომომხმარებლებსაც შეეხო და ის პირები, რომლებიც მხოლოდ ამ მუხლით იხდიდნენ სასჯელს, გათავისუფლდნენ საპატიმრო ადგილებიდან, მაგრამ, რადგან კანონი ისევ ძალაშია, ნარკომანების რაოდენობა კი ჩვენს ქვეყანაში არ შემცირებულა, ბუნებრივია, მათზე, ვინც ამ დანაშაულს ისევ ჩაიდენს, ანუ ნარკოტიკის მოხმარებაზე დააკავებენ, კანონის ზემომოყვანილი ნორმა გავრცელდება. პარლამენტის წევრ* ***კობა დავითაშვილის*** *ინიციატივით ცვლილებათა პაკეტი მზადდება (ცვლილებები შედის სამ კანონში: სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში, ასევე, კანონში ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ), რომლის მიზანიც ნარკოდანაშაულის დეკრიმინალიზაციაა.*

**– რა არის თქვენი საკანონმდებლო ინიციატივის არსი?**

– ნარკომანია სერიოზული პრობლემაა და, ჩემი აზრით, სწორი გამოსავალია ამ დანაშაულის დეკრიმინალიზაცია. ეს გულისხმობს, რომ ნარკოტიკების მოხმარება არ უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაული, მაგრამ, ნარკოტიკების შენახვა, გადატანა და ასე შემდეგ, კვლავ დანაშაულად უნდა დარჩეს. ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაცია გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არათუ უნდა დარჩეს ნარკოტიკების მოხმარებისთვის, არამედ, უნდა გამკაცრდეს კიდეც.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, ნარკოტიკების მოხმარება ისჯება და ეს იწვევს ნარკოდამოკიდებულის რესოციალიზაციის შეუძლებლობას, ვინაიდან, იქიდან გამოსულ ადამიანს თან ახლავს ნასამართლეობა და ეს მას კიდევ უფრო ურთულებს ცხოვრებას. ჩვენ ისედაც არ ვართ განებივრებულები სამუშაო ადგილებით და ნასამართლეობა მით უმეტეს ურთულებს ადამიანს სამსახურის ძიებას. ამიტომ, ჩემი აზრით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მნიშვნელოვანი ოდენობის ჯარიმები და, თუნდაც, ადმინისტრაციული პატიმრობა, საკმარისია შეკავების ეფექტისთვის. იმავდროულად კი, რაკი ეს აღარ გამოიწვევს ნასამართლეობას, ხელს არ უშლის ადამიანის რესოციალიზაციას. აი, ეს არის მოკლედ ჩვენი კანონპროექტის არსი.

**კუსტარულად მიიღება ეგრეთ წოდებული „კრაკადილი“. ის მზადდება სითხით, რომელსაც კანალიზაციის გაბიდნილი მილების გასახსნელად იყენებენ. ამ ტიპის ნარკოტიკის გამოყენებისას სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 7 თვეა**

**– თუ გაქვთ სტატისტიკა, რამდენი ადამიანი იხდიდა სასჯელს ნარკოტიკების მოხმარებისთვის?**

– მე არ მაქვს კონკრეტული სტატისტიკა, მაგრამ, ვიცი, რომ საქართველოში ასეულ ათასს უახლოვდება ნარკომანთა რაოდენობა. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება იქნება ამ დანაშაულის დეკრიმინალიზაცია. პორტუგალიას აქვს, დაახლოებით მსგავსი გამოცდილება, თუმცა, პორტუგალია უფრო ლიბერალურ დეკრიმინალიზაციზე წავიდა: საკმაოდ მცირე ჯარიმებია დაწესებული და ამასაც ძალიან იშვიათად იყენებენ. მგონია, რომ საქართველოში ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ იქნება სწორი, რადგან, მე არ მინდა, რომ ამ კანონის მიღებამ წაახალისოს ნარკოტიკების მოხმარება. ჩვენ გვაქვს ძალიან კონკრეტული ამოცანა: ნარკოდამოკიდებული პირების რესოციალიზაცია. მას, ვისაც სურს, დაუბრუნდეს საზოგადოებას, დაიწყოს მუშაობა, არანაირი წინაღობა არ უნდა ხვდებოდეს.

**– რესოციალიზაცია თავისთავად გულისხმობს, რომ პირი უნდა განიკურნოს ნარკოდაავადებისგან. ვიცით, რომ ეს საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა. მკურნალობის ელემენტი იქნება წარმოდგენილი ამ კანონპროექტში თუ ამისთვის სხვა საკანონმდებლო აქტები უნდა გამოიცეს?**

– უნდა შემუშავდეს კომპლექსური პროგრამა. თავისთავად, კანონპროექტი დეკრიმინალიზაციის შესახებ ვერ იქნება ამის ამსახველი; ამას სჭირდება სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა, რომელიც უნდა შეიმუშაოს სახელმწიფომ. თუმცა ეს საკმაოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ეს ხარჯები უნდა გავწიოთ. ამაზე საჭიროა საზოგადოების ნება, რომელიც შემდეგ უნდა გადაეცეს პოლიტიკურ სპექტრს.

**– რა თქმა უნდა, საზოგადოება უნდა იყოს თანახმა, რომ მის მიერ გადახდილი გადასახადების ნაწილი ამ პრობლემას მოხმარდეს. ცნობილია, რომ მიმდინარეობს მეთადონის პროგრამა. ის დარჩება?**

– ჩვენი კანონპროექტი არ ითვალისწინებს, ამ მხრივ ძირეულ გადასინჯვას, თუმცა, მიგვაჩნია, რომ უპრიანი იქნებოდა უფრო საფუძვლიანი მკურნალობა, რაც, ბუნებრივია, უფრო ძვირი ჯდება. მეთადონი ჩანაცვლებითი თერაპიაა.

**– დიახ და იმ დოზის მიცემას გულისხმობს, რაც პაციენტს ეგრეთ წოდებულ „ლომკას“ მოუხსნის. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა: ჩვენი საზოგადოება, რატომღაც, ძალიან მსუბუქად უყურებს მარიხუანას, მაშინ, როდესაც ეს საკმაოდ მძიმე ნარკოტიკული საშუალებაა.**

– არის ასეთი უცნაურობა: ჩვენს კანონპროექტს ჰყავს მოწინააღმდეგეები როგორც ლიბერალიზაციის მომხრეების მხრიდან, რომლებსაც არ მოსწონთ, რომ არ ხდება ლიბერალიზაცია, ისე საზოგადოების იმ ნაწილის მხრიდან, რომელსაც არ მოსწონს, რომ დეკრიმინალიზაცია ხდება და მიაჩნია, რომ ნარკომომხმარებლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეთ. ორივე ჯგუფი საკმაოდ მცირერიცხოვანია და, ჩემი აზრით, ეს ორივე მიდგომა რადიკალური და მცდარია. მიმაჩნია, რომ ლეგალიზაცია დაუშვებელია, რადგან, არ ვეთანხმები მათ, ვინც ფიქრობს, რომ აკონტროლებს საკუთარ მოხმარებას. ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, რომლებიც, იმის გამო, რომ ნარკომოხმარება არალეგალურია და ისჯება, არ მოიხმარს ნარკოტიკს. ამდენად, სასჯელის არსებობა არის შემაკავებელი ფაქტორი, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ლეგალიზაცია და ამას არ დავუშვებ.

მეორე მხრივ, ვიმეორებ, ნარკოტიკების მოხმარების გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება არ არის საზოგადოებისთვის ამ სენის თავიდან აცილების საშუალება. პირიქით, ნარკომანი, რომელიც გამოდის ციხიდან, უნდა მუშაობის დაწყება, მაგრამ ამას ვერ ახერხებს ნასამართლეობის გამო, საზოგადოებისთვის უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ის ჩაერთვებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შეიძლება, ძალიან მცირეა რესოციალიზაციის თვალსაზრისით ის, რაც ამ კანონპროექტით გაკეთდება და უფრო მეტი უნდა

„AM სტუდია“

იწვევს 4-დან 12 წლამდე ბავშვებს ქართული ცეკვების შესასწავლად. ცეკვას შეასწავლიან „ერისიონის“ მოცეკვავეები.

დაგვიკავშირდით: 555-994-884, 577-229-111, 2-95-95-95.

„ვარკეთილის“ მეტროსთან.

კეთდებოდეს, მაგრამ, იმის გამო, რომ უსახსრობის მიზეზით ვერ ვაკეთებთ, რაც საჭიროა, არ ნიშნავს, რომ შანსიც არ დავუტოვოთ ადამიანებს, რომ თვითონ მაინც მოახდინონ რესოციალიზაცია.

**– დავასრულებ კითხვას: მარიხუანა იმიტომ მოვიტანე მაგალითად, რომ სახელმწიფო თითქმის არაფერს აკეთებს ანტინარკოტიკული პროპაგანდისთვის მოზარდ თაობაში.**

– როდესაც კომპლექსურ პროგრამაზე ვისაუბრე, ის ამასაც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდიდან დაწყებული ანტინარკოტიკული პროპაგანდა ამის ერთ-ერთი ელემენტია.

**– ნარკოტიკების ასეთი მაღალი მოხმარება რით არის გამოწვეული ჩვენთან: იმიტომ რომ გზაგასაყარზე ვცხოვრობთ, იმიტომ რომ უმუშევრობაა პრობლემა, იმიტომ რომ ახალგაზრდებს თვითრეალიზების პრობლემა აქვთ თუ რა არის მიზეზი?**

– არსებობს მდიდრებისა და ღარიბების ნარკოტიკები, ამიტომ, ძალიან რთულია იმის თქმა, რა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები იწვევს ნარკომოხმარებას. მოტივები სხვადასხვაა და ეს სენი არსებობს მას შემდეგ, რაც კაცობრიობა გაჩნდა. ვერც ვერავინ იკისრებს ფუნქციას, რომ სრულად გამოიკვლიოს ამ პრობლემის საფუძველი. ჩვენ უნდა შევზღუდოთ ნარკოტიკის მოხმარება, ვაკონტროლოთ და მივცეთ შანსი მათ, ვისაც ეს სურს. აქვე ვიტყვი, რომ პირადად მე წინააღმდეგი ვარ იძულებითი მკურნალობის. თუ ადამიანი, თუნდაც ერთხელ, თვითონ არ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ უნდა მკურნალობა, მას იძულებითი მკურნალობა ვერ უშველის. ამიტომ, ჩვენ შემოგვაქვს ასეთი ადმინისტრაციული ნორმები: პირველი შემთხვევა ითვალისწინებს 300-ლარიან ჯარიმას, მეორე – 600-ლარიანს და მესამე შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა 3 500 ლარამდე ადის. თუმცა, იქვე მოსამართლე შესთავაზებს ადამიანს, რომ ამ ჯარიმის გადახდის კვალობაზე სახელმწიფო მზად არის, უმკურნალოს მას.

**– ფული, რომელსაც იხდის ჯარიმაში, მოხმარდეს მის მკურნალობას?**

– ფინანსური ბუღალტრული თვალსაზრისით, შესაძლოა, ზუსტად იგივე ფული არ მოხმარდეს, მაგრამ, ჯარიმა წავა ბიუჯეტში და ბიუჯეტიდანვე გამოიყოფა სამკურნალოდ საჭირო თანხა. მე მაინც მგონია, რომ მკურნალობას უფრო მეტი სახსრები დასჭირდება. მაგრამ, შესაძლოა, თუნდაც, თანადაფინანსების სახით, ადამიანმა თვითონაც გაიღოს გარკვეული თანხა.

**– მაგრამ, ჯერჯერობით ისევ მოქმედებს ჯარიმებიც და პატიმრობაც?**

– დღეს ისეთი ვითარებაა, რომ არსებობს ნარკოდამოკიდებულებისგან განკურნების ორი საშუალება, ბუნებრივია, მათთვის, ვისაც ეს სურს: მეთადონის პროგრამა, რომელიც საკმაოდ შეზღუდულია და ბევრს არ მიუწვდება ხელი და, მეორე, რადიკალური მეთოდი, რომელსაც ხშირად მიმართავენ ადამიანები: ციხეში ჩაჯდომა. უამრავი მაგალითი ვიცი, როდესაც ადამიანი შეგნებულად სჩადის დანაშაულს იმიტომ, რომ გარეთ არ შეუძლია ნარკოტიკის გადაგდება და, ურჩევნია, ციხეში დაანებოს თავი.

**– ეს ძალიან საინტერესო თემაა – ნარკომანს იჭერენ და უშვებენ ციხეში, სადაც მკურნალობის საშუალება არ არის.**

– თუ არ ვცდები, ციხეებშიც მოქმედებს მეთადონის პროგრამა, თუმცა, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც უარს ამბობენ მეთადონზე და თვითონ უმკლავდებიან ამ პრობლემას. ეს, რა თქმა უნდა, არანორმალური მდგომარეობაა და, ალბათ, ჯობს, ქვეყანა მოვფინოთ სარეაბილიტაციო ცენტრებით და იქ ვუმკურნალოთ მათ, ვისაც ამ სენისგან თავის დაღწევა უნდა. თავის მხრივ, გაზრდილი ჯარიმებიც დაგვეხმარება, რომ დამატებითი ფინანსური წყარო მოვნახოთ.

**– ერთია მეთადონის პროგრამა, მაგრამ, თუ არის ჩვენთან კლინიკები, რომლებსაც აქვს ნარკოდამოკიდებული ადამიანის მკურნალობის გამოცდილება?**

– ეს შესასწავლი თემაა. გარდა იმისა, რომ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში შექმნილია მუშა-ჯგუფი, ვიცი, რომ არსებობს სახელმწიფო კომისია, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტრო. იმედი მაქვს, რომ ეს სახელმწიფო კომისია დაამუშავებს ამ კომპლექსურ მიდგომას.

**– მოესწრება ამ ცვლილებების განხილვა საგაზაფხულო სესიაზე?**

– ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება სწრაფად წარიმართოს ეს პროცესი, მაგრამ, შესაჯერებელია პოზიციები მთავრობასთან, ძალოვან სამინისტროსთან, თუმცა, მათი პირველადი განწყობა საკმაოდ ნორმალურია. მათ პრეტენზიები უფრო ნარკოტიკების ოდენობებთან აქვთ – ეს იწვევს ყველაზე დიდ კამათს არასამთავრობო სექტორსა და ძალოვან სამინისტროებს შორის. იმედია, ეს პოზიციები შეჯერდება. ვვარაუდობ, რომ მარტამდე ეს მოესწრება.

**– სხვა ქვეყნებში როგორ არის გადაწყვეტილი ეს საკითხი?**

– სხვადასხვანაირი პრაქტიკაა: ყველაზე ევროპული ქვეყნები უფრო ლეგალიზაციისკენ მიდიან, აზიური ქვეყნები – უფრო კრიმინალიზაციისკენ.

**– უცნაურია: ნარკოტიკების ძირითადი წყარო მაინც აზიაა.**

– მგონია, რომ ჩვენი მუშაობა ძალიან ნაყოფიერი იქნება და ჩვენ შევძლებთ ოქროს შუალედის მოძებნას. რადგან ჩვენ დეკრიმინალიზაციაზე ვმუშაობთ, ევროპის, ფაქტობრივად, ერთადერთი ქვეყანაა პორტუგალია, რომელმაც ეს განახორციელა და საკმაოდ კარგი შედეგიც მიიღო. დანარჩენ ევროპულ ქვეყნებში ან ლეგალიზებულია, როგორც ჰოლანდიაში, ან – კრიმინალიზებული. ანუ, ამ სფეროში შუალედური მიდგომის ლიდერი დღეს არის პორტუგალია.

**– პოსტსაბჭოთა სივრცეში?**

– ანალოგიური სურათია: ბალტიისპირული მიდგომიდან – ლეგალიზაციიდან აზიურ კრიმინალიზაციამდე, ჩვენ სადღაც შუაში უნდა ვიყოთ.

**ნინო ხაჩიძე**


გრიპ ქოლდი

შემადგენლობა:
პარაცეტამოლი ---------------- 400 მგ.,
ფენილეფრინის მალეატი ------- 5 მგ.,
ქლორფენირამინის მალეატი --- 4 მგ.,
კოფეინი ------------------------- 15 მგ.

ფასი:
4 ტაბლეტი
1.15 ლარი




გრიპ ქოლდი უზრუნველყოფს ზედა რესპირატორული ტრაქტის ალერგიის, ცხელებისა და სინუსიტის შემდეგი სიმპტომების დროებით შემსუბუქებას: ცემინება, ქავილი, ცრემლდენა, ცხვირიდან გამონადენი, თავის ტკივილი, ნაზალური და სინუსური ზეწოლა და ცხვირის დაცობა.

* გამოყენების წინ გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას
* გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

აფთიაქი TITANI
მწარმოებელი: OM BIOTEC
ფარმაცევტული კომპანია „ტიტანი“.
თბილისი, ალ. ყაზბეგის №14; ტელ.: 231-11-32; 238-28-40; 238-88-71.



**წელს ყველა მიმართულება ერთი და იმავე პრინციპით დაფინანსდება: იქნება 100, 70 და 50-პროცენტიანი გრანტები. 30-პროცენტიანი დაფინანსება უქმდება**

**აბიტურიენტებს ერთ თვეზე ცოტა დრო რჩებათ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაციის გასავლელად. წელს მათ მნიშვნელოვანი სიახლე ელით, რაც, ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მესვეურთა აზრით, ჩარიცხვის პროცესს უფრო კომფორტულს გახდის, ასევე, ცვლილებებია, სახელმწიფო გრანტის მხრივაც და ერთიანი სამაგისტრო ტესტის შინაარსობრივ ნაწილში. დაწვრილებით თემაზე საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი გვესაუბრება.**

# როგორ შეიცვლება 2013 წელს ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ტესტი და რატომ ექნებათ აბიტურიენტებს საშუალება, აირჩიონ სასურველი ფაკულტეტები ერთიანი გამოცდების შედეგის გაგების შემდეგ

**– რით განსხვავდება წლევანდელი წელი წინა წლების საგამოცდო პროცესისგან?**

– მნიშვნელოვნად განსხვავდება და ვფიქრობ, რომ აბიტურიენტებს რეგისტრაციის უფრო ეფექტიან პროცესს შევთავაზებთ. აბიტურიენტებს მოვუხსენით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ამ წლებში რეგისტრაციისას გამოიკვეთა. კერძოდ, აბიტურიენტს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, უმაღლესი სასწავლებლებისა და ფაკულტეტების არჩევა, უწევდა ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაცილებით ადრე. გამოცდები, როგორც წესი, ტარდება ივლისში, რეგისტრაციას კი ვიწყებთ თებერვალ-მარტში. ამიტომ სწორედ თებერვალ-მარტში უნდა აერჩია აბიტურიენტს კონკრეტული ფაკულტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგული ჩამონათვალი. წლების განმავლობაში მას შეეძლო შვიდი არჩევნის გაკეთება, შემდეგ ეს რაოდენობა 20-მდე გავზარდეთ, იმ მიზეზით, რომ მაინც იყო გარკვეული რაოდენობა აბიტურიენტებისა, რომლებიც ვერ ახერხებდნენ სწორად აერჩიათ უმაღლესი სასწავლებელი, გამომდინარე იქიდან, რომ სწორად ვერ აფასებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს.

**– არჩევნის 20-მდე გაზრდამ გაამართლა?**

– სამწუხაროდ, ვერ გაამართლა. რეგისტრაციის დასრულებიდან გამოცდებამდე პერიოდი დატვირთული იყო აბიტურიენტებთან შეხვედრებით, რომლებსაც უნდოდათ ცვლილებების შეტანა თავიანთ არჩევანში, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ აბიტურიენტებს, გამოცდილების სიმწირის გამოც, არ შეეძლოთ, ზუსტად განესაზღვრათ, რა შედეგებს აჩვენებდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ჰქონდათ თუ არა შანსი, ჩარიცხულიყვნენ იმ პრესტიჟულ ფაკულტეტებზე, სადაც კონკურსი მაღალია. პირიქითაც ხდებოდა, როდესაც აბიტურიენტი არაადეკვატურად აფასებდა თავის შესაძლებლობას და ფიქრობდა, რომ შანსი არ ჰქონდა ისეთ ფაკულტეტზე მოხვედრის, სადაც მაღალი იყო კონკურსი, მაგრამ შედეგების გამოცხადების შემდეგ ნათელი ხდებოდა, რომ ჩარიცხვის დიდი შანსი ჰქონდა. ასე რომ, ჩვენი აზრით, აბიტურიენტს დაეხმარება მართებული გადაწყვეტილების მიღებაში ის, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებს, რაც ეცოდინება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.

**– აღვწეროთ პროცესი, რომ აბიტურიენტებისთვის უფრო ნათელი გახდეს, რა ცვლილებებია რეგისტრაციისას.**

– რეგისტრაციის ფანჯარა გაიხსნება მარტში და, რა თქმა უნდა, აბიტურიენტებს დეტალურ ინფორმაციას მივაწოდებთ ჩვენი ცნობარის სახით. ჩვენს ვებ-გვერდზეც განთავსდება ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლების შესახებ – სად რა პირობებია, რომელი საგნებია სავალდებულო, როგორია თითოეული გამოცდის წონა და ასე შემდეგ. რეგისტრაციისას აბიტურიენტებს აუცილებლად მოუწევთ საგამოცდო საგნების არჩევა, დაახლოებით, ერთი თვის განმავლობაში და ეს არჩევანი აღარ შეიცვლება. რა თქმა უნდა, მათ რეგისტრაციისას შეუძლიათ, აირჩიონ უმაღლესი სასწავლებლები და ფაკულტეტები და ამჯერად – შეუზღუდავი რაოდენობით.

**– ოღონდ ფაკულტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლების რიგითობას კვლავ ექნება მნიშვნელობა?**

– რიგითობას აუცილებლად ექნება მნიშვნელობა, რადგან ეს ჩვენ გვკარნახობს, რომ იმ ფაკულტეტზე, რაც აბიტურიენტს პირველ ნომრად აქვს მონიშნული, მას ყველაზე მეტად უნდა სწავლის გაგრძელება. ამ პრინციპზეა აგებული ჩარიცხვის ალგორითმი, მაგრამ მარტიდან დაწყებული, ვიდრე ჩარიცხვის პროცესის დაწყებამდე, ფანჯარა იქნება ღია და აბიტურიენტებს ექნებათ შესაძლებლობა, გამოცდებამდე და გამოცდების დასრულების შემდეგ, როდესაც შედეგებს გამოვაცხადებთ, შეიტანონ ნებისმიერი ცვლილება.

**– შედეგებში გულისხმობთ საგამოცდო ქულებს?**

– ცხადია. შედეგების გამოცხადებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში აბიტურიენტებს შეუძლიათ, შეცვალონ თავიანთი არჩევანი: საერთოდ თავიდან შეადგინონ ჩამონათვალი, რამე დაამატონ ან ამოიღონ.

**აბიტურიენტს შეეძლება, შეუზღუდავი რაოდენობით აირჩიოს სასურველი ფაკულტეტები, ოღონდ რიგითობას ექნება მნიშვნელობა**

**– ერთია, რომ მეცოდინება ჩემი შედეგი, ანუ ქულები, მაგრამ, ზოგადი სტატისტიკური მონაცემი თუ იქნება, ვინ რამდენი ქულა აიღო ამა თუ იმ საგანში, ეს ინფორმაცია უფრო არ დამეხმარება ჩემი შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასებაში?**

– ამ სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება შეგვიძლია, მაგრამ პირადად მე, ვფიქრობ, რომ ეს გაცილებით მეტ არეულობას და გაუგებრობას გამოიწვევს, იმიტომ რომ ეს ცოცხალი პროცესია, ყველას შეუძლია თავისი არჩევნის შეცვლა და მონაცემები კონკრეტულ ფაკულტეტზე შეიძლება, წუთობრივად შეიცვალოს. ასე რომ, ასეთი ფორმით მონაცემის მიწოდებამ შესაძლოა, კიდევ უფრო დააბნიოს აბიტურიენტი. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ რადგან წლების განმავლობაში ვიცით, ამა თუ იმ კონკრეტულ ფაკულტეტებზე ჩასარიცხად აუცილებელია კარგი შედეგი, გადაწყვეტილებას უკვე მივიღებ ჩემს შედეგებზე დაყრდნობით: თუ მაღალი ქულები მექნება, შანსიც მეტია პრესტიჟულ ფაკულტეტზე მოხვედრის, თუ არასაკმარისად მაღალი შედეგი მაქვს, კარგად უნდა დავფიქრდე, მივუთითო თუ არა პრესტიჟული ფაკულტეტი. თუმცა ყველას შეუძლია პრესტიჟული ფაკულტეტის მითითება პირველ თუ მეორე ნომრად და დანარჩენებში გაითვალისწინოს მიღებული შედეგი.

**– ეს პროცესი გამორიცხავს მეორად ჩარიცხვებს?**

– მეორადი ჩარიცხვების აუცილებლობა აღარ იქნება, თუმცა დაგვჭირდება გარკვეული პერიოდი, რომ დაიკეტოს ბაზა, დამუშავდეს მონაცემები და ჩარიცხვის პროცედურა განხორციელდეს. ამიტომ ჩარიცხვის პროცესის დაწყებამდე ბაზა დაიხურება, მაგრამ ვიმეორებ, აბიტურიენტებს საკმაო დრო ექნებათ საიმისოდ, რომ დაფიქრდნენ და საკუთარი შედეგიდან გამომდინარე, გააკეთონ არჩევანი.

**– სასწავლო გრანტი დამოკიდებულია ოთხივე გამოცდის შედეგზე, ახლებური სქემა იმოქმედებს გრანტის განაწილებაზე?**

– აბიტურიენტი პარალელურად ორ კონკურსში იღებს მონაწილეობას: ერთია საგრანტო კონკურსი და მეორე, ჩარიცხვის. ასე რომ, გრანტის გაცემისას ოთხივე გამოცდის შედეგია გათვალისწინებული.

**– ცნობილია, რომ 14 მიმართულებაზე სწავლის საფასურს დაფარავს სახელმწიფო, ეს რაღაც ტიპის არეულობას შემოიტანს გრანტის განაწილებისას თუ ამ მიმართულებაზე სწავლის გაგრძელების მსურველები აღარ მიიღებენ მონაწილეობას საგრანტო კონკურსში?**

– საგრანტო კონკურსში ყველა მიიღებს მონაწილეობას, იმიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, უსამართლობა გამოვა იმ სტუდენტების მიმართ, რომლებიც სახელმწიფო საბაკალავრო პროგრამაზე ჩაირიცხებიან: ამ პროგრამაზე სწავლა სტუდენტისთვის უფასოა და, თუ მათ საგრანტო კონკურსში არ მივაღებინებთ მონაწილეობას, ამით შევუზღუდავთ მობილობის უფლებას. თუ ერთი წლის შემდეგ მომინდა, შევცვალო ჩემი გადაწყვეტილება და სწავლა განვაგრძო ისეთ ფაკულტეტზე, რომელზეც დაფინანსების ჩვეულებრივი წესი მოქმედებს, თუ თავის დროზე არ მიმაღებინეს მონაწილეობა საგრანტო კონკურსში, იძულებული ვიქნები, სწავლის საფასური მე დავფარო. მაშინ, როდესაც მე შეიძლება, კარგი შედეგი მეჩვენებინა ერთიან ეროვნულ გამოცდაზე და საგრანტო კონკურსში რომ მიმეღო მონაწილეობა, მოვიპოვებდი გრანტს და უკვე ჩემი უფლება იქნებოდა, სად წავიღებდი შემდეგ იმ გრანტს. ასე რომ, ჩვენი აზრით, ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა საგრანტო კონკურსში. თუ მოიპოვებენ სახელმწიფო გრანტს, 100, 70 თუ 50-პროცენტიანს, ბუნებრივია, მაინც უფასოდ ისწავლიან, მაგრამ, თუ მოუნდებათ სხვა ფაკულტეტზე გადასვლა, წაიღებენ თავიანთ მოპოვებულ გრანტს.

**– 14 უფასო მიმართულების გამოყოფა ხომ არ შეამცირებს გრანტის მიმღებთა რაოდენობას?**

– პირიქით, გაზრდის. ლამის ორჯერ მეტ სტუდენტს შეხვდება სახელმწიფო გრანტი. ამ უფასო პროგრამების გარდა, ყველა ფაკულტეტსა და მიმართულებაზე იმოქმედებს ერთი პრინციპი: გვახსოვს, რომ 5 მიმართულებაზე არსებობდა მხოლოდ 100-პროცენტიანი დაფინანსება. წელს ყველა მიმართულება ერთი და იმავე პრინციპით დაფინანსდება: იქნება 100, 70 და 50-პროცენტიანი გრანტები. 30-პროცეტიანი დაფინანსება უქმდება და ეს თანხა დაემატება თანადაფინანსების დანარჩენ თანხას.

**– ხუთ მიმართულებაზე მხოლოდ 100-პროც-**

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**მალხაზ გულბანი** *(64 წლის. თიანეთი). მესამე ხარისხის ორმხრივი გონართროზი.*

– ოთხი წელია, ტკივილები მტანჯავს. კაცი რომ საკუთარ ბოსტანს ველარ გადაბარავს, ეს სიცოცხლეა?! მუხლებს სულ ჭრიალი გაუდიოდა, მიჭირდა ადგომა-დაჯდომა, ღამით ტკივილები მიმატებდა და არ მაძინებდა. აქ შვილებმა ჩამომიყვანეს. ჯერ ერთი კვირაა, დავდივარ და ისე ვარ, როგორც ოცი წლის წინ დავაბიჯებდი. ერთ დღეში შედეგი ვიგრძენი, დღეს კი უკვე თავისუფლად ვადგამ ნაბიჯებს, ტკივილები საერთოდ აღარ მაწუხებს. მადლობელი ვარ ჩემი ექიმის, სიბერე რომ არ გამიმწარდა.

**თამარ მაჩაიძე** *(44 წლის. თბილისი. პედაგოგი). ხერხემლის გავრცელებული ოსტეოქონდროზი, კისრის მალთაშუა დისკოზი.*

– ამ კლინიკაში დიდი რწმენით მოვედი. ბევრი წამიკითხავს, ბევრიც მსმენია აქაური სასწაულების შესახებ. სამი წლის წინ ყრუ ტკივილები დამეწყო კისრის არეში, შემდეგ მომიმატა, გადმოვიდა მარჯვენა მხარში და ბოლოს, თითებამდე ჩამომივიდა. თითებში კალმისტარსაც ველარ ვიჭერდი, ძალაც შემისუსტდა, წერა და საქმიანობა აღარ შემეძლო, ღამით კი ამ მხარეს საერთოდ ვერ ვწვებოდი – მტკიოდა და მიბუჟდებოდა. უამრავი წამალი ვცადე, მაგრამ, უშედეგოდ. აქ თანამშრომელმა მომასწავლა ქ-ნი მანანას ძველმა მადლიერმა პაციენტმა. პირველივე პროცედურის შემდეგ, საოცარი შვება ვიგრძენი და რაც მთავარია, ღამით კარგად მეძინა. მეორე ღამეს მარჯვენა გვერდზე თავისუფლად დავწექი. ტკივილებმა სწრაფი ტემპით მიკლო და 4-5 დღეში მთლიანად გაქრა. მომეხსნა დაბუჟებაც და ხელს ჩვეულებრივ ვხმარობ. სიტყვები არ მყოფნის მადლიერების გამოსახატავად. ღმერთმა დაგლოცოთ!



**ელდარ გეწაძე** *(54 წლის. ინჟინერი. რუსთავი). პოდაგრული ართრიტი.*

– ჩემ თვალწინ იმდენი სიკეთე მოხდა, იმდენი აცრემლებული ადამიანის სახე ვნახე, ერთ-ორ დღეში გაბრწყინებული და იმედიანი, ენა ვერ აღწერს. მიხარია, რომ მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ. მწვავე ტკივილით მოვედი კლინიკაში. ორივე მუხლი დასიებული მქონდა, ასევე, ცალი ფეხის ცერი. ფეხის დადგმა არ შემეძლო, ადგილს ვერ ვპოულობდი. მრცხვენოდა, თორემ, ტკივილისგან ხმამაღლა ვიბღავლებდი.

მანანა ექიმთან მკურნალობა დავიწყე თუ არა, შედეგი ძალიან მალე ვიგრძენი – ფეხზე ისე დავდექი, თითქოს პატარა ბიჭი ვიყავი. ეს ნამდვილი სასწაული იყო. ღმერთმა დაგლოცოთ, მანანა ექიმო, ბარაქალა თქვენს მარჯვენას!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მარინა გოგუა**, *35 წლის, ფილოლოგი. თბილისი.*

– ბუასილი მშობიარობის შემდეგ გამიმწვავდა. ალბათ, ეს ყაბზობამაც გაამწვავა. ასეა თუ ისე, პროქტოლოგმა რომ გამსინჯა, საოპერაციოდ მოემზადეო, მითხრა, მკურნალობაც კი აღარ დამინიშნა. ბუნებრივია, ქირურგის დანის შემეშინდა და სხვა გზების ძებნა დავიწყე. ჩემმა დამ „თბილისელების" ძველი ნომერი მომიტანა, სადაც ამოვიკითხე სტატია ქალბატონ მანანას სასწაულმოქმედი მალამოების შესახებ. 12 დღე სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამაში დავრწმუნებულიყავი. კუჭ-ნაწლავის მუშაობაც აღდგა (რაც მრავალი წელი მაწუხებდა). ასე რომ, ჩემო კარგებო, ვინც ეძებს, კიდეც პოულობს. მოხარული ვიქნები, თუ ეს ჩანაწერი ბევრს აპოვნინებს მკურნალობის სწორ გზას.

**თინიკო რუხაძე**, *52 წლის, იურისტი, თბილისი.*

– მქონდა სისხლდენა სწორი ნაწლავიდან. მალე კვანძებიც შევნიშნე. მივხვდი, რომ ბუასილი იყო. ექიმთან მისვლა მომერიდა და გადავწყვიტე, თავად მემკურნალა. გამოვიყენე სხვადასხვა ხალხური რეცეპტი, რაც კი ვიცოდი და წამეკითხა. მცირეოდენი შვება მქონდა, მაგრამ ცოტა ხანში უფრო გამიმწვავდა მდგომარეობა, მივაკითხე ალექსიშვილის კლინიკას. სისხლდენა 2 დღეში შემიწყდა, ტკივილი – უფრო ადრე. მკურნალობა ჩამიტარეს მხოლოდ ნატურალური, მცენარეული საშუალებებით. მინდა აღვნიშნო, რომ კიდევ სხვა მრავალი პრობლემაც მომიწესრიგდა: წლების განმავლობაში მაწუხებდა კოლიტი, ქრონიკული ქოლეცისტიტი, შებერილობა, ცისტიტი, გულძმარვა. 2 კურსის ჩატარების შემდეგ, თითქოს წლები მომაკლდა და გავახალგაზრდავდი. ყველა ჩამოთვლილი დაავადება ალაგდა. არ ვიცი, რა სიტყვებით გამოვხატო ჩემი მადლიერება ქალბატონი მანანას მიმართ.

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

**ენტიანი გრანტების გაცემა, რაც ვფიქრობ, უსამართლო იყო, მაგრამ უკავშირდებოდა სახელმწიფო სტრატეგიას, რომ მიეზიდათ აბიტურიენტები ზუსტ საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე. პრიორიტეტული აღარ არის ეს მიმართულებები?**

– გეთანხმებით, რომ გრანტის გაცემის განსხვავებული წესი არ უნდა იყოს სხვადასხვა მიმართულებაზე. სახელმწიფო პრიორიტეტები აისახება იმ საბაკალავრო პროგრამების ჩამონათვალში, რომლებზეც სტუდენტისთვის სწავლა იქნება უფასო. სხვა მიმართულებებზე, ყველგან, დაფინანსების ერთი და იგივე წესი იმოქმედებს.

**– საგამოცდო პროგრამებში იქნება ცვლილებები?**

– არანაირი ცვლილებები არ არის და არც იქნებოდა გამართლებული, შეგვეთავაზებინა ცვლილებები, როდესაც ასე ცოტა დრო რჩება გამოცდებამდე. ერთადერთ ცვლილებას ვთავაზობთ რეგისტრაციისას და ვფიქრობთ, ეს უფრო მოსახერხებელი იქნება აბიტურიენტებისთვის.

**– ისევ უცხოეთში დაიბეჭდება ტესტური დავალებები? მხოლოდ და მხოლოდ კონფიდენციალობაა უცხოეთში დაბეჭდვის მიზეზი?**

– კონფიდენციალობის გამო დავიწყეთ ტესტური დავალებების უცხოეთში დაბეჭდვა, იმიტომ რომ 2005 წელს, როდესაც ერთიანი გამოცდების სისტემა დავნერგეთ, არ იყო კონფიდენციალობის დაცვით ტესტური დავალებების ადგილზე დაბეჭდვის საშუალება. ამიტომაც შევარჩიეთ მსოფლიოში ცნობილი ორგანიზაცია, სადაც წლების განმავლობაში ვბეჭდავთ ტესტებს. მაგრამ პირადად ჩემი აზრით, დადგა დრო, დავფიქრდეთ იმაზე, აქ ხომ არ გაგვეგრძელებინა ბეჭდვა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხარჯებთანაა დაკავშირებული და ღირს კი ამხელა ხარჯის გაწევა იმისთვის, რომ უზრუნველყო კონფიდენციალობა?! თუმცა, რა თქმა უნდა, ღირს ხარჯის გაწევა კონფიდენციალობისთვის.

**– მაგრამ ცოტა სირცხვილია, უცხოეთში ბეჭდავდე მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი კადრების იმედი არ გაქვს?**

– ნამდვილად შესაძლებელია, რომ აქ დაიბეჭდოს ტესტური დავალებები, მით უფრო, რომ საუბარია შესაბამისი სტამბის შეძენაზე, რაც გაძლევს საშუალებას, რომ, ფაქტობრივად, ნულამდე დაიყვანო გაჟონვის ალბათობა. ასე რომ, თუ გამოცდების ეროვნული ცენტრი მთლიანად იღებს პასუხისმგებლობას საგამოცდო პროცესზე, ამ ორგანიზაციას შეუძლია, პასუხისმგებლობა აიღოს ბეჭდვის პროცესზეც.

**– მაგისტრანტებს რა სიახლეები ელით? იმ ერთიან სამაგისტრო გამოცდას, რომლის შედეგითაც ნაწილდება გრანტი, გამოცდების ცენტრი ატარებს.**

– იცით, რომ მაგისტრატურის საფეხურზე პრიორიტეტები გამოიხატება საგრანტო თანხის განაწილებით. არსებობს 11 ძირითადი მიმართულება და ყოველ წელიწადს მთავრობის დადგენილებით დგინდებოდა კონკრეტული პრიორიტეტები და ეს გამოიხატებოდა თანხის გადანაწილებაში, მაგალითად, ფუნდამენტურ მეცნიერებებში უფრო მეტი თანხა იყო გათვალისწინებული, ვიდრე სამართლისა და ეკონომიკის მიმართულებით. წელსაც იგივე უნდა მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ამას მთავრობის დადგენილება დასჭირდება. ჩვენ მაგისტრანტებს ვთავაზობთ ცვლილებას ერთიანი სამაგისტრო ტესტის შინაარსობრივ ნაწილში. ესეც იმიტომ, რომ ვფიქრობთ, მაგისტრობის მსურველებისთვისაც გაცილებით კომფორტული იქნება მათზე მორგებული საგამოცდო ტესტი. ლოგიკურად დაისვა კითხვა: რამდენად სამართლიანია, როდესაც მაგისტრობის ყველა მსურველი ერთსა და იმავე ტესტს აბარებს?! მაშინ, როდესაც ამ ტესტის ერთი კონკრეტული ნაწილი შეიძლება, უფრო მნიშვნელოვანი იყოს ერთი კონკრეტული მიმართულებისთვის და მეორე – ნაკლებად მნიშვნელოვანი. შეგვიძლია, გავითვალისწინოთ ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება, რადგან ევროპაში მსგავსი ტიპის ტესტებს არ იყენებენ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ტესტის ფორმატი დამოკიდებულია იმაზე, თუ სად აპირებს სწავლის გაგრძელებას მაგისტრობის მსურველი. ბუნებრივია, სამაგისტრო ტესტის ოთხი ძირითადი ნაწილი – წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა, ლოგიკური და რაოდენობრივი მსჯელობები – დარჩება, ოღონდ აქცენტები გადანაწილდება. შეიძლება, მომავალი იურისტებისთვის ლოგიკური ნაწილი უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე წაკითხულის გააზრება, იმ დროს, როდესაც ჰუმანიტარებისთვის შესაძლოა, ანალიტიკური წერა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე რაოდენობრივი მსჯელობა და ასე შემდეგ. ასეთი განსხვავებები იქნება სხვადასხვა ფორმატის ტესტებში და, ჩემი აზრით, უფრო კომფორტულად იგრძნობენ თავს ჩვენი მაგისტრობის მსურველები.

**– როგორ ფიქრობთ, მაგისტრანტების შემთხვევაში ისევ დარჩება 5 მიმართულებაზე მხოლოდ 100-პროცენტიანი გრანტების გაცემის გამოცდილება თუ, ბაკალავრების მსგავსად, აქაც შეიცვლება?**

– ალბათ, მაინც შეიცვლება.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**ერთი შეხედვით, ქართული პოლიტიკური ცხოვრება ჩვეულებრივ რუტინას ემსგავსება: მთავარ სცენაზე დარჩენილი ორი მთავარი პოლიტიკური ძალა ერთმანეთს ექიშპება და არც უმრავლესობის რიგები ტოვებს მთლად ფოლადივით მონოლითურის შთაბეჭდილებას. რამდენად გულწრფელი და შედეგიანია (ქვეყნისთვის შედეგიანი) შექმნილი პოლიტიკური რეალობა, ამ კითხვაზე ამჯერად ირინა სარიშვილის მოსაზრებებს გავეცნობით.**

# რას გამოხატავს „ნაციონალური მოძრაობისა“ და კოალიცია „ოცნების“ პოლიტიკური ჭიდილი და ორ ძალას შორის რა ტიპის გარიგებაზე მიუთითებს ის

**– როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს „ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ჭიდილი, რა ფარულ პროცესებზე მიუთითებს არსებული ვითარება?**

– ამ ეტაპზე და ამ ბოლო დროს „ოცნების“ შიგნით უფრო ვხედავ ჭიდილს, ვიდრე „ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის, ანუ ბევრად უფრო მძაფრად აღიქმება და ასეც უნდა იყოს, მოსახლეობაში ის უთანხმოებები, რაც კოალიციის შიგნით გაჩნდა.

**– რას გულისხმობთ? ალასანიას გარშემო ამტყდარ ვნებათაღელვას?**

– უთანხმოებას ალასანიასთან, გუბაზ სანიკიძესთან. ის, რაც რეალურად მოსალოდნელი იყო ცოტა საქმეში ჩახედული ადამიანისთვის, უკვე ზედაპირზე გამოდის.

**– გუბაზ სანიკიძესთან უთანხმოებაში რას გულისხმობთ?**

– მე არ ვიცი, ეს „ოცნების“ წევრებს უნდა ჰკითხოთ. რამდენადაც მე ვიცი, გუბაზ სანიკიძესაც დაახლოებით იგივე პრობლემები აქვს, რაც ირაკლი ალასანიას და არ არის გამორიცხული, ამ დაჯგუფებამ ცალკე მოინდომოს ყოფნა. თუ კარგად მივადევნებთ მოვლენებს თვალყურს, ერთ რამეს დავინახავთ: საკონსტიტუციო უმრავლესობის ძიებაში, შესაძლოა, კოალიცია „ოცნებამ“ ჩვეულებრივი უმრავლესობა დაკარგოს. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება „ნაციონალების“ სასარგებლოდ, გამორიცხულია, მაგრამ პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ შესაძლოა, თავისი ხმებით ვერ მოაგროვოს უმრავლესობა და ყველაფერი დამოკიდებული იყოს შეთანხმებებზე. იქიდან გამომდინარე, რომ შიდა კოალიციური კონფლიქტების ინიცირება მოხდა ბატონი ბიძინასგან, ანუ კოალიციის ლიდერისგან.



**ძალიან არასახარბიელო პროგნოზი მაქვს, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ერთხელ მაინც, ჩემი ცუდი პროგნოზი არ გამართლდება**

**– კერძოდ, რით?**

– მისი რეაქციით ირაკლი ალასანიას ნათქვამზე. სრულიად გაუგებარია მისი ეს რეაქცია, რადგან მთელმა მოსახლეობამ არჩევნებამდე იცოდა, ირაკლი ალასანია რომ საპრეზიდენტო კანდიდატი იყო და არც ერთხელ ბიძინა ივანიშვილს არც ჭორის დონეზე და არც ოფიციალური განცხადებით, ეს ამბავი არ გაუპროტესტებია. თუმცა პირადად ჩემთვის და რამდენიმე ადამიანისთვის ცხადი იყო, რომ პრეზიდენტის პოსტზე ბიძინა ივანიშვილი, ადრე თუ გვიან, ისევ „რესპუბლიკელ“ კანდიდატს მოიაზრებდა და შემთხვევითი არ ყოფილა ხმალაძის დასახელება. აქ კონკრეტულად ხმალაძეს არ აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მის პარტიულ კუთვნილებას.

**– თუმცა ვახტანგ ხმალაძე მაინც არასდროს ასოცირდებოდა და ასოცირდება თავგადაკლულ „რესპუბლიკელად“?**

– ხმალაძე, რაც დაიბადა, იმ დღიდან „რესპუბლიკურ პარტიაშია“. მე ძალიან მიყვარს ვახტანგ ხმალაძე, პიროვნულად არაჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ, პარტიული ნიშნით, ის „რესპუბლიკელია“ და მხოლოდ და მხოლოდ „რესპუბლიკელი“. ასე რომ, მე ვერ ვიტყვი, არ ასოცირდებამეთქი. პირდაპირ გეტყვით, როგორც პოლიტიკოსზე, ჯერ ვერ შევიქმენი ჩამოყალიბებული წარმოდგენა ბიძინა ივანიშვილზე, მაგრამ თვლა მან ძალიან კარგად უნდა იცოდეს და იცის კიდეც, რას მოიტანს ასეთი დაპირისპირებები ამ ეტაპზე. თუ ის მიდის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისკენ, გასაგებია, მაგრამ მაშინ საკითხავია, რამდენად იქნებიან საპარლამენტო კრიზისის მომხრე ან „ნაციონალები“, ან კოალიცია „ოცნების“ წევრები. იმიტომ რომ, ძალთა თანაფარდობა რომც არ შეიცვალოს, სიები შეიძლება, შეიცვალოს და, ამდენად, არ მგონია, ეს სურვილი ჰქონდეს რომელიმე მხარეს.

**– როდესაც ამბობთ, ბიძინა ივანიშვილი ცდლობს, წამყვან ძალად აქციოს „რესპუბლიკელებიო“, გამოდის, რომ ეჭვქვეშ არ დგება პროდასავლური კურსი, რადგან „რესპუბლიკელები“ ნამდვილად ასოცირდება მკვეთრად ისეთივე პროდასავლურ კურსთან, როგორადაც გარეგნულად ასოცირდებიან „ნაციონალები“. მაშინ ბრალდება, რომ კოალიციას აქვს პრორუსული ვექტორი, ნეიტრალდება.**

– ეს არის სრული აბსურდი: არანაირი არც პრორუსული და არც პრონეიტრალური კურსი ამ ხელისუფლებას არ აქვს და, როდესაც „ნაციონალები“ ასეთ ბრალდებას უყენებენ კოალიცია „ოცნებას“, ეს ბრალდება მათთვისაც ხელსაყრელია და რაც უნდა პარადოქსულიც იყოს, „ოცნებისთვისაც“. მათი მხარდამჭერების ძალიან დიდმა ნაწილმა, არა პრორუსულობის სურვილით, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების სურვილითაც მისცა ამ კოალიციას ხმა.

**– მაგრამ პრორუსულობა სხვაა და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება – სულ სხვა?**

– გასაგებია, მაგრამ რაში გამოიხატება ეს პრორუსულობა?! პრორუსული ხელისუფლება იყო „ნაციონალების“ მმართველობა, შედეგიდან გამომდინარე, იმიტომ რომ „ნაციონალებმა“ რუსეთს ყველა მოქმედება „გაუპრავეს“, აგვისტოს ომით დაწყებული. ამიტომ ამაზე საუბარი არასერიოზულად მიმაჩნია. იდიოტიზმია, „ოერტეს“ ჩართვის ან, თუნდაც, „ბორჯომისთვის“ არხის გაჭრის გამო, გეგონოს, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მოგვარდა.

**– თუმცა სერგეი მარკოვმა სწორედ „ოერტეს“ და სხვა რუსული არხების ჩართვა დაასახელა საქართველოს მიერ რუსეთისკენ გადადგმულ ერთადერთ ნაბიჯად. სიმართლე გითხრათ, მე გამეცინა მის ამ არგუმენტზე.**

– როგორ გგონიათ, როდესაც მარკოვმა ეს დაასახელა, გულში მას არ გაეცინა?! აქ ჩემი და მარკოვის და, როგორც აღმოჩნდა, თქვენი აზრიც ერთმანეთს ემთხვევა.

**– დაგვცინის, ესე იგი?**

– აბა, რა ეთქვა?! ეს იყო ირონია, რომელსაც, როგორც ჩანს, ჩვენთან სწორად ვერ იგებენ. აბა, მეტი რა უნდა დაესახელებინა, რუსეთთან საქართველოს ურთიერთობა რაიმეთი შეიცვალა?! „ოერტე“ მთელი ამ ხნის განმავლობაში შეერთებულ შტატებშიც ფუნქციონირებდა და არც ევროპაში ყოფილა აკრძალული. როდესაც ჩვენ თვითონ ვიტყვით „ოერტეზე“ ამას, არავის არ დავცინით, იმიტომ რომ მაშინ საკუთარი თავის დაცინვა გამოგვდის, მაგრამ, როდესაც რუსი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი გვეუბნება ამას, ეს უკვე დაცინვის საფუძველია.

**– „ნაციონალური მოძრაობის“ გენმდივანი ამბობს, რომ ვერ დაელოდებიან 4 წელს, თუმცა საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებას არ გამორიცხავენ. ვის ამხნევებენ?**

– ეს ჩვეულებრივი პარტიული რიტორიკაა, მით უმეტეს, რომ მათ აქვთ საფუძველი, ერთადერთ ოპოზიციურ ძალად იწოდებოდნენ, მაშინ, როდესაც დღეს საქართველოში, ყოველ შემთხვევაში, საპარლამენტო ოპოზიციური ძალა რეალურად არ არსებობს, რადგან „ნაციონალებს“ უბრალოდ ვერ განვიხილავთ ოპოზიციად. ეს არის ჩვეულებრივი რიტორიკა და სრულიადაც არ მიკვირს არც ეს და არც დავა კოალიცია „ოცნებასთან“: ყველა საკითხი არ არის დადგმული. დასვით შეკითხვა: ვინ მიჰყავთ ახლები ნებისმიერ სამსახურში? ან ისევ „ნაციონალი“, ან ვინმეს ახლობელი – აქედან ან იქიდან. რეალურად, მხოლოდ სახელები და გვარები იცვლება და აშკარად მიგვათრევენ ორპარტიული სისტემისკენ. ყველაფერი გააკეთა ცალკე ბიძინა ივანიშვილმა და ცალკე – მიხეილ სააკაშვილმა, რომ მესამე პოლიტიკური ძალა არ ყოფილიყო არც პარლამენტში და არც გარეთ მიეცეს მას შექმნის საშუალება, რადგან მესამე პოლიტიკური ძალა საფრთხეს უქმნის ერთსაც და მეორესაც. მანამდე ისინი, ორივენი, უზრუნველად იგრძნობენ თავს – ხან ერთი იქნება პირველ ადგილზე, ხან – მეორე, როგორც ეს შეერთებულ შტატებშია. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამიტომ ამოვარდა შეთანხმებიდან სააკაშვილის კუდი პარტიების, იმავე „ქრისტიან-დემოკრატების“, გაყვანა მესამე ძალად პარლამენტში.

**– ამბობთ, ორპარტიული სისტემისკენ მივყავართო, მაგრამ კოალიცია თავისთავად ჭრელია შემადგენლობით და მე, როგორც ერთ რიგით მოქალაქეს, სიმართლე გითხრათ, ამომივიდა ყელში მონოლითური უმრავლესობები, გინდა, „მოქკავშირის“, გინდა, „ნაციონალების“, ამიტომ ძალიანაც არ დამწყდება გული, თუკი კოალიცია დაიშლება. კინკლაობა უფრო ადამიანური მგონია...**

– კინკლაობაც ადამიანურია და ხვევნა-კოცნაც და მაშინ ისიც მოგვეწონოს, „ნაციონალები“

**ცოტა ხანში ვნახავთ, როგორ დაიწყება საუბარი იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თვითონ ცნოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. სააკაშვილის ხელისუფლების ბოლო პერიოდშიც გამოჩნდა ამის ნიშნები**

და კოალიცია „ოცნების“ წევრები კოაბიტაციის წესით ერთმანეთს რომ ეხვევიან.

**– სხვა რამეს ვამბობ: თუ კოალიცია მონოლითური არ იქნა, ორპარტიული სისტემაც ხომ არ გამოვა?**

– ამ შემთხვევაში მონოლითურობას თქვენ ამბობთ უარყოფითი დატვირთვით. მე გეუბნებით: ითხოვდა ამ მონოლითურობას მოსახლეობა, რომ „ნაციონალები“ დამარცხებულიყვნენ ერთიანი ძალით?! მაშინ ეთქვათ კოალიციის წარმომადგენლებს, როგორც კი მოვალთ ხელისუფლებაში, ჩვენ ერთმანეთთან საერთო არაფერი გვექნება, შევალთ პარლამენტში და დავიწყებთ კინკლაობასო და დაეთვალათ, რამდენ ხმას მიიღებდნენ. თუ გასართობად გვინდა პარლამენტის სხდომების ყურება, მაშინ გადასარევი იქნება, იმიტომ რომ, კოალიციის შიგნითაც და „ნაციონალებთანაც“ ცოტა ხანში შეიძლება, ცემა-ტყეპამდე მივიდეთ. არა მგონია, ვინმეზე ნაკლები იუმორის გრძნობა

**(გაგრძელება მე-15 გვერდზე)**

**ანსამბლი „ერისიონი“ მრავალი წელია ემსახურება ქართული სიმღერისა და ცეკვის ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას. დღეს გიამბობთ, თუ რა საინტერესო ისტორიები აქვს ანსამბლს და რომელ პერიოდს მიიჩნევენ ყველაზე წარმატებულად ანსამბლის ისტორიაში მისი სამხატვრო ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი, მთავარი ქორეოგრაფი რევაზ ჭოხონელიძე და გენერალური მენეჯერი ოთარ ბლუაშვილი.**

# ვინ და რატომ „გამოეკიდა“ ანსამბლ „ერისიონს“ ხუთ ქვეყანაში და ვის უწოდეს ფრანგებმა „21-ე საუკუნის ქორეოგრაფიის მეტრი“

**– ქართული ხელოვნების ჭეშმარიტი კორიფეები თავმდაბლობით გამოირჩევით. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

**ჯემალ ჭკუასელი**: მე არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ, რომ აღმართიდან დააგორეთ ორი ერთი ზომის კასრი, ერთი სავსე და მეორე ცარიელი; თუ დააკვირდებით, ცარიელი ძალიან ხმაურობს. დღევანდელი თაობის ახალგაზრდებს უნიჭობას ნამდვილად ვერ დავაბრალებ, პირიქით, ზედმეტად ნიჭიერები არიან, მაგრამ, მათ აკლიათ თავდაჭერის უნარი. ერთი ლექსი გამახსენდა და ერთ ნაწყვეტს წაგიკითხავთ:

„არვიცაი და ვიცაი ცოდნის კარს მიუდიანო,
არვიცა იქვე დასტოვეს, ვიცაი გააგდიანო.“

ასეა ცხოვრებაშიც. არასდროს არ უნდა ილაპარაკო, რომ ყველაფერი იცი.

**რევაზ ჭოხონელიძე**: მე ასე მგონია, რომ, თუ რამეს გააკეთებ კაცი, სხვამ უნდა შეგაფასოს და შეგაქოს. ძალიან მამაპაპური ნათქვამია, რომ სავსე თავთავი თავდახრილია და მსუბუქი თავაწეულიო. არ გვაკლია ხალხისგან შექება და სიყვარული, მაგრამ, მაინც თავმდაბლები ვართ.

**ოთარ ბლუაშვილი:** ერთი პატარა ისტორია მინდა მოგიყვეთ ბატონ რეზოზე. იცით, მას რა უწოდეს ფრანგებმა? „21-ე საუკუნის ქორეოგრაფიის მეტრი“. როდესაც 2001 წელს საფრანგეთში ტარდებოდა „მის საფრანგეთის“ კონკურსი, ჩვენ უნდა მიგვეღო მონაწილეობა. დავდგით ცეკვა „შატილის“ მელოდიაზე – ჩვენ მანამდე გამოგვიგზავნეს სცენის დიზაინი, რის მიხედვითაც დავდგით ეს ცეკვა. როცა ჩავედით, აღმოჩნდა, რომ სრულიად გადაკეთებული იყო სცენა. რეზომ ათი წუთი უყურა სცენას და უკვე მოიფიქრა, როგორ უნდა გადაეკეთებინა ცეკვა. როდესაც ჩვენი პროდიუსერი ჟერარ ლუვენი შემოვიდა, გვითხრა, რომ ეს დიზაინი გუშინ შეიცვალა და შიშით ველარ გითხარითო. რეზომ კი უკვე იცოდა აზრობრივად, რა როგორ უნდა შეეცვალა. კონცერტის ბოლოს ჟერარ ლუვენი გაოცებული დარჩა. სწორედ მან შეარქვა ბატონ რეზოს „21-ე საუკუნის ქორეოგრაფიის მეტრი“.

**– რა აზრის ხართ ამ ყველაფრის გათანამედროვებაზე, ახლანდელი ტერმინით რომ ვთქვათ – გარემიქსებაზე?**

**ჯემალ ჭკუასელი**: სასტიკი წინააღმდეგი ვარ გარემიქსების, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ჩემთანაც არის რაღაც-რაღაცეები გარემიქსებული. ჩვენ მხოლოდ ბას-გიტარა დავუმატეთ. ორკესტრის გარეშე არ არსებობს შოუ – ეს ყველაფერი ხომ სანახაობრივი უნდა იყოს.

**– ახალი ელემენტების შეტანით ხომ არ იკარგება ძველი ქართული ხალხური კულტურა და ტრადიციები?**

– გააჩნია, როგორ შეიტან ახალ ელემენტებს. აუცილებლად უნდა ვიყოთ პირველი წყაროს ერთგულები. თუმცა, თუ ჩვენს პროგრამას შოუს სახით გავაცნობთ უცხოელ მაყურებელს, გაცილებით საინტერესო იქნება. ახალ და თანამედროვე სიმღერებზე რომ მკითხეთ, როგორ შეიძლება, ორტაქტიანი სიმღერა შეედაროს ძველ ქართულ ტრადიციულ სიმღერებს?! ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო მუსიკალური აზროვნების შედევრია, – ეს „იუნესკომ“ გამოაცხადა ოცდამეერთე საუკუნეში. „ოქროს დისკი“ მიიღო ქართულმა ხალხურმა სიმღერამ და ეს ჩვენი ანსამბლის დამსახურებაა.

**ჟურნალი „თბილისელების“ მეშვეობით ანსამბლი „ერისიონი“ ულოცავს ბატონ რევაზ ჭოხონელიძეს 75 წლის იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დიდხანს სიცოცხლეს!**

**ამ მილოცვას ჟურნალი „თბილისელებიც“ უერთდება.**

**– ყველაზე დიდი აპლოდისმენტებით სად გხვდებიან. რომელ ქვეყანას გამოარჩევდით?**

– ერთხელ ჩვენთან შემოვიდა ცოლ-ქმარი, ფრანგულად ლაპარაკობდნენ. არ ვიცი, ფრანგები იყვნენ თუ ბელგიელები, რომ მიდიოდნენ, თქვეს, როგორ შეგიცვლიათ ყველაფერიო. კი მაგრამ, თქვენ რა იცით-მეთქი? როგორ თუ რა ვიცით, ისე მოგვწონს თქვენი ანსამბლი, ოთხ თუ ხუთ ქვეყანაში გამოგეკიდეთ, სადაც წახვედით, ყველგან ვესწრებოდით თქვენს კონცერტებსო. ჩვენ ქართული სიმღერა კარგად არ ვიცით, მაგრამ იმას ხომ ვგრძნობთ, რა არის შეცვლილი და რა – ძველიო. მახსოვს, ერთხელ მარსელში დაანგრიეს დარბაზი, იმდენად აღფრთოვანებულები იყვნენ. ეგზალტირებული გახდა მასა, დარბაზიდან არ გვიშვებდნენ.

**რევაზ ჭოხონელიძე**: „ამერიკა“ – როგორ ჟღერს, არა?! მაგრამ, მე მაინც საფრანგეთს გამოვარჩევდი. ისეთ დარბაზში, რომელსაც „კონგრესის დარბაზი“ ჰქვია, სადაც იშვიათობაა, მოხვდეს დიდი კოლექტივი, ჩვენ იქ თორმეტი კონცერტი დაგვიმატეს. ეს იყო უდიდესი აღიარება. ჩინეთზე ამბობდნენ, რომ ძალიან რთული მაყურებლები ჰყავთ, ტაში არ იციან, რა არისო. ჩვენი გამოსვლის შემდეგ მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და მხოლოდ ტაშს კი არ უკრავდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ. გაგიჟებულები იყვნენ.

**– რა ხდება ხოლმე კონცერტის შემდეგ. ალბათ, განხილვა, გარჩევა მიმდინარეობს?**

**ჯემალ ჭკუასელი**: კონცერტის შემდეგ დაღლილები გავრბივართ ხოლმე და ვიმალებით ***(იცინის).*** შემდეგ, რა თქმა უნდა, მსახიობებს უნდა აუხსნა, რა შეცდომები დაუშვეს და ასე შემდეგ. შეიძლება, მაყურებელმა ვერ დაინახა უმნიშვნელო შეცდომები, მაგრამ, ჩვენ ხომ ვხედავთ პროფესიონალური თვალით.

**– ალბათ, უამრავი საინტერესო ისტორია გექნებათ უცხოური გასტროლებიდან?**

**რევაზ ჭოხონელიძე**: ერთხელ პარიზში მოხდა ერთი კარგი კურიოზი. მე და ანზორ ერქომაიშვილი იმპრესარიოს თხოვნით ვმართავდით კონცერტს დარბაზ „ოლიმპიაში.“ დაიწყო ცეკვა „დავლური“, რომელიც შემდეგ „ქართულის“ დუეტით უნდა შევსებულიყო. „ქართულს“ ცეკვავდნენ ფრიდონ სულაბერიძე და იამზე დოლაბერიძე. მოხდა ისე, რომ, გამოვიდა ფრიდონი, მაგრამ, ქალი არ ჩანს. დაარტყა ერთი წრე ფრიდონმა – ქალი ისევ არ ჩანს; შემდეგ – მეორე წრე და, სხვა გზა რომ აღარ იყო, „დავლურიდან“ გადმოხტა სხვა მოცეკვავე და ასე ჩამთავრდა ეს ნომერი. შემდეგ ყველამ დავიწყეთ იამზეს ძებნა და, გაირკვა, იამზე კულისებიდან რომ მორბოდა, ცოტა ჩაზნელებული ყოფილა, თავით დასჯახებია სხვა მოცეკვავეს და, თურმე, გულწასული ეგდო კულისებში ***(იცინის).***

**– მრავალი ჯილდო და ორდენი გაქვთ მიღებული სხვადასხვა დროს. რომელს გამოარჩევდით?**

– მე გამოვარჩევდი რუსთაველის პრემიას. ეს პრემია ისეთ ღვაწლმოსილ ადამიანებს ეძლევათ, რომ მართლაც ძალიან საამაყოა ჩემთვის. მე და ჯემალი ძალიან ბედნიერები ვიყავით ამ პრემიის მიღების შემდეგ, რადგან ჩვენი სახელი ისტორიას დარჩება.



**ჯემალ ჭკუასელი: „სასწაული წარმატება გვქონდა. ხუთი ათასი აფიშა იყო გაკრული პარიზის ქუჩებში და ორ თვეში 21 კონცერტი გვქონდა“**

**– ბატონო ჯემალ, საუბრის დასაწყისში მითხარით, შარფი, რომელიც მიკეთია, ისეთმა ადამიანმა მაჩუქა, ძალიან ძვირფასია ჩემთვისო. ალბათ, კიდევ გექნებათ საჩუქრები, რომლებიც გამოჩენილი ადამიანებისგან მიგიღიათ?**

**ჯემალ ჭკუასელი:** დიახ, ეს შარფი, რომელიც ახლა მიკეთია, ისეთმა კაცმა მაჩუქა, შვილებისგან რომ არ ვასხვავებ, ეს არის მამუკა ხაზარაძე. გინდათ, გითხრათ, რა არის ჩემთვის ყველაზე კარგი საჩუქარი? ეს არის ხალხის სიყვარული და ერთ პატარა მაგალითს მოგიყვანთ: ერთი თვის წინ, როდესაც მინსკის გასტროლიდან ვბრუნდებოდით, თვითმფრინავს შეექმნა პრობლემები – კარი არ ყოფილა კარგად დაკეტილი, ჰაერი შედიოდა და, ფაქტობრივად, ვიღუპებოდით. ორი საათი ჰაერში ვიყავით გამოკიდებული და რა მოხდებოდა, კაციშვილმა არ იცოდა. როდესაც ყველაფერი კარგად დამთავრდა და ტრაპიდან ჩამოვდიოდით, იქ ორი ქალბატონი იდგა, რომლებმაც მითხრეს: საერთოდ არ ვნერვიულობდით, რადგან, დარწმუნებულები ვიყავით, რომ ღმერთი „ერისიონს“ არ გაწირავდაო.

**– თქვენი განვლილი შემოქმედებითი ცხოვრებიდან რომელ პერიოდს მიიჩნევთ ყველაზე წარმატებულად?**

– ყველაზე წარმატებულად მივიჩნევ ამ ბოლო პერიოდს, როდესაც ჩვენმა ახალმა პროგრამამ გაამართლა. სასწაული წარმატება გვქონდა.

**რევაზ ჭოხონელიძე: „ისეთ დარბაზში, რომელსაც კონგრესის დარბაზი ჰქვია და სადაც იშვიათობაა, მოხვდეს დიდი კოლექტივი, ჩვენ თორმეტი კონცერტი დაგვიმატეს“**

ხუთი ათასი აფიშა იყო გაკრული პარიზის ქუჩებში და ორ თვეში 21 კონცერტი გვქონდა. უცბად აღმოვჩნდით მსოფლიოში მესამე ადგილზე.

**– გადაგიდგამთ ნაბიჯი, რომელიც მერე გინანიათ?**

– ძალიან ბევრი ნაბიჯი მაქვს გადადგმული, რომლებიც არ უნდა გადამედგა. ასეთი შეცდომები დღესაც მომდის, თუმცა, მე მაინც კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით და ჩემ მიერ განვლილი გზით.

**– შვილები, შვილიშვილები თუ აგრძელებენ თქვენს გზას?**

– ჩემი ვაჟი არის ანსამბლის მთავარი დირიჟორი, ქალიშვილი – ქორეოგრაფი. მე 12 წელია ანსამბლთან აღარ ვმუშაობ. შვილიშვილებს ძალიან კარგი სმენა აქვთ, კარგად მღერიან და ცეკვავენ.

**ხატია კარანაძე**

# რა აკავშირებს საფოსტო მტრედებთან დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელიზაბეთ მეორეს და ბრიტანეთის წყლების რომელი ბინადრები ჰყავს მას

*1952 წლის 6 თებერვალს, ანუ, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, დიდი ბრიტანეთის ტახტზე ავიდა დედოფალი ელიზაბეთ მეორე, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მონარქად ითვლება დღემდე. დედოფლის პირადი ცხოვრება მუდამ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში და ამიტომ გთავაზობთ საინტერესო ფაქტების მორიგ კრებულს მსოფლიოში ყველაზე ცნობილ დედოფალზე.*

* მონარქად კურთხევის დღიდან, დედოფალ ელიზაბეთ მეორეს კორგის ჯიშის 30-მდე ძაღლი ჰყავდა. კორგის ჯიშის პირველი ძაღლი, მეტსახელად „სიუზენი“ მას 18 წლის იუბილეზე, 1944 წელს აჩუქეს, კორგის ჯიშის დანარჩენი ძაღლები კი სიუზენის შთამომავლები იყვნენ. რამდენიმე ხნის წინ დედოფალს ხუთი კორგი ჰყავდა: ემა, ლინეტი, მონტი, ჰოლი და უილოუ. მათი ნახვა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალისთვის გადაღებულ ვიდეორგოლში იყო შესაძლებელი, თუმცა, გასულ წელს ერთ-ერთი მათგანი, მეტსახელად „მონტი“ მოკვდა. დედოფალს, ასევე, გამოყვანილი ჰყავს ძაღლის ახალი ჯიში, რომელსაც „დორგი“ უწოდა. ახალ ჯიშს სათავე დაუდო კორგის ჯიშის ძაღლმა, რომელიც დედოფალ მარგრეტის ტაქსასთან, მეტსახელად „პიპკინთან“ შეაჯვარეს. ამჟამად დედოფალ ელიზაბეთს დორგის ჯიშის ოთხი ძაღლი ჰყავს: საიდერი, ბერი, კენდი და ვულკანი.



* კორგისა და დორგის გარდა, ელიზაბეთ მეორე დაკავებულია ლაბრადორისა და კოკერ-სპანიელის ჯიშის ძაღლების მოშენებითა და გაწვრთნით. არსებობს სანდრინჰემის შავი ლაბრადორების სპეციალური ჯიში, რომელიც 1911 წელს სამეფო ოჯახისთვის მოაშენეს. ბრიტანეთის დედოფალს, ასევე, უყვარს ცხენები და დოღი. პირველი პონი მან საჩუქრად ბაბუისგან, მეფე გეორგ მეხუთისგან, 4 წლის ასაკში მიიღო, ეს იყო შოტლანდიური პონი, მეტსახელად „პეგი“. სანდრინჰემის, ბალმორალისა და უინძორის რეზიდენციებში ყოფნის პერიოდში დედოფალი ცხენზე სეირნობს.

* ძაღლების მოშენებასთან ერთად, დედოფალი ცხენების მოშენებითაც არის დაკავებული. სამეფო საჯინიბოში მოშენებულმა ცხენებმა უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში ბრიტანეთის აბსოლუტურად ყველა ტურნირში გაიმარჯვეს. 25 სამეფო ჯიშის ცხენი ყოველ სეზონზე მზად არის დოღისთვის, ხოლო სამეფო ჟოკეები მუდამ განსხვავდებიან თავისი ალკაზმულობით.

* დედოფალი ელიზაბეთ მეორე განაგრძობს სამეფო ტრადიციას, რომელიც საფოსტო მტრედების მოშენებას ეხება. ამ ტრადიციას 1896 წელს დაუდო სათავე ბელგიის მეფე ლეოპოლდ მეორემ, როცა მან დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახს რამდენიმე გაწვრთნილი მტრედი აჩუქა. 1990 წელს დედოფლის ფავორიტმა მტრედმა სანდრინჰემში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე საფოსტო მტრედებს შორის გამარჯვება მოიპოვა და მას „სანდრინჰემის ელვა” უწოდეს. დედოფალი მტრედების დიდი მოყვარულია და ის სპორტული მტრედების სამეფო ასოციაციის საპატიო პრეზიდენტია.

* დედოფლის ჯვრისწერა 1947 წლის 20 ნოემბერს ვესტმინსტერის სააბატოში შედგა. დედოფლის საქორწილო კაბა სერ ნორმან ჰარტნელის ესკიზის მიხედვით კომპანია „უინტერტურ სილქს ლიმიტედმა” კენმორის სამკერვალო ფაბრიკაში შეკერა. კაბის შეკერვისას გამოყენებული იყო ჩინური აბრეშუმი, რომელიც ლალინგსთოუნის სასახლის მეაბრეშუმეობის ფერმაში იყო მოყვანილი.

* სხვადასხვა წლებში დედოფლის პირადი მკერავები იყვნენ: სერ ჰარდი ემისი, სერ ნორმან ჰარტნელი, კარლ-ლუდვიგ კუტიური და მორინ როუზი. დედოფლის ქუდების შექმნაზე ფრედერიკ ფოქსი, ფილიპ სომერვოლი და მერი ორიგამი იყვნენ დაკავებულნი. დედოფლის ჯვრისწერის ბეჭედი უელსში, დოლგელალუსთან, წმიდა დავითის მთასთან მდებარე ოქროს საბადოზე ნაპოვნი ზოდისგან დამზადდა, ხოლო საქორწილო ტორტი საკონდიტრო კომპანია „მაკ-ვიტი ენდ ფრაის ლიმიტედმა” ავსტრალიიდან გამოგზავნილი პროდუქტებისგან გამოაცხო.



* დედოფალი ელიზაბეთი ფლობს საიუველირო ნაწარმის დიდ კოლექციას. ამ კოლექციის დიდ ნაწილს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული სამეფო რეგალიები (გვირგვინი, სკიპტრა), დანარჩენი კი მათ შორის მსოფლიოში ყველაზე დიდი ვარდისფერი ბრილიანტი დედოფალმა მემკვიდრეობით ან საჩუქრად მიიღო. დედოფლის კოლექციიდან აღნიშვნის ღირსია ავსტრალიური აკაციის ფორმის ბრილიანტის გულსაკიდი, რომელიც მას ავსტრალიის მთავრობამ აჩუქა 1954 წელს; ასევე, ბრაზილიის ელჩის მიერ ნაჩუქარი მსხვილი აკვამარინისა და ბრილიანტის თვლებით მორთული ყელსაბამი.

* თავისი მეფობის ყოველ წელს დედოფალი გვირგვინით ამკობს სენოტაფს – ობელისკს ლონდონში, უაითჰოლის ქუჩაზე, რომელიც პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ ჯარისკაცებს მიეძღვნა. გამონაკლისია მხოლოდ 1959, 1961, 1963, 1968, 1983 და 1999 წლები – ამ პერიოდში დედოფალი ან ფეხმძიმედ იყო, ან უცხოეთში იმყოფებოდა.

* დედოფალმა 1997 წელს პირადად გახსნა ბუკინგემის სასახლის ოფიციალური ვებგვერდი ინტერნეტში. 1998 წლიდან კი დანერგა ეგრეთ წოდებული „თემატური დღეები” ბრიტანული კულტურის სხვადასხვა სფეროს პოპულარიზაციის მიზნით. პირველი იყო „სიტის დღე”, რომელიც ბრიტანეთის ფინანსურ ინსტიტუტებს მიეძღვნა; ასევე, სხვადასხვა დროს აღინიშნა: საგამომცემლო სახლების, ტელე და რადიომაუწყებლობის, ტურიზმის, მუსიკის, ახალგაზრდა თაობისა და სხვა დღეები.

* 2002 წლის ივნისში დედოფლის ტახტზე ასვლიდან 50 წლის იუბილე აღინიშნა და ბუკინგემის სასახლის ბაღში პირველად გაიმართა საზოგადოებრივი კონცერტები. დედოფალი დაესწრო კლასიკური მუსიკის კონცერტს, ასევე, ესტუმრა პოპ-კონცერტს „წვეულება სასახლეში”. ამ კონცერტის პირდაპირ ტრანსლაციას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში 200 მილიონი ადამიანი ადევნებდა თვალს.

* დედოფალი ელიზაბეთ მეორე სამეფო ოჯახის პირველი წევრია, რომელმაც ხმის ჩამწერი სტუდიისგან „ოქროს დისკი” მიიღო. კონცერტის ჩანაწერით („წვეულება სასახლეში”) 100 ათასი კომპაქტ-დისკი გამოსვლიდან პირველივე დღეს 100-ათასიანი ტირაჟით გაიყიდა. 2004 წელს დედოფალმა ბუკინგემის სასახლეში „სუფთა ქალური ღონისძიება” მოაწყო – კონკურს „წარმატებული ქალის” დაჯილდოების ცერემონიალი, რომელსაც მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ესწრებოდა.

* მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ახალგაზრდა ელიზაბეთი მონაწილეობას იღებდა საშობაო წარმოდგენებში ბავშვებისთვის. 1941 წელს მან „კონკიაში” პრინცი ფლორიზელის როლი შეასრულა. მსგავსი თეატრალური დადგმები უინძორის სასახლის ვატერლოოს დარბაზში ხორციელდებოდა.

* 2005 წელს დედოფალმა ელიზაბეთ მეორემ მდინარე ტემზაზე მობინადრე 88 გედზე თავისი უფლებები გამოაქვეყნა. გედებს სამეფო ოჯახის წარმომადგენელი უვლის და ეს ტრადიცია მეთორმეტე საუკუნიდან იღებს სათავეს. ფორმალურად, დედოფლის საკუთრებას დღემდე წარმოადგენენ ბრიტანეთის წყლებში ბინადარი დელფინები, ვეშაპები და ზუთხები.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# რამდენ მილიარდ დოლარად არის შეფასებული ბიძინა ივანიშვილის ხელოვნების ნიმუშების კოლექცია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ხელოვნების ნიმუშების დიდი მოყვარულია და არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს, რომ მისი კოლექცია დაახლოებით ერთ მილიარდ დოლარად არის შეფასებული. კოლექციონირებით ივანიშვილი 2000-იანი წლების დასაწყისში დაინტერესდა და რუსეთის მოქალაქედ ყოფნის პერიოდში იგი ხელოვნების ნიმუშების ერთ-ერთ უმსხვილეს კოლექციონერად ითვლებოდა რუსეთში მილიარდერებთან – რომან აბრამოვიჩთან და ვიქტორ ვექსელბერგთან ერთად. საინტერესო იქნება, თვალი გადავავლოთ ივანიშვილის კოლექციას, რომელიც ძირითადად ლონდონში ინახება, ხოლო პრემიერ-მინისტრის თბილისურ ბიზნესცენტრში, რომელიც ცნობილი



პაბლო პიკასოს „დორა მაარი კატასთან ერთად"



პიტერ დოიგის „თეთრი კანოე"

იაპონელი არქიტექტორის – შინ ტაკამაცუს პროექტით არის აგებული, მხოლოდ ასლებია წარმოდგენილი.

ივანიშვილის კოლექციიდან ყველაზე ძვირად ღირებულ ექსპონატად ითვლება სახელგანთქმული პაბლო პიკასოს ტილო – „დორა მაარი



ეგონ შილეს „მარტოხელა სახლები"

კატასთან ერთად", რომელიც 1941 წელს შეიქმნა ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში და მასზე გამოსახულია პიკასოს მუზა და საყვარელი – 29 წლის ფრანგი ფოტოგრაფი და პოეტი დორა მაარი. ეს ნახატი მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ფერწერული ტილოების ტოპ-ათეულში ფიგურირებს და 2006 წელს ბიძინა ივანიშვილს მისი შეძენა „სოთბის" აუქციონზე 95,2 მილიონი ამერიკული დოლარი დაუჯდა.



როი ლიხტენშტეინის „ინტერიერი წითელი კედლით"

ამერიკული პოპ-არტის თვალსაჩინო წარმომადგენლის, როი ლიხტენშტეინის „ინტერიერი წითელი კედლით" 1991 წლით თარიღდება და ივანიშვილმა 2008 წელს „სოთბის" აუქციონზე მასში 7 მილიონი დოლარი გადაიხადა. ამ ნახატის ასლი ივანიშვილის ბიზნესცენტრს ამშვენებს, თავად ორიგინალი კი ლონდონში ინახება.

თანამედროვე ამერიკელი მხატვრის (ცნობილი იტალიელი პორნოვარსკვლავის – ჩიჩოლინას ექსმეუღლის) – ჯეფ კუნსის ტილო, ბიზნესცენტრის შეხვედრების ოთახს ამშვენებს. კუნსი თანამედროვე მხატვრებიდან ყველაზე ძვირად ღირებული ტილოებისა და ქანდაკებების ერთ-ერთ ავტორად არის ცნობილი. მასთან ერთად, პრემიერ-მინისტრის კოლექციას ამშვენებს შოტლანდიელი მხატვრის, მაგიური რეალიზმის ჟანრში მომუშავე პიტერ დოიგის „თეთრი კანოე", რომლის შეძენა ივანიშვილს 2007 წელს „სოთბის" აუქციონზე 11,3 მილიონი დოლარი დაუჯდა. ივანიშვილის ფავორიტ მხატვართა შორისაა ბრიტანელი დემიენ ჰირსტიც, რომლის ნეო-პოპ-არტის სტილში შესრულებული ტილო – „LSD" – პრემიერ-მინისტრის საცხოვრებელი სახლის კედელს ამშვენებს.



დემიენ ჰირსტის „LSD"

ბიძინა ივანიშვილის ძვირად ღირებული კოლექციის კიდევ ერთი მშვენება ავსტრიელი გრაფიკოსისა და ფერმწერის, ავსტრიული ექსპრესიონიზმის აღიარებული ოსტატისა და გუსტავ კლიმტის მოსწავლის – ეგონ შილეს ნამუშევრებია, მათ შორისაა 1915 წელს დახატული „მარტოხელა სახლები," რომლის ფასი 40 მილიონ დოლარად განისაზღვრება. ბიძინა ივანიშვილი ეგონ შილეს შემოქმედების დიდ თაყვანისმცემლად ითვლება.

ივანიშვილის კიდევ ერთი ფავორიტი მხატვარია ზიგმუნდ ფროიდის შთამომავალი, ბრიტანელი ფერმწერი ლუსიან ფროიდი. 2011 წელს გარდაცვლილი ფროიდი თანამედროვე მხატვრებს შორის ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ ავტორად ითვლებოდა. პრემიერ-მინისტრის კოლექციაში ფროიდის „ელი და დავიდი" ინახება.

ჩამოთვლილი მხატვრებისა და მათი ნამუშევრების გარდა, გავრცელებული ვერსიის თანახმად, ბიძინა ივანიშვილის კოლექციაში ინახება, ასევე, ფრიდა კალოს, კლოდ მონეს, მარკ შაგალისა და სხვათა ნამუშევრები. უცნობია, აქვს თუ არა ივანიშვილს მისი კიდევ ერთი საყვარელი მხატვრის – ვილემ დე კუნინგის რომელიმე ნამუშევარი. ფერწერულ ტილოებთან ერთად, ბატონი ბიძინას გატაცებად ითვლება თანამედროვე მოქანდაკეების ნამუშევრების კოლექციონირებაც, რომელთა შორისაა: ანიშ კაპურის, ზაჰა ჰადიდის, ჰენრი მურისა და რობერტ ინდიანას ნამუშევრები. აღსანიშნავია, ასევე, ბრიტანელი ავანგარდისტი მხატვრების – გილბერტისა და ჯორჯის ნამუშევარი, რომლის სლოგანი შემდეგნაირად ითარგმნება: „უთხარი „არა!" მდიდარ ნაბიჭვრებს" (Say Fuck Off to Rich Bastards). ეს ნამუშევარიც ბიძინა ივანიშვილის კოლექციის ნაწილია.



ლუსიან ფროიდის „ელი და დავიდი"

**უშანგი რუხაძე**

**ეკა ბესელია ქართულ პოლიტიკაში შვიდი წლის წინ ჩაერთო, მანამდე კი ის ხმაურიანი და ეპატაჟური ადვოკატი იყო, რომელიც რეზონანსული საქმეებით გახდა ცნობილი და შევარდნაძის რეჟიმის სამართალდამცველებს შიშის ზარს სცემდა. მისი გზა პოლიტიკურ „ხვეულებში" იოლი არ იყო. დღეს ამბობს, რომ წარმატება ბევრი განსაცდელის ფასად დაუჯდა, რომელთა შორის ყველაზე მძიმედ შვილისა და ძმის დევნა ახსოვს. დღეს ხელისუფლების მაღალ ეშელონებშია – პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს ხელმძღვანელობს, იმ საქმეებს უძღვება, რომლებისთვისაც წლების წინ სხვა პოზიციიდან უწევდა ბრძოლა და, რასაც, როგორც თავად აღიარებს, მისი ცხოვრების ბევრი წელი შეელია.**

# რა განსაცდელების ფასად დაუჯდა ეკა ბესელიას პოლიტიკური კარიერა და როდის ხდება ის „ფაიფურის ქალი"

**– ბოლო რამდენიმე წელია, რაც პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურობთ, მაგრამ, პირველად ხართ ხელისუფლებაში, თანაც, ასეთ მაღალ პოსტზე. როგორია განცდა, რაც ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ყოფნას ახლავს?**

– პოლიტიკაში შვიდი წლის წინ ჩავერთე, გულწრფელად გეტყვით, რას ვგრძნობ – არ მიყვარს ყალბი და ხელოვნური ლაპარაკი – ეს სხვისაც მაღიზიანებს. ჯერჯერობით ვერ ვგრძნობ, რომ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ვარ. ჯერ ერთი, ადამიანი არ იცვლება – როგორიც არის მისი შინაგანი კონსტრუქცია, ისეთი რჩება ბოლომდე, უბრალოდ, გარემოებები და ახალი სივრცე წარმოაჩენს იმ დაფარული და უხილავი კუთხით, რასაც მანამდე სხვა ვერ ხედავდა. მე ვერ ვგრძნობ განსხვავებას და გეტყვით – რატომ: როგორც კი არჩევნები დასრულდა, მალევე დაიწყო საპარლამენტო ცხოვრება და გადავერთე უმნიშვნელოვანეს პროცესზე, რამაც უფრო მეტი დრო და ენერგია მოითხოვა, ვიდრე არჩევნებისთვის მქონდა განკუთვნილი. არჩევნებამდე კი საოცრად მაღალი ტემპით მიწევდა მუშაობა, რადგან, ისეთ დიდ და მნიშვნელოვან რეგიონში, როგორიც სამეგრელოა, თვე-ნახევარში საარჩევნო კამპანიის გაძღოლა იოლი არ იყო. მართალი გითხრათ, არ მქონდა დრო, გამეკეთებინა პაუზა და მეფიქრა იმაზე, რომ ცხოვრების სხვა ეტაპი მაქვს. ახლაც იმავე პროცესში ვარ, რომელშიც წლების განმავლობაში ვიყავი ჩართული – პატიმართა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ თემებს ვგულისხმობ. განსხვავებულ დამოკიდებულებას სხვებისგან უფრო მეტად ვგრძნობ. ამას წინათ იუსტიციის სამინისტროში ბრიფინგზე ვიყავი, გვერდით ჟურნალისტი მომყვებოდა, რომელსაც შეუმჩნეველი არ დარჩენია, როგორ ადგა ფეხზე დაცვის თანამშრომელი და როგორ მომესალმა ოფიციალური ფორმით. ის ჟურნალისტი წლებია მიცნობს და გაკვირვებულმა მკითხა: ქალბატონო ეკა, ასე გესალმებათ დაცვაო? *(იცინის).*



**მე დავკარგე ყველაზე მთავარი – თავისუფლება, რომელსაც მაშინაც კი ვინარჩუნებდი, როცა უკვე ცნობილი სახე ვიყავი**

**– ჟურნალისტებს ყველაზე მეტად გვახსოვს ის დრო, როდესაც თქვენ, ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ადვოკატი, ათასგვარი ხერხითა და გზით ცდილობდით ყველა დაკეტილი კარის გახსნას.**

– ალბათ, ეს იყო დასაწყისი იმ გზის, რომელმაც აქამდე მომიყვანა, თუმცა, ეს არაა დასასრული. დღეს შემიძლია, ვთქვა, რომ იოლად არაფრისთვის მიმიღწევია და რთულად გავიარე ეს გზა, რადგან, მოკლე გზით და კომპრომისებით სიარული არასდროს მიცდია. მართალია, ასე უფრო იოლად წყვეტ საკითხს, მე ყოველთვის ვუშვებდი რთულ გზას და რთულ გადაწყვეტილებას, რის გამოც უფრო მეტი ბარიერის გადალახვა მიწევდა, უფრო მეტად იკეტებოდა ჩემ წინ კარები. სხვათა შორის, იმის მიუხედავად, რომ ჩემ მიმართ შიშისა და რიდის მომენტი ყოველთვის ჰქონდათ, მაინც ბევრ რამეს ბედავდნენ, ოღონდ ეს ხდებოდა არა ხილულად. სიმართლე ისეთი დიდი ძალაა, მარტოობაშიც კი გიქმნის განცდას, რომ შენთან ერთად მთელი ჯარია და ყველაფრის გადალახვა შეგიძლია. ახლა, როცა თავად ვარ ხელისუფლებაში, შემიძლია, ვთქვა ის, რაც გავაცნობიერე: ინტუიციურად ვგრძნობდი, რომ ხელისუფლებაში ყოფნა არაა კარგი იმ ადამიანისთვის, ვისაც აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, რადგან, მას მუდმივად აკრძალვებით უწევს ცხოვრება. მე დავკარგე ყველაზე მთავარი – თავისუფლება, რომელსაც ყოველთვის ვინარჩუნებდი მაშინაც კი, როცა უკვე ცნობილი სახე ვიყავი.

**– ხიბლი არ აქვს ხელისუფლებაში ყოფნას?**

– ხიბლებიც აქვს, როგორ არა, მაგრამ, ეს უპირველესად, არის გამოცდა – გაუძლებ თუ არა ცდუნებას, რომ, როგორც იტყვიან, „თავში არ აგივარდეს" საკუთარი მდგომარეობა. ვერ ვცვლი მობილური ტელეფონის ნომერს, არადა, იმდენი ზარი შემოდის ჩემს ტელეფონზე, უკვე შეუძლებელია, ყველას ვუპასუხო. ვერ ვცვლი იმასაც, რომ, ნებისმიერი კატეგორიის ადამიანთან, როცა ის დახმარებისთვის მომმართავს, კვლავინდებურად ვჩერდები და ვესაუბრები, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ეს ხშირად საჭიროა. კარგი, რაც ხელისუფლებაში ყოფნას ახლავს, ისაა, რომ გაქვს ბერკეტი, დაეხმარო ადამიანებს, გადაუწყვიტო პრობლემები და ბევრი კარგი საქმე გააკეთო. ოღონდ, მთავარი ისაა, როგორ გამოიყენებ ამ ბერკეტს.

**– რის ფასად დაუჯდა ეკა ბესელიას ეს წარმატება?**

– ეს ისე რთულად მოვიდა ჩემს ცხოვრებაში... პირადი ცხოვრების დათმობის, დიდი ტკივილისა და განსაცდელების გავლის ფასად. ყველას არ გაუვლია ის გზა, რაც მე გავიარე, ადამიანებს, შესაძლოა, უარესები გაუკეთეს, მაგრამ, არც ერთი პოლიტიკური ლიდერის ოჯახის წევრები ისე არ აუწიოკებია მიხეილ სააკაშვილს, როგორც ეს ჩემი ოჯახის შემთხვევაში მოხდა. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე რთული ორი წელი, როცა საქმე ეხებოდა ძმასა და შვილს. ეს იოლი გადასატანი ხომ არ არის?! ჩემი ძმა დაიჭირეს, ჩემს შვილზე, რომელიც სკოლის მოსწავლე იყო, დაპატიმრების სანქცია იყო გამოცხადებული და იძულებული გავხდი, ის აქაურობისთვის გამერიდებინა. ჩემმა პოლიტიკურმა აქტივობამ ჩემს შვილს ბავშვობა ძალიან დაუმძიმა, რის გამოც სინდისის ქენჯნას ვგრძნობ. ცხოვრება დაუმძიმდა მთელ ჩემს ოჯახს, თუმცა, ჩვენ შევძელით ოჯახური ჰარმონიის შენარჩუნება და ერთმანეთისთვის არ გვიმტკიცებია, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო. ოჯახი ამყვა და სულ ფეხდაფეხ მომყვებოდა, განსაკუთრებით – დედა, რომელიც სულ ჩემ გვერდით დგას. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქუთაისში ჩემი გადასვლის გამო დავცალცალკევდით. ერთხელ ჩემმა მეგობარმა ფსიქოლოგმა, ნანა ჩაჩუამ, რომელთანაც მივდივარ მაშინ, როცა ყველაზე რთული მომენტი მაქვს და რომელიც ყოველთვის გვერდით მედგა როგორც ჩემს შვილთან, ასევე, ჩემს პირად პრობლემებთან დაკავშირებით, მითხრა: შენ იმდენად ბევრი განსაცდელი გაიარე, რომ ამან სხვანაირი გაგხადა და გაგაძლიერაო. ეს ტკივილები ხომ მართლაც სხვანაირად „გზრდის" – როცა თავად ბევრი რამ განგიცდია, უფრო მეტად გესმის, რას ნიშნავს სხვისი ტკივილი.

**– თუმცა, მაინც გაქვთ მკაცრი, „რკინის ქალის" იმიჯი, რომელიც ყველაფერზე წავა მიზნის მისაღწევად.**

– შეიძლება, ვტოვებ მკაცრი ადამიანის შთაბეჭდილებას, მაგრამ, ალბათ, ეს უფრო სამართლიანობიდან მოდის, ვიდრე ხასიათიდან. ძლიერი ხასიათი ნამდვილად მაქვს, გარეგნულად „რკინის ქალის" შთაბეჭდილებას ვტოვებ, მაგრამ შიგნიდან უფრო ფაიფურის ვარ და დიდი ძალისხმევა მჭირდება, რომ ეს „დავმალო" *(იცინის).* შინაგანად მაინც ემოციებზე ვარ აწყობილი, იოლად ვრეაგირებ ყველაფერზე, თორემ, ჩემი გარეგნული იმიჯი მხოლოდ ჩემი პროფესიისა და განვლილი წლების „დამსახურებაა". ბევრი მეუბნება ხოლმე: სულ სხვანაირი მეგონეთ, ცხოვრებაში კი როგორი თბილი და უშუალო ყოფილხართო. მთავარი ჩემთვის ისაა, რომ მიუღებელია ცნება: მიზანი ამართლებს საშუალებებს.

**– ქართულ პოლიტიკაში, რომელსაც ძალიან „ჩახლართული" კულისები აქვს, ეს ხომ ყველაზე „მუშა" ცნებაა.**

– ჩემთვის არა. მე მიმაჩნია, რომ მიზნამდე ყოველთვის უნდა მივიდე ღირსეულად და სწორედ ამ პრინციპის გამო მივიღე ამდენი დარტყმა. ეს ჩემი არჩევანი იყო და არასდროს მიწუწუნია ამაზე. ჩემს შვილსაც კი, რომელიც ჯერ მხოლოდ 8 წლისაა, უკვე ვასწავლი იმას, რომ იოლი გზა არასდროს აირჩიოს. ურთულეს მომენტებში, როდესაც გადიხარ ზღვარზე, რომლის იქით შეიძლება დეპრესიაც კი დაგემართოს, უნდა შეძლო საკუთარი თავის ფეხზე დაყენება. დეპრესიამდე თავი არასდროს მიმიყვანია. თუ საკუთარ თავს ტირილის, სახის ჩამოხოკვის, ხელების ჩამოშვების უფლებას მისცემ, სადავეები აუცილებლად გაგექცევა. მე ძალიან დამოუკიდებელი ადამიანი ვარ – უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დამოუკიდებლად ვცხოვრობ და, სულ ვფიქრობ, რომ დამოუკიდებლობა ძალიან დიდი ძალაა, სხვა ტიპის ჩვევებს გიყალიბებს. ამის შემდეგ ქალი უფრო რთულდება, მაგრამ, ახერხებს, რთულ სიტუაციებში თავისი გასავლელი გაიაროს და გან-


საკვირაო ტრენინგ-კლუბი ბავშვებისთვის



დავეხმაროთ ბავშვებს სირთულეების გადალახვაში

219 50 03 577 54 00 69

www.idilia.ge

საცდელებიც გადაიტანოს. სულ მახსოვს სოლომონ ბრძენის სიტყვები: „ესეც გაივლის“ და იმავეს ვეუბნები ყოველთვის ჩემს უფროს შვილს რატის – ყველა განსაცდელი თავად უნდა გადაიტანოს. მას არ ვანებივრებ, ვცდილობ, რომ თავად გაიკვლიოს გზა, თუმცა, იმავეს ვერ ვიტყვი ლიზიზე – ის ჩემი ოცნების გოგოა და ძალიან განებივრებული მყავს.

**– ლიზის გაჩენით, ძალიან თამამი ნაბიჯი გადადგით – ცნობილი ადვოკატისთვის ქორწინების გარეშე შვილის გაჩენა იოლი არ იქნებოდა.**

– იოლი არ იყო, მაგრამ, ისე ვოცნებობდი გოგოზე, რომ სხვა გადაწყვეტილებას ვერ მივიღებდი. ლიზის დაბადებამდე მე და ლიზის მამა თითქმის ოთხი წელი ვცხოვრობდით ერთად. უკვე ათი წელი გავიდა ჩვენი ურთიერთობის დასაწყისიდან, ათი წელი ერთად ყოფნა კი მთელი ცხოვრებაა. როცა ადამიანი გიყვარს, შენ გვერდით არის, და ორივეს გაქვთ სურვილი, გყავდეთ შვილი – ეს არაჩვეულებრივი გადაწყვეტილებაა. მადლობა უფალს, რომ მე მყავს ლიზი, რომელმაც მთლიანად შემცვალა. მე და ზურას დღეს ძალიან მეგობრული, არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს – თუ ადამიანი გიყვარს, ის შენი მეგობარიც უნდა იყოს. ზურა იმდენად კარგი, განათლებული, კულტურული ადამიანია, თუკი ვინმეს აზრი მაინტერესებს საჯარო გამოსვლების შემდეგ, უპირველესად ეს ზურაა. მას ვურეკავ, ან ესემესს ვუგზავნი ხოლმე ტექსტით: „როგორი იყო“? ზურა ჩემი ყველაზე ობიექტური და უტყუარი შემფასებელია. ის ძალიან თბილი და ყურადღებიანი მამაა, საღამოობით ის და ლიზი თითქმის სულ ერთად არიან – ამით ზურა ძალიან ავსებს ლიზის ცხოვრებას, რადგან მე ჩემს გოგონას მხოლოდ შაბათ-კვირას ვნახულობ. ლიზი სულ მირეკავს და მეუბნება, რომ ძალიან ვენატრები. ლიზი ჩემი აუხდენელი ოცნებებია – ყველაფერი გადავიტანე მასში, როგორიც მინდოდა, რომ მე ვყოფილიყავი. ის ჩემზე ბევრად ძლიერი ქალი იქნება, რადგან, ზურასგანაც გენეტიკურად ბევრი კარგი და საინტერესო თვისება აქვს „აღებული.” ვერ წარმოიდგენთ, ისეთი საინტერესო გოგოა, ბევრი ნიჭი აქვს, საოცარ ლექსებს წერს, არტისტულია, სპორტული, უყვარს ცეკვა, ისეთი თბილი და კომუნიკაბელურია, მეც კი მიკვირს. მე ვერ ვიყავი ისეთი ლაღი, როგორიც ლიზია. მე ბევრად უფრო რთული ბავშვობა მქონდა. მატერიალურად არასდროს გვიჭირდა, საკმაოდ ძლიერი ოჯახი გვქონდა, მაგრამ, მამა მყავდა

**ქორწინების გარეშე შვილის გაჩენა იოლი არ იყო, მაგრამ, ისე ვოცნებობდი გოგოზე, რომ სხვა გადაწყვეტილებას ვერ მივიღებდი**

ისეთი მკაცრი, ყველაფერს მიშლიდა. მე არ მქონია თავისუფლება ასეთ ხარისხში. როცა სადმე მივდიოდით – ექსკურსიაზე, კინოში ან, თუნდაც, სპორტულ შეჯიბრებაზე, მამა არ მიშვებდა და დედა გამაპარებდა ხოლმე – ის ჩემი თანამზრახველი იყო მაშინაც და ბოლომდე ასეთად რჩება.

**– რამდენჯერმე ახსენეთ აკრძალვები. რა აკრძალვები დაუწესეთ საკუთარ თავს?**

– დავიტოვე მხოლოდ საქმე, სხვა ყველაფერი აკრძალული მაქვს. ასე ცხოვრება რთულია, მაგრამ, ალბათ, მივეჩვიე. დილის 10 საათიდან ღამის 3 საათამდე ვარ პარლამენტში, შუაღამისას მივდივარ სახლში. მოვწყდი სამყაროს – ვერ ვნახულობ ვერც ერთ ახლობელ ადამიანს, ვერც ერთ მეგობარს. იმის მიუხედავად, რომ გასართობი ადგილები არასდროს მიყვარდა, მაინც უფრო მეტად ვურთიერთობდი ახლობელ ადამიანებთან. მენატრება ისეთი სიტუაციები, სადაც მეტი სულიერებაა და ნაკლები პრაგმატიზმი. ჩემი პროფესიისა და ცხოვრების წესის ფონზე, უჩვეულოდ რომანტიკული ვარ, მაგრამ, ახლა სად მაქვს ამისი ასპარეზი?! ახლა ბევრი რამ მენატრება ძველი ცხოვრებიდან: კითხვა, წერა. იყო პერიოდი, როცა დრო გამოვძებნე და სამომავლო მემუარებისთვის მონახაზები გავაკეთე. ახლა უკვე მივხვდი, რომ ასეთ რეჟიმში აუცილებლად მჭირდება რელაქსაცია, უნდა მოვიფიქრო რაიმე ისეთი, რასაც ბევრი დრო არ სჭირდება.

**– ოჯახური საქმეებიც მთავარ „თანამზრახველს” გადააბარეთ?**

– კი, დედას აქვს ჩაბარებული ჩემი ოჯახი, სახლში მყავს უმცროსი და, რომელიც ასევე ძალიან მეხმარება. უფრო მეტიც, ჩემთვის ტანსაცმელსაც კი ჩემი და ყიდულობს – მან ჩემი ზომაც იცის და გემოვნებაც. სახლში ცოტა დროს ვატარებ, მაგრამ, უყურადღებო არ ვარ. პირიქით, ოჯახის ყველა პრობლემას მე ვაგვარებ. ცნობილია, რომ მე ძალიან ოჯახური ტიპის ადამიანი ვარ. ოდესღაც ხელმარჯვეც ვიყავი, მაგრამ, ახლა სამზარეულო მთლიანად დედას აქვს „ოკუპირებული“. სახლში ერთი დღე ვარ, მაგრამ სახლის დალაგება ისე მიყვარს, ამაზე უარს ვერ ვამბობ. ყოველთვის მიყვარდა სიარული კარგ მაღაზიებში და მომწონდა საოჯახო ნივთების შეძენა, ვგიჟდები ჭურჭელსა და საოჯახო აქსესუარებზე, მაგრამ, ახლა ამასაც ველარ ვახერხებ და ყველაფერს, რისი ყიდვაც გვჭირდება, ჩემს დას ვაბარებ. ვხვდები, უფალმა ასე ინება, რომ ჩემი შესაძლებლობების დიდი დრო და დიდი ნაწილი საჯარო საქმეს სჭირდება, ეს კი ნიშნავს, რომ პირადი უნდა დათმო, რადგან, ყველაფერი ერთად არ გამოდის.

**თამუნა სამადაშვილი**

(მეათე გვერდიდან)

# რას გამოხატავს „ნაციონალური მოძრაობისა“ და კოალიცია „ოცნების“ პოლიტიკური ჭიდილი და ორ ძალას შორის რა ტიპის გარიგებაზე მიუთითებს ის

მქონდეს და ვინმეზე ნაკლებად მინდოდეს გართობა საპარლამენტო სეირებით, მაგრამ დღეს რომ ამის დრო არ არის და არც ეს საცოდავი ხალხი გამოსულა ამიტომ ქუჩაში.

**– ესე იგი, ვარაუდობთ, რომ „ნაცმოძრაობა“ არ გაიზიარებს „მოქკავშირის“ ბედს, რომელიც შარშანდელი თოვლივით გაქრა, როგორც კი ხელისუფლებაში აღარ იყო?**

– გავიხსენოთ, რამ დაშალა „მოქალაქეთა კავშირი“?!

**– „ნაცმოძრაობამ“.**

– „მოქკავშირი“ დაშალა სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანიას სამეულის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ კატეგორიულმა დამოკიდებულებამ. როდესაც ადამიანები, ძალიანაც რომ სდომოდათ, შიშით ვერ იტყოდნენ, რომ „მოქალაქეთა კავშირის“ მომხრეები იყვნენ. მე არ გეუბნებით, რომ ეს შიში უნდა დაითესოს „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, მაგრამ ადამიანს, რომელიც უყურებს ტელევიზორს, დადის ქუჩაში, ხომ უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ რაღაც შეიცვალა?! მე არ ვამბობ, არ ვამღეროთ ის მომღერალი, რომელიც მაშინ მღეროდა; არ გამოვიყვანოთ ის დიქტორი, რომელიც მაშინ გამოდიოდა.

**– თუმცა მე მგონია, რომ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა უნდა არსებობდეს და დეზინფორმატორს ინფორმაციის გავრცელების საშუალება არ უნდა ჰქონდეს.**

– მაგრამ მე ჩემ გარშემო არ მეგულება ადამიანი, ჰქონდეს იმის განცდა, რომ რამე შეიცვალა, უბრალოდ ძალიან ბევრია ადამიანია დღემდე დარჩენილი, რომელსაც ამის იმედი აქვს.

**– ის ხომ ნამდვილად შეიცვალა, რომ აღარ ეშინიათ, მათ შორის, არც იმის, რომ ვინმე სახლში შეუცვივდებათ?**

– მე მახსენდება ზადორნოვის ერთი მოთხრობა: ლენინი იპარსავს წვერს, ამ დროს მასთან შედიან ბავშვები და სთხოვენ შაქარს. ლენინი ეუბნება, რომ აღარ აქვს შაქარი და სხვა დროს შემოიარეთო, თან ულიმის ამ ბავშვებს. დასასრულში აქვს მინაწერი, ანუ მოთხრობის მორალი ასეთია: აი, რა კეთილი იყო ძია ლენინი, მას ხომ შეეძლო, ბავშვებისთვის პასუხიც არ გაეცა და იმ სამართებლით, რომლითაც წვერს იპარსავდა, ყელი გამოეჭრა მათთვის. მიგვაჩნია, რომ ის, თუ აღარ შემოგვიცვივდებიან სახლში, არ დაგვიჭერენ დილის ხუთ საათზე, შეგვიძლია იმის თქმა, რასაც ვფიქრობთ, არის ის მიღწევა, რაც სალაპარაკოდ ღირს?!

**– ღირს თუ არ ღირს, არ ვიცით, მაგრამ ისეთი რეალობა იყო, რომ იმ ფონზე ჩანს მიღწევად.**

– მაშინ კიდევ არის ფასეულობები: ბიძინა ივანიშვილი მანერებით ბევრად დახვეწილია, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი, ხელებს არ იქნევს უაზროდ და ცივილიზებული დამოკიდებულება აქვს ცხვირთან. ნინია კაკაბაძეც ბევრად უფრო სუფთად გამოიყურება და ბევრად კულტურულად მეტყველებს, ვიდრე თეა თუთბერიძე, მაგრამ ახლა შინაარსებსაც ჩავუკვირდეთ და ვნახავთ, თუ ღირს ამ გარეგნულ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება.

**– მე მგონია, რომ ამაზეც ღირს. თქვენი აზრით, მაშინ რა ფაქტორებზე ღირს ყურადღების გამახვილება?**

– შინაარსზე.

**– როგორ წარმოგიდგენიათ მოვლენების განვითარების დინამიკა?**

– თუ ვერ მოხერხდა ქართველების ჭკუაზე მოსვლა, რაც უტოპიური რამაა, თუ ვერ მოხერხდა იმ აზრამდე მისვლა, რომ სწრაფ ტემპშია საჭირო სერიოზული ალტერნატიული ძალის ჩამოყალიბება, გინდა, მესამე დავარქვათ და გინდა, მეთხუთმეტე, რომელსაც ექნება რეალურად ალტერნატიული საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსი, მაშინ ყველაფერი იმ გეგმით წავა, რაზეც ვისაუბრე.

**– თქვენი აზრით, როგორია ქვეყნის ამჟამინდელი პოლიტიკური კურსი?**

– საგარეო პოლიტიკურ კურსში არანაირი რადიკალური ცვლილება არ არის, თუ მარკოვის თქმის არ იყოს, არ ვიგულისხმებთ რუსული არხების ჩართვას. ყველამ იცის, რომ აშშ-სთან მოლაპარაკებულ პუნქტებზე მოხდა შეთანხმება ივანიშვილთან, როდესაც მას გადაეცა ხელისუფლება. თუ დღევანდელ ხელისუფლებას ეწოდება პრორუსული კურსის ხელისუფლება, ეს კურსი იგივეა, რაც წინას ჰქონდა, ანუ ვერბალურად დასავლური სტრატეგიული ინტერესების მომსახურე, მაგრამ რუსეთისთვის იმ ნაგლეჯების დათმობით, რაც მას სჭირდება. ჩვენ ცოტა ხანში ვნახავთ, როგორ დაიწყება საუბარი იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თვითონ ცნოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა რაღაც ფარგლებში. სააკაშვილის ხელისუფლების ბოლო პერიოდშიც გამოჩნდა ამის ნიშნები.

**– კონფედერაციას გულისხმობთ?**

– ამას არ აქვს მნიშვნელობა: აღიარება ამ თუ იმ ფორმით, ყოველგვარი მოლაპარაკებების გარეშე. ეს არის ხარკი, რომელიც უნდა გადაიხადოს არა მხოლოდ ხელისუფლებამ, არამედ ვითომ მისმა ოპოზიციამაც, რომ იქ ვიღაც მესამე ძალა არ შეუშვან, რომელიც ამ ყველაფერს წინააღმდეგობას გაუწევს. ძალიან არასახარბიელო პროგნოზი მაქვს, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ერთხელ მაინც, ჩემი ცუდი პროგნოზი არ გამართლდება.

**ნინო ხაჩიძე**

# ინტიმური საუბრები

## ქმართან გაყრის შემდეგ თავს ბედნიერად ვგრძნობ

სულ ახლახან ქმარს გავშორდი – ღალატი დამაბრალა. სინამდვილეში კი სულ სხვანაირად იყო საქმე. რაც გავთხოვდი, თანაკლასელი ბიჭებიც კი ამოვშალე მეგობრების სიიდან. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ეჭვიანი ქმარი მყავდა, მაგრამ, ვიცოდი, არ სიამოვნებდა, როცა ვინმე მამაკაცი მირეკავდა (თუნდაც სამსახურიდან, საქმესთან დაკავშირებით) ან მე ვურეკავდი. ვფიქრობდი, არ გავაღიზიანო-მეთქი და ასე ნელ-ნელა ჩამოვშორდი ყველას. სამსახურში ყველა კაცთან ცივი და ოფიციალური ურთიერთობა მქონდა. ძალიან კარგი კოლექტივი იყო, კაცებიც და ქალებიც ოჯახებით მეგობრობდნენ ერთმანეთთან, ექსკურსიებზე დადიოდნენ, რესტორნებში ან სახლში პატიჟებდნენ ერთმანეთს, მარტო მე ვიყავი მათგან გარიყული. ჩემი ქმარი არც არსად მომყვებოდა, არც მარტოს მიშვებდა და არც სახლში მაპატიჟებინებდა ვინმეს. ერთი-ორი დაქალი მყავდა – ბავშვობის მეგობრები და მხოლოდ მათთან მქონდა წასვლის უფლება, ისიც, გარკვეული დროით და მხოლოდ მათი მოსვლით არ ღიზიანდებოდა. თვითონ მთელი დღე გასული იყო სახლიდან, ხშირად შუაღამისას ან გამთენიისას ბრუნდებოდა ღიღინით, კარგ ხასიათზე. ასეთ მომენტებში ვხვდებოდი ხოლმე, რომ სხვა ქალთან იყო, მაგრამ, ვერაფერს ვეუბნებოდი – მეშინოდა, ყვირილი და გინება არ დაეწყო და თავი არ მომჭროდა მეზობლებში. მაგრამ, ძალიან რომ „გაგულავდა“, მაშინ კი ვუთხარი – ვიცი, რომ ყოველ ნაბიჯზე მღალატობ; მე აღარ გაინტერესებ აღარც როგორც ქალი და აღარც როგორც პიროვნება. ამიტომ, ხომ არ ჯობია, გავეყაროთ-მეთქი. ეტყობა, არ მოელოდა ჩემგან ასეთ სითამამეს, რადგან, ძალიან გაუკვირდა, მერე კი ყველაფერი უარყო. რამდენიმე ხანს თითქოს თავს იკავებდა, მაგრამ, მალე ისევ ძველებურად განაგრძო ცხოვრება, მე კი მარტო ვიჯექი სახლში, ველოდი მის მოსვლას და თან იმას ვფიქრობდი, ვისთან მიღალატა იმ დღეს ან როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ჩემი ასეთი ყოფა. აშკარად ვგრძნობდი, რომ საერთოდ აღარ ვაინტერესებდი. ძალიან ჩავიკეტე საკუთარ თავში, საშინლად დავკომპლექსდი. ჩემს დაქალებთან ურთიერთობაც კი აღარ მეხალისებოდა. ამ მარტოობამ კომპიუტერს მიმაჯაჭვა. იქ გავიცანი ვიღაც კაცი, სახელად ალექსანდრე, ჩემზე ბევრად უფროსი და ნელ-ნელა დავმეგობრდით. ჩვენ მხოლოდ ერთმანეთის სახელები ვიცოდით, სურათებითაც კი არ გვყავდა ერთმანეთი ნანახი, მაგრამ, ეს სულაც არ გვიშლიდა ხელს გულითად მეგობრობაში. ის თავის ამბებს მიყვებოდა, მე ჩემი გასაჭირი ვუამბე და ერთმანეთს რჩევებს ვაძლევდით და ვანუგეშებდით. ახლა აღარ მიჭირდა მარტოობა, აღარც ჩემი მოღალატე ქმრის ვოიაჟები მადარდებდა. ახალმა, თუნდაც ვირტუალურმა ურთიერთობამ სხვა მამაკაცთან აშკარად შემცვალა – აღარ ვიყავი ისეთი დათრგუნული და სევდიანი; აღარ შევციცინებდი თვალებში კაცს, რომელმაც, პრაქტიკულად, უარმყო; რომლის „ნაშები“ თუ „კეთილისმსურველები“ ყოველდღე მირეკავდნენ და მატყობინებდნენ, ვისთან მღალატობდა, ვისთვის რა ძვირფას საჩუქრებს ყიდულობდა, რომელ ქვეყანაში უშვებდა სამოგზაუროდ... მოკლედ, აშკარად შევიცვალე – დავმშვიდდი და გავძლიერდი იმ თვალსაზრისით, რომ მეც მყავდა ახლობელი ადამიანი, რომლისთვისაც შემეძლო, გული გადამეშალა, რჩევა მეკითხა ნებისმიერ საკითხზე და ამის არ შემრცხვენოდა. ბოლო ხანებში საერთოდ აღარ ვაქცევდი ყურადღებას იმას, თუ როგორ ხასიათზე ბრუნდებოდა სახლში ვაჟბატონი. სადილ-ვახშამს, დალაგებულ სახლს და სუფთა ტანსაცმელს ძველებურად ვახვედრებდი, მაგრამ, აღარც არაფერს ვეკითხებოდი და აღარც ეჭვიანობას გამოვხატავდი – მე უკვე ჩემი სამყარო მქონდა, რომელსაც თავი შევაფარე და რომელში ყოფნაც ძალიან მსიამოვნებდა.

ერთ დღეს კი ჩემმა ქმარმა ეჭვი აიღო, რომ მე საყვარელი გავიჩინე (იგრძნო, რომ მისი ნივთი აღარ ვიყავი) და გადაწყვიტა, დაედგინა მისი ვინაობა და მერე გაეცა ჩემთვის საკადრისი პასუხი. ბევრი ქექვისა და ძებნის შემდეგ მიაგნო ჩემს ვირტუალურ მეგობარს და, იმას ხომ შავი დღე აყარა, არც მე დამაკლო ლანძღვა-გინება, ხელითაც კი შემეხო, მერე კი გაყრაზე შეიტანა განცხადება, რომელშიც მიზეზად ცოლის ღალატი ჩაწერა. ჩვენი გაშორების შემდეგ კი ის ქალი შეირთო ცოლად, მის ყველა მეგობარს (და ძმებსაც კი), რომ ეწვა ლოგინში.

სიმართლე გითხრათ, ასეთი თავისუფალი და ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ. ჩემი ვირტუალური მეგობარი ისევ მყავს. გათხოვებაზე ნამდვილად არ ვფიქრობ, საყვარელზე – მით უმეტეს. ასეც მშვენივრად ვგრძნობ თავს.

**ლანა, 38 წლის.**

## მირჩევნია, მოღალატე და მზრუნველი ქმარი მყავდეს

თქვენი ჟურნალის წინა ნომრებში წავიკითხე წერილი ძუნწი კაცის შესახებ, მაგრამ, სულ არ გამკვირვებია – უარესი ძუნწი სახლში მყავს. ალბათ, მიხვდით – ქმარს ვგულისხმობ. მისი სიძუნწის ამბავი მარტო ჩვენ ვიცით, ოჯახის წევრებმა, რადგან, როგორც კი სახლიდან გაადგამს ფეხს, გობსეკიდან კნიაზ ფანტიაშვილად გარდაიქმნება ხოლმე. მისი სიძუნწის შესახებ ახლა პირველად ვამბობ ხმამაღლა, თანაც, სახელებს ვცვლი (ყოველი შემთხვევისთვის) – რა ვიცი, ვინმემ არ ამოიცნოს და სახელი არ გავუტეხო ბიჭს. მის მეგობრებს, მეზობლებს, ნაცნობებს – ვისაც არ უნდა ვუთხრა, არ დაიჯერებს, რომ ჩემი ქმარი ყოველ კაპიკს დაჰკანკალებს, ხურდებსაც კი ითვლის და საშინლად განიცდის, როცა თანხა მცირდება. სხვებთან ხომ გადაჭარბებით ხელგაშლილია, მაგრამ, სახლში რომ მოდის, ნანობს – რატომ დავხარჯეო, თუმცა, მეორე დღეს იგივე მეორდება. საკუთარი თავისთვის რომ რამე იყიდოს, იმაშიც კი ენანება ფული, არადა, შეუძლია, მთელი დღე იზუილოს, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი არ მაქვსო. მე არ ვმუშაობ, დიასახლისი ვარ, ჩვენი ქალიშვილი კი კარგ თანამდებობაზე მუშაობს, ხელფასიც მაღალი აქვს და ის გვარჩენს. უყიდა მამამისს ძვირფასი ფეხსაცმელი და ქურთუკი, მაგრამ მეორე დღესვე გააჩუქა – ერთი ძმისშვილს აჩუქა, მეორე – ძმაკაცს, თვითონ ისევ ისე დარჩა და ისევ ზუილი დაიწყო – ჩაუცმელი ვარო. ჩემი გოგო გაბრაზდა და აღარ ყიდულობს მისთვის აღარაფერს – სხვებისთვის კი არ ვიდგამ წელებზე ფეხსო და მართალიც არის.

მე რა შემოსავალი მაქვს და, ხანდახან (რაც არც ისე იშვიათად ხდება), ფული რომ შემოაკლდება, შვილს სთხოვს ხოლმე ხან ას ლარს, ხან ორასს და ეუბნება, ხელფასზე დაგიბრუნებო, მაგრამ, როგორც თქვენთვის არ დაუბრუნებია არასდროს, ისე თავისი შვილისთვის. სამაგიეროდ, თუ ისე მოხდა, რომ ხუთი ლარი გამოვართვი ორი დღით, იმ ორი დღის განმავლობაში ტვინს წამჭამს – როდის დამიბრუნებო.

ამას წინათ ჩემი გოგო მივლინებაში იყო წასული. ჩემს ქმარს ძმაკაცმა დაურეკა, ხომ არსად გადიხარ, შენთან გამოსვლა გვინდაო. სახლში არაფერი გვქონდა მომზადებული. მითხრა, რამე კარგი სადილი გააკეთე, ბიჭები უნდა მოვიდნენო. ერთი თეთრიც კი არ მაქვს, ნისიად კი ვერაფერს გამოვართმევ-მეთქი, – ვუთხარი. გამომიტანა 50 ლარი და მეუბნება: ხორცი და ქათამი იყიდე თავისი რამე-რუმეებით, მაგრამ, თეონა რომ ჩამოვა, უნდა გამოართვა და დამიბრუნოო. თავისი ძმაკაცებისთვის უნდოდა პურმარილი, საყიდლადაც მე გამგზავნა, არც გაკეთებაში მომეხმარა და ფულიც უკან მოითხოვა (სხვათა შორის, დაიბრუნა კიდეც).

ხომ ასეთი დამწვარია, აბა, უთხარი, ძუნწი ხარო – შეიძლება, თავზე გადაგალეწოს ყველაფერი: ეგ როგორ მაკადრე, თქვენ ვერაფერს დაგანახვებთ კაცი, უმადურები ხართ, კისერზე მაწევხართ და სისხლს მწოვთო. ამიტომ, არაფერს აღარ ვეუბნები და ჩუმად ვზიდავ ჩემს ჯვარს. შვილი მეცოდება ამის ხელში, თორემ, მე ყველაფერს შევეგუე. სხვათა შორის, მეორე შვილიც იმიტომ არ გამაჩენინა, რომ ორ შვილს ორმაგი ხარჯები დასჭირდებაო.

ისე გავატარეთ ერთად ამდენი წელი, იის კონაც კი არასდროს უყიდია ჩემთვის, ჩაცმა-დახურვასა და სხვა ფუფუნებაზე აღარაფერს ვამბობ. ერთი დადებითი ის აქვს, რომ მექალთანე არ არის და არასდროს შევუწუხებივარ მისი „გულაობით“ ქალებში (ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი გამიგია). ერთი მეგობარი მყავს – მარიკა. ბავშვობიდან ვდაქალობთ და ის სულ შემომნატრის ხოლმე – ნეტავი ჩემი ქმარიც ეგეთი იყოსო (მარტო იმან იცის ამ ჩემი „ვაჟკაცის“ ხელმოჭერილობის ამბავი). მარიკას ქმარი ჩემი ქმრის აბსოლუტური ანტიპოდია: მიუხედავად იმისა, რომ ცოლი მართლა ძალიან უყვარს, მომენტს არ უშვებს ხელიდან, რომ ქალებში არ გაიფარცქვალოს, მაგრამ, სამაგიეროდ, ცოლ-შვილს ჩიტის რძეს არ აკლებს. გარდა იმისა, რომ მარიკასნაირი ჩაცმული ქალი იშვიათად მინახავს, სახლში დედოფალივით უზის – დამლაგებელი ცალკე დადის, მზარეული – ცალკე, პლუს, მძღოლიანი მანქანა მუდმივად სახლის წინ ელოდება.

არ მირჩევნია, მიღალატოს და, პარალელურად, ქალობა მაგრძნობინოს?!

**ქეთი, 44 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: მეუღლესთან ვიმყოფები არარეგისტრირებულ ქორწინებაში, თუმცა, ჯვარი გვაქვს დაწერილი, გვყავს საერთო შვილიც. რამდენიმე თვის წინ დავშორდით, მაგრამ, თანაცხოვრების პერიოდში ერთად გვაქვს შეძენილი ძვირად ღირებული უძრავი ქონება, რომელიც ჩემი ყოფილი მეუღლის სახელზეა. გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ გადაწყდება ჩვენ შორის წარმოშობილი ქონებრივი დავა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ არარეგისტრირებული ქორწინება არ წარმოშობს იმ იურიდიულ შედეგებს, რომელიც დაკავშირებულია მეუღლეთა თანასაკუთრებასთან. შესაბამისად, თუ სხვა მტკიცებულებებით ვერ დადასტურდება, რომ შეძენილ ქონებაში თქვენც გაქვთ წილობრივი საკუთრების უფლება და მონაწილეობა გაქვთ მიღებული მის შეძენაში, ქორწინებიდან გამომდინარე იურიდიული შედეგი არ წარმოიშობა, ანუ აღნიშნული ქონება ვერ იქნება განხილული როგორც მეუღლეთა თანასაკუთრება და თქვენ არ გაქვთ მასზე უფლება.

**კითხვა: საქმიანობის პროცესში შემხვდა ტერმინი „იდეალური მიზნებისთვის შექმნილი იურიდიული პირი“. ჩემთვის ცნობილია იურიდიული პირი ზოგადად, მაგრამ, გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს იდეალური მიზ-**



**ნებისთვის შექმნილი იურიდიული პირი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ იდეალური მიზნებისთვის შექმნილი იურიდიული პირი ეწოდება ისეთ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირს, რომლის ქონება, მათ შორის – მოგება, არ შეიძლება, განაწილდეს მის წევრთა შორის.

**კითხვა: ხშირად გვესმის ტერმინი „ოფშორული ზონა,“ რომელიც ჩემში განსხვავებულ ასოციაციას, გარკვეულ უნდობლობას იწვევს და ყოველთვის მგონია, რომ ის რაღაც ფინანსურ დანაშაულებთან არის დაკავშირებული. გთხოვთ განმიმარტოთ, ზოგადად, რას ნიშნავს „ოფშორული ზონა“?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ოფშორული ზონა, ზოგადად, არის სახელმწიფო ან სახელმწიფოს ტერიტორია, რომელშიც დაცულია იურიდიული პირის საკუთრების, საქმიანობისა და მისი პარტნიორებისა თუ აქციონერების კონფიდენციალობა.

**კითხვა: მაინტერესებს, ზოგადად, შეიძლება თუ არა გამოყენებული იქნეს კონკრეტულ სისხლისსამართლებრივ საქმეზე მტკიცებულებად ტელევიზიით ადამიანის მიერ აზრის გამოხატვა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, ზოგადად, აზრი – ეს არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი; აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. შესაბამისად, აზრის გამოხატვა მტკიცებულებას არ წარმოადგენს, თუმცა, მტკიცებულებათა მოპოვებისთვის შესაძლებელია, იყოს მნიშვნელოვანი საფუძველი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებაში, ტელევიზიით გამოხატული აზრი გადამოწმდეს და შესწავლილ იქნეს.

**კითხვა: მაინტერესებს ტელევიზიით გასული რომელი სიუჟეტი, რეკლამა თუ გადაცემა შეიძლება ჩაითვალოს ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგოდ და, კონკრეტულად აქვთ თუ არა უფლება ტელევიზიებს, გადმოსცენ ტელეეთერში სიუჟეტები, რომლებიც ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ აკრძალულია ტელევიზიით უხამსობის ჩვენება. უხამსობაა ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს და არა აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული ღირებულება. უფრო კონკრეტულად, კანონით იკრძალება პორნოგრაფიის, აგრეთვე, ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას. ასევე, იკრძალება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების იმ დროს განთავსება, როცა მათ მიერ ამ პროგრამების ნახვის ან მოსმენის დიდი ალბათობა არსებობს.

**კითხვა: თანამედროვე პერიოდში ცნობილია, რომ ტელევიზიის საშუალებით შესაძლებელია საზოგადოებაზე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენის მოხდენა. მაინტერესებს, რეგულირდება თუ არა ეს საკითხი კანონით?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია კანონით. კერძოდ, საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელებს, აგრეთვე, საზოგადოებრივ და სათემო მაუწყებლებს ეკრძალებათ ისეთი პროგრამის გადაცემა, რომელსაც შეუძლია, ტექნიკური აუდიო ან ვიზუალური მონტაჟის საშუალებით, დროის უმცირეს მონაკვეთში ან სხვაგვარად, გადასცეს ინფორმაცია, ან, მსმენელის ან მაყურებლის ქვეცნობიერზე ზემოქმედებით გავლენა მოახდინოს მათ აზრებზე ისე, რომ მათ ნაწილობრივ ან სრულად არ ჰქონდეთ გაცნობიერებული ეს გავლენა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სად მდებარეობს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია, რამდენი წევრისგან შედგება ის და იცვლებიან თუ არა ყოველწლიურად კომისიის წევრები?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №42.

რაც შეეხება წევრებს, მუდმივმოქმედი კომისია შედგება 7 წევრისაგან. მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში შედიან: სასჯელაღსრულების სამინისტროს სისტემის სამი თანამშრომელი, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი; საპარლამენტო უმრავლესობისა და უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის წევრთა თითო წარმომადგენელი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი; არასამთავრობო ორგანიზაციის ერთი წარმომადგენელი, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი წარმომადგენელი, რომელსაც ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. მუდმივმოქმედი კომისიის ის წევრები, რომლებიც მუდმივმოქმედ კომისიაში წარმოდგენილნი არიან საქართველოს პარლამენტის, საკოორდინაციო საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, ექვემდებარებიან როტაციის წესით შეცვლას წელიწადში ერთხელ.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა უფლებამოსილებით სარგებლობს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია:

განიხილოს საბჭოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშები სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებათა შესახებ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება; გამოითხოვოს საბჭოს მიერ განხილული ნებისმიერი საქმე, რომლითაც მსჯავრდებულს უარი ეთქვა სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება; გამოითხოვოს განსახილველ საქმესთან დაკავშირებული მასალები; ასევე, განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.





**მივმართე აუდიტორიას: ხალხნო, აბა, ზევით აიხედეთ, სამ ვარსკვლავს ხედავთ-მეთქი? იმის იქით არის 47-ე გალაქტიკა, რომელშიც არის ულამაზესი პლანეტა საქართველო და იქიდან ვართ-მეთქი**

**ყველასთვის საყვარელ მუსიკოსს, ჯგუფ „შინის" წევრს, გიტარისტ ზაზა მიმინოშვილს გერმანიაში, შტუტგარტში დავუკავშირდით. 20 წელია, გერმანიაში ვცხოვრობ და აქაურ კლიმატს მაინც ვერ შევეგუე, კიდევ კარგი, ეს ქალაქი რაღაცით თბილისს ჰგავსო, – ხუმრობით დაიჩივლა ჩვენთან საუბარში მუსიკოსმა. როგორც გავარკვიეთ, ჯგუფი „შინი" შინ დაბრუნებას გეგმავს. ბატონმა ზაზამ ისიც დასძინა, თავი ემიგრანტებად არასოდეს ჩაგვითვლიაო.**

# რატომ იყვნენ ზაზა და მაია მიმინოშვილები კატა და ძაღლივით და რა კომპოზიცია მიუძღვნა დას ზაზა მიმინოშვილმა

**– ბატონო ზაზა, უპირველესად, „შინის" უახლოეს გეგმებზე ვისაუბროთ, თუ შეიძლება...**

– უახლოესი გეგმები, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ, საქართველოს უკავშირდება. ამას წინათ, პრემიერა გვქონდა ლატვიაში, რიგაში. ამ ქალაქთან ძალიან ბევრი კარგი მოგონება გვაკავშირებს, – ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მისამართია, ასე ვთქვათ ***(იცინის).*** 1 დეკემბერს გვქონდა პროექტ „არაჩვეულებრივი გამოფენის" უდიდესი პრემიერა. ეს გახლავთ „შინისეული" გია ყანჩელი. ლატვიაში ძალიან ბევრი პროექტი და პრემიერა გვქონდა, ვგეგმავთ თბილისშიც.

**– რატომ „არაჩვეულებრივი გამოფენა", ბატონო ზაზა?**

– ***(იცინის)*** ჯერ ერთი, ეს არის უნიკალური ფილმი და საოცარი მუსიკა, ამიტომაც ავარჩიეთ გია ყანჩელი – ეს იქნება სერია, სადაც წარმოდგენილი იქნება სრულიად მოულოდნელი პორტრეტები. ბედნიერები ვართ, რომ აწმყოში ასეთი დიდოსტატი გვყავს. მე მგონი, ეს იქნება აღმოჩენა ქართველი მსმენელისთვის – ქართველი მსმენელი ხომ ძალიან კრიტიკულია თავისიანების მიმართ, რომლებიც ხანგრძლივ „ოდისეაში" გაუშვა. ქართველებს საკუთარი ტომის განსაკუთრებული, გამძაფრებული შეგრძნება გვაქვს – ჩვენი დაბრუნება „ძე შეცდომილის" დაბრუნებას ჰგავს.

**– ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი, როცა საქართველოში არ ყოფილხართ...**

– 1993-ში. იმ შავბნელ მეოცე საუკუნეში. აქედან რომ წავედით, კარგა ხანს აღარ ჩამოვსულვართ. ჩვენც სხვებივით გავქრით აქედან. ბოლო რეპეტიციას დავესწარით რუსთაველის თეატრში, მაესტრო რობერტ სტურუა ახალ სპექტაკლს დგამდა: იცით, ალბათ, ჩვენ მანამდე რუსთაველის თეატრში ვმუშაობდით რობერტ სტურუასა და გია ყანჩელთან. მახსოვს, ასეთი სცენა იყო სპექტაკლში, მავთულზე ჩიტები ისხდნენ და თბილ ქვეყნებში გასაფრენად ემზადებოდნენ. სტურუამ გვითხრა: ამ ეპიზოდს აუცილებლად ჩავიღლით და მერე გაგაცილებთო. ბავშვი ეკითხება მერცხლებს, სად მიფრინავთო? თბილ ქვეყნებშიო, – პასუხობენ. დაბრუნდებითო? – ეკითხება. დავბრუნდებითო, – პასუხობენ. ბავშვი ამოიოხრებს და ეუბნება: ეჰ, მე მგონი, თქვენ აღარ დაბრუნდებითო... ***(იცინის)*** მოკლედ, იწინასწარმეტყველა. მაგრამ, ჩვენი თავი ემიგრანტებად არასდროს ჩაგვითვლია, „ოდისეაში" ვიყავით, უბრალოდ – ბევრ ციკლოპს და ურჩხულს შევებრძოლეთ ***(იცინის).*** „შინი" აუცილებლად დაბრუნდება შინ, თან მალე.

**– თქვენი პენელოპეები გელოდებოდნენ აქ. ესე იგი, საქართველოში სამუდამოდ დაბრუნებას აპირებთ?**

– რა თქმა უნდა, ჩემი ოჯახი საქართველოში იყო დიდხანს. მეუღლე სულ სამიოდე წელია, რაც აქ ჩამოვიდა. ჩემი შვილები, დედა, მამის საფლავი... ყველა საქართველოში მყავდა და თითქმის სულ მანდ ვიყავი.

**– ხანგრძლივი განშორება გქონიათ მეუღლესთან, როგორ გაძელით ამდენ ხანს უერთმანეთოდ?**

– იცით, რა, დარჩენას არ ვაპირებდი. პირველი წელიწად-ნახევარი აზრზე მოსვლას მოვანდომეთ, სანამ გავერკვიეთ, სად ვიყავით. გვქონდა ჯგუფი „ადილა" და წავედით დასავლეთის დასაპყრობად, თან სწრაფად დასაპყრობად. ძალიან მძიმედ მახსენდება ის წლები, მეგონა, ოჯახს საერთოდ დავკარგავდი... მაგრამ, მეუღლე გაგებით მოეკიდა ამ ამბავს და ერთმანეთი შევინარჩუნეთ.

**– ვერ შევეგუე გერმანიასო, ამბობთ...**

– ეს არ არის ის გერმანია, რომელსაც მე სულ ვეძებდი. ნუ მიწყენენ გერმანელები. ბავშვობიდან ვიზრდებოდი გერმანულ გარემოცვაში – დავდიოდი გერმანულ საბავშვო ბაღში, შემდეგ გერმანულ ოჯახში... ჩემს ბავშვობაში უფრო გერმანული იყო, ვიდრე ინგლისური: თანთე ლილისთან, თანთე გერტრუდასთან იყო ყველაზე საოცარი – ქართული, თბილისური გერმანია ***(იცინის).*** გამანქანებულები არიან ადამიანები – საქართველოში რომ დავბრუნდები, ძალიან მომენატრება აქაურობა. ჩვენს კონცერტებზე სულ გადაჭედილი იყო დარბაზები და გული რაზე მწყდება, იცით? – ქართველები, რატომღაც, უცხოეთში ერთმანეთთან კონტაქტს ვერიდებით, არც ერთი ქართველი თითქმის არ დადიოდა ჩვენს კონცერტებზე. სამაგიეროდ, გერმანელებმა ძალიან თბილად მიიღეს ჩვენი მუსიკა. ცხოვრებაში ერთადერთხელ მივიღეთ მუსიკალურ კონკურსში მონაწილეობა და 600 მუსიკალურ კოლექტივს შორის პირველი პრიზი ავიღეთ – 2009 წელს „ვორლდ მიუზიქ" ფესტივალი ჩატარდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ესპანეთში გამოვდიოდით უზარმაზარ სტადიონზე, დიდი მონიტორები იყო დამონტაჟებული და 40 000 მაყურებელი მოვიდა... წარმოიდგინე, არც ერთი აზრზე რომ არ არის, სად არის საქართველო – ძალიან ვნერვიულობდი, თან ჩვენ

**ცხოვრებაში ერთადერთხელ მივიღეთ მუსიკალურ კონკურსში მონაწილეობა და 600 მუსიკალურ კოლექტივს შორის პირველი პრიზი ავიღეთ – 2009 წელს „ვორლდ მიუზიქ" ფესტივალი ჩატარდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით**

წინ ფლამენკოს უმაგრესი შემსრულებლები გამოდიოდნენ. მე მიმყავდა იმ დღეს კონცერტი და ასე მივმართე აუდიტორიას: ხალხნო, აბა, ზევით აიხედეთ, სამ ვარსკვლავს ხედავთ? იმის იქით არის 47-ე გალაქტიკა, რომელშიც არის ულამაზესი პლანეტა საქართველო და იქიდან ვართ-მეთქი, – ატყდა სიცილი და ერთი ამბავი ***(იცინის).*** მერე, ესპანელებს ტაშის დაკვრის განსაკუთრებული ხელოვნება აქვთ, თავისი ტაქტი – „პალმასი" ჰქვია. ისეთი რიტმი წამოვიდა იქიდან, კინაღამ ჩაგვეშალა კონცერტი ***(იცინის).***

**– არ მინდა, ამ საკითხს შევეხო, მაგრამ მაინც მოგვიწევს ამაზე საუბარი. პოლიტიკურ სიმპათიებს ბოლო დროს ხშირად ღიად აფიქსირებდით. ამას თქვენი ბენდისთვის თუ შეუშლია ხელი?**

– იყო რაღაც ხელისშემშლელი ფაქტორები. ამაზე ახლა ლაპარაკი აღარ მინდა. გერმანიაში საზოგადოება 1 700-ჯერ ნაკლებადაა პოლიტიზებული, ვიდრე საქართველოში. ხალხის უმრავლესობამ ისიც არ იცის, ბუნდესპრეზიდენტი (ფედერალური პრეზიდენტი) ვინ არის. ერთადერთ წესიერ პოლიტიკოსად მაჰათმა განდი მიმაჩნია, დანარჩენი ყველა ყალბად, მსახიობად მეჩვენება – ამ სიტყვის ცუდი გაგებით, რომელიც ოჯახშიც კი თამაშობს – ახლა აზრი შემეცვალა, თუმცა, არ მინდა, ისე გამოვიდეს, რომ ახალ მთავრობას ოდას და დითირამბებს ვუმღერი. უბრალოდ, რაღაც მომენტში მივხვდი, რომ გადაწყვეტილების მიღება და აქტიურად ჩართვა იყო საჭირო. რატომღაც, ჩემს აქტიურ პოზიციას მიეწერა ჩემი დის პრობლემები, მაგრამ მაიას იმ პოლიტიკურ გუნდთან დიდი ხანია, პრობლემები ჰქონდა, ნელ-ნელა უგროვდებოდა. როგორც კი პროტესტი ხმამაღლა გამოვთქვი, მაშინვე მაიას მიადგნენ. ვხუმრობდით, არც ვიცი, ვინ დალუპა მაია, მე თუ ჩემმა დისშვილმა-მეთქი ***(იცინის).***

**– თქვენ არასოდეს წახვალთ პოლიტიკაში?**

– არა, რას ამბობთ ***(იცინის).*** ღმერთმა დამიფაროს.

**– სამთავრობო კონცერტებზე გეძახდნენ ხოლმე?**

– არა. თუ ბათუმში გამართულ საახალწლო კონცერტს დავარქმევთ სამთავრობოს, მაშინ გამოდის, რომ კი ***(იცინის).*** სცენიდან მაისურების დარიგებით არ ვყოფილვართ დაკავებული. ჩვენი „ერთი ხმით" – მაშინდელ ხელისუფლებას ასეთი მესიჯი გავუგზავნე: გაიგეთ, რომ თქვენი მტერი არ ვარ, მაგრამ პირადად ჩემს ხმას თქვენ არ გაძლევთ-მეთქი. იქიდან ნული ყურადღება და ხელის შეშლის მცდელობა! იმისთვისაც მადლობელი ვარ, რომ არ გვცემეს. რომ ჩამოვედით, საბაჟოზე ვიდექით. არ მავიწყდება მებაჟის სახე, როგორ გაუხარდა ჩვენი დანახვა და მერე სახე ისე მომენტალურად შეეცვალა. არ იცით – პასპორტის კონტროლი რომ გავიარე. ეტყობა, ინფორმაცია ისეთი იყო ჩემზე, რომ არასასურველი და მიუღებელი ადამიანი ვარ! საშინელი მომენტი იყო.

**– დაზე რომ არ გკითხოთ, არაფრით შემიძლია. იუმორით სავსე უფროსი ძმა ხართ, როგორი ურთიერთობა გქონდათ, როგორი იყო ბავშვობაში მაია მიმინოშვილი?**

– ***(იცინის)*** ძალიან არამარტივი და არაორდინარული ადამიანი იყო – ჩემზე კარგადაც სწავლობდა, ჩემზე ეშმაკი და ჭკვიანიც იყო. ჩემს დას კარგი მუსიკალური კომპოზიცია მივუძღვენი – „მაია ფანკი". ისეთ რამეებს იგონებდა, სისხლს მიშრობდა. თან, სულ თვითონ გამოდიოდა მართალი, ოჯახის წევრები ყოველთვის მის მხარეზე იყვნენ ხოლმე. ახლა ნუ მომთხოვთ იმ ხრიკების გახსენებას ***(იცინის).*** ის კომპოზიცია რომ მოისმინა, მოკვდა სიცილით. მაია ჩემი უახლოესი მეგობარია. ეს ბავშვობაში ვიყავით კატა და ძაღლივით.

**– დის გათხოვებას როგორ შეხვდით?**

– ძალიან კარგად. თავიდან კი მკაცრი, თბილისელი ძმა ვიყავი – ვინ არის, რა არის, როგორ ბედავს-მეთქი, – ვბობოქრობდი. მაგრამ, სიძე არ მიცემია ***(იცინის),*** მუშტებზე მაინცდამაინც არ ვიყურებოდი. სხვათა შორის, ძალიან ვნანობ, რომ ქუჩის გამოცდილება დამაკლდა. მაშინ, როცა ჩემი მეგობრები გარეთ საგმირო საქმეებს ატრიალებდნენ, მე სახლში ვიჯექი და ვხატავდი. იმ დროს მუსიკა არ იყო იდეაში,

**(გაგრძელება 35-ე გვერდზე)**

**ნიჭიერი მომღერალი ოთო ნემსაძე ამ ეტაპზე უკრაინის „ვოისში“ აპირებს მონაწილეობის მიღებას. რამდენიმე შესარჩევი ტურის წარმატებით გავლის შემდეგ, ის ახლა ბრმა ქასთინგზე მიდის. იმედს ვიტოვებთ, რომ ოთო, თავისი ხმით, ნიჭითა და შესრულების მანერით, შეძლებს უკრაინელი ჟიურის მოხიბვლას.**

# როგორ გაიარა ოთო ნემსაძემ უკრაინული „ვოისის“ შესარჩევი ტურები და რატომ გადაწყვიტა ამ პროექტში მონაწილეობა

**ოთო ნემსაძე**: უკრაინა ჩემთვის შინაური და თბილი ქვეყანაა. დღეს ჩვენთვის, ალბათ, ყველაზე მისაღებიც და ახლოც, თან, ძალიან ბევრი მეგობარი მყავს იქ. დიდი მადლობა ჩვენს საელჩოს უკრაინაში, რომ მომცეს საშუალება, რამდენჯერმე ჩავსულიყავი უკრაინაში და კარგად გავცნობოდი ამ ქვეყანას. ასე რომ, ხშირად მიწევს უკრაინაში, კერძოდ, კიევში წასვლა. რაც შეეხება უკრაინის „ვოისს“; უკრაინაში ჩვენი სათვისტომოს პრეზიდენტის, ბესო შამუგიას რჩევა იყო, რომ გამოვსულიყავი. მივედი ქასთინგებზე, შესარჩევი ტურები გავიარე. თუმცა, თავიდან არ ვიცოდი, როგორი იყო კონკურსის სპეციფიკა. პირველ ტურში რომ გავედი, შემდეგ ორი ტური აღარ გამატარეს, გამომიშვეს, შენი აქ ყოფნა აღარ არის საჭიროო. ასე რომ, 15 თებერვალს მექნება ბრმა ქასთინგი.

**– რა იმღერე?**

– აკაპელაში ვიმღერე, კიდევ ფონოგრამაზე, თან 41 გრადუსი სიცხე მქონდა, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, დადებითი ემოციები და შეფასებები მივიღე ჟიურისგან, ინტერვიუებიც მქონდა. ისე დაინტერესდნენ, რომ საქართველოში ჩამოდიან და უნდათ, ჩემს შესახებ სიუჟეტი გააკეთონ: როგორ ვცხოვრობ, რას ვსაქმიანობ. ახლა, ბრმა ქასთინგზე რომ წავალ, ბენდთან მექნება ერთი დღე რეპეტიცია. ეს ცოტა რთულია, რადგან არ ვიცი, როგორ უკრავენ, რას უკრავენ, თან, უცხოები არიან. იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის. ისიც კი არ ვიცი, ვინ არიან ჟიურის წევრები. ერთს ვიცნობ მხოლოდ, უფრო სწორად, ვიცი, რომ უკრაინაში ძალიან ცნობილი ჯგუფის სოლისტია.

**– როგორია შენი მოლოდინი?**

– არ ვნერვიულობ და ვიტყვი, რომ „ჯეოსტარი“ ჩემი ბევრი მეგობრისთვის, დამწყები მომღერლებისთვის დიდი სკოლა იყო, რისთვისაც „ჯეოსტარის“ მთლიან გუნდს, ქალბატონ მარინა ბერიძეს პირადად ვუხდი მადლობას. უკვე მაქვს რაღაც მიმართულება, გამოცდილება, რომელიც „ჯეოსტარში“ მივიღე. ჩემი აზრით, გაცილებით რთული კონკურსი გავიარე, რადგან ჩემთვის საქართველოში ქართულად მღერა უფრო რთულია, ვიდრე სხვა ქვეყანაში უცხო ენაზე. არ ვფიქრობ იმაზე, რომ უნდა გავიმარჯვო. მთავარია, იქ საქართველოს სახელი კიდევ ერთხელ ძალიან კარგად, ომახიანად წარმოვაჩინო. უკრაინაში გამარჯვებაზე რომ ვიფიქრო, უნამუსო კაცი ვიქნები.

**– სხვა პროექტებშიც ხომ არ აპირებ მონაწილეობას?**

– არის სხვა რაღაც, მაგრამ რადგან ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი, ამიტომ ჯერ ვერ ვიტყვი. თუ ის ამ პროექტს ხელს შეუშლის, დაემთხვევა და არჩევნის წინაშე დავდგები, აუცილებლად მეორეს სასარგებლოდ გადავწყვეტ.

**– როგორ იქცევი, როცა სერიოზული არჩევნის წინაშე დგები?**

– როდესაც სერიოზული არჩევნის წინაშე ვდგები, რაც პირად ცხოვრებაზე გავლენას მოახდენს, პირდაპირ ვიღებ გადაწყვეტილებას. შეიძლება, ეს, გარკვეულწილად, ლატარიის დონეზე იყოს, თუმცა, ხშირად, გადაწყვეტილების მიღებისას, ბევრს ვფიქრობ, ვაანალიზებ, რომელიღაცას ვირჩევ და შეიძლება ითქვას, მიმართლებს. ზოგჯერ არც გამმართლებია, ყოფილა იმედგაცრუებაც. ამ დროს, ძირითადად, ყველაფერზე ვბრაზდები და მარტო ახლო მეგობრებთან ვკონტაქტობ. მირჩევნია, უცხოებს არ ვეკონტაქტო.

**– ამ ეტაპზე კიდევ რით ხარ დაკავებული?**

– ძირითადად, უკრაინაში დიასპორის მიერ მოწყობილ კონცერტებში ვმონაწილეობ. გარდა ამისა, 14 თებერვალს, იმ გოგონასთან ერთად, რომელთანაც პროექტ „10+10-ში“ გამოვდიოდი, მაქვს კონცერტი. 15-ში ქასთინგია და ვნახოთ, რა იქნება.

**– გარდა კონცერტებისა, როცა ჩადიხარ კიევში, როგორ ცხოვრობ, როგორ ერთობი?**

– იქ ძალიან ბევრი გასართობია, თან, ქართველი მეგობრებიც მყავს და უკრაინელებიც. პარასკევი, შაბათი, კვირა – სულ ისვენებენ, ბოლომდე ერთობიან და მეც ვერთობი ხოლმე.

**– გოგონები ჰყავთ ძალიან კარგი.**

– გოგონები ჰყავთ სასწაული, ძალიან ლამაზები და სხვანაირები – გახსნილები, კონტაქტურები, პრობლემებს არ გიქმნიან. ამას ცუდი გაგებით არ ვამბობ. ყველა თბილია და შენ მიმართ კარგად არის განწყობილი. ზოგადად, ქუჩაშიც ხალხი ისეთი ბედნიერი, გაღიმებული დადის. პარასკევი-შაბათი-კვირა დასვენების ხასიათზე არიან, დანარჩენ დღეებში კი – მუშაობის ხასიათზე. ასეთი ქვეყანაა და ძალიან მიყვარს.



დამოუკიდებლად ცხოვრება უფრო ადრე გაყალიბებს კაცად. მე ჯერ ახალგაზრდა ბიჭი ვარ, მაგრამ, როცა დამოუკიდებლად ცხოვრობ, ადამიანად ფორმირება უფრო ადრე მთავრდება

**– არის იქ ადამიანი, რომელიც შენს ჩასვლას სულ ელოდება?**

გოგონები ჰყავთ სასწაული, ძალიან ლამაზები და სხვანაირები – გახსნილები, კონტაქტურები, პრობლემებს არ გიქმნიან. ამას ცუდი გაგებით არ ვამბობ. ყველა თბილია და შენ მიმართ კარგად არის განწყობილი

– მყავს მეგობრები, რომლებსაც სულ უხარიათ ჩემი იქ ჩასვლა, ასე კონკრეტულად კი, არავინ მელოდება. კიევში ძალიან პოპულარულია კარაოკე-ბარები და ხშირად დავდივარ. ყველა მღერის, არ აინტერესებთ, ყრუა თუ არა, არ აქვთ კომპლექსები. თან, მღერიან რუსული რეპერტუარიდან საშინელ სიმღერებს. 3 ჭიქაში მეც გადავდივარ მათ რეპერტუარზე და ჩვეულებრივად ვმღერი. ძალიან კარგად ვერთობი კიევში, ბევრი გასართობი ადგილია. მთელი კიევი უკვე დათვალიერებული მაქვს, ახლა მაინტერესებს ხარკოვი, მოსკოვი და სხვა ქალაქები.

**– თუ გიფიქრია იმაზე, რომ გადახვიდე უცხოეთში საცხოვრებლად, იქ გააგრძელო კარიერა, რადგან, ამ მხრივ, საქართველოში არცთუ ისეთ სახარბიელო სიტუაციაა.**

– ხშირად ვივლიდი სხვა ქვეყნებში სამოგზაუროდ, მაგრამ თუ კარიერას დასჭირდება და ეს ჩემთვის აუცილებელი იქნება, მაშინ რაღაც ეტაპზე ვიცხოვრებდი სხვაგან. მაგრამ, სამუდამოდ სადმე დარჩენა, ახლა, ჩემთვის წარმოუდგენელია. რამდენჯერაც დიდი ხნით წავედი, ძალიან მომენატრა ჩემი ქვეყანა, ხალხი, გორის კატლეტი, ჩახუტება, ძმობა.

**– რაღაც ეტაპზე გქონდა ჩავარდნის პერიოდი, როცა არაფერს აკეთებდი.**

– მქონდა სერიოზული ჩავარდნა და მიხარია, რომ ახლა ბევრი კარგი რამ ხდება და დაკავებული ვარ. ოთხშაბათობით ვმუშაობ ლაუნჯ ბარ – „ფაივ სენსში,“ ხუთშაბათს, პარასკევსა და შაბათ-კვირას ლაუნჯ ბარ „ურბანში“. თუმცა, მინდა, უფრო მეტად დაკავებული ვიყო. ისე, სახლის ამბებშიც ძალიან აქტიური ვარ: ვალაგებ, ვრეცხავ, ვაკეთებ საჭმელს – ყველაფერს მე ვაკეთებ.

**– კარგი სასიძო ბიჭი ყოფილხარ.**

– ძალიან კარგი. სადაც შევალ, იმ ოჯახს დავაქცევ. დიდი ხანია, მარტო ვცხოვრობ, შესაბამისად, მიწევს რაღაცეების კეთება. ყოველდღე რომ სადმე წავიდე საჭმელად, ჯერ ასე ვერ ვცხოვრობ. ბორშჩსაც ვაკეთებ, თან გემრიელი, წითელი ბორშჩი გამომდის. დამოუკიდებლად ცხოვრება უფრო ადრე გაყალიბებს კაცად. მე ჯერ ახალგაზრდა ვარ, მაგრამ, როცა დამოუკიდებლად ცხოვრობ, ადამიანად ფორმირება უფრო ადრე მთავრდება. მშობლები ჩემს გადაწყვეტილებებში არასდროს ერეოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მაინც გავაკეთებდი იმას, რასაც ვიტყოდი. ამისთვის დიდი მადლობა ჩემს მშობლებს, ორივე ძალიან მიყვარს. სადღაც 14-15 წლამდე, ბავშვი სულ კონტროლის ქვეშ უნდა გყავდეს, ყურადღება მაიქციო, რაღაცეებში მიეხმარო. მაგრამ, აუცილებლად თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ შეძლოს ამ მაიმუნ სამყაროში ცხოვრება.

**– აღარ წერ ლექსებს?**

– ჩემს ძმას დავუთმე ასპარეზი, ძალიან კარგად წერს, მე მომწონს. კარგად მღერის, მაგრამ თავად რაც უნდა, იმას გააკეთებს. ბავშვობაში სულ ვჩხუბობდით – ალბათ, მაპატიებს ბესო, მაგრამ დღესაც ხშირად ვერევი მის ცხოვრებაში. ამას თვითონ მიმაჩვია და გამანებივრა. ჩემს ძმას რომ ვინმემ თითი დაადოს, შემიძლია მჟავაში დავწვა. დედა, გვაპატიე, რომ ასე გამწარებდით, ხშირად მოგვსვლია რაღაც ერთმანეთის გვერდში დგომით, მაგრამ ახლა აღარ ხდება ასეთი ამბები.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– სტაბილურად არის ყველაფერი, არავის ვაწუხებ და არავინ მაწუხებს. უფრო სწორად, სიყვარულით მე ვაწუხებ, ისინი ვერ მაწუხებენ. ოთო ნემსაძე სულ შეყვარებულია, ახლაც შეყვარებულია და ძალიან კარგად არის. ამ კუთხით დღეს ყველაფერი სტაბილურადაა და მიხარია. საქმეშიც ყველაფერს კარგი პირი უჩანს. იმედია, ბოლომდე ყველაფერი კარგად იქნება.

**ნათია უტიაშვილი**

# სჭირდება თუ არა გრძნობას გამოცდა და როდის ჩნდება ცოლ-ქმრის ცხოვრებაში ვიღაც მესამე

**აწუხებთ თუ არა მამაკაცებს კრიზისი ცოლქმრულ ურთიერთობაში?! რა თქმა უნდა, აწუხებთ. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ეს ჩანს. მართალია, მამაკაცი ბუნებით პოლიგამიური არსებაა, მაგრამ ოჯახი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რატომ ვერ პოულობენ რამდენიმეწლიანი თანაცხოვრების შემდეგ საერთო ენას ის ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთი უყვარდათ? როდის დგება ცოლ-ქმრის ცხოვრებაში პერიოდი, როცა ერთმანეთისთვის ერთგულების დამტკიცება და გრძნობაზე ლაპარაკი ბევრ რამეს წყვეტს? როგორ უყურებენ თავად მამაკაცები ამ მტკივნეულ საკითხებს და რა პრობლემები აშინებთ მათ რეალურად?**



**კოტე** *(34 წლის):* ყოველთვის ძნელად ვიღებდი გადაწყვეტილებებს. საერთოდაც, ასეთი ადამიანი ვარ: ბევრს ვფიქრობ და ბევრს ვყოყმანობ. არ ვიცი, ეს რისი ბრალია. საკუთარი თავის რწმენაც მაქვს და ჩემს საქმიანობაშიც არ ვარ მაჩანჩალა. თუმცა ვხვდები, რომ რაღაც მაკლია. თამამი არ ვარ? – შეიძლება. მოკლედ, ჩემს ცოლს რომ არ ეაქტიურა, ოჯახი საერთოდ არ მექნებოდა.

**– ამით რისი თქმა გინდათ, არ გინდოდათ მისი ცოლად მოყვანა?**

– ეს არ მითქვამს. ალბათ, მინდოდა, რადგან ჩვენი ოჯახი დღეს არსებობს, მაგრამ, როგორ გითხრათ... რომ არ ეაქტიურა და პირდაპირ არ დაესვა საკითხი – დროა, ჩვენს ურთიერთობას ოჯახის ფორმა მივცეთო, ძალიან დიდხანს ვივლიდით წინ და უკან. მე არ ვამბობ, რომ ეს კარგია, მაგრამ, მქონდა პერიოდი, როცა ვფიქრობდი, ხომ არ ავჩქარდი-მეთქი.

**– ეს პერიოდი რამე კონკრეტულ მიზეზთან იყო დაკავშირებული?**

– დიახ, მიზეზი ყოველთვის არსებობს და მერე ეძებ საბაბს. თავიდან მეტ-ნაკლებად, ბედნიერად ვგრძნობდი თავს.

**– პირდაპირ გკითხავთ: არ გიყვართ თქვენი ცოლი?**

– თქვენ მე ვერ მიგებთ. სიყვარული არაფერ შუაშია, თუმცა, შუაში როგორ არ არის. იმის თქმა მინდოდა, რომ პრობლემასთან და ჩემს გადაუწყვეტელობასთან არ არის შუაში. ჩამოყალიბებული არ ვიყავი ჩემს გადაწყვეტილებაში – აი, ეს არის სიმართლე. არანორმალურად რომ მყვარებოდა ჩემი მომავალი ცოლი, მაშინ როგორ იქნებოდა საქმე?! გულახდილად გეტყვით – არ ვიცი. ფაქტია, რომ რაღაც დროის გასვლის შემდეგ ჩემს ოჯახურ ცხოვრებაში კრიზისივით რაღაც დაიწყო. ჩემმა ცოლმა ერთხელ თქვა, ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ძალიან შევეჩვიეთ ერთმანეთსო.

**– ეს სიმართლე იყო?**

– შეიძლება. მე მართლა მაინტერესებს გართულებული ურთიერთობის რეალური მიზეზი.

**– გართულებული ურთიერთობა რას ნიშნავს, ჩხუბობდით?**

– არა, ჩხუბით ისე არ ვჩხუბობდით, რომ ეს საშიშროებად აღქმულიყო. პირიქით, ზოგჯერ ჩხუბი პოზიტიურიც კი არის ხოლმე. საყოფაცხოვრებო რუტინა და ერთფეროვნებაც ძალიან უარყოფითად მოქმედებს ურთიერთობაზე – პირდაპირ გიწვევს ავანტიურაზე. სწორედ იმ მომენტში გამოჩნდება ხოლმე „ვიღაც“, როცა საკუთარ თავთან ჭიდილსა და გაურკვევლობაში ხარ და მერე ყველაფერი „იმას“ ბრალდება, მაგრამ, რეალურად, ისიც მსხვერპლია, მართალია, ნებაყოფლობითი და, იქნებ, თვითონაც ვერ აცნობიერებს, მაგრამ, რეალურად ასე გამოდის. მე არავის არაფერს ვაბრალებ, თუ ვინმეა დამნაშავე ეს მე ვარ. ოღონდ, ისე ნუ გაიგებთ, რომ თვითგვემაზე ვარ გადასული. „ის“ სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში.

**– ანუ, კრიზისი უკვე გქონდათ?**

– დიახ, ამაზე ხომ უკვე ვილაპარაკეთ. ორი თვის წინ მოხდა „იმის“ გამოჩენა. ამ ტიპის ქალებს კარგად ეხერხებათ ყურადღების მიპყრობა და შთაბეჭდილების მოხდენა. მეგობართან ერთად ვიყავი და მანაც მაშინვე მითხრა, ისე გიყურებდა, მგონი, ტუზი დაგეცა და მოეწონეო. არ მაინტერესებს ეგ ამბავი, ცოლიც მყავს და შვილებიც-მეთქი. შენ ხომ კრიზისი გაქვს ცოლთან, ხომ მეუბნებოდი... და, იქნებ, ეს სწორედ ის არის, რასაც შენ ეძებო. გულახდილად გეტყვით, არ მესიამოვნა.

**– მეგობართან განიხილავდით ცოლთან თქვენს ურთიერთობას?**

– დიახ, რაღაც დონეზე და რაღაც დოზით – ისე, როგორც ყველა. მგონი, ეს ბუნებრივია.

**– ბუნებრივი იქნებოდა, პრობლემებზე საკუთარ მეუღლესთან გელაპარაკათ.**

– ახლა უკვე ვიცი. მაგრამ, ჩვეულებრივ, როგორც ხდება ხოლმე, ჩემს შემთხვევაშიც ისე მოხდა. მოკლედ, გავიცანი და პირველივე ნახვაზე მიმიზიდა. არ ვიცი, იქნებ ჩემი მეგობრის „ნამიოკმაც“ „იმუშავა“. თვითონ ფლირტის დიდოსტატია, მაგრამ, შორს არასდროს წასულა – ისე იქცევა, რომ „მშრალად“ გამოდის წყლიდან. მე კი გაუბედავი ვარ და ქალზე „მიწოლაც“ არ შემიძლია. ხომ გითხარით, ძირითადად ჩემმა ცოლმა იაქტიურა-მეთქი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში (ვგულისხმობ ახალ ნაცნობს) ქალმა ისე ოსტატურად ითამაშა, რომ კარგა ხანს მეგონა, ინიციატივა ჩემგან წავიდა-მეთქი. სხვათა შორის, ამ ურთიერთობის დროს ხშირად მახსენდებოდა ცოლთან გატარებული ბედნიერი დღეები, მაგრამ, მერე რა მოხდა? ფაქტია, რომ მისი დროის დიდი ნაწილი შვილებმა მიიტაცეს, ჩემი – სამუშაომ. დარწმუნებული არ ვარ, თუმცა, შეიძლება, სწორედ ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ ჩვენს ცხოვრებაში ვიღაც მესამის გამოჩენა დავუშვი.

> **ჩემმა ცოლმა ერთხელ თქვა: ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ძალიან შევეჩვიეთ ერთმანეთსო**

**– თქვენ ამას ნანობთ?**

– რა თქმა უნდა, ვნანობ. ასე რომ არ იყოს, არც ჩვენი საუბარი შედგებოდა. დამიჯერეთ, არც ერთ ნორმალურ კაცს არ უნდა ოჯახში არეულობა და ქაოსი – ეს ჩვენზე დამთრგუნველად მოქმედებს, ძალიან ვირევით და სერიოზულ დისკომფორტს განვიცდით სკანდალებისა და ჩხუბის გამო. ცოლი რომც არ გიყვარდეს, ისე ეჩვევი მას, ისეთი შენიანი ხდება, რომ მისი მიტოვება ძალიან გიჭირს, არადა, არც ის გსიამოვნებს, რომ ატყუებ და უსინდისოდ იქცევი.

**– ანუ, აღიარებთ, რომ ცოლის მოტყუება უსინდისობაა. მაშ, რატომღა ატყუებთ?**

– გიწევს ტყუილის თქმა, რადგან, გაორებული ხარ და ველარ ერკვევი, რა გინდა, რატომ გინდა. ერთი მხრიდან ოჯახი „გქაჩავს“, მეორე მხარეს რაღაც ახლის განცდა გიზიდავს. თავგადასავლის ეშხში vardები – ეს ხომ ადრენალინია. რა ვქნათ, ჩვენც ადამიანები ვართ, გვჭირდება ემოციები. ოჯახური ურთიერთობები ძალიან რთული სფეროა, ჩვენ კი ძალიან მარტივად ვუყურებთ. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ თქვენგან პატიება მივიღო ან ვინმეს შევეცოდო; უბრალოდ, საკუთარ თავში მინდა გავერკვიო. კიდევ არის რაღაც გარემოებები, რომლებიც ფონს იმგვარად გვიქმნიან, რომ შეცდომები დავუშვათ. ასეთ გარემოებას მე „შეუმჩნეველ ხაფანგს“ ვეძახი. ისე ჩაგითრევს, სანამ გონზე მოხვალ და აღმოაჩენ, სადამდე ჩაეფალი, უკვე გვიან არის ხოლმე – ამ შემთხვევაში დრო შენზე არ მუშაობს. აბსოლუტურად გულახდილად გეუბნებით: გავიცანი, დავინტერესდი, ანუ მომეწონა, მაგრამ, მასთან ხელახლა შეხვედრაზე ნამდვილად არ მიჩალიჩია, აშკარად გარემოებებმა „იმუშავა“ – შემთხვევით აღმოვჩნდით ერთ სასტუმროში, ქალაქგარეთ, სადაც მე საქმიანი შეხვედრები მქონდა. სასადილოში დავინახე, თვითონაც შემამჩნია და მაშინვე მოვიდა. საღამოს უკვე ბარში შევხვდით. რამდენიმე ჭიქა დავლიეთ და, დაძაბულობა, რომელიც მქონდა, მომეხსნა. საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ ამით არაფერს ვაშავებდი. საუბარში გავარკვიე, რომ ქმარიც ჰყავდა. თითქოს შიგნიდან ამენთო გამაფრთხილებელი ნათურა, მაგრამ, რატომ არ დავიხიე უკან, რატომ არ დავემშვიდობე და ჩემს ნომერში რატომ არ ავედი – არ ვიცი. გული გადამიშალა: ქმართან ურთიერთობა არ გამომდის, ძალიან მიჭირს, მუდმივად სტრესში ვარ და, მეშინია, დეპრესია არ ავიკიდოო. ასეთი გარეგნობის ქალს ყურადღებას საერთოდ არ მაქცევს, თითქოს არც ვარსებობდე. საკუთარი თავის მიმართ კრიტიკული გამხადა და დამაკომპლექსა. არადა, შინაგანად ისეთი ადამიანი ვარ, მოფერება მჭირდება, ალერსისა და სითბოს მოთხოვნილება მაქვს. შეიძლება, გამამტყუნოთ, მაგრამ, მამაკაცების მხრიდან ყურადღებას რომ არ ვგრძნობდე, მოვკვდებოდიო. მეც, როგორც ჩანს, უნებისყოფო კაცი აღმოვჩნდი. ვერ გავუძელი ცდუნება იყო თუ რაც იყო და ჩავიხუტე. საერთოდ არ ვიფიქრე იმაზე, რომ ჩემს ცოლსაც შეეძლო, ზუსტად იგივე ეთქვა ჩემზე.

**– შესაშური გულახდილობაა.**

– ოღონდ, დაგვიანებული – ხომ ამის თქმა გინდოდათ? მართალი ბრძანდებით, მაგრამ, ახლა რაღა ეშველება ამას? იმასაც ვაანალიზებ, რომ სხვა დროს და სხვა შემთხვევაში, ფაქტობრივად უცნობი ქალის, ამ ტიპის აღიარებას, მით უმეტეს – გათხოვილის, მინიმუმ, უნდა გავეოცებინე მაინც – მე ხომ სრულიად უცხო ვიყავი მისთვის! წარმოიდგინეთ, აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს „აღიარება“ „შებმის“ ერთგვარი ფორმა იქნებოდა.

**– იმის თქმა გინდათ, რომ იმან „შეგაბათ“?**

– ასეა. ქალებს – თქვენს მკითხველებს

# როგორ დაკარგეს ერთმანეთი ტყუპმა დებმა და რა გაარკვია ტყუილით გაშვილებული ტყუპისცალის დამ

*49 წლის ნატა ვალერიანის ასული კანთელაძე ეძებს 48-50 წლის ნანას (სახელი სავარაუდოა, გვარი და მამის სახელი უცნობია).*

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ტყუპისცალ დას. ის ამჟამად დაახლოებით 48-50 წლის უნდა იყოს (გააჩნია, შეუცვალეს თუ არა მას ასაკი). ჩემი დის მხოლოდ სავარაუდო სახელი ვიცი – თუ არ ვცდები, მას ნანა უნდა ერქვას. დედაჩემმა 1963 წლის 18 მაისს, №3 სამშობიარო სახლში იმშობიარა, გაუჩნდა 7-თვიანი ტყუპები. მას უთხრეს, რომ ერთ-ერთი ტყუპისცალი გარდაიცვალა, მაგრამ ბავშვის ცხედარი დედას არ უნახავს. სამი წელია, რაც გავიგე, რომ ჩემი ტყუპისცალი ცოცხალია და მას შემდეგ მოსვენება დავკარგე, ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ მის მოძებნაში.

**ჟურნალისტის შენიშვნა**: ქალბატონმა ნატამ ძალიან მცირედი იცის თავის დაკარგულ ტყუპისცალზე. ამ ისტორიის გასარკვევად ერთ-ერთი ხელმოსაჭიდი და იმედის მომცემი ნატას ფოტოა. ვთხოვ ჩვენს მკითხველს, დააკვირდეს ფოტოსურათს – დაკარგული ტყუპისცალი ძალიან ჰგავს თავის დას. ტერიტორიულად კი ის ნახეს დოლიძისა და ნიკოლაძის ქუჩებზე, ასევე, ვერაზე, ერთხელ კი – ორთაჭალაში, ტაძართან.

**– ქალბატონო ნატა, ძალიან საინტერესო ისტორია გაქვთ. დაწვრილებით გვიამბეთ, რა მოხდა 1963 წელს №3 სამშობიარო სახლში, რა არის თქვენთვის ცნობილი?**

– 1963 წლის 18 მაისს დედაჩემმა, მერი ცქვიტინიძემ, იმშობიარა კობის ქუჩაზე მდებარე №3 სამშობიარო სახლში. მას გაუჩნდა ტყუპი გოგონები (ერთ-ერთი მათგანი მე ვარ). მე 900 გრამი დავიბადე, ჩემი ტყუპისცალი კი 1 კილოგრამი და 200 გრამი იყო. დედასთვის ეს იყო მეორე მშობიარობა – მე უფროსი ძმაც მყავს. სამშობიარო სახლში დედას უთხრეს, რომ ჩემი ტყუპისცალი გარდაიცვალა, მაგრამ, ბავშვის ცხედარი დედას არ უნახავს. გავიდა წლები. დედა გარდაიცვალა 1994 წელს, მამაჩემიც აღარაა ცოცხალი. მთელი ჩემი ცხოვრება, ყველა, ვინც კი მნახავს, სტუდენტობის დროიდანვე, მეუბნება ერთსა და იმავეს – რომ მნახეს ისეთ ადგილას, სადაც არ ვყოფილვარ... თავიდან ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, იმდენად დაუჯერებლად მიმაჩნდა ჩემი ტყუპისცალის არსებობა. თუმცა, ამაზე სულ ვოცნებობდი. დაახლოებით სამი წლის წინ შევედი ერთ-ერთ კაფეში, სადაც გაოცებულმა გამყიდველმა მკითხა: ნანა, გუშინ რატომ წახვედი ასე ადრე? მე ვერ მოვითმინე და ვუთხარი, რომ ნანა არ ვარ, მაგრამ, ის ქალი მიმტკიცებდა, ნანა ხარო. შემდეგ კი, ერთ-ერთ მაღაზიაში გამყიდველმა პრეტენზიით მითხრა: გუშინაც ეს ზედა ჩამომალებინეთ, მაგრამ, არ იყიდეთ და დღესაც ამას იზომავთო... ჩემმა უახლოესმა მეგობარმა კი დამირეკა და მითხრა, რომ ორშაბათს ორთაჭალაში, ერთ-ერთ ეკლესიასთან მნახა (სადაც იმ დღეს არ ვყოფილვარ), მეძახდა და მე კი ხმა არ გავეცი! ამ ყველაფრის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი ტყუპისცალი და ცოცხალია, რომ ჩემი ოჯახი მოატყუეს და ბავშვი გააშვილეს. ეს ამბავი მოვყევი ჩემს მამიდაშვილთან, რომელიც არქივში მუშაობს. მან, დახმარების მიზნით ამოიღო არქივიდან დედაჩემის მშობიარობის, ანუ ჩვენი დაბადების აქტის ჩანაწერი. იქ ეწერა, რომ დედას მხოლოდ მე და ჩემი უფროსი ძმა ვყავდით (ვგულისხმობ ცოცხალ შვილებს). ჩემს მეზობლად ცხოვრობდა ქალი (ამჟამად ის ცოცხალი აღარაა), რომელიც ესწრებოდა დედაჩემის მშობიარობას და იმ პერიოდში მუშაობდა მედდად №3 სამშობიარო სახლში. ის ქალი სულ მეუბნებოდა, რომ მან გადამარჩინა – ყოველთვის ამას მიმეორებდა. დროთა განმავლობაში მისი ამგვარი „დაყვედრება“ ნერვებზეც კი მოქმედებდა, მაგრამ, შემდგომ დავფიქრდი: როგორ გადამარჩენდა, როცა სამშობიარო სახლში ინკუბატორიც კი არ იყო და მე (როგორც 7-თვიანი) სულ სხვა სამშობიარო სახლში გადამიყვანეს?!



**– ანუ, ვისაც ჩვენ ვეძებთ, ის გაჭრილი ვაშლივით გგავთ თქვენ?**

– დიახ, როგორც ჩანს, ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს და მინდა მივმართო ყველა მკითხველს: თუკი ვინმეს გეცნობათ ჩემი ფოტო, თუნდაც სხვა სახელითა და გვარით, დაგვიკავშირდით ან წააკითხეთ იმ ადამიანებს ეს ისტორია. ძალიან მინდა, ვიპოვო ჩემი დაკარგული და.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

ვგულისხმობ, – საშინელი წარმოდგენა შეექმნებათ ჩემზე.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ უსაფუძვლოდ?**

– ალბათ არა, მაგრამ, ძირითადად, ქალები გადმოდიან შეტევაზე, მამაკაცები კი ვნებდებით. მეც დავნებდი. გული თითქოს გამიდნა და მთელ სხეულში ჟრუანტელმა დამიარა. ეს ისეთი სასიამოვნო იყო, რომ ვერ გავუმკლავდი; უარი ვერ ვუთხარი საკუთარ თავს, რომელიც დანებებას მთხოვდა.

**– ამით იმას ამტკიცებთ, რომ მამაკაცები უნებისყოფო არსებები არიან.**

**შენ ხომ კრიზისი გაქვს ცოლთან. იქნებ, ეს სწორედ ის არის, რასაც მეძებდიო, – ამ ტიპის ქალები სწრაფად ახდენენ შთაბეჭდილებას**

– ვუყურებდი მის ძალიან სექსუალურ, გრაციოზულ მოძრაობებს და ჩემს წარმოდგენაში ეროტიკული სურათები იხატებოდა. ფიქრებში უკვე გავხადე კიდეც... წარმოვიდგინე, როგორი ვნებიანი ღამე გვექნებოდა. ალერსი დავუწყე. ყველაფერში მომყვებოდა და, უცებ, თითქოს ცივი წყალი გადამასხეს: ჩემმა მეხსიერებამ ამოატივტივა ვნებიანი ღამე ჩემს საკუთარ ცოლთან. ისე ცხადად დავინახე მისი სიყვარულით ანთებული თვალები, ლამის გული გამიჩერდა და იქ დამთავრდა ყველაფერი – აღარ გამომივიდა ღალატი.

**– თქვენ ახლა სიმართლეს ამბობთ?**

– ტყუილი რაში მჭირდება? სურვილი იმ ქალის მიმართ ისევ მქონდა, მაგრამ, ინსტინქტებს უკვე გონებამ აჯობა. წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს კაცისთვის ასეთი სიტუაცია? უხერხულობას ვერ დავარქმევ იმას, რაც ვიგრძენი. არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა ამ ქალისთვის, მიბნედილი თვალებით რომ მიყურებდა. საერთოდაც, რა უნდა გამეკეთებინა? ბოლოს დიდი სისულელე ვთქვი: მაპატიე, ძალიან მაგარი ქალი ხარ, მაგრამ, მე ცოლი მყავს-მეთქი. შენ ყოჩაღო! – მითხრა, – მაგრამ, რაღაც სწორად ვერ გაიგე – მე მარტო ერთი ღამის ურთიერთობა მინდოდა და სექსი, ყოველგვარი გაგრძელებების გარეშე. მაგრამ, რადგან კომპლექსები გაქვს და ვერ ერევი ამ კომპლექსებს, ეს უკვე შენი პრობლემაა. ჩამოუყალიბებელი და დაკომპლექსებული ჩემი ქმარიც მეყოფა. რა საცოდავი არსებები ხართ ეს კაცები. ვნანობ, რომ შენზე დრო დავკარგეო. თავი უკანასკნელ იდიოტად ვიგრძენი. კიდევ რამდენიმე წუთი არ გავიდა ჩემი ნომრიდან და ისე მიყურებდა, როგორც არარაობას. მისთვის უფრო მარტივი აღმოჩნდა ეს ყველაფერი, ვიდრე ჩემთვის – ის უკვე მზად იყო ღალატისთვის. პრინციპში, ეს მისი საქმეა და რა მეთქმის, ყველამ საკუთარ საქციელზე უნდა ვაგოთ პასუხი. ალბათ, მეც უნდა ვაგო. მინდა, ჩემი და ჩემი ცოლის ურთიერთობა რადიკალურად შევცვალო, მაგრამ, ამისთვის გულახდილი საუბარია საჭირო, რისიც ძალიან მეშინია. თუ ამ ყველაფერს მოვუყვები, დარწმუნებული ვარ, ვერ გამიგებს. ადამიანები, მით უმეტეს – ქალები, ტყუილს უფრო მარტივად იჯერებენ ხოლმე.

**– იქნებ ცდებით? იქნებ გაგიგოთ? თუ გიყვარს, ღალატსაც პატიობ.**

– არა, მე პატიება ისე არ მინდა, როგორც ის, რომ დავაჯერო – მისთვის არ მიღალატია. თუმცა, შეიძლება თქვათ, რომ, სურვილი ღალატისა – უკვე ღალატია. ერთი სიტყვით, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ.

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**უკვე თერთმეტი წელია, გათხოვილი ვარ, სამი შვილიც მყავს. ბოლო დროს ჩემი ქმარი მუდმივად იგნორირებას მიკეთებს – ისე იქცევა, თითქოს არაფერს წარმოვადგენ და ცარიელი ადგილი ვარ. მოკლედ, საღამოს განმავლობაში ერთ სიტყვასაც არ მეტყვის. ვცადე, ურთიერთობა გამერკვია და გამლანძღა – თუ არ მოგწონვარ ან რამე არ გაწყობს, წადიო. გავოგნდი. როგორ მოვიქცე, ასე ადვილია დავანგრიო ოჯახი?!**

**გამოხმაურება:** სავარაუდოდ, თქვენს ურთიერთობაში ამ ეტაპზე კრიზისია, რაც, საერთოდ, განპირობებულია ხოლმე მთელი წყება სტრეს-ფაქტორებით. დაფიქრდით და გაიხსენეთ, ძირითადად რა თემებზე საუბრობდით ბოლოს ქმართან, რა მოთხოვნები გქონდათ მის მიმართ და ნახავთ, რომ პოზიტიური არაფერია – ძირითადად პრობლემები, პრეტენზიები, საყვედურები... მამაკაცები კი ამ ყველაფრისგან ძალიან იღლებიან და არჩევენ, ტელევიზორთან ან ვირტუალურ სამყაროსთან ჰქონდეთ ურთიერთობა, ვიდრე ცოლის უკმაყოფილო სახეს უყურონ ან მის რეპლიკებს უსმინონ. ოჯახი კი არ უნდა დაანგრიოთ, მის გაჯანსაღებაზე უნდა იზრუნოთ.

ფსიქოლოგი
**მაგდა რობაქიძე**

**ახალი წლის წინა დღეებში „მე-9 არხის“ გენერალურ დირექტორად დანიშნული ლუბა ელიაშვილი სასწაულის ძალით გადაურჩა ნეკნების დამტვრევას. სადღესასწაულოდ ოჯახის წევრებისთვის საჩუქრების თვალიერებით გართულმა, ღრმული ვერ შენიშნა, კიბეზე ჩავარდა და მაღაზიის სარდაფში ამოყო თავი. გვარიანად დაიბეჟა და ახალ წელს გვერდებდალურჯებული შეხვდა. მიუხედავად ამისა, ჩვეულ რეჟიმში მუშაობა არ შეუწყვეტია. „თბილისელებს“ „მე-9 არხის“ გენერალური დირექტორი, ლუბა ელიაშვილი ესაუბრა.**

# რამ გადააწყვეტინა ლუბა ელიაშვილის შვილს 4 წლის ასაკში ხორცის ჭამისთვის თავის დანებება, ვინ შეუქმნა საფრთხე მის ოჯახს და როგორ გადაურჩა ის ნეკნების დამტვრევას

**– შეძლეით ტელეკომპანიაში შექმნილ სიტუაციაში ბოლომდე გარკვევა და ყველა პრობლემასთან გამკლავება?**

– თანდათან ყველაფერი ლაგდება. ვფიქრობ, ძალიან ცოტა დარჩა იმისთვის, რომ ეს „მატარებელი“ ბორბლებზე გაგორდეს. ჩემი მიზანია, ეთერი მთლიანად ორიგინალური გადაცემებით გაივსოს და გამეორებები ძალიან ცოტა იყოს – მხოლოდ მაშინ, თუ რომელიმე კონკრეტული გადაცემა მაყურებლის განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს. სხვა შემთხვევაში, გამეორება არ უნდა იყოს.

**– ნებისმიერი ტელეკომპანიის სრულფასოვნად ფუნქციონირებისთვის ძალიან დიდი შრომაა საჭირო, რასაც უამრავი დრო მიაქვს. ოჯახში ამას როგორ შეხვდნენ?**

– პარლამენტის ქუთაისში გადატანის შესახებ სააკაშვილის გადაწყვეტილებამ ოჯახი კინაღამ სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დამიყენა ***(იცინის).*** ისეთი ინტენსივობით ურთიერთობას ველარ ვახერხებთ, როგორც ჩვენ გვინდა. გარდა ამისა, პარლამენტის ქუთაისში გადატანამ პრობლემა შემიქმნა როგორც ტელევიზიის დირექტორს. მოგეხსენებათ: ტელევიზიისთვის ყველაზე კარგი და სწორი ისაა, როცა რესპონდენტებს პირდაპირ ეთერში, სტუდიაში იწვევ. არადა, ამას, ფაქტობრივად, ველარ ვახერხებთ და რესპონდენტებთან, ძირითადად, ჩართვებით ვურთიერთობთ. ეს ძალიან ცუდია. ქუთაისის საპარლამენტო ქალაქად ქცევის შესახებ პრეზიდენტის იდეამ ოჯახშიც შემიქმნა პრობლემა: როცა სასესიო კვირაა, შალვა მუდმივად ქუთაისშია; არასასესიო კვირას კი, იმიტომ უწევს დარჩენა, რომ აპარატთან ურთიერთობაა საჭირო... მოკლედ, ოჯახის წევრები, ფაქტობრივად, ერთმანეთს ვერ ვხედავთ. ცხადია, ეს პრობლემაა.



ცოლად მოყვანაზე მართლა დიდხანს ფიქრობდა. საბოლოოდ, დაოჯახების გადაწყვეტილება ომმა მიაღებინა

**– შვილები თუ ახერხებენ მშობლების ნახვას? აქამდე მხოლოდ მამას ვერ ხედავდნენ, თქვენი ახალი თანამდებობის გამო კი, ალბათ, ველარც თქვენ გნახულობენ?**

– ბიჭი 25 წლისაა, დიდია და მისთვის ეს ნაკლებად პრობლემურია – ურჩევნია, დამოუკიდებელი იყოს. თუმცა, როცა საშუალება აქვს, შემოგვირბენს ხოლმე სანახავად. აი, გოგონა კი 12 წლისაა და სულ წუწუნებს. არჩევნებამდე როცა წუწუნებდა, იმით ვამშვიდებდი, რომ არჩევნები ჩაივლიდა და ამდენი საქმე აღარ იქნებოდა – უფრო ხშირად ვნახავდით ერთმანეთს. არჩევნებმა ჩაიარა, სიმართლემ გაიმარჯვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დრო ისევ არ მაქვს...

**– მეუღლე რას ამბობს ოჯახში შექმნილი ურთიერთობების დეფიციტის შესახებ?**

– რასაკვირველია, ამის გამო თვითონაც წუხს. თან, ამას ისიც ემატება, რომ ბოლო დროს შფოთიანი გავხდი. ეტყობა, ასაკის ბრალია – უფრო სერიოზულად ვიაზრებ ყველაფერს. ასაკთან ერთად უკეთ გავაცნობიერე, რომ ადამიანი ერთი წუთია... წამი და... ყველა შენი გეგმა, იმედი, ყველაფერი შეიძლება, დასრულდეს. ამიტომაც გავხდი შფოთიანი. დღეს ბევრად უფრო ვაფასებ ჩემთვის ძვირფას ადამიანებთან ურთიერთობის თითოეულ წუთს. თუმცა, მეორე მხრივ, შემიძლია, ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ, რადგან ამ ტელევიზიაში მუშაობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ თანამშრომლებთან ურთიერთობის დალაგება შევძელი – მათთანაც კი, ვისაც ჩემ შესახებ, გარკვეული კუთხით, სრულიად არასწორი წარმოდგენა ჰქონდა შექმნილი.

**– ისე გეტყობათ კიდეც, რომ სამსახური სიამოვნებას განიჭებთ...**

– ჰო, შეიძლება, ეს განწყობა მართლაც მეტყობა გარეგნულად. ჩინელებს აქვთ ნათქვამი, რომ ისინი მუშაობენ კარგად, რადგან, სამსახური მათთვის მხოლოდ დასაქმება არ არის – ისინი ამით სიამოვნებას იღებენ. ყოველთვის, როცა საქმეს ვაკეთებ, ამით სიამოვნებას ვიღებ. ასე იყო ყველგან, სადაც მიმუშავია. როცა სამსახური მოსაწყენი ხდება, იქიდან მივდივარ.

**– თქვენი მეუღლის, როგორც პოლიტიკოსის და ადვოკატის ტელეგამოსვლებისას ჩანს, რომ საქმეში ის ყოველთვის მობილიზებული და პრინციპულია... თუმცა, იმავდროულად, ჩვეულებრივ, ადამიანურ ურთიერთობებში ბატონი შალვა ძალიან მორიდებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომ მგონია, რომ სერიოზული ნაბიჯის გადასადგმელად მას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებოდა. ასეა?**

– მართლაც, ძალიან დიდი დრო დასჭირდა. პოლიტიკოსისგან უცნაურია, მაგრამ შალვას ძალიან არ უყვარს ტელეგამოსვლები. ჩემი კოლეგები რომ იწვევენ მას ამა თუ იმ ეთერში, ხშირად უარს ამბობს და ისე ხშირადაც, რომ ხანდახან ვბრაზდები. ტელეეთერზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდება, თუ ძალიან კარგად იცის თემა და განსახილველ საკითხში თავს კომპეტენტურად გრძნობს. მხოლოდ იმიტომ, რომ ფიარის გამო პოლიტიკოსისთვის ეთერში ხშირად გამოჩენა აუცილებელია, ტელეგამოსვლაზე არ დასთანხმდება. საოცარია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამომრჩეველს ეს მოსწონს – ამომრჩეველთა ხმების იმ რაოდენობას ვგულისხმობ, რომელიც მან ვაკეში მიიღო.

**როცა სამსახური მოსაწყენი ხდება, იქიდან მივდივარ**

**– რაც შეეხება თქვენი ურთიერთობების დასაწყისს...**

– საკმაოდ მალე დავმეგობრდით და ერთმანეთის მეგობრები, ანუ შეყვარებულები გავხდით. ცოლად მოყვანაზე კი, სწორად მიხვდით, მართლა დიდხანს ფიქრობდა. საბოლოოდ, დაოჯახების გადაწყვეტილება ომმა მიაღებინა. აფხაზეთის ომში იყო და იქ უცებ მიხვდა, რომ ხელი უნდა მოგვეწერა. ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს შალვამ მითხრა, მოდი, ხელი მოვაწეროთო. ახლოზელი მუშაობდა საბურთალოს რაიონის მმაჩის ბიუროში და მისი დახმარებით ლოდინი არ მოგვიწია – მაშინ ხელის მოწერას ორი თვე უნდა დალოდებოდი, მაგრამ ჩვენ უცებ მოგვაწერინეს. შალვამ რომ მითხრა, დავურეკე ჩემს ბავშვობის მეგობარს – ია შენგელიას და მეჯვარეობა ვთხოვე. მოკლედ, გამოვიდა, რომ დაოჯახებამდე მეგობრობიდან მივედით. ამიტომაც იყო, რომ კარგა ხნის განმავლობაში, როცა ჩემს ვაჟს ეკითხებოდნენ: შენი დედა და მამა ვინ არიანო, ერთმანეთის მეგობრებიო, – პასუხობდა.

**– ისე, მიიჩნევა, რომ მეგობრობა ძალიან კარგი საფუძველია ცოლქმრობისთვის...**

– კი, ჩვენს შემთხვევაში ასე აღმოჩნდა. ბევრ რამეში სხვადასხვანაირები ვართ, მაგრამ ღირებულებებით ერთმანეთს ვგავართ. მე და შალვა ადამიანებში ერთი და იმავე თვისებებს ვაფასებთ და ერთი და იგივე მოგვწონს.

**– თქვენი ურთიერთობა ისეთ პერიოდში დაწყებულა, რომ კლასიკური „ლავ სთორი“ თავისი პაემნებით, სეირნობით, ყვავილებითა და მთვარით, ალბათ, ვერ გექნებოდათ?**

– როგორ არა, როგორ არა! ყვავილებიც იყო, პაემნებიც და ვარდებიც. მე და შალვა ერთად ვმუშაობდით. ერთმანეთი ჯერ კიდევ 1984 წელს გავიცანით. მოსკოვშიც ერთად ვიყავით ასპირანტურაში... ორივე დიდი ხნის განმავლობაში ვიღებდით ამ გადაწყვეტილებას. თუმცა, შალვა როგორც კი გავიცანი, მაშინვე მივხვდი, რომ სიამოვნებით ვიქნებოდი მის გვერდით ცხოვრების ბოლომდე. მთლად პირველივე შეხვედრისას არა, მაგრამ სადღაც თვე – თვე-ნახევარში, ეს უკვე ვიცოდი. ლაღი იყო, თან ვაჟკაცური. იუმორის გრძნობაც აქვს; პოეზიას, ლიტერატურას იცნობს და აფასებს. თან, ისეთი ქცევებიც ჰქონდა, როგორიც, ჩემი აზრით, მამაკაცს უნდა ჰქონდეს. ასე რომ... კი, მე მართლა მალე მივხვდი, რომ შალვა ის ადამიანი იყო, ვისთანაც მთელი ცხოვრების გატარება მინდოდა.

**– ბავშვების ცხოვრებაში ერევით?**

– ძალიან ნაკლებად. თითქმის არაფერს ვუკრძალავ, თუმცა, რჩევებს კი ვაძლევ ხოლმე. მაგალითად, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, გიორგის ტატუს გაკეთების იდეა გაუჩნდა. პასუხად, უზარმაზარი იგავი მოვუყევი. კასტანედა მოვიშველიე... „მეომრის გზა“ და ასე შემდეგ. შედეგად, ტატუ თვითონვე აღარ მოუნდა. არ ამიკრძალავს, თვითონვე გადაიფიქრა და ამით დღეს ძალიან ბედნიერია. როგორც თვითონ ამბობს, არც ტატუ აქვს და არც „იგუგლება“. ეს ძალიან მოსწონს. ქალიშვილთან ვმეგობრობ – ანგარიშს ვუწევ მის დამოკიდებულებას ცხოვრების მიმართ. მაგალითად, 4 წლის იყო, როცა უარი თქვა ხორცის ჭამაზე. არადა, ჩვენ ვჭამთ ხორცს. 4 წლის ბავშვმა გამოგვიცხადა, რომ არ შეუძლია ჭამოს ის, რაც ცოცხალი იყო. 7 წლამდე ვებრძოლე მის ამ განწყობას, ვცდილობდი, ხორცი მეჭმია. ბოლოს, 7 წლისამ მკითხა: შენ ჩემი ხათრით ადამიანის ხორცს შეჭამო? ამის შემდეგ თავი დავანებე და ხორცი აღარ დამიძალებია.

**მანანა აბაშიძე**

# რომელი ლეგენდა უკავშირდება ალექსანდრე მელიქ-აზარიანცის „შემოსავლიანი სახლის" მშენებლობას და რომელი ცნობილი რევოლუციონერის სიცოცხლე დასრულდა ვერის დაღმართზე

*მეტროსადგურ „რუსთაველის" მიმდებარე ტერიტორია მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე თბილისის უმნიშვნელოვანეს ადგილად ითვლებოდა, რადგან აქ იყო რამდენიმე ქუჩის გზაჯვარედინი. ამ ტერიტორიაზე იყო გახსნილი ცნობილი ზემელის აფთიაქი, მელიქ-აზარიანცის „შემოსავლიანი სახლი" და იწყებოდა ვერის დაღმართი, რომელსაც რამდენიმე ისტორია უკავშირდება. ძველი ფოტოების დახმარებით შევეცდებით, გავაცოცხლოთ იმდროინდელი თბილისის ისტორია.*

## მელიქ-აზარიანცის „შემოსავლიანი სახლი"



ალექსანდრე მელიქ-აზარიანცი

სომეხი მეცენატი ალექსანდრე მელიქ-აზარიანცი იმ დროის ჭეშმარიტი კაპიტალისტი იყო: პირველი გილდიის ვაჭარს წილები ჰქონდა სპილენძისა და ნავთობის საბადოებში. მას ეკუთვნოდა თბილისის პირველი სატელეფონო ქსელი და მისი იყო ყველაზე ცნობილი „შემოსავლიანი სახლი" ოლგას ქუჩაზე – ამჟამინდელ რუსთაველის გამზირზე მდებარე თბილისის გამორჩეული არქიტექტურული ნაგებობა. სახლის აგებას საკმაოდ ტრაგიკული ისტორია უკავშირდება: 1904 წელს, 25 წლის ასაკში გარდაიცვალა ალექსანდრე მელიქ-აზარიანცის ერთადერთი ქალიშვილი და სწორედ მის ხსოვნას მიუძღვნა პირველი გილდიის ვაჭარმა „შემოსავლიანი სახლის" აშენება. სახლი 1912-1915 წლებში აშენდა პეტერბურგელი არქიტექტორის – ნიკოლოზ ობოლონსკის პროექტით. მშენებლობის დროს გამოიყენებოდა სპეციალური დამწვარი აგური, რადგან მშენებლობის ადგილი რთულ რელიეფს მიეკუთვნებოდა და ხე-



მელიქ-აზარიანცის სახლის თანამედროვე ხედი

ვთან ახლოს იყო. მშენებლობის დროს გრუნტის წყლების პრობლემა არსებობდა და მაშინ პირველად კავკასიაში გამოიყენეს უნიკალური მეთოდი – ფუნდამენტი კალის კარკასში მოაქციეს. 4-5-სართულიან შენობას, გავრცელებული ცნობის თანახმად, დამატებით ოთხსართულიანი სარდაფი ჰქონდა. გიგანტური შენობა, რომელსაც მთელი კვარტალი ეკავა, ულტრათანამედროვედ დაპროექტებულ ათეულობით ბინაზე იყო გათვლილი. სახლს გააჩნდა საკუთარი წყალმომარაგება (იმ დროის თბილისში წყალსადენი მოქმედებდა, თუმცა, სამზარეულომდე და სააბაზანომდე მიყვანილი წყალი თბილისელებისთვის ეგზოტიკას წარმოადგენდა), ცენტრალური გათბობა, საკუთარი სატელეფონო სადგური, კინოთეატრი, ფოტოსალონი, ბავშვთა პანსიონი, სამხატვრო გალერეა, ეგზოტიკური მცენარეებითა და შადრევნით გაშენებული ეზო. ცალკე აღნიშვნის ღირსია სახლის გარე ფასადი, რომელიც ნათლად გამოხატავს, რომ მელიქ-აზარიანცმა სახლი შვილის ხსოვნას მიუძღვნა. სახლის ფასადზე სამგლოვიარო გვირგვინები და ლენტებია გამოსახული, ხოლო კუთხის ფანჯრებს ცრემლის ფორმა აქვს. შენობის ერკერები განსხვავებული ფორმისაა, ასევე განსხვავებულია ბარელიეფები. საინტერესო ლეგენდა უკავშირდება სახლის მშენებლობას: აგების პროცესში მელიქ-აზარიანცს წყალი შეუწყვიტა ქალაქის მთავრობამ და მხოლოდ გაძვირებული ტარიფით შეჰპირდა მიწოდების აღდგენას, მაგრამ, მელიქ-აზარიანცმა ჭკუა იხმარა და წყლის ნაცვლად მშენებლობაში ღვინის გამოყენება დაიწყო, რომელიც იმ დროისთვის წყალზე იაფი ღირდა. ამგვარად, ლეგენდის თანახმად, მელიქ-აზარიანცის „შემოსავლიანი სახლი" ნახევრად წყალზე და ნახევრად ღვინითაა აშენებული. თავად მელიქ-აზარიანცი ტრაგიკული ბედის აღმოჩნდა: საქართველოს გასაბჭოების შემდგომ, მას ჩამოართვეს მთელი ქონება, მათ შორის „შემოსავლიანი სახლიც", რომლის სარდაფში ერთი ოთახი გამოუყვეს საცხოვრებლად. მეცენატი იქვე გარდაიცვალა სიღარიბეში და მისი დაკრძალვისთვის საჭირო თანხები მეზობლებმა შეკრიბეს.



მელიქ-აზარიანცის „შემოსავლიანი სახლი" (1920-იანი წლები)

1960-1970-იან წლებში საბჭოთა მთავრობას რამდენჯერმე ჰქონდა მცდელობა, რუსთაველის გამზირისა და რესპუბლიკის მოედნის გაფართოების მიზნით, დაენგრია მელიქ-აზარიანცის სახლი, თუმცა, სახლის ფუნდამენტის, რთული კონსტრუქციისა და მშენებლობის დროს გამოყენებული ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ეს იდეა აღარ განახორციელეს. ამჟამად შენობაში რამდენიმე მოსახლე ცხოვრობს, ნაწილი კი სხვადასხვა ორგანიზაციას უკავია.



მელიქ-აზარიანცის სახლის ხედი რუსთაველის გამზირიდან

## ზემელის აფთიაქი

რუსთაველის გამზირისა და ვერის დაღმართის კუთხეს დღემდე „ზემელად" მოიხსენიებენ და, ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, თუ ვინ იყო ზემელი. ევგენი ზემელი აფთიაქარი და ჰომეოპათიური აფთიაქის მფლობელი გახლდათ. აფთიაქი ოლგას ქუჩისა და ვერის დაღმართის კუთხეში მდებარეობდა. არსებობს მცდარი ვერსია, რომ თითქოს ეს აფთიაქი მელიქ-აზარიანცის „შემოსავლიანი სახლის" პირველ სართულზე იყო განთავსებული. მეცხრამეტე საუკუნის თბილისში საააფთიაქო ბიზნესით ძირითადად გერმანელები იყვნენ დაკავებული: ევგენი ზემელი, ფერდინანდ ოტენი, ფლორა შენბერგი, ფრიც გლეზერი, ენგელბრეჰტ შენგარდი და სხვები. ზემელსა და ოტენს სამი აფთიაქი ეკუთვნოდათ, სულ კი 1912 წლისთვის თბილისში 23 აფთიაქი და 30 საააფთიაქო მაღაზია ფუნქციონირებდა. ცნობილი ფაქტია, რომ ზემელი ფულს უხდიდა ტრამვაის ვატმანებს, რათა გაჩერებისას მათ ხმამაღლა დაეძახათ: „ზემელის აფთიაქი!" მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით, ზემელის აფთიაქი დაანგრიეს, თუმცა სახელი „ზემელი" ამ ადგილს დღემდე შემორჩა.

## ვერის დაღმართი

დაღმართს ამჟამად ოფიციალურად მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა ეწოდება, საბჭოთა დროს ის არკადი ელბაქიძის სახელს ატარებდა, ხოლო უფრო ადრე – ვერის დაღმართი ერქვა. ვერის დაღმართს ელბაქიძის სახელი 1923 წელს ეწოდა. არკადი ელბაქიძე რევოლუციონერი, ბოლშევიკი და კომუნისტური პარტიის წევრი იყო. მის სახელს არაერთი ტერორისტული აქტი და აჯანყება უკავშირდება, თუმცა, მან სახელი გენერალ ბარათოვის – საქართველოში დენიკინის წარმომადგენლის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტით

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**ადამიანების უმეტესობას ყველაზე მეტად საკუთარი თავის განსჯა გვიჭირს, სამაგიეროდ, სხვებს ადვილად განვსჯით. საკუთარი თავის არგანსჯა ხშირად არასწორი გადაწყვეტილებისა და შეცდომების მიზეზიც ხდება, რაც ხშირად განსაცდელში გვაგდებს. სულიერი განსჯის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი (თევდორაშვილი):**

# რატომ უშვებს ღმერთი ჩვენზე განსაცდელებს და როდის შეიძლება დაღუპოს ადამიანი სიკეთემ



**უხვმა ღვინომ და პურმა ხალხი ჩააგდო ვნებაში, ცოდვაში და იმდენად გაირყვნა ეს ხალხი, რომ დაიწყეს სოდომ-გომორული ცოდვები: მამათმავლობა, გარყვნილება და ყოველი სიბილწე**

– როდესაც მაცხოვარს ეკითხებიან, რომელი მცნებაა ყველაზე დიდი, ის პასუხობს: პირველი მცნება ეს არის: გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა, გონებითა და ნებითა და მსგავსი ამისი – გიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი. დაახლოებით ამ კითხვის მსგავსი კითხვა დაუსვა მეოთხე საუკუნეში ანტონი დიდმა, რომელმაც მეუდაბნოეობას, მონაზვნობას დაუდო სათავე, სულიერ მეგობრებს, რომლებთან ერთადაც მოღვაწეობდა უდაბნოში, ჰკითხა: ადამიანის სულიერი ზრდისთვის, რომ მან დააღწიოს თავი ეშმაკის მანქანებას, რა არის მთავარიო. ზოგმა მამამ დაასახელა: ჭეშმარიტი, მხურვალე სარწმუნოება, ზოგმა – სიყვარული, მოსაგრეობა, სიკეთე, ღვაწლი, მდუმარე ლოცვა, მარხვა, ღამისთევა და ასე შემდეგ. ანტონი დიდმა უპასუხა: ეს ყველაფერი კარგია, მნიშვნელოვანია, მაგრამ, მთავარი არის სულიერი აზროვნება, სულიერი განსჯა.

**– რა იგულისხმება ამაში?**

– როგორც ანტონი დიდი ამბობს: შეიძლება, შენ გქონდეს სარწმუნოება, მაგრამ, სულიერად თუ კარგად არ გაიაზრებ, შესაძლოა, შენი სარწმუნოება არ იყოს ისეთი, როგორიც უფალს სურს. შეიძლება, გქონდეს სიყვარული, მაგრამ, ეს სიყვარული იყოს მშვინვიერი, დროებითი, ადამიანური, საეშმაკო და არ იყოს მაცხოვნებელი. შეიძლება, იყო მარხვაზე, მაგრამ, შენმა მარხვამ ნაყოფი არ გამოიღოს, დაშორდე ღმერთს და ჩავარდე ამპარტავნებაში. აი, რას ამბობს დავით მეფსალმუნე 90-ე ფსალმუნში: „რომ დაეცნენ მარცხენითა შენითა ათასეული, ხოლო ბევრეული მარჯვენითა შენითა“, ანუ, შედარებით მცირე, ათასი ადამიანი დაეცემა, ვინც განშორებულია უფალს, ხოლო „ბევრეული“ ძველქართულად ნიშნავს 10 ათასს, ანუ, ათჯერ მეტი დაეცემა მარჯვენით შენსა, ვინც მართლმადიდებელია, საკუთარი თავი ჰგონია მორწმუნე, სიყვარული გააჩნია, ლოცულობს, მარხულობს – ისინი უფრო მეტი დაეცემიან, რადგან, არ ექნებათ სულიერი განსჯის უნარი. ეს რომ ასეა, მაშინვე დარწმუნდებით, როგორც კი ღმერთი თქვენს თავზე დაუშვებს განსაცდელს. 118-ე ფსალმუნის 105-ე მუხლში წერია: „სანთელ არს ფერხთა ჩემთა შჯული შენი და ნათელ – „ალაგთა ჩემთა“. „ფერხთა ჩემთა“ – ეს არის მოღვაწეობა, ალაგთა ჩემთა – ეს არის ეკლესიური, ღვთაებრივი მოღვაწეობა, ხოლო „ნათელ“ – ეს არის ნათელი, სწორი აზროვნება. ანუ, ჩემი მოღვაწეობა, ჩემი ალაგი, ჩემი სჯული იყოს ნათელი ჩემს გონებაში, არა ფარისევლური, არამედ ისეთი, როგორც დავით მეფსალმუნე ბრძანებს: უფალო, შეამოწმე ბილიკები ჩემი. ნახეთ, რომ შიშვლები არ აღმოჩნდეთ ისინი, ვისაც თავი შემოსილები გგონიათ. ძალიან საინტერესოა 48-ე ფსალმუნის მეცამეტე მუხლი: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმაჰყო, მიემსგავსა პირუტყვთა უგუნურთა“. ეს სიტყვები კარგად მიესადაგება ებრაელ ერს და მათ შემდეგ ქართველ ერს და კიდევ იმ ერს, ვისაც საკუთარი თავი გამორჩეული ჰგონია, ამაყობენ თავიანთი ბუნებით, ქვეყნით, ინტელექტით, გარეგნობით და ასე შემდეგ. ეს სიტყვები პირდაპირ შეიძლება ითქვას სოდომ-გომორელებზე, რადგან, წერია, რომ ისრაელში ყველაზე კარგი ადგილი იყო სოდომი და გომორი, სადაც უხვად მოდიოდა პური და ღვინო (ძალიან ჰგავს საქართველოს). უხვმა ღვინომ და პურმა ხალხი ჩააგდო ვნებაში, ცოდვაში და იმდენად გაირყვნა ეს ხალხი, რომ დაიწყეს სოდომ-გომორული ცოდვები: მამათმავლობა, გარყვნილება და ყოველი სიბილწე. რა თქმა უნდა, იგივე შეიძლება ითქვას ჩვენზე – პატივსა შინა ვართ და ეს ქვეყანა არსებობს 3 000-ზე მეტი წელია, 2 000 წელი კი – ქრისტიანები ვართ. სამწუხაროდ, ამ პატივს ვერ ვხედავთ და ვართ უგუნურ მდგომარეობაში. ასევე, მინდა, ახალი აღთქმიდან შეგახსენოთ პავლე მოციქულის ეპისტოლე ეფესელთა მიმართ (მეოთხე თავის 26-ე მუხლი): „მზე ნუ დავალ განრისხებასა თქვენსა“. ანუ, როდესაც განრისხდებით, გაბრაზდებით, სანამ მზე ჩავა, დაღამდება, მანამდე დამშვიდდით, შეურიგდით და სულიერი განსჯით დაიმშვიდეთ სულიერი ცნობიერება, განწყობა, რადგან, არავინ იცის, ის დღე დაღამდება თუ არა და როგორი იქნება შემდეგი დღეები. ამიტომ, განსჯის უნარი უნდა აამოქმედოთ და მიხვდებით, რომ შორს ხართ სულიერი სარწმუნოებისგან. გაბრაზებს შენი ცოლი? – მიხვდი, რომ გარკვეულწილად ეს შენი ბრალიც არის. არ ლოცულობ კარგად, ღმერთს აბრაზებ და შენ გაბრაზებენ შენი ცოლი და შვილი. შენი

**შეიძლება იყო მარხვაზე, მაგრამ, შენმა მარხვამ ნაყოფი არ გამოიღოს, დაშორდე ღმერთს და ჩავარდე ამპარტავნებაში**

ქმარი ცუდად იქცევა, სვამს, ჩხუბობს, არის სევდიანი? – დაფიქრდი; ცოლო: შეიძლება, შენ არ ექცევი სწორად, თბილად, არ გაგაჩნია სიყვარული, არ ფიქრობ მასზე, მხოლოდ ეჩხუბები, სწყევლი, პრეტენზიებს უყენებ. არ გემორჩილება შვილი? – თავადაც არ იყავი მორჩილებაში, შენი შვილი გაიზარდა კერპთმსახურებაში და მან მოგთხოვა მსხვერპლის შეწირვა. აღმოჩნდი საპყრობილეში? – მიხვდი, რომ ეს შენი ცოდვების გამო მოხდა. დასნეულდი? – მიხვდი, რომ ეს შენი არასწორი ცხოვრების დამსახურებაა. მაგრამ, ამ შემთხვევაში ტირილი და გოდება კი არ უნდა დაიწყოთ, არამედ, უნდა დაძაბოთ გონება და სახარებიდან გაიხსენოთ ის პერსონაჟები, რომლებმაც რწმენით, ცხოვრებით, უფლის შემწეობით გადაირჩინეს თავი. მაცხოვარი ეკითხება ყველას: გწამს, რომ მე შენი გადარჩენა, შველა შემიძლია? დიახ, მწამს – ჰოდა ეს რწმენა არის სწორი ნაყოფი განსჯისა, რაც ყველა ადამიანს უნდა გააჩნდეს.

**– დღეს ადამიანებს ყველაზე მეტად სწორედ საკუთარი თავის განსჯა არ შეუძლიათ. ძირითად შემთხვევებში, სხვებს განსჯიან და საკუთარ თავს პატარა რამეშიც არ ადანაშაულებენ.**

– ზოგჯერ, როდესაც უფალი ადამიანს პატარა განსაცდელს მოუვლენს, ის, სამწუხაროდ, კარგავს საკუთარი თავის განსჯის უნარს და ცდილობს, თავის მსგავს ადამიანს სთხოვოს დახმარება. ავიწყდება ღმერთის სიტყვები: მე ვარ ნათელი სოფლისა, მე ვარ ძალა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, მე ვკლავ, ვწყლავ, მე ვშობ და მოვუვლენ ადამიანს გარდაცვალებას. ეს არის დოგმა: უნდა ვიცოდეთ, რომ უფლის ნებით ვიბადებით და უფლის ნებით გარდავიცვლებით; უფლის ნებით ვსნეულდებით და უფლის ნებით ვიკურნებით. ამიტომ, უნდა დაუფიქრდეთ და გაარკვიოთ, რატომ დაუშვა ღმერთმა თქვენს თავზე ასეთი განსაცდელი. ზოგი იმდენად მძიმე სნეულებაში, განსაცდელშია, ჩვენც გვიჭირს პასუხის გაცემა, მაგრამ, ასეთ ადამიანებს ვეუბნებით: ცოტა კიდევ მოითმინე და ღმერთი დაგანახვებს, რატომ ხარ ასეთ მდგომარეობაში. ღმერთის ნების გარეშე არაფერი ხდება, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ უნდა დაბრკოლდეთ, იმედი დაკარგოთ. ამიტომ, სანამ საუბარს დაიწყებთ ან რამის აღსრულებას დააპირებთ, სიკეთეც რომ იყოს, დაფიქრდით, სულიერი განსჯით მოიფიქრეთ, რადგან, შეიძლება, ამ სიკეთემ ადამიანი დაღუპოს, იმიტომ რომ, თუ ყველა ქმედებას წინ არ უძღვის სულიერი განსჯა, ეს, შეიძლება, ძალიან ცუდად დამთავრდეს. დაუფიქრებელი ქმედება დამღუპველია. აი, რა წერია ძველ აღთქმაში, „იგავთა“ მე-11 თავის მე-14 მუხლში: „რომელთა არა აქუნდეს განკარგვა, დაცვივდეს, ვითარცა ფურცელი“. ანუ, ადამიანს, რომელსაც არ გააჩნია სულიერი აზროვნება, როგორც ყვავილის ფურცელი, ისე დაეცემა, დალპება, გახმება. დაფიქრდით და გაიხსენეთ, რამდენი ქმედება იყო თქვენ მიერ დაუფიქრებლად გაკეთებული, ყოველგვარი განსჯის გარეშე. დიდი რუსთაველი შესანიშნავად ბრძანებს: „თავი კაცსა ვის მოუკლავს, სიკვდილამდე მეცნიერსა. რამე სჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“. როდესაც გაგიჭირდება, მწუხარებაში ჩავარდები, მაშინ შენი გონება უნდა ამუშავდეს. ჩვენი გონება ქრისტეს გონებით უნდა იყოს შევსებული, ქრისტიანული სწავლებით, მაგრამ, როგორც კი გარკვეულ სნეულებაში, მწუხარებაში ვვარდებით, მაშინვე ყველაფერი გვავიწყდება, სასოწარკვეთილება გვეუფლება. ამ დროს კარგია, მოძღვართან მიხვიდეთ, სთხოვოთ დახმარება, რჩევა: რა ლოცვები წაიკითხოთ, როგორ მოიქცეთ და თქვენი მოძღვარი მაშინვე დაგეხმარებათ. „ჭკვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“, – თქვა გურამიშვილმა. ღმერთმა ადამიანს მისცა გონება, ჭკუა, აზროვნება: „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია, რა ერთი წავა, ისინიც წავლენ და მისკენ მიდიან“. საკმარისია, ადამიანის გონება ჩავარდეს არასწორ აზროვნებაში, გულიც და მისი ცნობიერებაც მისკენ მიდის. თუ ადამიანის გული განიწმიდება, მაშინვე გონებაც და ცნობიერებაც მისი გულისკენ იქნება მიმართული. გული – ეს არის საკურთხეველი უფლისა, ჩვენს გულში ტახტი უნდა დაედგას უფალს. უფალი ბრძანებს: მე ვდგავარ თქვენი გულის კართან, ვაკაკუნებ, ვინც გააღებს, შევალ და ვივახშმებ მასთან. მაგრამ, ჩვენი გული დიდი ხანია, უფლისთვის დახურულია, უმსგავსო ვნებები და ცოდვებია დაბუდებული. თუ გინდათ, რომ ჩვენი გონება, სულიერი განსჯა იყოს მართებული, გულისხმავყოთ, ანუ, მოვუსმინოთ, რას გვეუბნება უფალი. მაგრამ, თუ თქვენს გულში არ ცხოვრობს უფალი, ის გული ყოველთვის გეტყვის მაცდურს, საეშმაკოს. ამიტომ, კარგად დაუკვირდით, რას გეუბნებათ თქვენი გული და მიხვდებით, ის რისი საყდარია – უფლის თუ ეშმაკის.

**ნათია უტიაშვილი**

# ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულები

## ხატმა ისურვა, დარჩენილიყო ძველ სამყოფელში

ბევბეის ყურის თვალწარმტაც ნაპირზე, ძველი დასახლების – ელიმნიოს ადგილას, აღმართულია პატარა ქალაქი ლიმნი, რომლის ტაძარში დასვენებულია ლიმნის სასწაულმოქმედი ხატი, ქალაქის მფარველი.

თქმულების თანახმად, 1560 წელს, სულთან სულეიმან შესანიშნავის მმართველობის წლებში, ერთი თურქული ხომალდი, რომელსაც გეზი ჰოლანდიისკენ ეჭირა, კასანდრას წყლებში იმყოფებოდა. გემის მომსახურე პერსონალს შორის იყო ქრისტიანი მეზღვაური – ბოცმანი, სახელად დიმიტრი, ძალზე ღვთისმოსავი ადამიანი.

ქარის მიერ ფართოდ გაშლილი აფრებით გემი უახლოვდებოდა სკიაფოსის კუნძულს. უეცრად ქარი ჩადგა და დიმიტრიმ გასცა ბრძანება, ჩაეშვათ წყალში კანჯოები, რათა ბუქსირზე აეყვანათ გემი. ამ დროს ბოცმანმა დაინახა დიდი ზომის ხატი, რომელიც სწორად იდგა ტალღებზე. ის მაშინვე ჩაეშვა ფელუკაში, ბორტზე გადაასვენა ხატი და თაყვანი სცა მასზე გამოსახულ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს. შემდეგ მან გადაასვენა წმინდა ხატი გემბანზე და გადასცა ის გემის მფლობელს, თურქ მუჰამედს. ხატის გემზე ატანისთანავე ამოვარდა ჩრდილოეთის ძლიერი ქარი და აფრები გაბერა. აჭრიალდა ანძები და გემი დიდი სიჩქარით გაქანდა, მძლავრად აპობდა რა აქაფებულ ტალღებს, მან შემოუარა სპორადებს, შევიდა ბევბეის ყურეში და აიღო გეზი ჰალკიდისკენ. მაგრამ, როგორც კი მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც დღეს განლაგებულია დასახლება ლიმნი, ქარი მაშინვე ჩადგა და გემი უძრავად გაჩერდა ერთ ადგილზე. ისევ ჩაუშვეს კანჯოები, რომლებმაც დაიწყეს გემის ბუქსირზე აყვანა.

დიდი გაჭირვებით მიიყვანეს გემი მთა კანდილის ძირამდე, რომ უეცრად ამოვარდა ქარიშხალი. მრისხანე ტალღებმა ისევ წაიღეს გემი იმ ადგილისკენ, სადაც ამჟამად გაშენებულია ქალაქი ლიმნი. მიუახლოვდა თუ არა იმ ადგილს, შტორმი ჩადგა და ზღვა ისევ დაწყნარდა.

მეზღვაურებმა ხელახლა სცადეს წინ წაწევა, მაგრამ, ისევ ამოვარდა ქარიშხალი, კიდევ უფრო მრისხანე და ისევ წაიღო გემი წინანდელი ადგილისკენ.

კაპიტანი და მეზღვაურები სასოწარკვეთილებას მიეცნენ. ვერავინ ხვდებოდა, რომ ყველაფერ ამის მიზეზი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი იყო. მაშინ, ღვთისმოსავი ბოცმანი, როგორც იქნა, მიხვდა. ის მივიდა კაპიტანთან და უთხრა:

– ჩვენ ვერასგზით ვერ გავალთ აქედან, თუ არ გადავასვენებთ ნაპირზე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს.

კაპიტანი დასთანხმდა და გასცა ბრძანება, ეცნობებინათ ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარე სოფელ კასტრიის მაცხოვრებლებისთვის, მოსულიყვნენ და წაესვენებინათ წმიდა ხატი. მორწმუნეებმა არ დააყოვნეს ლიტანია და ბაირაღებით, ჯვრებითა და კელაპტრებით მივიდა ზღვასთან. აქ ელოდა დიმიტრი, რომელმაც მათ წმიდა ხატი გადასცა.

მაშინ დაჰბერა გრილმა სიომ და გააქანა აფრიანი გემი მეზღვაურებთან ერთად პირდაპირ მათი დანიშნულების ადგილისკენ – ეს იყო უკეთილშობილესი ქალწული მარიამის თავისებური მადლობა მეზღვაურებისადმი.

ამასობაში ზღვიდან სოფლისკენ მიემართებოდა დიდებული მსვლელობა. ხატი დაასვენეს კასტრიაში, წმიდა ანას ტაძარში, რომელიც გარშემორტყმულია ძველი მუხებით, ჭადრებითა და კვიპაროსებით.

მაგრამ, მეორე დღეს ხატი ტაძრიდან გაქრა. მას ყველგან ეძებდნენ და იპოვეს დღევანდელი დასახლება ლიმნის ადგილას. ხატი ისევ გადაასვენეს წმიდა ანას ტაძარში, ის კი ისევ დაბრუნდა წინანდელ ადგილას. ასე განმეორდა რამდენჯერმე, სანამ სოფლის მცხოვრებლები არ მიხვდნენ, რომ ხატს სურდა, სამუდამოდ დარჩენილიყო ლიმნიში. სოფელ ლიმნიში წმიდა ხატისთვის ააგეს პატარა სამლოცველო.

სასწაულმოქმედ ხატს გაჰყვნენ სოფელ კასტრიის მცხოვრებნიც. მათ მიატოვეს თავიანთი სახლები და ლიმნიში გადასახლდნენ. მოგვიანებით, პირველი ეკლესიის ადგილას ააგეს შესანიშნავი ტაძარი, რომელიც აკურთხეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის პატივსაცემად. ყოველ წელიწადს, 8 სექტემბერს აქ იმართება ზეიმი ლიმნის ღვთისმშობლის ხატის პატივსაცემად.

თავისთავად ხატი არ არის დიდი – ზომით 95-65 სანტიმეტრია. მასზე გამოსახულია გულმოწყალე ღვთისმშობელი. ის დაწერილია მძიმე, მყარ ხეზე და ვერცხლითაა მოჭედილი.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როგორც გავიგე, სიყვარულის მფარველი წმიდა ნიკოლოზი ყოფილა, შეიძლება მას ვთხოვო სიყვარულში დახმარება?**

**პასუხი:** წმიდა ნიკოლოზი ოჯახის სიწმიდის დამცველად ითვლება. მიწიერი მოღვაწეობის დროს ის ზრუნავდა გაჭირვებულ ოჯახებზე და ბევრი მათგანი იხსნა განსაცდელისგან. თუ თქვენ სიყვარულში დახმარებაში ქრისტიანული ოჯახის შექმნას გულისხმობთ და არა ვნების დაკმაყოფილებას, შეგიძლიათ, ევედროთ წმიდა ნიკოლოზსაც და სხვა წმიდანებსაც. საერთოდ, სიყვარულს მოციქულად იოანე მოციქულს მიიჩნევენ. ოღონდ აქ უფლის სიყვარული იგულისხმება. თუ უფალი გეყვარებათ, ეს პირად ცხოვრებაში



სწორი არჩევნის გაკეთებაშიც დაგეხმარებათ.

**კითხვა: ეკლესიისთვის მოწყალების შეწირვის დროს აუცილებელია ამ რიტუალს მოძღვარიც დაესწროს?**

**პასუხი:** ეკლესიისთვის მოწყალების გაღება საეკლესიო რიტუალი არ არის. ეს უფლისა და კაცის ურთიერთობაა და ადამიანს შეუძლია, სიკეთე მალულად, სასულიერო პირის თანდასწრების გარეშეც გააკეთოს.

**კითხვა: ხელმეორედ უნდა მოინათლოს თუ არა ადამიანი, როდესაც შეცდომას დაუშვებს, რომელიმე სექტის წევრი გახდება, მაგრამ შემდეგ მოეგება გონს და მართლმადიდებლობას უბრუნდება?**

**პასუხი:** ნათლობის განმეორება დაუშვებელია. მართლმადიდებლობას დაბრუნებული ადამიანი მოძღვარს უნდა დაელაპარაკოს, რომელიც დაუწესებს სასჯელს – ეპიტიმიას და ის გადაწყვეტს, როგორ უნდა განაგრძოს მონანიებულმა შემდგომი სულიერი ცხოვრება.

**კითხვა: რამდენ ხანს არის მიღებული ქრისტიანული ეკლესიის მიხედვით გარდაცვლილი ახლობლის გლოვა?**

**პასუხი:** ქრისტიანი ადამიანი გლოვობს 40 დღის განმავლობაში. ამის შემდეგ, ჭეშმარიტი ქრისტიანები აღარ გლოვობენ.

# მამათა შეგონებანი

**მარკოზ მოსაგრე:** თანდათანობით მზარდ ძალას, რომელიც იპყრობს ჩვენს სულს ავი ზრახვებით, წმიდა მამები ასე განმარტავენ:

1. თავდაპირველად ჩნდება ეგრეთ წოდებული მანქანა. ამას უწოდებენ ყველა უბრალო ზრახვას, ან უბრალოდ, რომელიმე აზრს, რომელიც ადამიანს თავში მოსდის. მანქანას უცოდველს უწოდებენ, იგი არ იმსახურებს არც ქებას, არც გაკიცხვას, მანამ, სანამ არ გამოიწვევს ჩვენში მისადმი ამა თუ იმ დამოკიდებულებას.

2. მეორე ვარიანტი დგება მაშინ, როდესაც ჩვენ ვამჩნევთ ამ საგანს ან ამ აზრს, ვაკვირდებით მას და, წმიდა მამების გამოთქმით, ვიწყებთ მათთან საუბარს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ ვიცილებთ თავიდან ზრახვას და ნებას ვაძლევთ მას, დარჩეს ჩვენში, თუმცა კი არ ვიღებთ მას. ამას შეთავსება ეწოდება. წმიდა მამებს იგი უკვე აღარ მიაჩნიათ უცოდველად, მაგრამ ზოგჯერ იგი საქებარიც შეიძლება იყოს, თუკი ზრახვას იმისთვის ვიხილავთ, რომ უარვყოთ იგი და გავითვალისწინოთ მისი ცოდვილიანობა.

3. მესამე მომენტი დგება მაშინ, როდესაც ჩვენ თანავუგრძნობთ ამ ზრახვას, ვიხრებით მისკენ და მზად ვართ, დავყვეთ მას. ამას ზრახვებთან შეთანხმება ეწოდება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება, ორი სხვადასხვა გამოსავალი იყოს:

ა) ზრახვისკენ დროებით გადახრის შემდეგ შეიძლება გონს მოვეგოთ, მოვინანიოთ აზრობრივი ცოდვა და დავძლიოთ ეს ზრახვა;

ბ) მეორე გამოსავალი კი, წმიდა სინელის სიტყვებით, მაშინ არის, როდესაც ადამიანი საკუთარი ნებით იღებს მტრისგან შემოთავაზებულ აზრებს, ეთანხმება და უმეგობრდება მათ და ისე მარცხდება, რომ იგი არ ეწინააღმდეგება ამ ზრახვებს, არამედ, პირიქით – ყველაფერს მათი შთაგონებით აკეთებს. ეს კი აშკარა ცოდვაა.

4. მეოთხე მომენტი დგება მაშინ, როდესაც ზრახვა უნებლიეთ ან ძალდატანებით იპყრობს ჩვენს გულს, შეერწყმება მას, ამსხვრევს კეთილ წყობას. ამ მომენტს დატყვევება ეწოდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ზრახვით დაპყრობილი გონება ღვთის შეწევნით შეიძლება მისგან გათავისუფლდეს. ზოგჯერ კი ისე ხდება, რომ ღელვითა და ტალღებით გატაცებული, ეშმაკური ზრახვებით მოხიბლული ნება ველარ ფხიზლდება და ველარ უბრუნდება კეთილ წყობას. ყველაზე ხშირად ეს ხდება მავნე ფუსფუსისა და უსარგებლო საუბრების (ამაო მეტყველების) შედეგად.

5. დაბოლოს, ზრახვათა მიერ ჩვენი დაპყრობის უმაღლეს საფეხურს ვნება ეწოდება. ეს მაშინ ხდება, როდესაც ჩვენ სულში ჩაბუდებული ავი ზრახვა თანდათან ზნე-ჩვეულებად გადაგვექცევა. ასეთ მდგომარეობაში ადამიანი საკუთარი ნებით იგდებს თავს. ამ მდგომარეობიდან თავის დახსნა შესაძლებელია მხოლოდ მონანიების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანს მარადიული ტანჯვა ელოდება.

# რომელი პროფესიის დაუფლებაზე ოცნებობდა პელე და რა წვლილი მიუძღვის მას ბრაზილიაში წერა-კითხვის პოპულარიზაციაში

*ის მეოცე საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება და ფეხბურთის მეფის ტიტულს ატარებს. დიდი ხანია, რაც ბრაზილიელი პელე მსოფლიო დონის ვარსკვლავია და მისი პოპულარობა მხოლოდ საფეხბურთო სამყაროთი არ შემოიფარგლება. „პელე" მსოფლიო ბრენდია და, ურიგო არ იქნება, გავეცნოთ ლეგენდარული ფეხბურთელის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს.*



* ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ, იგივე პელე, ბრაზილიის შტატ მინას-ჟერაის ქალაქ ტრეს-კორასაესში დაიბადა 1940 წლის 23 ოქტომბერს. „პელე" მას ბავშვობაში უწოდეს. ამ მეტსახელის წარმოშობის ისტორია არც თვითონ პელემ იცის და არც მისმა ნათესავებმა. ცნობილია, რომ თავდაპირველად ეს მეტსახელი მას არ მოსწონდა და მხოლოდ მაშინ აღიარა, როდესაც სტადიონის ტრიბუნებიდან ფეხბურთის ქომაგები მის მეტსახელს სკანდირებდნენ.

* პელეს ეკუთვნის აბსოლუტური რეკორდი გატანილი გოლების რაოდენობით: 1 283 გოლი 1 363 მატჩში. ამ გოლებიდან 1 216 მან ბრაზილიურ „სანტოსში" და ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში თამაშის დროს გაიტანა 1956 წლის 7 ოქტომბრიდან 1974 წლის 2 სექტემბრამდე. დანარჩენი 67 გოლი მან ამერიკულ „ნიუ-იორკ კოსმოსში" და მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობის დროს შეაგდო მოწინააღმდეგის კარში. არსებობს მოსაზრება, რომ პელემ ხელოვნურად გაზარდა გოლების რაოდენობა, სინამდვილეში მას ამდენი გოლი არ გაუტანია.

* თავისი მეათასე გოლი ფეხბურთის მეფემ პენალტის ნიშნულიდან გაიტანა. ეს მოხდა 1969 წლის 19 ნოემბერს, „მარაკანას" სტადიონზე. ბრაზილიის კავშირგაბმულობის სამინისტრომ ამ მოვლენასთან დაკავშირებით საფოსტო მარკა გამოუშვა.

* როდესაც პელემ ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა, ბევრმა წერა-კითხვის უცოდინარმა ბრაზილიელმა კითხვის სწავლა დაიწყო, რათა თავიანთი კერპის მემუარები წაეკითხა.

* პელეს მამა, დონდინიო, ასევე პროფესიონალი ფეხბურთელი იყო და საფეხბურთო ოსტატობის რამდენიმე საიდუმლოებას სწორედ მან აზიარა შვილი. პელეს ვაჟი, ედინიო, ასევე პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, თუმცა, მამისგან განსხვავებით, მან ბრაზილიაში არაპოპულარული გოლკიპერის პოზიცია აირჩია.

* თავისი წარმატების საიდუმლოდ პელეს შრომისმოყვარეობა და შესაშური ფიზიკური მონაცემები მიაჩნია. აქტიური სპორტული კარიერის განმავლობაში, პელე ასმეტრიან დისტანციას 10 წამში გარბოდა; გარდა ამისა, ის მუდამ იყო ჯანმრთელი ცხოვრების წესის ერთგული – დღემდე მას არც ერთი ღერი სიგარეტი არ მოუწევია და ალკოჰოლის წვეთი არ დაულევია.

* ერთხელ პელეს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, თუ გამოჩნდებოდა მისი შემცვლელი საფეხბურთო ტახტზე, რაზეც პელემ უპასუხა: „აბსოლუტურად გამორიცხულია – ჩემი მშობლები აღარ აპირებენ მეტი შვილის ყოლას".

* პელეს სახელს უკავშირდება №10 მაისურის საკულტოდ გამოცხადება. პელეს შემდგომ 10 ნომრები იყვნენ და არიან: დიეგო მარადონა, ზინედინ ზიდანი, მიშელ პლატინი, რობერტო ბაჯო, დავით ყიფიანი, ლიონელ მესი და სხვები.

* ბრაზილიის ნაკრებსა და „სანტოსში" კარიერის დასრულების შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, პელემ ფეხბურთში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო და კონტრაქტი გააფორმა ამერიკულ კლუბ „ნიუ იორკ კოსმოსთან". გავრცელებული ვერსიის თანახმად, ფეხბურთში დაბრუნება „ფეხბურთის მეფემ" ფინანსური პრობლემების გამო გადაწყვიტა. ამერიკელებმა მას იმ დროისთვის ზღაპრული კონტრაქტი შესთავაზეს.



* 1967-1970-იან წლებში ნიგერიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს, მოწინააღმდეგე მხარეებმა ორი დღით დადეს ზავი, რათა ტელევიზიით ბრაზილიის ნაკრების მატჩი ენახათ, სადაც პელე ბრწყინავდა. ირანის შაჰი კი ერთხელ სამი საათი ელოდებოდა პელეს თვითმფრინავის დაჯდომას აეროპორტში, რათა ფეხბურთის მეფესთან ფოტო გადაეღო.

* პელეს აუხდენელ ოცნებად ითვლება მოედნის ცენტრიდან გატანილი გოლი. ფეხბურთის მეფემ რამდენჯერმე სცადა, გოლი გაეტანა შორეული დარტყმით, მათ შორის ყველაზე ცნობილი ეპიზოდი 1970 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან მატჩში მოხდა, თუმცა, პელეს მიზანმა უმტყუნა.

* ბავშვობაში პელე მეწაღის დამხმარედ მუშაობდა და თვითმფრინავის პილოტის პროფესიაზე ოცნებობდა. ეზოში ბავშვებთან თამაშის დროს ის ხშირად ამტვრევდა ფანჯრის მინებს და დედა მას ამის გამო სჯიდა. მოგვიანებით, როდესაც პელე გამდიდრდა მან მშობლებს დიდი სასახლე უყიდა.

* პელესთან ფოტოს გადაღება ნამდვილი ზეიმი იყო როგორც სხვა ფეხბურთის ქომაგებისთვის, ასევე ცნობილი ადამიანებისთვისაც. პელესთან ცნობილი ფოტოები აქვთ გადაღებული რობერტ კენედისა და რომის პაპ იოანე პავლე მეორეს.

* 1995 წელს რუანდიდან ბრაზილიაში მიმავალ გემზე ფეხბურთის უცნობი ქომაგი აღმოაჩინეს, რომელიც პელესთან შეხვედრას აპირებდა, რათა მას მოსისხლე მტრები, აფრიკული ტომები – ტუტსი და ხუტუ შეერიგებინა.

* პელეს „ფეხბურთის მეფე" ფრანგულმა გაზეთებმა უწოდეს, როდესაც 1961 წელს „სანტოსმა" ტურნე დაასრულა ევროპის ქვეყნებში.

* პელეს სიმაღლე 173 სანტიმეტრია, თუმცა, მას 2 მეტრზე ახტომა შეეძლო.

* პელეს მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე კინოფილმში, მათ შორის ყველაზე ცნობილია ჯონ ჰიუსტონის „გაქცევა გამარჯვებისკენ", სადაც მისი პარტნიორები გადასაღებ მოედანზე იყვნენ სილვესტერ სტალონე და მაიკლ კეინი, ასევე, ცნობილი ფეხბურთელები: ოსვალდო არდილესი, ბობი მური, კაზიმეჟ დეინა და პოლ ვან ჰიმსტი. სცენარის თანახმად, პელეს გმირს „მაკრატელა" დარტყმით გოლი უნდა გაეტანა და რეჟისორის ეს მითითება პელემ პირველივე დუბლში შეასრულა.

* 1999 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა პელე მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა. საინტერესოა, რომ პელეს არც ერთხელ არ მიუღია მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში.

* 1960-იან წლებში იტალიურმა „მილანმა" პელეს სანაცვლოდ „სანტოსს" 30 მილიონი დოლარი შესთავაზა. ახლანდელი სავალუტო კურსით ეს თანხა 1,5 მილიარდ ამერიკულ დოლარს უდრის.

* 1995-1998 წლებში პელე ბრაზილიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პოსტზე მსახურობდა.

* 1998 წელს პელე დიდი ბრიტანეთის იმპერიის რაინდ-კომანდორის ტიტულის მფლობელი გახდა, თუმცა, იმის გამო, რომ ის არ გახლავთ დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, მას არ აქვს უფლება, ატაროს მიმართვა „სერ".

* პელე ერთადერთი ფეხბურთელია ამ სპორტის ისტორიაში, რომელიც ფეხბურთელის ამპლუაში სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი: 1958, 1962 და 1970 წლებში.

* პელეს გოლი „ფლუმინენსეს" კარში, როდესაც მან მეტოქე გუნდის 11-ივე ფეხბურთელი მოატყუა, მეოცე საუკუნის საუკეთესო გოლად არის მიჩნეული. ამ მოვლენასთან დაკავშირებით „მარაკანას" სტადიონზე სპეციალური დაფაა გამოკრული.

* სპორტული კარიერის განმავლობაში პელე ესტუმრა მსოფლიოს 88 სახელმწიფოს, მათ შორის საბჭოთა კავშირს, შეხვდა 70 პრეზიდენტს, 9 მეფეს, ერთ დედოფალს და ორ რომის პაპს.

## ბექჰემი ევროპულ ფეხბურთს დაუბრუნდა

ინგლისის ნაკრების ექსკაპიტანი და მსოფლიო ფეხბურთის „ფეშენ-კერპი," 37 წლის დევიდ ბექჰემი „პარი სენ-ჟერმენის" ფეხბურთელი გახდა. ვეტერანმა ინგლისელმა 5-თვიანი კონტრაქტი გააფორმა პარიზულ კლუბთან და ხელშეკრულების თანახმად, ხელფასის სახით კვირაში 150 ათასი ევრო ექნება, თუმცა, თანხა მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდება და ბექჰემი არც ერთ ევროს არ მიიღებს. საგულისხმოა, რომ დევიდი ევროპულ ფეხბურთს „ჩემპიონთა ლიგაზე" დაუბრუნდება; გარდა ამისა, „პსჟ" საფრანგეთის ჩემპიონატის ფავორიტია და თავის ტიტულებს ბექჰი ჩემპიონის ახალ ტიტულს შეჰმატებს. დევიდის მეუღლე – ვიქტორია და მისი ოთხი შვილი ლონდონში დარჩებიან საცხოვრებლად. ცნობისთვის, დევიდის უფროსი ვაჟი „ჩელსის" საფეხბურთო სკოლაში ჩაირიცხა.



## შუმახერი კარტინგში ბრუნდება

ლეგენდარული გერმანელი ავტომრბოლელი მიხაელ შუმახერი კარტინგის კონსულტანტად და ტესტერად იმუშავებს, ასევე, მონაწილეობას მიიღებს 2013 წელს დაგეგმილ რბოლებში. შუმახერი შარშან დაემშვიდობა „ფორმულა 1-ის" რბოლებს, თუმცა, როგორც ჩანს, ავტოსპორტიდან წასვლას არ გეგმავს და კარტინგში განაგრძობს კარიერას. შეგახსენებთ, რომ თავისი კარიერა ავტოსპორტში შუმახერმა კარტინგით დაიწყო და 1984-1987 წლებში რამდენიმე ევროპულ და გერმანულ კარტინგის ჩემპიონატში იზეიმა გამარჯვება, მათ შორის – პრესტიჟულ „ფორმულა კონიგში".



## ბრაიანტის მორიგი რეკორდი

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა კობი ბრაიანტმა მორიგი რეკორდი დაამყარა. ბრაიანტი პასის საუკეთესო ჩამწოდებელი გახდა იმ მოთამაშეებს შორის, რომლებმაც კარიერის განმავლობაში 30 ათასზე მეტი ქულის მოხვეჭა მოახერხეს. „ლეიკერსის" საუკეთესო მოთამაშემ „გოლდენ სტეიტთან" მატჩში 9 შედეგიანი ჩაწოდება გააკეთა და პასების რაოდენობით ლეგენდარულ „შავ მამბას" – ქარიმ აბდულ-ჯაბარს გადაასწრო. შეგახსენებთ, რომ ბრაიანტისა და ჯაბარის გარდა, 30 ათასზე მეტი ქულა „ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში" კარლ მელოუნს, უილტ ჩემბერლენსა და მაიკლ ჯორდანს აქვთ მოხვეჭილი.

## კორტის ნაცვლად – „ფლეიბოი"

27 წლის პოლონელი ჩოგბურთელი მართა დომახოვსკი, დიდი ხანია, ალარ ბრწყინავს კორტებზე და ამჟამად მსოფლიო რეიტინგში 251-ე პოზიციაზე იმყოფება; არადა, იყო დრო, როდესაც მსოფლიოს ქალი ჩოგბურთელების ტოპ-50-ის წევრი იყო და მაღალ შედეგებს აღწევდა პრესტიჟულ ტურნირებში. გასულ სეზონზე მართამ მხოლოდ 665 ევროს გამომუშავება მოახერხა კორტზე. ალბათ, ამან განაპირობა, რომ ლამაზმანი სპორტსმენი „ფლეიბოის" შემოთავაზებით მოიხიბლა და გარკვეული ჰონორარის სანაცვლოდ გულახდილ ფოტოსესიაზე დათანხმდა. დომახოვსკის ფოტოებმა უკვე დაამშვენა ცნობილი ჟურნალის პოლონური გამოცემა.

## ბერხკამპი „არსენალის" სამსახურში ჩადგა

„ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა დენის ბერხკამპმა კონტრაქტი გააფორმა ლონდონის „არსენალთან", – ასეთი ინფორმაცია გამოაქვეყნა თავის ვებ-გვერდზე ბრიტანულმა გაზეთმა „დეილი მეილმა", რის შემდეგაც დაკონკრეტება მოუხდა: „43 წლის ბერხკამპი ვერანაირად ვერ დაუბრუნდებოდა აქტიურ სპორტს, რადგან კარიერა 2006 წელს დაასრულა და მხოლოდ „არსენალის" აკადემიის ხელმძღვანელად იმუშავებს." შეგახსენებთ, რომ თავისი საფეხბურთო კარიერის საუკეთესო წლები ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა არსენ ვენგერის „არსენალში" გაატარა და 312 მატჩში 87 გოლი გაიტანა, მათ შორის ფანტასტიკური სილამაზის გოლი „ნიუკასლის" კარში 2002 წელს, რომელიც ინგლისური „პრემიერლიგის" ერთ-ერთ ულამაზეს გოლად ითვლება.

## შოპინგის მოყვარული სერენა უილიამსი



მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელ ქალს, სერენა უილიამსს, სტრესის მოხსნის ბანალური რეცეპტი ჰქონია: ვარსკვლავი შოპოპოლიკია და რამდენიმე ხნის წინ ის და მისი „ბოიფრენდი" (და შეთავსებით – მწვრთნელი), პატრიკ მურატოღლი, მელბურნის მაღაზიებში სეირნობის დროს შეამჩნიეს. წითელ კაბასა და სპორტულ ფეხსაცმელში გამოწყობილ სერენას პაპარაცებმა რამდენიმე ფოტო გადაუღეს, თუმცა, იმის დადგენა ვერ მოხერხდა, თუ რა შეიძინა სპორტსმენმა. სამაგიეროდ, ცნობილია, თუ რის გაყიდვას აპირებს ის – ჩოგბურთელი ლოს-ანჯელესში მდებარე ბინას ყიდის და 220-კვადრატულმეტრიანი ბინის სანაცვლოდ, „დიდი სლემის" 15-გზის გამარჯვებულს 1,8 მილიონი დოლარის მიღება უნდა.

## სქოულზს ავტომობილი მოჰპარეს

„მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველს პოლ სქოულზს სახლის ეზოდან ავტომობილი მოჰპარეს. 38 წლის ვეტერანმა ფეხბურთელმა „შევროლე კაპტივა" დაქოქილი დატოვა და სახლში შევიდა, უკან დაბრუნებულს კი ავტომობილი წაყვანილი დახვდა. ინციდენტი დილის 8 საათზე მოხდა. ბოროტმოქმედები, როგორც ჩანს, ელოდებოდნენ, როდის შებრუნდებოდა სქოულზი სახლში. პოლიციამ უკვე დაიწყო გამოძიება. საინტერესოა, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა სქოულზი ყაჩაღობისა და ძარცვის მსხვერპლი გახდა: 2007 წელს ბოროტმოქმედები მას სახლში შეექრნენ და დანის მუქარით ავტომობილის წართმევას ლამობდნენ.

## კაკას სექსუალური ქომაგი



ბრაზილიელ მსოფლიოს ჩემპიონს და მადრიდის „რეალის" ნახევარმცველს – კაკას სამშობლოში გულმხურვალე ქომაგი ჰყავს – სექსუალური ფოტოსესიებით განთქმული მოდელი ანა პაულა სადი, რომელიც „სან-პაულოს" ყველაზე ცნობილი ქომაგია და მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა კაკა მისი საყვარელი კლუბის მაისურს მოირგებს და „სტადიონ მორუმბიზე" შეკრებილ ქომაგებს ანას თამადობით, თავისი თამაშითა და გოლებით გაახარებს.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## სტრესის დროს მიირთვით ბევრი რძის ნაწარმი და მწვანე ფერის ბოსტნეული

საჭმლის მომნელებელ სისტემასთან დაკავშირებული ყველაზე გავრცელებული დაავადებები სტრესის შედეგია. სტრესის ნეგატიური ზემოქმედება შეიძლება განეიტრალდეს, თუ ორგანიზმს მოამარაგებთ აუცილებელი და საჭირო ნივთიერებებით.

სტრესის დროს აუცილებელია, ჭამოთ: რძის ნაწარმი, კვერცხი, ღვიძლი, თირკმელები, მწვანე ფერის ბოსტნეული, ნიგოზი, ხორბალი, ქატო, წიწიბურა, ლობიო, სოია, შვრია, ბანანი, შავი შოკოლადი; სვათ ბალახეული ჩაი, მინერალური წყალი, ხილის ნატურალური წვენი.

შრომისუნარიანობასა და სასიცოცხლო ტონუსს ამაღლებს შავი შოკოლადი. მისი ჭამის შემდეგ ადამიანი კარგ გუნებაზე დგება, ეხსნება სტრესი; ის, ასევე, ზრდის ტვინში ფენილანინის შემცველობას, რაც ადამიანში ბედნიერების შეგრძნებას იწვევს.

სტრესის მოსახსნელად ყველაზე კარგია ჟოლოს, მანდარინის, ბანანის, ბროკოლისა და კიტრის წვენების სმა.

სტრესის დროს ტონუსის შენარჩუნების მიზნით ნუ შეეცდებით, სვათ ბევრი ყავა, ჩაი, „კოკა-კოლა“, კაკაო, რადგან, მათში შემავალი კოფეინი უარყოფითად იმოქმედებს თქვენზე. კოფეინი ზრდის ადრენალინის დონეს, რომელიც სტრესის დროს ისედაც საკმარისია, მისი სიჭარბე კი ორგანიზმზე დამანგრევლად მოქმედებს. ამ დროს უმჯობესია, შავი შოკოლადი მიირთვათ.

## რატომ უნდა დააკვირდეთ საკუთარ გულისცემას

ადამიანის გულის კუნთი მკვეთრად რეაგირებს ემოციებზე, რადგან მას საკუთარი ნერვული ქსელი აქვს, რომელიც, ნორმალურ შემთხვევაში, გულის კუნთს დაახლოებით 60-70-ჯერ კუმშავს. ზოგჯერ გულისცემა ნელდება, ან, პირიქით, ხშირდება, რაც მაშინვე აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. იმისთვის, რომ გული დიდხანს და ერთგულად გემსახუროთ, აუცილებლად უნდა აკონტროლოთ მისი რიტმი. ჯანმრთელი გულისთვის დღეში ერთსაათიანი დატვირთვა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ნავარჯიშები გული ადვილად უმკლავდება გაძლიერებული რიტმით მუშაობას. პულსი მაჯაზე უნდა დათვალოთ. პერიფერიული სისხლძარღვების სპაზმის შემთხვევაში კი გულისცემა ყელზე ასახავს ორგანიზმის საერთო მდგომარეობას.

თუ გსურთ, გაარკვიოთ, როგორ მუშაობს თქვენი გული, როგორ უმკლავდება სხვადასხვა დატვირთვას და ხომ არ არის აუცილებელი ცხოვრების რიტმის შეცვლა, ამაში ქვემოთ მოყვანილი რჩევები დაგეხმარებათ:

1. ათი წუთის განმავლობაში იარეთ სწრაფი ტემპით. შემდეგ პულსი დათვალეთ. 180-ს გამოაკელით თქვენი ასაკი, პულსის რაოდენობა ერთ წუთში მიღებულ რიცხვს არ უნდა აღემატებოდეს. ეს თქვენი დატვირთვისთვის დასაშვები მაქსიმუმია. რაც უფრო მეტია სხვაობა, მით მეტია გულისა და სისხლძარღვების დაზიანების რისკიც.

2. დაახლოებით ხუთი წუთი იხტუნეთ ადგილზე, შემდეგ კი დათვალეთ პულსი მაჯაზე. მერე წამოწექით, ხუთი წუთი დაისვენეთ ასეთ მდგომარეობაში და კვლავ დათვალეთ პულსი. თუ ორივე შემთხვევაში მაჩვენებელი დაახლოებით ერთნაირია, მაშინ ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ, თუ დასვენების შემდეგ გულისცემა ათი დარტყმით მაინც აჭარბებს პირველს, ესე იგი, გულს ფიზიკური აქტივობა აკლია.

3. დაიხარეთ ისე, რომ თითებით იატაკს შეეხოთ, ოღონდ მუხლები არ მოხაროთ. შემდეგ წელში გასწორდით. თუ 40 წლამდე ასაკის ხართ, ეს ვარჯიში 15-ჯერ შეასრულეთ, თუ 40 წელს გადასცდით – 10-ჯერ. თუ ვარჯიში გიჭირთ, ესე იგი, ეს იმაზე მეტყველებს, რომ თქვენი გული, კუნთოვანი აქტივობის უკმარისობის გამო თანდათან სუსტდება. ვარჯიშის შემდეგ დათვალეთ პულსი. თუ ის წუთში 100-ზე ნაკლებია, შესანიშნავ ფორმაში ხართ, თუ მეტი – აუცილებლად მიიღეთ ზომები.

4. სწორი კვება და სპორტი თქვენს გულს შესაძლო დაავადებებისგან დაიცავს. ამიტომ, ამაზე ახლავე დაფიქრდით და სასწრაფოდ შეუდექით ვარჯიშს.

## ნარინჯისფერი ხილის ჭამა ართრიტისგან გვიცავს

ვინც ხშირად მიირთმევს ყვითელ და ნარინჯისფერ ხილსა და ბოსტნეულს, ის ართრიტის რისკისა და სახსრების ანთებისგან მეტად არის დაცული.

ხილ-ბოსტნეულს ყვითელ შეფერილობას აძლევს კაროტინი, ანუ ნივთიერება, რომელსაც აქვს ანტიოქსიდანტური ეფექტი. ამის წყალობით, ეს პროდუქტები ხელს უშლის თავისუფალი ჟანგბადის რადიკალების დამაზიანებელ ზემოქმედებას უჯრედებსა და ქსოვილებზე.

გარდა ამისა, A და C ვიტამინით მდიდარი ხილი და ბოსტნეული სასარგებლოა მხედველობისთვის, გუნება-განწყობის ასამაღლებლად ცივ სეზონზე და გაციებისგან დასაცავად.

თუ ადამიანი ყოველდღიურად 2 ჭიქა ლიმონის წვენგარეულ წყალს დალევს, ამით ორგანიზმს ტოქსინებისა და წიდებისგან გაათავისუფლებს.

გრიპის დროს ლიმონი არ დაივიწყოთ, რადგან მას გაციების საწინააღმდეგო უნიკალური თვისებები აქვს.

ყოველდღე ლიმონის წვენი ჩაისა და სასმელ წყალში ჩაამატეთ და ისე მიიღეთ. ასეთი წესით იმუნურ სისტემასაც გაიძლიერებთ და გრიპისგანაც დაიცავთ თავს.

ლიმონის ზომიერი მოხმარება დაგიცავთ თავის ტკივილისგან, მოგიწესრიგებთ საჭმლის მომნელებელ სისტემას, დაგირეგულირებთ არტერიულ წნევას; ასევე, კარგია თირკმელების დაავადების პროფილაქტიკისთვის.

## სურდოს და ყელის ტკივილს მცენარეული ნაყენებით უმკურნალეთ

მცენარეებით დამზადებული აბები, მიქსტურები და ეთეროვანი ზეთები ბევრად უკეთესად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, ვიდრე სინთეტიკური პრეპარატები. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ მცენარეებით მკურნალობა ექიმი-ფიტოთერაპევტის კონსულტაციით უნდა დაიწყოთ. განსაკუთრებით საჭიროა ასეთი კონსულტაცია ალერგიული, ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებისთვის; ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამკურნალო მცენარეებით მკურნალობის ეფექტურობა დამოკიდებულია წამლის დოზაზე.

ფიტოთერაპიას კარგად ემორჩილება გაციება, კერძოდ: სურდო, ხველა, ყელის ტკივილი და მაღალი ტემპერატურა. სურდოს შველის სალბისა და ბაღის პიტნის ინჰალაცია. ცხვირში ჩაიწვეთეთ 1 ან 2 წვეთი გვირილის ყვავილის ან ფიჭვის წიწვის ნაყენი, რაც გაგიადვილებთ სუნთქვას და ადვილად ჩააქრობს ანთებას.

ყელის ტკივილს შველის გვირილის, ვარდის, მრავალძარღვას, მოცვის ნაყენის ან გულყვითელას ნახარშის პირის ღრუში გამოვლება.

მშრალი ხველების დროს კარგია ტუხტის ნაყენი, ვირისტერფასა და მრავალძარღვას ნახარში კი ხველას შეგიმსუბუქებთ და ნახველისგან გაგათავისუფლებთ.

სველი ხველების დროს, კარგია და ეფექტური ევკალიპტის, პიტნისა და კამის ეთერზეთების ინჰალაცია. ოღონდ, ამის გაკეთება ბავშვებისთვის არ არის სასურველი.

ძირტკბილას ფესვების ნაყენი არბილებს ლორწოს და სწრაფად ასუფთავებს ბრონქებს. ამგვარი ეფექტით ხასიათდება, ასევე, ანისულისა და კვლიავის თესლის ნაყენი.

მაღალი ტემპერატურის დროს დალიეთ ცაცხვისა და გვირილის ყვავილის, ასევე ჟოლოს ფოთლებისა და ნაყოფის, შტოში ან დიდგულას ნაყენი. კარგი იქნება, თუ დღეში ორ ლიტრამდე ასეთ ნაყენს მიიღებთ. ტემპერატურის დასაწევი ეფექტურობით გამოირჩევა, აგრეთვე, ტირიფის ქერქის ნაყენი, რომელიც ბუნებრივ ასპირინს შეიცავს.

დღეს ბევრი ანიჭებს უპირატესობას ბალახებით მკურნალობას და არცთუ უსაფუძვლოდ. ეს მეთოდი ორგანიზმის უსაფრთხოებას ერთიორად ზრდის.

## რა იწვევს ნაღვლის ბუშტსა და სანაღვლე გზებში კენჭების წარმოქმნას

ნაღველკენჭოვანი დაავადება ნაღვლის ბუშტსა და სანაღვლე გზებში კენჭების არსებ-

ობას გულისხმობს. მუცლის ღრუს ორგანოებს შორის ის ერთ-ერთი გავრცელებული დაავადებაა. ნაღვლის ბუშტის კენჭი ვითარდება ყველა ასაკში, თუმცა, ბავშვებსა და მოზარდებში შედარებით იშვიათია. ასაკის მატებასთან ერთად, დაავადების სიხშირეც იმატებს.

ნაღვლის ბუშტსა და სანაღვლე გზებში კენჭის წარმოქმნაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს. მათ შორის მნიშვნელოვანია ნივთიერებათა ცვლის, განსაკუთრებით კი – ცხიმოვანი ცვლის მოშლა, ნაღვლის შეგუბება, მისი ინფიცირება და სხვა მრავალი. ნაღვლის კენჭების ჩამოყალიბებაში, ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვებას, ცხოვრების პირობებსა და გენეტიკურ ფაქტორსაც. კენჭის გაჩენის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის, ასევე, აღინიშნება: ასაკი, სიმსუქნე, მუცლის შებერილობა, ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატების ხანგრძლივად მიღება, ზოგიერთი სახის ოპერაციული ჩარევა კუჭსა და ნაწლავებზე, დიაბეტი, თირკმელების ქრონიკული ანთება, ღვიძლის ციროზი, უმოძრაო ცხოვრების წესი და ასე შემდეგ. გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება კვების თავისებურებას. საკვები პროდუქტებიდან კენჭის გაჩენის ხელშემწყობად მიიჩნევა: ცხიმი, კვერცხის გული, ცხვრის ხორცი, საქონლის ტვინი, ღვიძლი, ყვავილოვანი კომბოსტო.

ნაღვლის ბუშტში კენჭის გაჩენას, ასევე, ხელს უწყობს წონაში სწრაფი დაკლება და ხანგრძლივი შიმშილი. ამ დროს მცირდება ნაღვლის ბუშტის შეკუმშვათა რაოდენობა, რაც ნაღვლის შეგუბებას იწვევს. ეს უკანასკნელი კი კენჭის გაჩენის მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია.

ნაღვლის ბუშტში გაჩენილი კენჭი ყოველთვის არ იძლევა კლინიკურ გამოვლინებას. შესაძლოა, ადამიანს წლების განმავლობაში ჰქონდეს ნაღვლის ბუშტში კენჭი და არანაირი ჩივილი არ აღენიშნებოდეს. ავადმყოფთა მეორე ნახევარში კი ნაღველკენჭოვანი დაავადება აბსოლუტურად განსხვავებულ კლინიკურ სურათს იძლევა, კერძოდ, ზოგს აღენიშნება მარჯვენა ფერდის ქვეშ და მუცლის ზედა ნაწილში სიმძიმის შეგრძნება, გულძმარვა, გულისრევა, ბოყინი, მუცლის შებერვა, ფაღარათი. ეს მოვლენები დღითიდღე ძლიერდება, რაც დიეტის დარღვევასთან არის კავშირში. ავადმყოფთა ნაწილი კი მუცლის ზედა არეში მუდმივად ყრუ ტკივილს, საერთო სისუსტეს, მოთენთილობას, პირის ღრუში მწარე გემოს უჩივის.

უმეტეს შემთხვევაში, ნაღველკენჭოვანი დაავადებისთვის დამახასიათებელია მარჯვენა ფერდქვეშა არეში ძლიერი შეტევითი ხასიათის ტკივილი. ნაღველკენჭოვანი ჭვალი, შეიძლება, სრულიად უმიზეზოდ დაიწყოს ან მას წინ უძღოდეს დიეტის დარღვევა, ცხიმიანი საკვების, ალკოჰოლის მიღება, ფიზიკური გადატვირთვა, ფსიქოემოციური დაძაბულობა და ასე შემდეგ. ტკივილს პროლებინება და მუცლის შებერვა ერთვის. ამ დროს ტკივილი მარჯვენა მხარეს, ბეჭში, ზოგჯერ კი გულის არეშიც გადაეცემა. გახშირებულია მაჯისცემა. ნაღველკენჭოვან დაავადებას ზოგჯერ სიცოცხლისთვის საშიში, მძიმე გართულება ახასიათებს. ყველაზე ხშირი გართულება კი ნაღვლის ბუშტის ანთება ანუ ქოლეცისტიტია.

ნაღვლის ბუშტის მწვავე ანთება, შესაძლოა, მუცლის ფარის ანთების მიზეზიც გახდეს. ნაღვლის ბუშტიდან მცირე ზომის კენჭი, შეიძლება, ნაღვლის სადინარში გადავარდეს, დაახშოს ის და გამოიწვიოს ღვიძლისა და თავად სადინარის ჩირქოვანი ანთებები და შესაძლოა, კიბოც განვითარდეს.

კენჭების გაჩენის პროფილაქტიკა მის ხელშემწყობ დაავადებებთან ბრძოლაა. ამისთვის კი უნდა მოერიდოთ მაღალკალორიულ და ცხიმიან საკვებს, მოიწესრიგოთ კუჭნაწლავის მოქმედება, იყოთ აქტიური, იკვებოთ ხშირად და მცირე ულუფებით.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**



# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 38 წლის ქალი. საზარდულში ლიმფური კვანძი მაქვს გადიდებული და მტკივა, სიცხე 37,2 გრადუსი მაქვს. მთელ ტანში მტეხავს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი (გინეკოლოგიური დაავადებები გამორიცხულია) და როგორ ვიმკურნალო?**

**პასუხი:** ლიმფური კვანძები თავისებური საცერივით აკავებს ყველაფერს, რისი გაუვნებელყოფაც სჭირდება ორგანიზმს: მიკრობებს, სიმსივნურ უჯრედებს და ასე შემდეგ. პირველ ყოვლისა დასადგენია ანთების ან სიმსივნის კერა და მხოლოდ ამის შემდეგ დაინიშნება ადეკვატური მკურნალობა.

**კითხვა: სისხლში დამიდგინეს კალიუმისა და კალციუმის ნაკლებობა. რამდენად სერიოზული დარღვევაა ეს და როგორ მოვიყვანო ნორმაში?**

**პასუხი:** ჰიპოკალიემია (კალიუმის ნაკლებობა) შეიძლება განვითარდეს არაადეკვატური კვების გამო – შიმშილის დროს; არაადეკვატური შეწოვის ან სითხის კარგვის გამო (ფაღარათი, ღებინება, მალაბსორბციის სინდრომი); ჰიპოკალციემია (კალციუმის ნაკლებობა) შეიძლება გამოწვეული იყოს ჰიპოპარათირეოზით, $D_3$ ვიტამინის დეფიციტით, თირკმლის უკმარისობით, ჰიპოპროტეინემიით, მალაბსორბციის სინდრომით. დარღვევის მიზეზი თერაპევტმა უნდა აღმოაჩინოს და მკურნალობის ტაქტიკაც მასზე იქნება დამოკიდებული.

**კითხვა: მაქვს ღრმა ვენების თრომბოფლებიტი. ემორჩილება თუ არა ეს დაავადება მკურნალობას?**

**პასუხი:** ღრმა ვენების თრომბოფლებიტი ემორჩილება მკურნალობას, მისი ეფექტურობა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად არის დაწყებული მკურნალობა და როგორ ასრულებთ მკურნალი ექიმის რეკომენდაციებს მედიკამენტური თერაპიისა და კომპრესული ტრიკოტაჟის ხმარების მხრივ.

**კითხვა: ვარ 52 წლის ქალბატონი, მაქვს დაბალი წნევა, პულსი – აჩქარებული, გამუდმებით გაბრუებული მაქვს თავი, ხანდახან, წამიერად, თითქოს გონება მეთიშება. მაინტერესებს, რით შეიძლება იყოს გამოწვეული ყოველივე ეს?**

**პასუხი:** დასადგენია ჰიპოტონიის მიზეზი, თქვენს მიერ მითითებული ჩივილები მასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება ჰიპოტონიას, ქრონიკული არტერიული ჰიპოტონიის პირველი ტიპი დამოუკიდებელი დაავადებაა და უმთავრესად ვეგეტატიური ნერვული სისტემის აქტივობის დაქვეითებით არის განპირობებული. ქრონიკული არტერიული ჰიპოტონიის მეორე ტიპი სხვა დაავადებათა თანმხლები სიმპტომია. ამ დაავადებებს შორის გამოიყოფა: ნერვული დარღვევები (ნევროზები, ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონია), ტვინის პათოლოგიები, გულ-სისხლძარღვთა და ენდოკრინული სისტემების დაავადებები.

**კითხვა: მაქვს თავის ქრონიკული ტკივილი საფეთქლისა და შუბლის მიდამოებში. რაც ეს ტკივილები დამეწყო, იმავე მხარეს ხშირად თვალიც მიღიზიანდება. რა შეიძლება იყოს მიზეზი?**

**პასუხი:** პირველ ყოვლისა, მიმართეთ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს, საჭიროა ამ მიდამოში ანთებითი პროცესის გამორიცხვა, კერძოდ – სინუსიტის.

**კითხვა: ჭიპიდან იშვიათად მაწუხებს გამონადენი. ნაცნობმა მითხრა ომფალიტი იქნებაო. გთხოვთ, ამიხსენით, რას ნიშნავს ეს?**

**პასუხი:** ომფალიტი ნიშნავს ჭიპის ანთებას. მისი გამომწვევი მიზეზი არის სითხის (ოფლის, წყლის) დაგროვება ჭიპის ღრუში, რომელსაც შემდეგ ემატება მეორადი ინფექცია.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# ვის გამო ჩამოაშორეს სცენას ნინო ანანიაშვილი და ვისზე იძია მან შური

*„მსოფლიოო ბალეტს საქართველო სამმა უდიდესმა ხელოვანმა გააცნო: ჯორჯ ბალანჩინმა, ვახტანგ ჭაბუკიანმა და ნინო ანანიაშვილმა,“ – ეს სიტყვები რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. ნინო 6 წლის იყო, როცა ყინულზე ფიგურული სრიალის შესასწავლად მიიყვანეს. ცნობილმა ბალერინამ და პედაგოგმა ალა დვალმა შეამჩნია გოგონას განსაკუთრებული მონაცემები და მშობლებს ურჩია, ბალეტზე, ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში შეეყვანათ. ასეც მოხდა. ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ პატარა, გამხდარი, ნატიფი, ლამაზი გოგონა ნინო ანანიაშვილი ჯერ მოსკოვის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა, ხოლო შემდეგ მსოფლიოს ყველა პრესტიჟული საბალეტო თეატრების სასურველი მოცეკვავე გახდა. დღეს*


ია ნინიძე და ნინო ანანიაშვილი


„მარგარიტა და არმანი” – პრემიერის შემდეგ

*მსოფლიოში განთქმული პრიმა-ბალერინას ცხოვრების დღიურებსა და ფოტო-ალბომს გაგაცნობთ. ნინოს მამა, ბატონი* ***ვახტანგ ანანიაშვილი****, შვილზე გამოქვეყნებულ ყველა სტატიას (აკინძულს 60 ტომად), ჟურნალს (800-ზე მეტ ეგზემპლარს), რამდენიმე ათას ღია ბარათსა და ფოტოსურათს ინახავს და უვლის უნიკალურ არქივს; აქვე ინახება 500-ზე მეტი ვიდეოკასეტა და DVD დისკი.*

**ვახტანგ ანანიაშვილი:** გეოლოგი გახლავართ და ყოველ ზაფხულს ექსპედიციაში მიწევდა სიარული. ნინო 4 წლიდან თავის უფროს ძმებთან და ექსპედიციის 10-15 წევრთან ერთად, ძალიან რთულ მარშრუტებზე მოგვყვებოდა. სპორტული ბავშვი იყო, დაღლა არ იცოდა. ჩემთან ერთად მთელი საქართველო აქვს შემოვლილი. შემდგომში არაერთხელ უთქვამს: ექსპედიციებში სიარულმა მუხლები და კუნთები გამიმაგრა, რაც შემდეგ ბალეტში გამომადგაო. ექსპედიციებში მაშინაც დადიოდა, როცა უკვე დიდი თეატრის სოლისტი იყო. ნინომ არაერთხელ აზიარა გეოლოგიურ ცხოვრებას თავისი მეგობრები, მათ შორის – ილზე და ანდრის ლიეპები. ხშირად უხუმრია კიდეც: მე ყველაზე ცნობილი ბალერინა ვარ გეოლოგებს შორის და ყველაზე კარგი გეოლოგი – ბალერინებს შორისო.



არც ოჯახში და არც სანათესაოში ბალეტის მოცეკვავე არ გვყოლია. მე და ჩემი მეუღლე, ისევე, როგორც 40-50-იანი წლების თბილისის ახალგაზრდობა, ერთ დღეს ბალეტის დიდი გულშემატკივრები გავხდით. ჩვენი სიყვარული ბალეტისადმი იმაშიც ჩანდა, რომ ნინო ხშირად დაგვყავდა საბალეტო სპექტაკლებზე. ამ პერიოდში თბილისის საბალეტო დასის ხელმძღვანელი ცნობილი ქორეოგრაფი და შესანიშნავი პედაგოგი – გოგი ალექსიძე გახლდათ. ერთ დღეს, სპექტაკლის შემდეგ, ჯერ სახლში, შემდეგ კი ყინულზე შეეცადა, გაემეორებინა ყველა ის ილეთი, რამაც ასე განაცვიფრა წინა დღეს სცენაზე. სწორედ ეს შეამჩნია ბალეტის პედაგოგმა ალა დვალმა და გამოგვიცხადა: ნინო ბალეტისთვის არის დაბადებული და მისი ადგილი ქორეოგრაფიულ სასწავლებელშიაო. ასე გახდა ნინო ხსენებული სასწავლებლის მოსწავლე, სადაც მან 4 წელი გაატარა და ჩაირიცხა ბრწყინვალე პედაგოგის – თამარ ვიხოდცევას კლასში.


რეპეტიციაზე

ნინოს თბილისში დარჩენა და სწავლის გაგრძელება არ ეწერა. მოსკოვიდან ჩამოსულმა კომისიამ გვირჩია, ნინო მოსკოვში წაგვეყვანა. ამ წინადადებამ უამრავი თავსატეხი გაგვიჩინა, რომელთა შორის მთავარი იყო 14 წლის გოგონას მარტო გაშვება უცხო ქალაქში და საერთო საცხოვრებელში ცხოვრება. ეს უკანასკნელი პრობლემა გადაულახავი ჩანდა, რომ არა ნინოს ბებიის, ჩემი სიდედრის (ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების მთავარი ექიმის) მოულოდნელი განცხადება, რომ იგი ხვალვე გავა პენსიაზე და წაჰყვება ნინოს მანამ, სანამ... – და სიტყვები არ დაასრულა. ჩემი სიდედრი 11 წლის განმავლობაში თავს დასტრიალებდა ნინოს და, როგორც იტყვიან, ცივ ნიავს არ აკარებდა. თბილისში კი მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდა, რაც ნინო დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა, ოთხგზის პრესტიჟული საერთაშორისო საბალეტო კონკურსების ოქროს მედლის მფლობელი და ნინო ანანიაშვილი-ვაშაძისა გახდა. აი, თურმე რას ნიშნავდა ჩემი სიდედრის ნათქვამი „მანამ-სანამ...“



ჩემი მომავალი სიძე, გია ვაშაძე, განათლებით იურისტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, იყო საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრი ჟენევის განიარაღების კონფერენციაზე. ნინომ და გიამ გაცნობიდან ჯვრისწერამდე სამი წელი იფიქრეს. ამას თავად ასე ხსნის: „მე მინდოდა, ჩემს მომავალ მეუღლეს ჩემთან ერთად ჩემი პროფესიაც შეჰყვარებოდა.” ნინომ


„ჩაკონა” (ლ. ვაჩნაძის ფოტო)


„მარგარიტა და არმანი" (ლ. ვაჩნაძის ფოტო)

ჩანაფიქრს რომ მიაღწია, იქიდანაც ჩანს, რომ, 1988 წელს, ჯვრისწერისთანავე გიამ მიატოვა სამსახური, გვერდზე გადადო დასაცავად გამზადებული დისერტაცია და, 20 წლის განმავლობაში, როგორც პროდიუსერი, გვერდში ედგა თავის მეუღლეს. ის იყო ნინოს უკლებლივ ყველა გასტროლის ორგანიზატორი და თანმხლები პირი. ევროპული ენების ცოდნა გიას უადვილებდა მთელ მსოფლიოში პრესტიჟული გასტროლების ორგანიზებას და კონტრაქტების მაღალ დონეზე გაფორმებას, რაც ხშირად ბევრ პრობლემას წარმოშობდა. მე მიმაჩნია, რომ ამ ქორწინებით ნინომ დაამტკიცა, რომ ის სულით და გულით ქართველია.


„ლეკური" (ლ. ვაჩნაძის ფოტო)

„მოქმედ ბალერინას აუცილებლად რაღაც უნდა სტკიოდეს" – ეს მოარული ფრაზა ყველა მოცეკვავეს მოეხსენება, მაგრამ ტკივილიც არის და ტკივილიც. 1994 წელს თბილისში გასტროლების დროს, იმ ავად სახსენებელ ოღროჩოღრო იატაკზე, ჯერ ტატიანა ტერხოვამ (მარინის თეატრის პრიმა-ბალერინა), შემდეგ კი ნინომ, ფეხები დაიზიანეს. ნინოს ტრავმა უფრო სერიოზული აღმოჩნდა – მუხლის ჯვარედინი მყესი გაუწყდა და საჭირო გახდა ამერიკის სპეციალურ კლინიკაში ოპერაციის გაკეთება. ოპერაციის შემდეგ ნინო მთელი ერთი წლით ჩამოშორდა სცენას. საეჭვო გახდა არათუ ცეკვის გაგრძელება, არამედ, ჩვეულებრივი გადაადგილებაც კი. მაგრამ, ამჯერადაც ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ერთი წლის შემდეგ ნინო სცენას დაუბრუნდა. ნინომ გადაწყვიტა, „შური ეძია" ოპერის იატაკზე და ძალისხმევა არ დაიშურა (ოპერის გენერალური დირექტორის, ბატონი ზურაბ ლომიძისა და ყოფილი ფინანსთა მინისტრის, მიხეილ ჭკუასელის გვერდში დგომით) ქალაქ ბალტიმორიდან (ამერიკის შეერთებული შტატები) ჩამოეტანათ სპეციალური პანელური ტიპის ასაწყობი იატაკი, რომლის მსგავსიც მსოფლიოს სულ რამდენიმე თეატრის სცენას აქვს. ასეთი იატაკის მერე ჩვენი თეატრის ბალერინები სხვა ფიცარნაგს ვეღარ ეგუებიან.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, ფაქტია, რომ 2011 წელს ბაქოსა და ერევანში ჩვენი საბალეტო დასის გასტროლების დროს, ზემოხსენებული იატაკი თბილისიდან ჩაიტანეს.


„როემო და ჯულიეტა" (ლ. ვაჩნაძის ფოტო)

რაც შეეხება დიდ თეატრში ნინოს კარიერას, არც იქ იყო მისი მოღვაწეობა ია- ვარდებით მოფენილი. 1986 წელს, ქალაქ ჯექსონში (ამერიკის შეერთებული შტატები), ბალეტის საერთაშორისო კონკურსზე, ნინოსა და ანდრის ლიეპას დუეტმა „გრან-პრი" მოიპოვა (დღემდე განუმეორებელი ფაქტი), რის შემდეგაც ისინი ამერიკის დიდ ქალაქებში გასტროლების ჩასატრებლად მიიწვიეს. გასტროლების შემდეგ ანდრისმა ამერიკაში დარჩენა გადაწყვიტა, რაც საბჭოთა კავშირის დროს ღალატად ითვლებოდა. მოსკოვში დაბრუნებული ნინო კი თანამონაწილედ ჩათვალეს და, პრაქტიკულად, ჩამოაშორეს სცენას. დიდი თეატრიდან ნინოს წამოსვლას თითქმის არაფერი აკლდა, რომ მთელი საბჭოთა კავშირი ეგრეთ წოდებული „პერესტროიკის" ტალღამ მოიცვა. ძალიან მალე შესაძლებელი გახდა საერთაშორისო პასპორტის აღება და უცხოეთიდან ინდივიდუალურ მოწვევებზე კონტრაქტების დადება და მოკლე დროში ნინოს მოწვევებს ბოლო არ უჩანდა.

**ეკა პატარაია**

# რომელი ლეგენდა უკავშირდება ალექსანდრე მელიქ-აზარიანცის „შემოსავლიანი სახლის" მშენებლობას და რომელი ცნობილი რევოლუციონერის სიცოცხლე დასრულდა ვერის დაღმართზე

(ოცდამესამე გვერდიდან)

გაითქვა: 1919 წლის 13 სექტემბერს, თანამოაზრეებთან ერთად, არკადი ელბაქიძემ ყუმბარა ესროლა გენერლის ავტომობილს. ყუმბარის აფეთქების შედეგად ავტომობილში მსხდომთაგან ადგილზევე გარდაიცვალა პოლკოვნიკი ალხავი, მძღოლი


ვერის დაღმართი (1910-იანი წლები)

ვასილ ჟუჟიაშვილი და გენერლის თანაშემწე შალვა სამათაძე, ხოლო გენერალი ბარათოვი და გენერალი ოდიშელიძე მძიმედ დაიჭრნენ – ოდიშელიძეს სახე დაუზიანდა. მოგვიანებით გენერალ ბარათოვს ფეხი მოჰკვეთეს. ტერორისტ ელბაქიძეს აფეთქებიდან რამდენიმე წუთში პოლიცია დაედევნა და შეტაკებისას არკადი ელბაქიძე დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ ელბაქიძე არ არის ერთადერთი ცნობილი ტერორისტი, რომელმაც სიცოცხლე ვერის დაღმართზე დაასრულა: მოგვიანებით, 1922 წლის 14 ივლისის ღამით, სახლში ველოსიპედით მიმავალი სიმონ ტერ-პეტროსიანი, იგივე კამო გაჩერებულ სატვირთო ავტომობილს დაეჯახა, დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ კამო ქვაფენილზე გადაისროლა და მან თავის არეში ტრავმა მიიღო, რის გამოც ორი საათის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც. მილიციამ გარდაცვლილი კამო იმავე ავტომობილით მიხეილის საავადმყოფოში გადაასვენა, ავტომობილის მძღოლი კოლა დვალი კი დააპატიმრა. კამოს გარდაცვალება უბედურ შემთხვევად გამოცხადდა, თუმცა, ამ ვერსიის დღემდე არავის სჯერა – ბევრის აზრით, ეს იყო წინასწარ დაგეგმილი შემთხვევა. ვერის დაღმართს კიდევ რამდენიმე ისტორია უკავშირდება: მეცხრამეტე საუკუნეში აქ მდებარეობდა ბაზარი, რომელიც ერევნელის მოედნიდან იყო გადმოტანილი; ვერის დაღმართზევე ცხოვრობდა რამდენიმე ცნობილი თბილისელი ექიმი; ვერის დაღმართზე, მიხეილის პროსპექტის მიმართულებით მიმავალ ტრამვაის პერიოდულად ძარცვავდნენ – დაღმართზე ვაგონი სვლას ანელებდა და რევოლვერებით შეიარაღებული მძარცველები კონდუქტორებს ჩანთებსართმევდნენ. თბილისელების უმეტესობა ვერის დაღმართს დღემდე ელბაქიძის დაღმართად მოიხსენიებს.


ვერის დაღმართი (1910-იანი წლები)


ზემელის აფთიაქი (1910-იანი წლები)

**უშანგი რუხაძე**



**ხშირად შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ნამდვილად გამოირჩევიან ნიჭიერებით, ბევრი კი ისეთ ზებუნებრივ ნიჭს ავლენს, რომ გარშემო მყოფების გაოცებას იწვევს. მაგალითად, არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელიც უცხო ენების შესწავლას დიდ დროს არ უთმობს და რამდენიმე ენაზე გამართულად ლაპარაკობს; ასევე, მუსიკალური განათლების გარეშე აღწევენ მსოფლიოს გაოცებას და ურთულესი ნაწარმოებების ნოტების გარეშე დაკვრას ან მღერას; ან, ისეთ მათემატიკურ ნიჭს ავლენენ და ისე შეუძლიათ გამომთვლელის დახმარების გარეშე გადაამრავლონ ან გაყონ ხუთნიშნა, ექვსნიშნა ან შვიდნიშნა ციფრები, რომ სრული შოკი გამოიწვიონ. საყოველთაოდ მიღებულია მოსაზრება, რომ ნიჭიერება გენეტიკურად გადადის მშობლიდან შვილზე. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებს ბევრი გენეტიკოსი. თუმცა, თუ ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგს, ბატონ გიორგის დავუჯერებთ, ეს არა მხოლოდ გენეტიკის, არამედ, სულის რეინკარნაციის ბრალია. თუ თქვენ წინა ცხოვრებაში სხვა ქვეყანაში ცხოვრობდით ან სხვადასხვა პროფესიას ეუფლებოდით, სხეულში სულის განმეორებითი ჩასახვისას, ის ნიჭი თქვენზე გადმოდის.**

# რამდენჯერ იბადება და კვდება ადამიანის სული და როდის იძენს ის ახალ შეგრძნებებსა და გამოცდილებას

**– ბატონო გიორგი, დღეს ბევრს აინტერესებს პასუხი კითხვებზე: გადადის თუ არა ნიჭი მშობლებიდან შვილებზე, ანუ, არის თუ არა ის გენეტიკური?**

– ამ კითხვებით ბევრი მომმართავს, ხშირ შემთხვევაში კი ის ადამიანები, ვისაც გარკვეული მიდრეკილება და ნიჭი აქვთ. უნდა გითხრათ, რომ ეს წინაპრების გენეტიკასთან არანაირ კავშირში არ არის. ამას წინათ, ერთმა საკმაოდ სოლიდურმა ადამიანმა მომმართა და მითხრა, რომ, თურმე, მათემატიკის ნიჭი აღმოაჩნდა 52 წლის ასაკში, არადა, მანამდე არანაირად არ გამოირჩეოდა, ის კი არა, სკოლაშიც ელემენტარულ მათემატიკურ ამოცანებსაც კი ძლივს იყვანდა. გადავწყვიტე გადამემოწმებინა მისი ნათქვამი: მოვიმარჯვე კალკულატორი და ვთხოვე, გადაემრავლებინა ექვსნიშნა ციფრები. გაოცებული დავრჩი – სულ რაღაც რამდენიმე წამით დაფიქრების შემდეგ, ზუსტი პასუხი მივიღე. დავინტერესდი, იყო თუ არა ვინმე მისი წინაპრებიდან მსგავსი ნიჭით დაჯილდოებული. აღმოჩნდა, რომ წინაპრებიდან მსგავსი ნიჭით ნამდვილად არავინ ყოფილა გამორჩეული. ის ექიმების ოჯახიდან იყო და წინაპრებიც ამ პროფესიის ჰყავდა. მათემატიკასთან შეხება არც ერთს არ ჰქონია. თავად ის უკვირდა, აქამდე ელემენტარული მიმატება-გამოკლება მიჭირდა, გამყიდველი ხურდას რომ დამიბრუნებდა, ერთი საათი ვანგარიშობდი, ხომ არ მომატყუა-მეთქი, ახლა კი ისე სწრაფად ვამრავლებ და ვყოფ რიცხვებს, თვითონაც გაოცებული ვარო. წლების წინ აღმოსავლური სიბრძნით დავინტერესდი. მერე ამ ქვეყნებში ვიმოგზაურე, გარკვეული დროით ვცხოვრობდი კიდეც იქ და ამგვარი საკითხების შესახებ ჩემეული, ანუ აღმოსავლურ-ეზოთერიკული ხედვა ჩამომიყალიბდა. მოკლედ, როგორც გაირკვა, ამ კონკრეტულ ადამიანს მათემატიკური ნიჭი გენეტიკურად კი არ დაჰყვა, არამედ, რეინკარნაციულად. აღმოსავლური ეზოთერიკის მიხედვით, სულში დაგროვილი და დალექილი გამოცდილება თანდაყოლილი ნიჭის საფუძველია. თუ განსაკუთრებულ ნიჭს ავლენთ მუსიკაში, ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მათემატიკაში, სპორტში და ასე შემდეგ, ესე იგი, თქვენმა სულმა საკმაო ცოდნა და გამოცდილება წინა ცხოვრებაში დააგროვა და აითვისა. თუ უცხო ენების ათვისება გიადვილდებათ და ერთდროულად რამდენიმე ენას ფლობთ, სავარაუდოდ, თქვენ კი არ სწავლობთ, უბრალოდ, ამ ცხოვრებაში აღიდგენთ და იხსენებთ იმ ენას, რომელზეც წარსულში, ანუ, სხვა ცხოვრებაში ლაპარაკობდით, როცა თქვენი სული სხვა ადამიანის სხეულში იყო. მოკლედ, ადამიანის სული დედამიწაზე რამდენჯერმე ახერხებს დაბრუნებას და სიცოცხლეს სხვადასხვა სხეულში ჩასახლებული განაგრძობს. სულსა და ხორცს შორის ბრძოლა დედამიწაზე მიმდინარეობს. მიწიერი ცდუნებების დათრგუნვისა და წინაღმდეგობებთან ბრძოლის დროს იწრთობა და განიწმინდება ჩვენი სული, ამისთვის კი ერთი სიცოცხლე არ კმარა. ადამიანის სული რამდენჯერმე იბადება და კვდება, ის რამდენიმე სხეულს იცვლის და, თითოეულ სხეულში ჩასახლებული, უშვებს შეცდომებს, აგროვებს გამოცდილებას, იძენს ახალ შეგრძნებებს, ემატება იმის გაცნობიერების უნარი, ვინ არის კეთილად განწყობილი მის მიმართ და ვინ პირიქით – ბოროტად. ასევე, ადამიანების დიდი ნაწილი განსაკუთრებული, გამძაფრებული ინტუიციით გამოირჩევა, ზოგი ცუდი ჩვევებისკენაა მიდრეკილი, ზოგიც ცხოვრებაში ბევრ შეცდომას უშვებს. ეს ყველაფერი კი წინა ცხოვრებაში სულის მიერ დაგროვილ გამოცდილებასთანაა კავშირში.

**– თუ ადამიანს გამოკვეთილად გამძაფრებული ინტუიცია აქვს ან ხშირად უშვებს ცხოვრებისეულ შეცდომებს, ეს რისი ბრალია?**

– საერთოდ, ადამიანის სული იყოფა კატეგორიებად ანუ ტიპებად. ერთ ტიპის წარმომადგენლები გამოირჩევიან მეტი სიბრძნით. ასეთ ადამიანებს გამძაფრებული ინტუიცია აქვთ და გამოირჩევიან სწორი ცხოვრებისეული ხედვითა და ნებისყოფით. სხვა კატეგორია გამოირჩევა ცხოვრებისეული გამოცდილებით; ზოგიერთი ახლა

> **ადამიანის სული დედამიწაზე რამდენჯერმე ახერხებს დაბრუნებას და სიცოცხლეს სხვადასხვა სხეულში ჩასახლებული განაგრძობს**

დადგა ცხოვრებისეული გამოცდების წინაშე, განვითარების ადრეულ საფეხურებს გადის და ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი და ასათვისებელი. ამ უკანასკნელი კატეგორიის წარმომადგენლები ცხოვრებაში ბევრ შეცდომას უშვებენ, გამოირჩევიან ცუდი მიდრეკილებებითა და ჩვევებით, არიან ფეთქებადი ხასიათის, აგრესიული ტიპები. ახალ სხეულში ჩასახლებული სული კი გვაძლევს არა კონკრეტულ ინფორმაციას, არამედ, წარსულ ცხოვრებაში შეჯამებულ შედეგებს, რაც გამოვლინდება მიდრეკილებებსა და ნიჭიერებაში.

**– აღმოსავლური სიბრძნის მიხედვით, ადამიანი ისეთი სულის მატარებელია, როგორსაც იმსახურებს. ეს რას ნიშნავს?**

– დიახ, აღმოსავლეთში სჯერათ სულის რეინკარნაციის და მიაჩნიათ, რომ ყველა ადამიანი ისეთ სულის ჩასახლებას იმსახურებს დაბადების მომენტში, როგორითაც აჯილდოებს მას განგება. ამის გაგება ცოტა რთულია და ბევრისთვის დაუჯერებელი, მაგრამ, მე ამის სავსებით მჯერა. თუმცა, თუ მსგავს საკითხებში ვერ ერკვევი და, მით უმეტეს, გარკვეული ცოდნა არ გაქვს მიღებული, არარეალურად გეჩვენება სულის განმეორებითი მოვლენა დედამიწაზე. უფრო მეტსაც გეტყვით: არის შემთხვევები, როცა წინაპრები განსაკუთრებულად ნიჭიერები და ცნობილი ადამიანები იყვნენ, მაგრამ, მათი შთამომავლები საკმაოდ ცუდი ჩვევების მქონე და უნიჭოები გამოვიდნენ. ალბათ, ასეთი ადამიანები თქვენ გარშემოც არსებობენ. თუ ვამბობთ, რომ ნიჭი მხოლოდ გენეტიკურად გადადის, მაშინ, ასე რატომ ხდება?

**– ან, პირიქით, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი თავადაც გაოცებულია, საიდან დაჰყვა მსგავსი ნიჭიერება, როცა მისი მშობლები უბრალო, გაუნათლებელი ადამიანები არიან.**

– დიახ, ასეა. ამაზე დაფიქრდით და თავად მიხვდებით, რომ ზემოთ ნათქვამში ჭეშმარიტება ნამდვილად დევს. მართალია, არ აღიარებთ, მაგრამ მაინც ფიქრდებით ამაზე. შემიძლია, ჩემი მეგობრის მაგალითი მოგიყვანოთ: ის მათემატიკოსია, მისი მეუღლე კი – ფიზიკოსი. საოცრად ნიჭიერი და გონებაგახსნილი ცოლ-ქმარია, რომ იტყვიან, ტვინით „გამოძეძგილები". შვილებს კი, რომ ჰკითხოთ, ორჯერ ორი რამდენიაო, დაფიქრდებიან და, შესაძლოა, ვერც გიპასუხონ. ცოლ-ქმარს, არ სჯერა სულის დედამიწაზე რამდენჯერმე განმეორების და, მით უმეტეს, თუ რეინკარნაციაზე ვიწყებ ლაპარაკს, მაჩერებენ – მაგ ზღაპრებს ნუ გვიყვები, ბავშვობის ასაკიდან დიდი ხანია გამოვედითო. მაგრამ, თავიანთი შვილების მაგალითს რომ მოვუყვან, მერე ჩუმდებიან და გადახედავენ ხოლმე ერთმანეთს – მგონი, მართალს ამბობს ეს კაციო *(იცინის)*. ასე რომ, დაფიქრება არ გაწყენდათ!

**– ბატონო გიორგი, თუ ადამიანი რამდენიმე დარგში ავლენს განსაკუთრებულ ნიჭიერებას?**

– ნიჭიერებას თავისი დოზა აქვს. თუ სული მეოთხედ მოხვდა დედამიწაზე, კონკრეტული ადამიანის სხეულში და ის პირველი სიცოცხლის დროს მხატვარი იყო, მეორედ დაბრუნებისას – მუსიკოსი, მესამედ კი მწერალი, რა გასაკვირია, თუ ეს სამივე ნიჭი ერთ ადამიანში მოიყრის თავს?! ეს ბუნებრივია და ასეთი უამრავი ადამიანი არსებობს. მათმა სულმა რამდენიმე სფეროში დააგროვა გამოცდილება წარსულ ცხოვრებაში და ახლა ამ გამოცდილებას მორიგ სხეულში „აფრქვევს". ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ თქვენი შვილი კარგად მღერის, ლექსებსაც წერს და თან სხვა ნიჭითაც გამოირჩევა – მისი ეს მდგომარეობა სულის რეინკარნაციის ბრალია და მასში ყველა ნიჭი ერთდროულად დევს.

**ნონა დათეშიძე**

# „ტრენინგები“ სიმშვიდისთვის

გატეხეთ თეფში, ფინჯანი, ლარნაკი – დალეწეთ დაუნანებლად და დამშვიდდით. „გამოუშვით ორთქლი“, რომ შვებით გაიცინოთ. თუ დღეში ათ წუთს მაინც არ გამხიარულდებით, არ იხუმრებთ, არ გაიცინებთ ანეკდოტზე და არ მოგგვრით სიხარულს როგორც საკუთარ თავს, ისე სხვას, ძალიან მალე თქვენთან ურთიერთობა არავის მოუნდება და თან დაბერდებით კიდეც შეკრული შუბლით. წამოხტით და წაიცეკვეთ, იყვირეთ ან წაივარჯიშეთ – გააკეთეთ ის, რაც სწორედ იმ მომენტში მართლაც ძალიან გინდათ. იფიქრეთ მხოლოდ სასიამოვნოზე. წარსულის „ნათელი სურათები“ აწმყოსაც გაგიხალისებთ. ეჭვი ნუ შეგეპარებათ იმაში, რომ დღევანდელი პრობლემები მხოლოდ დროებითია.

ხშირად სასწაულის ახდენის მოლოდინი მართლდება. რატომ უნდა მოუშხამოთ გუნება საკუთარ თავს თქვენვე. ეს დაუშვებელია და სხვას ნუ დააბრალებთ, თუკი უცებ „შავ ზოლზე გადახვალთ“. დაივიწყეთ ყველა ის ნიუანსი, რომელიც განწყობას გაგიფუჭებთ. საკუთარი თავის მტერი ხომ არ ხართ.

ზოგადად, დღევანდელი ცხოვრების რიტმი რთულია და ძალიან ძნელია ამ პირობებში, როცა მასობრივ ფსიქოზში ვცხოვრობთ და გამაღიზიანებელი ფაქტორები პროგრესირებს. თუ მათ ერთხელ მაინც ჩვენი ცხოვრების გამწარების საშუალებას მივცემთ, ვეღარასოდეს მოვიშორებთ. ვერც სიმშვიდეს ვეღირსებით. ამიტომ, იტრენინგეთ და შეინარჩუნეთ სიმშვიდე ბედნიერებისთვის.

# ძლიერი, მაგრამ – სუსტი...

მამაკაცი – ძლიერი სქესი. ის თავად ბუნებამ შექმნა ასეთი და უზარმაზარი პასუხისმგებლობაც დააკისრა. შესაბამისად, მამაკაცი ოჯახის თავიც უნდა იყოს, მისი მესაჭე და წარმმართველი, რომელსაც თამამად დაეყრდნობი და მშვიდად იქნები, როგორც სალი კლდის ჩრდილში... მაგრამ...

განვიხილოთ ეს „მაგრამ“: დავიწყოთ იმით, რომ მამაკაცებს, უკვე არცთუ იშვიათად, ავიწყდებათ, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლები არიან. თუ კარგად დავაკვირდებით, მათ შორის ყველაზე ძლიერსა და თავდაჯერებულსაც კი, ზოგჯერ დაცვაც სჭირდება, დახმარებაც და მხარში სერიოზული დადგომაც – ეს უკვე ფაქტია და, თუ მამაკაცი ამას არ აღიარებს, ეს იმას ნიშნავს, რომ, არ უნდა ძლიერის სტატუსი დაკარგოს. როგორ უნდა მოიქცეს ქალი – აგრძნობინოს გვერდით მდგომ მამაკაცს, რომ ის ხანდახან მასზე სუსტია? არავითარ შემთხვევაში! მამაკაცი შეიძლება, ფიზიკურად კი არის ძლიერი და ძლიერი სქესის „ნომინაციაზეც“ სერიოზული პრეტენზია აქვს, მაგრამ, რეალურად, სუსტი სქესისთვის დამახასიათებელ თვისებებს ავლენს – მას ბავშვივით სწყინს და იბუტება. გარდა ამისა, კარგავს თავდაჯერებულობას, თვითრწმენას და რაც ყველაზე ცუდია, აგრესიას იმაზე ანთხევენ, ვინც ყველაზე ახლოს ჰყავთ. ანუ, თქვენზე. ესე იგი, რა გამოდის?! ძლიერი კი არის, მაგრამ...

მოკლედ, ნუ ვეცდებით, დავამტკიცოთ საკუთარი ძლიერება. გახსოვდეთ, სიძლიერე სწორედ ჩვენს ქალურ სისუსტეშია!

# ბედნიერების ვირუსი

დიდი ხანია, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ბედნიერება გადამდებია – როგორც ვირუსი, ისე გადადის ერთი ადამიანიდან მეორეზე. თანაც ამ პროგრესს ჯაჭვური, შეუქცევადი სახე აქვს. შეიძლება, არ დაკვირვებიხართ, მაგრამ, საკმარისია, ბედნიერ ადამიანთან გქონდეთ ურთიერთობა, რომ თქვენი ემოციური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს. ერთმა ასეთმა კონტაქტმაც კი, სავარაუდოდ, თქვენი სასიცოცხლო ტონუსი 15 პროცენტით უნდა აამაღლოს, პოზიტიურ განწყობას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

როცა აკუმულატორივით დაიმუხტებით ოპტიმიზმით, შეძლებთ, საკუთარ პრობლემებს უფრო მარტივად შეხედოთ; დაინახავთ, რომ ტყუილად ნერვიულობდით ბევრ უმნიშვნელო წვრილმანზე; უფრო მეტიც, თქვენ უკვე შეძლებთ თქვენი პოზიტიური ენერგიის 5 პროცენტის გასხვისებას, გაცემული კი უკან ორმაგად დაგიბრუნდებათ.

სამწუხაროდ, ადამიანები გაცილებით სწრაფად და ღრმად ვისრუტავთ უარყოფით და ნეგატიურ როგორც ინფორმაციას, ასევე ენერგიას, პოზიტიურს კი – ნაკლებად. თანაც, ის დიდხანს რჩება ჩვენს ცნობიერებაში – აი, რატომ უნდა უყუროთ ხშირად მელოდრამებს, კეთილ ფილმებსა და მულტფილმებს. ურთიერთობა გქონდეთ ბავშვებთან – ყველაზე დადებით ადამიანებთან დედამიწაზე.

შეეცადეთ, არასდროს გააფუჭოთ თქვენი ბედნიერი აურა.

# გაიმხიარულე სული...

გაზაფხული არც ისე შორს არის, მაგრამ შეიძლება, სწორედ ამ მოსაწყენი ზამთრის დღეებში დაგრიოს სევდამ ხელი, ნეგატიური განწყობა კი ძალიან დამთრგუნველი და ხელის შემშლელია. გამოსავალი არსებობს. იმისთვის, რომ თქვენმა აქტიურობამ და შრომისუნარიანობამ არ იკლოს, მიმართეთ უწყინარ ხრიკებს: ჩვეულებრივ, ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ, მაგრამ, ზამთრის პეიზაჟი უნებლიეთ გვაყენებს ცუდ გუნებაზე. ამას რომ გაექცეთ, შეეცადეთ, თქვენ გარშემო მკვეთრი ფერები იყოს, – მაგალითად: ფორთოხლისფერი (მზის დეფიციტს შეგივსებთ), წითელი და ყვითელი. მიირთვით შავი შოკოლადი, ციტრუსი, მინის ლარნაკი კი ფერად, ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეული კანფეტებით შეავსეთ.

ჩაიცვით ექსტრავაგანტური სამოსი. წადით შოპინგზე და იყიდეთ ის, რაც მართლა გულით გინდათ.

და – ყვავილები... რაც მთავარია, ყვავილები... კიდევ – ჯუჯა ხეები, რომლებიც ცხოვრებას გაგიხალისებენ.

მოწყენილობისგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალებაა გარდერობის დალაგება. ნახეთ, რა ტანსაცმლით შეხვდებით გაზაფხულს – ისევ კარგად გაქვთ ყველაფერი თუ ზამთრის განმავლობაში ზედმეტი კილოგრამები აკრიფეთ? იმასაც ნახავთ, რა უფრო აქტუალურია, რომ შეიძინოთ – ეს გაგახალისებთ და სულს გაგიმხიარულებთ. თან, სასარგებლო საქმესაც გააკეთებთ.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რატომ სძულს აზია არჯენტოს მონიკა ბელუჩისა და ჯინა ლოლობრიჯიდას ტიპის მსახიობები და რატომ არ არის მისთვის პრობლემა კამერის წინ გაშიშვლება

„მე მძულს, როდესაც რეჟისორები ამბობენ, რომ, გადასარევად გაატარეს დრო გადაღებების დროს. გადაღებები – ეს ხომ ომია, როცა ჩვენ ყველანი ერთი მიზნისთვის ვიბრძვით,“ – ეს სიტყვები ეკუთვნის თანამედროვე იტალიური და ევროპული კინოს აღიარებულ ვარსკვლავს, ცნობილი იტალიელი რეჟისორის, საშინელებათა ჟანრის ფილმების დადგმის ოსტატის, დარიო არჯენტოს ქალიშვილს, მსახიობს, რეჟისორსა და მწერალს, ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს ქალბატონს – აზია არჯენტოს.



აზია არია მარია ვიტორია როსა არჯენტო 1975 წელს რომში, ხელოვანების ოჯახში დაიბადა. მისი დედა მსახიობი დარია ნიკოლიდია, ხოლო მამა – იტალიური კინოს ცოცხალი ლეგენდა, დარიო არჯენტო, რომლებიც, გარდა იმისა, რომ კინოვარსკვლავები იყვნენ, იტალიაში ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ წყვილადაც ითვლებოდნენ. სხვათა შორის, აზიას ნამდვილი სახელია არია მარია. მმაჩის ბიუროში, სადაც ატარებდნენ ბავშვის დაბადების რეგისტრაციას, თანამშრომლებმა უარი განაცხადეს, ახალშობილის დაბადების მოწმობაში ჩაეწერათ გეოგრაფიასთან დაკავშირებული სახელი, მაგრამ, ამის მიუხედავად, მშობლები და ახლობლები მას მაინც აზიას უძახდნენ. აზიას წინაპრებიც ხელოვნებას ემსახურებოდნენ: ბაბუა და ბიძა კინოპროდიუსერები იყვნენ, ბებია, ელდა ლიუქსარდო – ფოტოგრაფი. აქედან გამომდინარე, ის პატარა ასაკიდან ეზიარა კინოსამყაროს და არავისთვის არ იყო მოულოდნელი, როცა 9 წლის გოგონამ განაცხადა, რომ სურს გახდეს კინოვარსკვლავი, ისეთი, როგორიც ჯინა ლოლობრიჯიდაა. მანამდე კი, 8 წლის ასაკში, აზიამ თავისი ლექსების პირველი კრებული გამოსცა, ხოლო ერთი წლის შემდეგ შედგა მისი კინოდებიუტი ლამბერტო ბავას საშინელებათა ჟანრის ფილმში „დემონები 2”. მოგვიანებით აზიამ ითამაშა იტალიელი სუპერ-ვარსკვლავის, სერიალ „რვაფეხას” სახის, მიკელე პლაჩიდოს ფილმში „გულითადი მეგობრები” და მის სამსახიობო ნიჭზე მთელ იტალიაში ალაპარაკდნენ. ფილმმა სერიოზულ წარმატებას მიაღწია კანის კინოფესტივალზე, ხოლო აზიას გადაღება თავის ფილმებში მამამისმა დარიომ დაიწყო. მათი პირველი საერთო ფილმი იყო „ტრავმა”, რომელსაც კიდევ რამდენიმე გახმაურებული თრილერი მოჰყვა. საერთოდ, მამის ფილმოგრაფიას აზია „ხუთიანზე“ იცნობდა, რადგან, ძილის წინ, ან ვიდეოკასეტაზე ჩაწერილ მორიგ კოშმარს უყურებდა, ან დარიო თვითონ უკითხავდა მას თავისი „საშინელი” ფილმების სცენარებს. 1993 წელს აზიამ ითამაშა გახმაურებულ და სკანდალურ ფილმში „დედოფალი მარგო”, რომელშიც მთავარ როლებს იზაბელ აჯანი და ვენსენ პირესი ასრულებდნენ. იმ დროისთვის აზია უკვე საკმაოდ ცნობილი იყო იტალიაშიც და მის გარეთაც. აზიას პერსონით ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორი აბელ ფერარა დაინტერესდა და გადაიღო ფილმში – „სასტუმრო „ახალი ვარდი.” სხვათა შორის, იმ დროისთვის აზია რეჟისორობითაც იყო გატაცებული – მის ანგარიშზე რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმია, ხოლო, მის ყველაზე ცნობილ ნამუშევრად დღემდე ითვლება გამოგონილ მსახიობზე, ანა ბატისტაზე გადაღებული ბიოგრაფიული ფილმი „სისხლიანი დედოფალი”.

ამერიკაში გატარებული პერიოდი აზიას კარიერაში საუკეთესოდ ითვლება. სწორედ ჰოლივუდში გადაიღეს ფილმი, რომლის წყალობითაც მან საერთაშორისო ვარსკვლავის სტატუსი მიიღო. საუბარია რობ ქოენის ბლოკბასტერზე – „სამი იქსი”, სადაც აზიასთან ერთად ვინ დიზელი და სამუელ ელ ჯექსონი თამაშობდნენ. ამ ფილმის გადაღების პროცესს აზია ყოველთვის ხალისიანად იხსენებს, რადგან, მისი თქმით, გადასაღებ მოედანზე მან იმდენჯერ აკოცა დიზელს ტუჩებში, რამდენჯერაც თავისი არც ერთი „ბოიფრენდისთვის“ არ უკოცნია. სხვათა შორის, აზიას „ბოიფრენდების“ რაოდენობაზე ლეგენდები დადის, მის სახელს უკავშირებენ რომანებს ნორმან რიდუსთან, ჯონათან რის-მაიერსთან, მაიკლ პიტთან, ვინსენტ გალოსთან და აბელ ფერარასთანაც კი. ნაკლებად ცნობილ იტალიელ როკ-მუსიკოსისგან, მარკო კასტოლდისგან 2001 წელს აზიამ ქალიშვილი გააჩინა, მაგრამ, წყვილი მალე დაშორდა. ამჟამად აზია იტალიელ რეჟისორთან მიკელე ჩივეტისთან ერთად ცხოვრობს, 2008 წლის სექტემბერში მათ ვაჟი ეყოლათ, ხოლო მშობიარობამდე ორი კვირით ადრე ახალგაზრდებმა თავიანთ ურთიერთობას ოფიციალური სახე მისცეს.

„პატარაობისას ყველა მეუბნებოდა, რომ საშინლად გამოვიყურებოდი და ნამდვილი საფრთხობელა ვიყავი,” – ეს სიტყვები აზიამ, რომელიც სუფთად ლაპარაკობს ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, ჟურნალისტებისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, თუმცა, რთულია მისი სიტყვები სერიოზულად აღიქვა, რადგან, დღესდღეობით აზია ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ ქალ მსახიობად ითვლება ევროპაში, რომელსაც არ რცხვენია თავისი შიშველი სხეულის აფიშირება. სხვათა შორის, აზიას არ უყვარს, როცა მას სექს-სიმბოლოდ მოიხსენიებენ. მას მიაჩნია, რომ ის უფრო ინტელექტუალური კინოს წარმომადგენელია, ვიდრე პოპ-კულტურის და მისთვის ჯინა ლოლობრიჯიდას, რომელიც ერთხანს მისი კერპი იყო და მონიკა ბელუჩის ტიპის მსახიობი ქალები მეძავები უფრო არიან, ვიდრე კინოს სამყაროს წარმომადგენლები.

კინოს გარდა, აზია ცნობილია თავისი ტატუირებებით. საერთოდ, კინოსამყაროში თუ ვინმე სჯობნის მას სვირინგების რაოდენობით, ეს არის ანჯელინა ჯოლი. თავის ტატუირებებთან დაკავშირებით აზია ხუმრობს კიდეც. როდესაც მიმდინარეობდა „სამი იქსის” გადაღება, მთავარი გმირების უმეტესობას მთელ სხეულზე ტატუირებები უნდა ჰქონოდათ და, რეჟისორისთვის მოულოდნელად, ერთადერთი მსახიობი, რომელსაც არ დასჭირდა დროებითი ტატუს გაკეთება, აზია არჯენტო აღმოჩნდა. მისი ცნობილი სვირინგებიდან საზოგადოება მარცხენა ხელზე ამოსვირინგებულ ჯვარსა და მუცლის ქვემოთ დახატულ ანგელოზს იცნობს; რაც შეეხება დანარჩენ ტატუებს, ისინი აზიას ინტიმურ ადგილებში აქვს გაკეთებული.

რამდენიმე ფაქტი აზია არჯენტოს ცხოვრებიდან:

* პერიოდულად აზია არჯენტო თავის მოთხრობებს იტალიურ ჟურნალებში გამოსცემს; ასევე მას დაწერილი აქვს რომანი – „მე შენ მიყვარხარ, კირკ”.
* აზიას დაძაბული ურთიერთობა აქვს ჰოლივუდის არაერთ ვარსკვლავთან, განსაკუთრებით კი მას ურთიერთობა არ აეწყო ჯენიფერ ანისტონთან, რომელიც თავის მაშინდელ მეუღლეს, ბრედ პიტს, აზიასთან ერთად ფილმში მონაწილეობას უკრძალავდა, რადგან, ეშინოდა, რომ ბრედი მას უღალატებდა. ერთ-ერთი შეხვედრის დროს აზიამ ღვინით სავსე ჭიქა ესროლა ჯენიფერს და თავში მოარტყა.
* აზია არჯენტო ოკულტიზმით არის გატაცებული და მერილინ მენსონთან მეგობრობს, რომლის ერთ-ერთ კლიპში მთავარი როლი შეასრულა.
* ბოლო წლებია, მსახიობი, რეჟისორი და მწერალი აზია არჯენტო ელექტრონულმა მუსიკამ გაიტაცა და პერიოდულად ის ღამის კლუბებში დიჯეის ამპლუას ირგებს.
* აზია არჯენტოს არ უყვარს ტიტრებით დუბლირებული ფილმები. მისი აზრით, იტალიელები ზარმაცი ხალხია და მათთვის ტიტრებიანი ფილმი დისკომფორტს ქმნის.
* თავის საყვარელ კინოჟანრად აზია არჯენტო პორნოგრაფიას მიიჩნევს.
* 21 წლის ასაკამდე აზია არჯენტოს საკუთარი თავი მახინჯად მიაჩნდა.
* ერთ-ერთი ბოლო ფილმი, რომელშიც აზია არჯენტომ მთავარი როლი შეასრულა, არის მამის, დარიო არჯენტოს გადაღებული საშინელებათა ჟანრის ფილმი – „დრაკულა”, სადაც აზიას პარტნიორი სახელოვანი რუტგერ ჰაუერია.

**უშანგი რუხაძე**




## ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია

**ამზადებს სხვადასხვა პროფილის კადრებს:**

1. ტურიზმი, გიდი (I, II, III, IV საფეხური); 2. ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) (II, III, IV, V საფეხური); 3. კორესპონდენტი (III საფეხური); 4. მუსიკოს-რეპეტიტორი (V საფეხური).

**მიღების მოთხოვნები:**

ოთხივე სპეციალობისთვის აუცილებელია საბაზო, საშუალო ან არაფორმალური განათლების აღიარება, გასაუბრება უცხოურ ენაში; წინა საფეხურის დიპლომი.

ყოველ საფეხურზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.

სწავლა ახალი ნაკადისათვის დაიწყება ა/წ 20 თებერვალს.

**დირექტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

საბუთების მიღება ყოველდღე 10.00-17.00 საათამდე.

**საჭირო საბუთები:**

1. ატესტატი (დედანი); 2. ოთხი ფოტოსურათი 3/4; 3. პირადობის მოწმობა.

## თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი

*აცხადებს ლიცენზირებულ დაწესებულებებში 2010 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ პირთათვის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად მიღებას (მობილობის წესით), შემდეგ სპეციალობებზე:*

1. ფინანსები; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა;
5. ჟურნალისტიკა; 6. მასწავლებლის განათლება; 7. კომპიუტინგი (ინფორმატიკა).

**ორივე სასწავლებლის შესახებ ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა # 47. ტელ: 2-93-66-03; 599-18-89-24; 2-93-54-30; 2-99-96-26; 2-99-07-24.**

**სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" პერსონაჟი – თინა, იგივე მაკა ძაგანია, გულახდილ რესპონდენტთა რიცხვს მიეკუთვნება. რეალურ ცხოვრებაში ის თინასგან რადიკალურად განსხვავდება, რომელიც არც სიმკაცრით გამოირჩევა და არც ფემინისტობით. ცხოვრობს დედასთან და 13 წლის შვილთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში კაცი არ ჰყავთ, არც ამის პრობლემას განიცდის. თინასგან განსხვავებით, მას თავადაც შეუძლია იმ საოჯახო საქმეების მოგვარება, რომელიც მამაკაცმა უნდა აკეთოს.**

# რისთვის არ სჭირდება მაკა ძაგანიას ოჯახში კაცი და ვინ აკონტროლებს მის ყველა ნაბიჯს

**– დეკემბერში ძალიან გადატვირთული გრაფიკით უწევდა მთელ ჯგუფს მუშაობა. რთულია სერიალზე და ფილმზე ერთდროულად იმუშაო.**

– დეკემბერში ისეთი საგიჟეთი გვქონდა, ჯერ კიდევ ვერ გამოვედით მდგომარეობიდან. სრული ქაოსი იყო. სერიალის გადაღებიდან ფილმის გადაღებაზე მივდიოდით, ფილმიდან – სერიალის და ასე. საოცარ რეჟიმში გვიწევდა მუშაობა.

**– რთულია ამ რეჟიმში მუშაობა? ერთი მეორეს ხელს არ უშლიდა?**

– როგორ არ უშლიდა, ფილმში იყო სცენები, სადაც აბსოლუტურად ყველა ვიყავით დაკავებული და ამის გამო ზოგჯერ სერიალის გადაღებას ვერ ვახერხებდით. ამ ყველაფრის დაგეგმვა და აწყობა ცალკე თემაა. ამიტომ, მინიმუმ 16-საათიანი გრაფიკით ვმუშაობდით, 18-იც გვიმუშავია. კატასტროფა იყო.

**– ამ სერიალზე საკმაოდ დიდი ხანია მუშაობ, რამით თინას ხომ არ დაემსგავსე?**

– ხანდახან ისეთ ტექსტს ვიტყვი, რომ ვხვდები, ეს ჩემი კი არა, თინასია. როცა წელიწადზე მეტი ერთსა და იმავე პერსონაჟის თამაში გიწევს, რაღაცით ემსგავსები კიდეც.

**– საკმაოდ აქტიური ცხოვრების სტილი გაქვს. როგორია მაკა ძაგანიას ერთი ჩვეულებრივი დღე?**

– დილა იმით იწყება, რომ აუცილებლად ყავას ვსვამ და სიგარეტს ვეწევი. ჩემი დღეები აბსოლუტურად სხვადასხვანაირია, ჩვეულებრივსა და ერთფეროვანს ვერ დავარქმევ. სახლიდან გავდივარ და გავდივარ. თუ გადაღება მაქვს, იქ მივდივარ, მერე ლექციებზე გავრბივარ, საღამოს სპექტაკლი და ასე შემდეგ. ყოფილა შემთხვევა, ყველაფერი ერთ დღეს დამთხვევია და საგიჟეთი მქონია. ამ ყველაფერთან ერთად, სახლის საქმეებიც ძალიან ბევრი მაქვს, რადგან მყავს შვილი. საჭმელი გასაკეთებელი, სახლი დასალაგებელი, გაკვეთილებიც ჩასაბარებელი, კომუნალურები გადასახდელი და ასე შემდეგ. ჩემთვის ყოველი დღე არაჩვეულებრივია. ერთხელ ვთქვი, როგორ მინდა, ერთი-ორი დღე საერთოდ არაფერი გავაკეთო, უბრალოდ, სახლში ვიყო ხალათში, ტახტიდან სავარძელში, სავარძლიდან საწოლში და ხელი არ გავანძრიო-მეთქი. მოულოდნელად ფურცლით თვალი გამოვითხარე და ამის შემდეგ მივხვდი, რომ ასეთი რაღაც აღარ უნდა ვიოცნებო. სამი დღე ისე ვიწექი, საერთოდ ვერ ვდგებოდი და ვერ ვმეტყველებდი. საოცრება მჭირდა. ამის მერე აღარ ვამბობ, რომ დასვენება მინდა, მეშინია რამე ისეთი არ მოვიწიო.

**– სტუდენტებს ქორეოგრაფიას ასწავლი. მკაცრი პედაგოგი ხარ?**

– მკაცრი არ ვარ და ეს ძალიან ცუდია. მიუხედავად იმისა, რომ 18-19 წლისანი არიან, მაინც სჭირდებათ კონტროლქვეშ ყოფნა, რაც მე არ შემიძლია.

**– შენი გმირი, თინა, ფემინისტია, რაც შენი რეალური პიროვნებისგან რადიკალურად განსხვავდება.**

– ძალიან მომწონს თინა და სიამოვნებით ვიქნებოდი მისნაირი. თუმცა, არ გამომდის, რადგან ბევრი რამ ჩემს ხასიათში არ ზის.

**– მართალია მას არ ჰგავხარ, მაგრამ არც ის არის სადავო, რომ „ჩემი ცოლის დაქალებმა" დიდი პოპულარობა მოგიტანა. დარწმუნებული ვარ მაყურებლის ყურადღებას გრძნობ.**

– უცნობებისგან ძალიან დიდი სიყვარული და სითბო მოდის. ჯერ ისეთი არავინ შემხვედრია, რომ ეთქვა – ფუ, რას აკეთებთო. „ჩემი ცოლის დაქალები" ყველას ძალიან მოსწონს. ყველა ძალიან ბედნიერია ამით და იმდენად გადმომდებია ეს ემოცია, რომ შენც მათი სითბოთი ივსები. ამ ყველაფრისთვის კი ძალიან დიდი მადლობელი ვარ, ფანტასტიკური ემოცია მოაქვთ, განსაკუთრებით ბავშვებს. სხვანაირად გხვდებიან, სხვანაირად გიყურებენ, ზოგს რცხვენია რამის თქმა, ზოგი პირიქით – გეხუტება, გეფერება. მართლა საოცარი შეგრძნებაა.

**– შეიძლება ბევრისთვის წარმოუდგენელია, რომ ოჯახური საქმით ხარ დაკავებული. მათთვის მაინც თინასთან ასოცირდები და ვერ წარმოუდგენიათ, თუ სხვადასხვა კერძებს ამზადებ, რეცხავ, ალაგებ და ასე შემდეგ.**

– ზრდასრულ ხალხსაც კი უკვირს. ჩემს შვილს ჰქონდა ახლახან დაბადების დღე და ტორტი გამოვუცხვე. რატომღაც ხალხი გაკვირვებული დარჩა, როგორ შენ ტორტს აკეთებო? მეც ხომ ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ.

**– კარგი დიასახლისი ხარ და სამზარეულოც გიყვარს?**

– რომ გითხრა მიყვარს, ვგიჟდები და მის გარეშე ვერ გავძლებ-მეთქი, არა. თუ გამიკეთებენ ძალიან დიდი სიამოვნებით მივიღებდი ყველაფერს, მაგრამ ვინ, აბა?

**– მარტივია შენთან ურთიერთობა?**

– ჩემი აზრით, იოლია. დამთმობი ხასიათი მაქვს და შემიძლია, ყველანაირად აგეწყო. თუმცა, რა თქმა უნდა, თუ ეს ყველაფერი ფარგლებში ჯდება. მირჩევნია, მე დავთმო რაღაცეები და სტაბილური ურთიერთობა შევინარჩუნო.

**– პრინციპულობას რაც შეეხება?**

– თუ რაღაცას გადავწყვეტ, ჩემს პოზიციას არ ვთმობ. მეუბნებიან კიდევ, რომ ძალიან ჯიუტი ხარო. პოზიციას იმ შემთხვევაში არ ვიცვლი, თუ 100%-იანი ვიცი, რომ ეს ასე უნდა იყოს. თუ „ნივთმტკიცებულებები" არ მაქვს, მაშინ ძალიან დამთმობი ვარ და ადვილად შეიძლება, გადამიბირონ და დამიყოლიონ. ორ საპირისპირო რაღაცას ვამბობ და არ მინდა, ისე გამოვიდეს, თითქოს ვიტყუები. ვარ დამთმობიც და რაღაც მომენტში, პრინციპულიც.

**– საპირისპირო სქესისთვის ადვილია შენი გულის მოგება?**

– კი, ძალიან.

**– რა არის ამისთვის საჭირო?**

– ყურადღება და სითბო, ანუ ის, რაც ყველა ადამიანს სჭირდება. მხოლოდ საპირისპირო სქესის კი არა, ყველა შემთხვევაში ელემენტარულით ვარ კმაყოფილი. საერთოდ, ადამიანმა მაქსიმალური უნდა მოითხოვო, რომ მინიმალური მიიღო. მე კი მინიმალურითაც ბედნიერი ვარ ხოლმე.



**დეკემბერში მინიმუმ 16-საათიანი გრაფიკით ვმუშაობდით, 18-იც გვიმუშავია. კატასტროფა იყო**

**– როცა პირველი ოჯახი ენგრევათ, მერე უკვე გაცილებით ფრთხილები ხდებიან, განსაკუთრებით ქალები და უფრო მეტ წინდახედულობას იჩენენ მეორე ოჯახის შექმნისას. შენს შემთხვევაში როგორ არის?**

– ალბათ, ჩემს შემთხვევაშიც ასეა. წლინახევრის მყავდა ნუცი, მეუღლეს რომ გავშორდი. მას შემდეგ თერთმეტწელიწად-ნახევარი გავიდა. რადგან ამ წლების განმავლობაში არ გადავდგი ეს ნაბიჯი, ესე იგი იდენტური შიში მაქვს მეც. შეიძლება გაცნობიერებულად ან ქვეცნობიერად, მაგრამ ნამდვილად ასეა და ამას ვერ გავექცევი. თან, ადრეულ ასაკში მოხდა ეს ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში, მერე მამაჩემიც გარდაიცვალა და ოჯახში კაცი არ გვყავს. ფაქტობრივად, მე და დედაჩემი ვაკეთებთ ყველაფერს.

**– ითავსებთ ყველა ფუნქციას.**

– გაგიკვირდება და ასეა. ნელიკო რომ მეუბნება სერიალში, შტეფსელი გაფუჭდა და კაცი ხომ უნდა იყოს ოჯახში, გააკეთოსო, მე მაგისთვის კაცი არ მჭირდება. თავადაც შემიძლია შტეფსელისა და სხვა რაღაცეების შეკეთება.

**– ხელმარჯვეც ყოფილხარ.**

– სხვა რა გზა მაქვს. ამისთვის ხომ არ გავთხოვდები?

**– როგორ ეგუება შენი შვილი იმ აზრს, რომ ერთ დღესაც, შესაძლოა, მეორე ოჯახი შექმნა.**

– ალბათ, მისთვის წარმოუდგენელია, რომ მე ოჯახი შევქმნა. დედისერთაა, თან 13 წლის – გარდატეხის ასაკი ეწყება. როცა კი მითქვამს, მეორე შვილი მინდა-მეთქი, ისე მიპროტესტებს, რომ ეს მისთვის არ არსებობს. მე მისი ვარ ბოლომდე. ისე მაკონტროლებს, ხანდახან მგონია, ფუნქციები გვაქვს შეცვლილი. თითქოს ის დედაა, მე კი – შვილი.

**მარიკა ხიდურელი**

# რატომ იყვნენ ზაზა და მაია მიმინოშვილები კატა და ძაღლივით და რა კომპოზიცია მიუძღვნა დას ზაზა მიმინოშვილმა

(მეთვრამეტე გვერდიდან)

სამხატვრო აკადემიაში ჩაბარება მინდოდა. ახლა, როცა სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება მჭირდება, ძალიან მიჭირს, ქუჩის სკოლა რომ არ გამივლია *(იცინის)*.

**– ევროპა გასაგებია... სხვა კონტინენტებზე თუ გქონიათ კონცერტები?**

– რა თქმა უნდა. შტატებში, მექსიკაში გვქონდა საოცარი მოგზაურობა. ასევე, შანხაიში, მალაიზიაში... ჩვენგან აბსოლუტურად განსხვავებული სამყაროა. მალაიზიაში ისეთი საშინელი ნესტი იყო, გიტარა დამისველდა და ვერ დავუკარით. შეიძლება, უცებ მაიმუნი მოგხტომოდა და ხელჩანთა წაერთმია. ჩვენი პროდიუსერი გულგახეთქილი დაბრუნდა ზღვიდან – აღმოჩნდა, რომ ნიანგებს გადაურჩა. მალაიზიაში ჩვენთან მოვიდა აზიური გარეგნობის ულამაზესი ქალბატონი, სუფთა ქართულით გამოგველაპარაკა. გავგიჟდი. მეგონა, ორი ფრაზა დაიზეპირა, რომ ჩვენთვის ეამებინა-მეთქი. მაგრამ, მერე აღმოჩნდა, რომ კორეელი ქალბატონი იყო, 5 წელი მუშაობდა ფოთში და გადასარევად იცოდა მეგრულიც *(იცინის)*. მაროკოს ოაზისში გვქონდა კიდევ კონცერტი – გავაკეთეთ „მაგრების", ანუ მაღრიბის პროექტი. გერმანულად მაგრები „მაღრიბს" ნიშნავს – „შინი" რის შინია, ეს არ გამოეყენებინა. გავაკეთეთ პროექტი ალჟირის ყველაზე მაგარ მომღერალთან ერთად.

**ქეთი დიდებულიძე**

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

12 თებერვალი, **სამშაბათი** 19.45 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

13 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ვგავართ ჩვენ ახლა ლტოლვილებს?!"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი ალეკო ბლაიდი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, თემიკო ჭიჭინაძე, ქეთევან სვანიძე, ედმონდ მინაშვილი, ლაშა ოყრეშიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ.;*

14 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ჰამლეტ.კომიქსი"** - სურათები უილიამ შექსპირის „ჰამლეტიდან" - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი ლევან ხვიჩია. მონაწილეობენ: მანანა აბრამიშვილი, პაატა გულიაშვილი, გელა თავბერიძე, კახა კუპატაძე, ედმონდ მინაშვილი. *ხანგრძლივობა: 55 წუთი;*

15 თებერვალი, **პარასკევი** 19.45 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი; ტრაგიკომიკური ფანტასმაგორია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

16 თებერვალი, **შაბათი** 19.45 - **„პრინცი ჰომბურგი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ღალონიძე, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩო ლეჟავა, ბექა სონღულაშვილი, მანანა აბრამიშვილი; დრამა. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

17 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. მონოსპექტაკლი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

17 თებერვალი, **კვირა** 19.45 - **„მაგრიტის შემდეგ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, გელა თავბერიძე, ნინო კასრაძე, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ლევან ხურცია; კომიკური დეტექტივი. *ხანგრძლივობა: 2სთ.*

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

12 თებერვალი, **სამშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

12, 15 თებერვალი, **სამშაბათი, პარასკევი** 20.00 - **„აგვის დეი" - „მოცარტი და სალიერი" და „ეგვიპტის ღამეები"-ს მიხედვით** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი დავით ჩხარტიშვილი. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, გაგა შიშინაშვილი, შაკო მირიანაშვილი, ჯანო იზორია, დათო ბელთაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

13 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„პიგმალიონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, აკაკი ხიდაშელი, გივი ჩუგუაშვილი, გივი ბერიკაშვილი, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, თეონა ქოქრაშვილი. კომედია. *ხანგრძლივობა: 2სთ. 20წთ.;*

13 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ერთმოქმედებიანი პიესა. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

14 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ჰამლეტი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი თემურ კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, მალხაზ აბულაძე, ალეკო მახარობლიშვილი, ეკა ჩხეიძე, მარიამ ნადირაძე; *ხანგრძლივობა: 4სთ. 20წთ.;*

14 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„მე, ბებია, ბაბუა და ჭინკები"** - სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: ნუგზარ ჩიქოვანი, ნინო შავგულიძე, მერაბ ბრეგაძე, ჯილი, მარინა სოლომონია, ნუგზარ წერედიანი; *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.;*

15 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

16 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მეტრეველი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. *ხანგრძლივობა: 3სთ.;*

17 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„რევიზორი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ავთანდილ მიქაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.*

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

12 თებერვალი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 12 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

13 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 12 ლარი), რეჟისორი მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;*

14 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

15 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

16 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 5, 7, 9 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაძე, დავით კოლელიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

17 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.*

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

14-15-16-17 თებერვალი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„ამორ - უცნაური სიყვარულის ისტორია"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ნინო ბურდული. მონაწილეობენ: ქეთი ასათიანი, პაატა ინაური; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

**ახმეტელის თეატრი**
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

14 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ნათელი ბნელში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ნინო შოთაძე. მონაწილეობენ: მარინა ხარჩილავა, ვაჟა ციციშვილი, გვანცა კანდელაკი, აკაკი ხიდაშელი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

15 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მალხაზ ასლამაზიშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

16 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: შალვა ბახტაძე, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

17 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„ღია შუშაბანდი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ამირან ქაჩიბაია, გვანცა კანდელაკი, მზია ტალიაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, ზურაბ ნიკოლაური. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

**გრიბოედოვის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

16 თებერვალი, **შაბათი** 18.00 - **„არტურო უის კარიერა"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: არჩილ ბარათაშვილი, ნანა დარჩიაშვილი, მიხეილ არჯევანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, ინა ვოროზბიოვა, გოგი თურქიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

17 თებერვალი, **კვირა** 12.00 - **„ჩიპოლინო"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: ლევ გავრილოვი, სლავა ნათენაძე, მიხეილ არჯევანიძე, კარინა ყენია, აპოლონ კუბლაშვილი, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.*

**გაბრიაძის თეატრი**
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

14-15 თებერვალი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 11 თებერვალი

**06.30** დ/ფ "ფუტკრების გაუჩინარების საიდუმლო" **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ადამიანი – პლანეტა" **17.00** დ/ფ "მეცნიერების ისტორია" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"რესტავრატორი"** **21.00** ტ/სერ **"ენრიკო მატეი – კაცი" რომელიც მომავალს უყურებდა"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **00.00** "საფარი" **00.30** მხ/ფ **"ჩვენი მამების დროშები"**.

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.20** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.20** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"გაქცევა – 4"** **14.40** სერ. **"24 – 5"** **15.40** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ/სერ **"ცხელი ძაღლი – 4"** **23.00** მხ/ფ **"უკომპრომისო"** (ჯ.სტეტჰემი) **01.00** სერ. **"ღვინის გზა"** **01.35** მხ/ფ **"მე დევიდი ვარ"** (ბ.ტიბერი) **03.10** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** შიშის ფაქტორი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.05, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენეტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.15** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 02.15** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები"(გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **11.50** სერ. **"ვნებიანი შურისძიება"** (გან.) **12.50** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** (გან.) **15.00** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **16.00** დ/ფ "ტაიმსლოტი" **16.30** სერ. **"სიამაყე"** **17.10, 19.00** მუსიკა **18.00** დ/ფ"ჰოლივუდის წყვილები" **19.30** ანონსი **19.35** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **21.00** სერ. **"ვნებიანი შურისძიება"** **23.00** მხ/ფ **"სამი ფერი-თეთრი"** **00.30** მხ/ფ **"მაგარი ბიჭები"**.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** მხ/ფ **"მოკვეთილი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"სამანიშვილის დედინაცვალი"** **13.30** კონცერტი-ქართული ხმები **14.35** იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები **14.50, 18.35, 22.55, 23.50** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმრები **15.30** სპექტაკლი **"ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს"** **16.55** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.20** დოკ/ფ "პირიქითა ხევსურეთი" **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ყვარყვარე"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "წმინდა მეფე აშოტ კურაპალატი" **22.40** დოკ/ფ "თუჯი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დრო და ტრადიციები "ქართულ-ებრაული ურთიერთობები" გად. IV **00.35** განთიადის სტუმრები **01.00** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

## სამშაბათი 12 თებერვალი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **17.00** "საფარი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"რესტავრატორი"** **21.00** ტ/სერ **"ენრიკო მატეი – კაცი" რომელიც მომავალს უყურებდა"** **22.00** "აქცენტები" **23.40** **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **სელტიკი – იუვენტუსი** (პ/რ) შესვენებისას: "ვიქტორინა" **01.50** მხ/ფ **"იღბლიანი"** (ტიტ.).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.20** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.20** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"გაქცევა – 4"** **14.40** სერ. **"24 – 5"** **15.40** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** მხ/ფ **"გარიგება"** **00.15** სერ. **"ღვინის გზა"** **00.50** მხ/ფ **"უკვდავი კალასი"** (ფ.არდანი) **02.30** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** "ნანუკას შოუ" **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.05, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენეტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.15** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 01.35** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები"(გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30** "დრო" **11.50** სერ. **"ვნებიანი შურისძიება"** (გან.) **12.50** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** (გან.) **14.00** "ერთი დღე სოფელში" (გან.) **15.00** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **16.00** დ/ფ "ტაიმსლოტი" **16.30** სერ. **"სიამაყე"** **17.10, 19.00** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.30** ანონსი **19.35** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **21.00** სერ. **"ვნებიანი შურისძიება"** **22.30** "მთავარი დღეს" **23.30** მხ/ფ **"კაპიტან კორელის მანდოლინა"**

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** სპექტაკლი **"ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "წმინდა მეფე აშოტ კურაპალატი" **10.55** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** დრო და ტრადიციები **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ **"ყვარყვარე"** **13.40** კონცერტი-კვინტეტი "ურმული" **14.50, 18.35, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დოკ/ფ "უბისა" **16.20** აქტუალური თემა **16.40** დოკ/ფ "ნათელი იგი" **18.10** სალბუნი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** შარავანდედი (გად. **7**) **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** დოკ/ფ "მღვდელმთავარნი ქრისტესანი" **23.40** მოკ/ფ "ბზიანეთი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** კარაბადინი.

გაგრძელება 44-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**11 – 17 თებერვალი**

*დარბაზი 1*

13.00, 16.00, 19.30 - **„საბრალონი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

22.15 - **„ჯანგო"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.00, 19.30, 21.00, 22.30 - **„F5"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.30 - **„ჯეკ რიჩერი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

14.30, 19.30, 22.15 - **„განგსტერები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

17.30 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00 - **„განგსტერები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

15.15, 18.30 - **„ჯანგო"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„საბრალონი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.30, 15.30, 19.00 - **„საბრალონი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„განგსტერები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 13.30, 15.00 - **„F5"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

16.30, 19.00, 22.00 - **„ანა კარენინა"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო"**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00 - **„ბოლივუდი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

14.00, 16.00, 20.00, 22.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.00 - **„F5"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 4 - 8 ლარი).

**გურამ ბრეგაძე ახალგაზრდა ქართველი რეჟისორია, რომელსაც კარიერის დასაწყისშივე უზარმაზარი პატივი ხვდა წილად – სპექტაკლის დადგმა თვით რობერტ სტურუამ ანდო მოსკოვის „ეტცეტერას” თეატრში. გურამ ბრეგაძე თავად გვიამბობს, თუ როგორ გაუმკლავდა თავბრუდამხვევ წარმატებას.**

# როგორ გახდა რობერტ სტურუა გურამ ბრეგაძის მეჯვარე, გურამ ბრეგაძე კი – რობერტ სტურუას რჩეული რეჟისორი და როგორ უსრულებდა კალიაგინი მას ყველა ნატვრას

**– გურამ, როგორც ვიცი, ხელოვანთა ოჯახიდან ხართ.**

– მამა საქართველოს ხელოვნების სამმართველოს უფროსი იყო; მანამდე – პარტიული კომიტეტის თავმჯდომარე კულტურის დარგში. ასევე, იყო რუსთავის თეატრის დირექტორი... ქობულეთში მწერლების სემინარი რომ მიმდინარეობდა, იქ ყოფნისას მამამ თავი ცუდად იგრძნო. ასლან აბაშიძემ ყველა ღონე იხმარა მამას გადასარჩენად, მოსკოვში ან თურქეთში აპირებდა მის სასწრაფოდ გადაფრენას, მაგრამ, ვეღარაფერი შეძლეს. მამამ ოპერაციიდან მხოლოდ ორი კვირა იცოცხლა... მძიმე წუთებში ასლან აბაშიძე ძალიან გვედგა ოჯახს გვერდში...

**– თქვენ რატომ აირჩიეთ რეჟისორის პროფესია?**

– სკოლა რომ დავამთავრე, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარე სამსახიობო ფაკულტეტზე, სადაც შალვა გაწერელიასთან მოვხვდი. შემდეგ ლევან წულაძესთან აღმოვჩნდი. მასთან ორ სპექტაკლში ვითამაშე: ერთი სადიპლომო იყო, ერთი კი თეატრალურ სარდაფში დადგა. მხოლოდ ამ ორ სპექტაკლში ვითამაშე, შემდეგ მსახიობობას თავი დავანებე და სარეჟისორო ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა. სარეჟისორო ფაკულტეტი გიზო ჟორდანიასთან დავამთავრე და შემდეგ მოვხვდი რობერტ სტურუასთან.

**– კარიერის დასაწყისიდანვე ყველა ვერ ხვდება რობერტ სტურუასთან, თქვენ როგორ მოახერხეთ?**

– დედაჩემი რობერტ სტურუას მეგობარია. დედა – ნელი შურღაია, ხელოვნებათმცოდნე, თეატრმცოდნე და ყოფილი ბალერინაა. ორჯერ გახდა საუკეთესო ჟურნალისტი (გაზეთ „კულტურაში“ წერდა სტატიებს). რუსეთში „კულტურა” ყველაზე სახელგანთქმული გაზეთია, სადაც წლის ბოლოს საუკეთესო რეცენზიები ჯამდება. რობერტ სტურუას რომ უკითხავს დედაჩემისთვის ჩემზე, დედას უთქვამს ჩემი პროფესია და რობერტ სტურუამ მიმიწვია. როდესაც მასთან მივედი, პირდაპირ პიესა მომცა. ვერაფერი ვთქვი, რადგან, ჯერ სარეჟისორო ფაკულტეტის პირველ კურსზე ვიყავი, რობერტ სტურუას კი ეგონა, სარეჟისორო უკვე დამთავრებული მქონდა... დავიწყე სპექტაკლის დადგმა, მაგრამ, თეატრში სარემონტო სამუშაოები დაიწყო და ყველაფერი შეჩერდა. შემდეგ ბატონმა რობერტმა თანარეჟისორად ამიყვანა სპექტაკლზე „ბიდერმანი და ცეცხლის წამკიდებელნი.” ეს სპექტაკლი ცხრა თვის განმავლობაში იდგმებოდა.

**– ალბათ ამ პერიოდში პროფესიულად ძალიან გაიზარდეთ.**

– რასაკვირველია, ცხრა თვე რობერტ სტურუასთან მუშაობა ძალიან ბევრის მომცემია. სამი თვის წინ რობერტ სტურუამ ოსკარ უაილდის „ვარსკვლავბიჭუნას” დადგმა შემომთავაზა, რომლის დასადგმელად მოსკოვში წავედი. მოგეხსენებათ, მოსკოვის ცენტრში მდებარე „ეტცეტერ-

**რობერტ სტურუამ თანარეჟისორად ამიყვანა სპექტაკლზე „ბიდერმანი და ცეცხლის წამკიდებელნი,” რომელიც ცხრა თვის განმავლობაში იდგმებოდა**

ას თეატრი“, კალიაგინის თეატრია და ერთ-ერთი მთავარია მოსკოვში. უზარმაზარი თეატრია, არაჩვეულებრივი კოლექტივით. სულ რაღაც ოცი წლის წარსული აქვს, მაგრამ, დიდი ამბიციების თეატრია. კალიაგინი მხოლოდ სამხატვრო ხელმძღვანელი არ არის, ის, ასევე, დიდი მოღვაწეა, თეატრალური კავშირის თავმჯდომარე. მის თეატრს, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი წინსვლა აქვს. ამხელა თეატრის არაფრისგან ჩამოყალიბება და შექმნა ძალიან რთულია. მოსკოვში ყველაფერი ძალიან ძვირია და, ამხელა თეატრი რომ აუშენეს, წარმოუდგენლად ბევრს ნიშნავს.

**– როგორ მიმდინარეობდა სპექტაკლის დადგმა, ენობრივი ბარიერი არ გქონდათ?**

– ენობრივი ბარიერი არ მქონდა, რადგან რუსულს ბრწყინვალედ ვფლობ. მოსკოვში თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სახლში. თეატრ-



**არც ერთ თეატრში ბილეთი 100 დოლარზე ნაკლები არ ღირს და ბილეთის შოვნა თითქმის ყველგან შეუძლებელია. ჩვენ მიერ დადგმული სპექტაკლის ბილეთები ათი დღით ადრე გაიყიდა**

ში არაჩვეულებრივი მსახიობები არიან, არაჩვეულებრივი დასია და იქ პროფესიონალიზმი უმაღლეს დონეზეა. განსაკუთრებული დისციპლინაა, სადაც ყველა მორჩილად ასრულებს თავის მოვალეობას და შედეგიც სახეზეა... რეპეტიციები ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. როცა ზღაპრებს დგამენ, უფრო ცეკვებითა და სიმღერებით არის გაჯერებული, მაგრამ, ეს დრამატული სპექტაკლი იყო. ბატონმა რობერტმა თბილისში დადგა ეს სპექტაკლი და მე, უბრალოდ, გადავიტანე... ბოლო ოთხი დღის განმავლობაში, სცენაზე რომ გადაინაცვლა რეპეტიციებმა, რობერტ სტურუა ჩამოვიდა და დამეხმარა... სპექტაკლი იმდენად დრამატულია, ბავშვები უცებ დავაყენეთ რეალობის წინაშე. ყველა სისასტიკე, რაც კი ცხოვრებაშია, სპექტაკლშიც იყო შეტანილი.

**– როგორი დამოკიდებულებაა თეატრში რობერტ სტურუას მიმართ?**

– თეატრში რობერტ სტურუაზე აფანატებენ და სიგიჟემდე უყვართ. ისეთი დაფასება აქვს, თითქოს ღმერთია. კალიაგინმა რობერტ სტურუა მთავარ რეჟისორად მიიწვია. მოსკოვში ვერავის მოძებნიდა?! – არ მოძებნიდა და არც სჭირდებოდა მთავარი რეჟისორი, მაგრამ, რობიკო სტურუა კალიაგინმა მიიწვია. რუსეთში ამბობენ, რომ რაც სტურუა იქ მივიდა, თეატრის დონე ძალიან ამაღლდა.

**– რუსეთში შეიცვალა ქართველების მიმართ დამოკიდებულება?**

– ყველა ჩემი მეგობარი, ვინც კი რუსეთში ცხოვრობს, აღნიშნავს, რომ ქართველების მიმართ დამოკიდებულება ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესებულია... ბოლოს მოსკოვში 2005 წელს ვიყავი და სასტუმრო „როსიიდან” თეატრამდე (სულ რაღაც ორი ნაბიჯია) პოლიცია ალბათ ექვსჯერ მაინც მაჩერებდა ქუჩაში. ახლა ქუჩაში თუ გაგაჩერეს და გაიგეს, რომ ქართველი ხარ, თბილად გაგიღიმებენ. დამოკიდებულება აბსოლუტურად შეცვლილია. მოსკოვიც ძალიან შეცვლილია ბოლო წლებში: მოიმატა ხელფასებმა და პენსიებმა და ცხოვრების დონე საგრძნობლად უკეთესია. ეს ქალაქი ნამდვილი მეგაპოლისია. არც ერთ თეატრში ბილეთი 100 დოლარზე ნაკლები არ ღირს და ბილეთის შოვნა თითქმის ყველგან შეუძლებელია. ჩვენ მიერ დადგმული სპექტაკლის ბილეთები ათი დღით ადრე გაიყიდა. სპექტაკლი უკვე ექვსჯერ იყო წარმოდგენილი.

**– ერთი მხრივ, ცოტა რთულია, როცა ასეთ ახალგაზრდა ასაკში ამხელა წარმატება მოდის... სამომავლოდ რის გაკეთებას აპირებთ?**

– ალბათ, ისევ თბილისში დავდგამ სპექტაკლს, შემდეგ კი მოსკოვში მსურს წასვლა. თუმცა, არ აქვს მნიშვნელობა, მოსკოვში ვიქნები თუ არა, მთავარია, რუსეთში წავიდე. იქ მეტი რესურსებია, მეტი დაფასება, კარგი დაფინანსება. კალიაგინი უამრავ არტისტს უდგას გვერდში და არტისტებისგანაც უზარმაზარი დაფასება აქვს. თეატრის მმართველიც – დავიდ სკელიანსკი – საუკეთესო მმართველია. რაც არ უნდა მოითხოვო, მაშინვე მოგართმევენ. თეატრში სიგარეტის მოწევა აკრძალულია. გავიხუმრე – ნეტავ ელექტროსიგარა გვქონდეს-მეთქი და მეორე დღეს მაგიდაზე არ დამხვდა?! არც მეგონა, ელექტროსიგარა თუ არსებობდა და ამ სიურპრიზმა გამაგიჟა. იქ ყველა სურვილი სრულდება და არასდროს არავინ ახსენებს, რა ჯდება დეკორაცია და ასე შემდეგ. თეატრში სიცოცხლე ჩქეფს – სულ სპექტაკლები მიმდინარეობს, რამაც ყველაზე მეტად გამაკვირვა. მიუზიკლები იყო მხოლოდ, თუმცა მიუზიკლსაც ვერ დავარქმევ, უფრო ოპერეტებს ჰგავდა. კლასიკური მიუზიკლის დადგმა ძალიან რთულია და ეს ცალკე პროფესიაა. რასაც საქართველოში მიუზიკლებს არქმევენ, ის მიუზიკლი კი არა, აბსოლუტური ჰიბრიდია... როდესაც თეატრს სახელმწიფოსგან მხარდაჭერა და დაფინანსება არ აქვს, ის კვდება, რადგან თეატრი მომგებიანი არ არის. თუ საზღვრები გაიხსნა, ძალიან ბევრი რეჟისორი წავა და, აღარც დაბრუნდება, თუ საქართველოში თეატრების მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად არ შეიცვლება.

**– იღბლიანად მიიჩნევთ თავს, ამ ასაკში რომ ამდენს მიაღწიეთ?**

– ეს, პირველ ყოვლისა, რობერტ სტურუას დამსახურებაა. ჩემი დამსახურებაც არის პატარა რაღაც, მაგრამ, საკუთარი თავის ქებას ვერ დავიწყებ. სხვანაირად ვარ გაზრდილი. ამერიკული სტილია: „მე დავდგი არნახული სპექტაკლი, მე ვარ უძლიერესი რეჟისორი“... და ასე შემდეგ.. მე უფრო რუსული სტილი მიჭირავს და თავმდაბლობას ვამჯობინებ.

**– თქვენი შვილი რობერტ სტურუას ნათლულია?**

(გაგრძელება 43-ე გვერდზე)

# გამომცხვარი კომბოსტო ბეკონით





**საჭირო ინგრედიენტები** (კერძი ჩვეულებრივი კომბოსტოთიც მზადდება): ბრიუსელის 16 ცალი პატარა კომბოსტო, 5-6 ცალი ცოცხალი ქამა სოკო, 50 გრამი შებოლილი ლორი (ბეკონი), 1 თავი ხახვი, 3 ცალი კვერცხი, 100 მილილიტრი რძე, ცოტა იმბირი, ცოტა გახეხილი მუსკატის კაკალი, შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით; 2 სადილის კოვზი გახეხილი ყველი (მაგარი), 100 გრამი რბილი ყველი.

**მომზადების წესი:** კომბოსტო 10 წუთი ხარშეთ მარილიან წყალში. ხახვი დაჭერით წვრილად (მწვანე ხახვიც შეიძლება), ბეკონი – მომცრო ზომის ნაჭრებად. სოკოს თავები – ფირფიტებად. კომბოსტოებს მოაჭერით ძირები და გაჭერით შუა-შუა (შეგიძლიათ, მთლიანიც დატოვოთ, მაგრამ, მაშინ, ულუფები უნდა მოუმატოთ და, შესაბამისად, მეტი კომბოსტო დაგჭირდებათ). გამოსაცხობ ფორმაში კომბოსტო პირქვე ჩააწყვეთ. ზემოდან დააფარეთ ბეკონის ნაჭრები, შემდეგ მოათავსეთ სოკოს ფეხები, კიდევ ზემოდან – ხახვი.

მოამზადეთ სოუსი: კვერცხი გათქვიფეთ ყველთან, იმბირთან, მუსკატთან და რძესთან ერთად. უყავით ოდნავ მეტი მარილი, ვიდრე საჭიროა. ეს მასა მოასხით კერძს და მოაყარეთ გახეხილი რბილი ყველი. გამოაცხვეთ 35-40 წუთის განმავლობაში, 180-200 გრადუსზე. უგემრიელესია!

# ფარში – „გურმანი“













**საჭირო ინგრედიენტები:** 700-800 გრამი ხორცის ფარში, 1 თავი ხახვი, 1 კვერცხი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით, ზეთი, 100 გრამი რბილი ყველი, 50 გრამი ნიგოზი, 4 ცალი დაკონსერვებული პომიდორი, 1 კონა ოხრახუში, 1 სადილის კოვზი ფქვილი, 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 250 მილილიტრი ბულიონი (ან ადუღებული წყალი).

**მომზადების წესი:** საქონლის ხორცის ან – შერეულ ფარშში ჩაახალეთ კვერცხი, დაუმატეთ მარილი, პილპილი, მსხვილკბილა სახეხზე გახეხილი ხახვი და კარგად აზილეთ, შემდეგ კი ხელით დატკეპნეთ. მოამზადეთ შიგთავსი: პატარა კუბიკებად დაჭერით ყველი და წვრილად დაკეპეთ ოხრახუში. პომიდვრებს მოაცალეთ კანი და დაჭერით.

მშრალ ტაფაზე ოდნავ მოშუშეთ ნიგოზი და გაატარეთ. შეურიეთ ერთმანეთს ყველი, ოხრახუში, პომიდორი და ნიგოზი, უყავით ცოტა მარილი და პილპილი და ფარში გაყავით 8 ნაწილად. ფარში რომ ხელებზე არ მიგეკრათ, ხელისგულები ცივი წყლით დაისველეთ. თითოეული ნაწილისგან გააკეთეთ კვერი, შუაში მოათავსეთ შიგთავსი და აკურატულად გადაახვიეთ რულეტივით. თითოეული ამოგანგლეთ ფქვილში.

შებრაწეთ თავდახურულ ტაფაში, ზეთში, ყველა მხრიდან; გადმოაწყვეთ ლანგარზე და დააფარეთ თავსახური.

პატარა თასში ერთმანეთში შეურიეთ ფქვილი და ტომატ-პასტა. უყავით ცოტა მარილი, დაასხით ბულიონი ან მდუღარე წყალი და ცეცხლზე ნელ-ნელა შეასქელეთ. ორ წუთში მზად იქნება (სოუსის მოსამზადებლად, სასურველია, გამოიყენოთ მშრალ ტაფაზე მოხალული ფქვილი).

გარნირად ამ კერძს ძალიან უხდება ბრინჯი. ლანგრის შუაში მოათავსეთ ბრინჯი, რულეტები კი მის გარშემო და მოასხით ცხელი სოუსი.

# თევზი სოუსში










**საჭირო ინგრედიენტები:** 700 გრამი თქვენთვის სასურველი თევზი (ნაკლებად ფხიანი), 1 ჩაის ჭიქა თეთრი მშრალი ღვინო, 3 ცალი კვერცხის გული, 100 მილილიტრი ნაღები, 1 ჩაის კოვზი სახამებელი, 1 კონა ნიახური, 1/2 კონა კამა, ნახევარ-ნახევარი კონა რეჰანი, ოხრახუში და მწვანე ხახვი, 2-3 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 3 სადილის კოვზი ზეთი, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** მწვანილი დაჭერით და ზეთში ოდნავ ჩაშუშეთ. დაასხით ღვინო და ზემოდან თევზის ნაჭრები დააწყვეთ. უყავით მარილი და პილპილი, დაუმატეთ ლიმონის წვენი და შუშეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე, თევზის სრულ მომზადებამდე.

**ცალკე მოამზადეთ სოუსი:** ათქვიფეთ ერთად ნაღები, სახამებელი და კვერცხის გულები. დაუმატეთ ლიმონის წვენი. დადგით დაბალ ცეცხლზე და ურიეთ შესქელებამდე. მზა სოუსი ზემოდან მოასხით თევზს, მიიყვანეთ ადუღებამდე და გამორთეთ. მიირთვით ცივი.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ბადრიჯანი თაფლით – „აზიურკა“

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი ბადრიჯანი, 1 სადილის კოვზი თაფლი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 კბილი ნიორი, 1 სადილის კოვზი დანაყილი მწვანე წიწაკა, 2 სადილის კოვზი ძმარი „ბალზამიკო“, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბადრიჯანი ისე გაფცქვენით, რომ შავ-თეთრი ზოლები მიიღოთ და მსხვილ ნაჭრებად დაჭერით. დააყარეთ მარილი და დადგით, რომ წვენი გაუშვას. შემდეგ გაწურეთ და შეაშრეთ. თაფლი, ზეითუნის ზეთი, დანაყილი ნიორი, წიწაკა, „ბალზამიკო“, მარილი და პილპილი აურიეთ ერთმანეთში. ბადრიჯნის ნაჭრები ამოავლეთ ამ ნარევში და შეწვით გრილზე 3 წუთის განმავლობაში.





# ყაბაყის სალათა მდოგვითა და თაფლით

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ცალი ყაბაყი, 1 ჩაის კოვზი მდოგვი, 1 ჩაის კოვზი თხევადი თაფლი, 2 სადილის კოვზი „ბალზამიკო“, 6 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, ნახევარი კონა ქინძი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ყაბაყი ძალიან თხელ ფენებად დაჭერით (არ გაფცქვნათ). შეგიძლიათ, ამისათვის კარტოფილის სათლელი გამოიყენოთ. ჯამში მოათავსეთ მდოგვი, მარილი, პილპილი, ძმარი და ათქვიფეთ, თან, ნელ-ნელა ასხით ზეთი, სოუსს დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ქინძი, მიღებული სოუსი მოასხით დაჭრილ ბოსტნეულს და მომზადებისთანავე მიირთვით.

# ბროკოლის ბრაწულა ლიმონის სოუსით

**საჭირო ინგრედიენტები:** 280 მილილიტრი ნაღები, 180 გრამი ხაჭო, 3 კვერცხის გული, 1 სადილის კოვზი ქათმის ბულიონის კუბიკი, 3 სადილის კოვზი გახეხილი ყველი „პარმეჯანო“ ან მისი მსგავსი ყვითელი ფერის ყველი, 3 სადილის კოვზი დამდნარი კარაქი, 700 გრამი ბროკოლი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**სოუსისთვის:** 100 მილილიტრი ნაღები, 1 სადილის კოვზი მცენარეული რბილი კარაქი, 1 სადილის კოვზი ფქვილი, 0.25 ჩაის ჭიქა ლიმონის ახალგამოწურული წვენი, 1 სადილის კოვზი წვრილად დაკეპილი კამა, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ნაღებს მიქსერით შეათქვიფეთ კვერცხის გულები, ყველი, კარაქი, ხაჭო, ბულიონის კუბიკის ფხვნილი; შემდეგ შეურიეთ დაჭრილი ბროკოლი, მარილი და პილპილი. გამოსაცხობ ფორმაში ჩააფინეთ ცხიმწასმული ქაღალდი, ზედ მოათავსეთ მომზადებული მასა და 40 წუთი აცხვეთ 180 გრადუსზე.

საწებელი ასე მოამზადეთ: ნაღები ათქვიფეთ ლიმონთან, მარილთან და პილპილთან ერთად. ქვაბში შეურიეთ ფქვილი და მცენარეული კარაქი, დადგით დაბალ ცეცხლზე და ურიეთ ადუღებამდე. შეგრილებულს მოაყარეთ კამა.

სუფრაზე მიტანის წინ, თეფშზე დადებულ ყოველ ნაჭერს მოასხით სოუსი.



**მომღერალი სალომე კორკოტაშვილი გერმანიიდან სულ რამდენიმე კვირაა, დაბრუნდა და ამერიკაში წასასვლელად ემზადება. მის ცხოვრებაში საკმაოდ სასიამოვნო სიახლეებია და ამბობს, რომ მისი ოცნებების ახდენის დროც დადგა. ის საკმაოდ რისკიანი და, ამავდროულად, იღბლიანი ადამიანიცაა. რაც შეეხება მის სამომავლო გეგმებს, ამ თემაზე სალომე თავად გვესაუბრება.**

# სად „დაბოდიალობს" სალომე კორკოტაშვილის მეორე ნახევარი და რატომ ვერ გამოსდის მას მეგობრობა გოგონებთან



ორი ისეთი მეგობარი გოგონა მყავს, ყველას „უჯოკრავენ"

**სალომე კორკოტაშვილი**: იანვრის თვეში გახლდით ბერლინში, სადაც საკმაოდ ცნობილ ბარში მქონდა კონცერტი. ძალიან მოეწონათ გერმანელებს ჩემი გამოსვლა და მთხოვეს, კიდევ ერთი კონცერტი გამეკეთებინა, მაგრამ, ეს, სავარაუდოდ, გარკვეული დროით გადაიდება. საქართველოში რომ დავბრუნდი, დამხვდა წერილი ამერიკიდან, სადაც ეწერა, რომ მიწვეული ვიყავი ნიუ-ორლეანის ჯაზ-ფესტივალზე. ისეთი სასიხარულო დარტყმა მივიღე ამ ინფორმაციით, რომ ახლაც შოკში ვარ ***(იცინის).*** ნიუ-ორლეანის ჯაზ-ფესტივალი უკვე 40 წელია, იმართება და მასში ცნობილი და ლეგენდარული შემსრულებლები იღებენ მონაწილეობას. ხომ წარმოგიდგენიათ, მათ გვერდით დგომა ჩემთვის რას

## დილით ბედნიერი ვიღვიძებ, რადგან, ვიცი, სულ მალე ნიუ-ორლეანის ფესტივალის მონაწილე გავხდები

ნიშნავს?! დილით ბედნიერი ვიღვიძებ, რადგან, ვიცი, რომ სულ მალე ამ ფესტივალის მონაწილე გავხდები. ამაზე სულ ვოცნებობდი და გულის სიღრმეში სულ მჯეროდა, რომ იქ აუცილებლად, ოდესმე მაინც მოვხვდებოდი. მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსებს შორის, დაუჯერებელ რეალობაში აღმოვჩნდებით ჯგუფი „სალიო" და საქართველოს სახელით წარვდგებით დაახლოებით 50 ათასი ადამიანის წინაშე. ზაფხულში ბათუმში რომ გამოვედი ჯაზ-ფესტივალზე, იქ მომისმინა ქვინქ დევისმა და თქვა, აუცილებლად მიგიწვევ ნიუ-ორლეანის ფესტივალზე, ამას მე გპირდებიო. დანაპირებიც და ჩემი ოცნებაც ასე მარტივად აასრულა ამ კაცმა. ამ ფესტივალზე ჯერ არც საქართველოდან, არც რუსეთიდან და არც აზერბაიჯანიდან არ ყოფილა მონაწილე. ორმაგად სასიამოვნოა, ჯგუფი „სალიო" რომ პირველია.

**– ჯგუფი „სალიო" ერთი წელია, შეიქმნა და, ასეთი წარმატება, გეთანხმები, მართლაც დაუჯერებელი რეალობაა. ვისი იდეა იყო ამ სახელის დარქმევა, რა ჟანრს ასრულებთ და ვინ არის თქვენი პროდიუსერი?**

– ჯგუფ „სალიოს" პროდიუსერია ბექა ჯაფარიძე. ჩვენ გვაქვს თავისუფალი რეპერტუარი, ანუ, ჯაზის, პოპისა და ელექტრონული მუსიკის ნაზავი და სწორედ ამით წარვდგებით ამერიკაში მაყურებლის წინაშე. იმ საუკეთესო ჯგუფებისა და შემსრულებლების გვერდით მოგვიწევს გამოსვლა, როგორებიც არიან: ჯორჯ ბენსონი, მარონ ფაიფი, ჯიფსი კინგი და სხვები. ანუ, იმათ გვერდით დავდგები, ვის მუსიკაზეც გავიზარდე. რაც შეეხება სახელს – „სალიოს", ბავშვობიდან ვამბობდი, მე მქვია სალიო-მეთქი. „სალომე კორკოტაშვილი" მეგრძელებოდა და „სალიო" დავირქვი ***(იცინის).*** რადგან ტექსტსა და მელოდიას მე ვწერ, ჯგუფის წევრებმა გადავწყვიტეთ, „სალიო" დაგვერქმია. სხვათა შორის, „სალიო" ესპანურად „წასვლას" ნიშნავს. ჰოდა, ჩვენც 27 აპრილს მივდივართ ***(იცინის).***

**– მახსოვს, წლების წინაც აპირებდი ამერიკაში კარიერის აწყობას. რატომ გადაიფიქრე?**

– მართლია, ექვსი წლის წინ ერთ ამერიკელ პროდიუსერს მოვეწონე, ჩემს წაყვანას აპირებდა და, რომ დამირეკა და წაყოლა შემომთავაზა, იმ საღამოს გარდაიცვალა. ასაკში იყო. ამაში ჩემი ერთი მეგობარი იყო ჩართული, მან მოასმენინა ჩემი სიმღერები და დააინტერესა ჩემით. მაგრამ, სამწუხაროდ, ის პროდიუსერი გარდაიცვალა.

**– ხშირად ამბობ, ბიჭებთან უფრო გამომდის მეგობრობა, ვიდრე გოგონებთანო. ვერ უგებ მათ თუ რაშია საქმე?**

– მეგობრებში მართლაც გამიმართლა. ორი ისეთი მეგობარი გოგონა მყავს, ყველას „უჯოკრავენ", სულ გვერდით მიდგანან. საერთოდ კი ბიჭებთან უფრო გამომდის ურთიერთობა, ვიდრე გოგონებთან – რა ვიცი, ასეა. გოგონებთან უფრო მირთულდება ურთიერთობა, სულ ჩასაფრებულები არიან, არ არიან გულწრფელები, თითქოს შური ამოძრავებთ. ეს იმ ჩემს ორ დაქალს არ ეხება, რადგან, ისინი უფრო ბიჭურები არიან, ვიდრე „გოგოშკურები" ***(იცინის).***

**– რადიკალურად შეიცვალე იმიჯი – უფრო ქალური და სექსუალური ხარ. არ მეთანხმები?**

– გეთანხმები. 17 წლის ასაკში უფრო ჰიპური იმიჯი და ცხოვრება მომწონდა, ახლა კი 25 წლის დედა ვარ და ასეთი ქალური და გლამურული იმიჯი მომწონს ***(იცინის).***

**– როგორი დედა ხარ?**

– მეგობრული და მზრუნველი დედა ვარ, ქოფაკი დედა ნამდვილად არ ვარ. ვცდილობ, მეტად ახლოს ვიყო და მეტად გავუგო ჩემს შვილს. ხშირად დავდივართ ერთად, ვთამაშობთ. 3 წლის ზუკას გვერდით მეც ბავშვური ვხდები. თავად თბილ, საყვარელ და მეგობრულ გარემოში გავიზარდე და ჩემი შვილიც ზუსტად ასეთ გარემოში იზრდება.

**– პირად ცხოვრებაში გაგიმართლა?**

– ჯერჯერობით, პირად ცხოვრებაში არ გამიმართლა, მაგრამ, მჯერა ყველაფერი დალაგდება და ის ერთადერთი, რომელიც სადღაც „დაბოდიალობს," მალე მიპოვის ***(იცინის).*** სიყვარულის ყოველთვის მჯეროდა და მჯერა, ის ჩემს ცხოვრებაში აუცილებლად გამოჩნდება. ერთხელ გამიცრუვდა იმედი სიყვარულში, მაგრამ, არ დამჩემდა შიშები. თუ მოინდომე და ძლიერი ხასიათი გაქვს, შიში ვერ მოგერევა. კიდევ ვამბობ: ის ერთი, რომელსაც ჩემი სიყვარული ჰქვია, სადღაც არის და აუცილებლად მიპოვის, ჯერ იმალება ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

# როგორ გახდა რობერტ სტურუა გურამ ბრეგაძის მეჯვარე, გურამ ბრეგაძე კი – რობერტ სტურუას რჩეული რეჟისორი და როგორ უსრულებდა კალიაგინი მას ყველა ნატვრას

**(ოცდამეთვრამეტე გვერდიდან)**

– დიახ, ბატონი რობიკო ჩემი მეჯვარე გახლდათ. ერთი წელია, რაც დავქორწინდი. ჩემი მეუღლე, მარიამ კვიტაიშვილი, მსახიობია. „რომეო და ჯულიეტა" დავდგი, სადაც ჯულიეტას როლს ჩემი მეუღლე ასრულებდა. ისე მოხდა, რომ რომეო თავად აღმოვჩნდი, შემიყვარდა და დავქორწინდით. რობერტ სტურუა ჩემი მეგობარია და ამიტომ ავირჩიე მეჯვარედ. ასევე, ჩემი მეჯვარე იყო მსახიობი ბესო ზანგური.

**– გსურთ, თქვენი შვილიც ხელოვნებას გაჰყვეს?**

– აუცილებლად. რეჟისორი უნდა გამოვიდეს, ან, უკიდურეს შემთხვევაში – მსახიობი მაინც. მოსკოვში პრემიერაზე ჩემი მეუღლე ჩამოვიდა. სპექტაკლის მხატვარი იყო ანა ნინუა და მისი მეუღლეც ჩამოვიდა... პრემიერის შემდეგ რობერტ სტურუამ რესტორანში დაგვპატიჟა – მოსკოვში, იტალიურ რესტორან „რობერტოში" აღვნიშნეთ წარმატება.

**– უახლოეს მომავალში რას აპირებთ?**

– რამდენიმე გეგმა მაქვს, აქედან ერთ-ერთია უდიდესი ჩერქეზი მწერლის – მიხაილ ლოხვიცკის „ეპოსის" დადგმა. როდესაც მოსკოვში ვიყავი, შევხვდი მის შვილიშვილს, ბაბუის სეხნიას – მიხაილ ლოხვიცკის. ის ჩემი მეგობარია და გვინდა, ერთად განვახორციელოთ ეს პროექტი. გარდა ამისა, დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში დავიწყებ დადგმას რუსთაველის თეატრში და, ასევე, რუსთავის თეატრშიც.

**– თანამედროვე ქართველი მწერლებიდან ვინ მოგწონთ?**

– თორნიკე გურჯინთაჰი. ამ ახალგაზრდა მწერალმა გამიტაცა ამ ბოლო ხანს. უძლიერესია! ჩემზე კულტურული შოკი მოახდინა და აუცილებლად დავდგამ სპექტაკლს მისი ნაწარმოების მიხედვით.

**კატო ჟღენტი**

37-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 13 თებერვალი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" 17.00 "გურმანია" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"რესტავრატორი"** 21.00 ტ/სერ **"ენრიკო მატეი – კაცი" რომელიც მომავალს უწურებდა"** 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **შახტარი – დორტმუნდი** (პ/რ) შესვენებისას: "ვიქტორინა" 01.50 მხ/ფ **"წერილები ივოძიმადან"** (ტიტ.).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"უკვდავი ამბავი"** 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. **"გაქცევა – 4"** 14.40 სერ. "24 – 5" 15.40 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 ქ.მხ/ფ **"გაღმა ნაპირი"** (კ.მიქიაშვილი) 23.45 სერ. **"ღვინის გზა"** 00.35 მხ/ფ (**დაუსრულებელი სიცოცხლე"** (რ.რედფორდი) 02.20 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 20.05 სერ. **"ღირსება და ამბიცია"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (ს.2) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.05, 0.30 თოქ-შოუ "არგუმენეტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

08.30, 02.40 საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" 09.00 დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" 10.30 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები"(გან.) 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 11.50 სერ. **"ვნებიანი შურისძიება"**(გან.) 12.50 სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** (გან.) 13.50 "გალერეა" (გან.) 15.00 სერ. **"სკოლის მეგობრები"** 16.00 დ/ფ "ტაიმსლოტი" 16.30 სერ. **"სიამაყე"** 17.10, 19.00 მუსიკა 18.00 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" 19.30 ანონსი 19.35 სერ. **"სენტიმენტალური ამბავი"** 21.25 სერ. **"ვნებიანი შურისძიება"** 23.00 "სცენა" 23.30 მხ/ფ **"სიტყვებით თამაში"** 01.00 მხ/ფ **"ხანძარი მაღაროში"**.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.50 დოკ/ფ "ნათელი იგი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი გად.7 11.10 სალბუნი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-ვენის სიმფონიური ორკესტრი 14.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 მოკ/ფ "აპრილი" 16.45 კვირიაკე 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ოთარაანთ ქვრივი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.20 ქართული ალბომი 22.45 დოკ/ფ "ქართული მონეტები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "წმინდა მეფე თამარი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"კასაბლანკა"**.

## ხუთშაბათი 14 თებერვალი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.50 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" – დედამიწის სიღრმეში 17.00 "ჩვენი ფერმა" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"რესტავრატორი"** 21.00 ტ/სერ **"ბიჭუნა წყალზე"** 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 თოქ-შოუ: "არენა" 00.00 მხ/ფ **"მზის ჩასვლის შემდეგ"** (პ.ბროსნანი) 02.10 დ/სერ "ტვინი სარკეში"

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"უკვდავი ამბავი"** 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. **"გაქცევა – 4"** 14.40 სერ. "24 – 5" 15.40 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 ქართ. მხ/ფ **"ცხელი ძაღლი – 4"** მე–2 სერ. 23.00 მხ/ფ **"ტალღებთან მოთამაშე"** (პ.სუეიზი) 01.25 სერ. **"ღვინის გზა"** 02.00 მხ/ფ **"ბოროტების სავანე"** (მ.იოვოვიჩი) 03.40 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 20.05 სერ. **"ღირსება და ამბიცია"** 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.05, 0.30 თოქ-შოუ "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

08.30, 02.30 საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" 09.00 დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" 10.30 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები"(გან.) 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 11.50 სერ. **"ვნებიანი შურისძიება"**(გან.) 12.50 სერ. **"სენტიმენტალური ამბავი"** (გან.) 14.00 "სცენა" (გან.) 15.00 სერ. **"სკოლის მეგობრები"** 16.00 დ/ფ "ტაიმსლოტი" 16.30 სერ. **"სიამაყე"** 17.10, 19.00 მუსიკა 18.00 დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" 19.30 ანონსი 19.35 სერ. **"სენტიმენტალური ამბავი"** 21.25 სერ. **"ვნებიანი შურისძიება"** 23.00 "პროექცია" 23.30 მხ/ფ **"ონგ ბაკი"** 01.15 მხ/ფ **"ღია ზღვა"**.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ **"კასაბლანკა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "წმინდა მეფე თამარი" 11.05 იელოველთა სექტის სწავლების შეცდომები 11.20 ჩვენი ტრაპეზი 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ **"ოთარაანთ ქვრივი"** 13.30 კონცერტი-ანდრია ბოჩელი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 მხ/ფ **"ერთ პატარა ქალაქში"** 17.25 დოკ/ფ "თეძმის ხეობა" 18.10 საქართველო არის ესე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ალყა"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.20, 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"კაცია ადამიანი?!"**

## პარასკევი 15 თებერვალი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "ეგვიპტიდან" 17.00 დ/ფ "სიმართლე ატლანტიდაზე" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"რესტავრატორი"** 21.00 ტ/სერ **"ბიჭუნა წყალზე"** 22.00 "აქცენტები" 23.30 "წითელი ზონა" 00.30 ქართ. მხ/ფ **"მიმინო"**.

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"უკვდავი ამბავი"** 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. **"გაქცევა – 4"** 14.40 სერ. "24 – 5" 15.40 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 სერ. **"ღვინის გზა"** 00.50 მხ/ფ **"საუკეთესო საყვარელი"** (მ.სტრიპი) 02.25 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 პროფილი (გ/ჩ) 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 20.05 სერ. **"ღირსება და ამბიცია"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00

ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30, 0.30** თოქ–შოუ - "კვირის არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.40** ყოველდღიური ამბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**08.30, 01.45** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები"(გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30** "დრო" **11.50** სერ. "**ვნებიანი შურისძიება**" (გან.) **13.00** "იმპულსი" **13.50** "პროექცია"(გან.) **15.00** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **16.00** დ/ფ "ტაიმსლოტი" **16.30** სერ. "**სიამაყე**" **17.10, 19.00** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.30** ანონსი **19.35** სერ. "**სენტიმენტალური ამბავი**" **21.25** სერ. "**ვნებიანი შურისძიება**" **22.30** "მთავარი დღეს" **23.30** მხ/ფ "**ეშმაკის ადვოკატი**"

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ "**კაცია ადამიანი?!**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ "**ალყა**" **13.30** კონცერტი-ბიძინა კვერნაძე **14.30** იელოველთა სექტის სწავლების შეცდომები **14.50, 18.35, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.15** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დეკორატიული ფლორა **16.05** კონცერტი-ქართული მელოდიები **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**რობინზონიადა,ანუ ჩემი ინგლისელი პაპა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი - ასმათ ოქროპირიძე "უფლის მირქმის დღესასწაულის შესახებ" **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** დოკ/ფ "მიგებება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა" **22.35** მოკ/ფ "**ბაკურხეველი ხევსური**" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.15** ირაო

## შაბათი 16 თებერვალი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **09.30** ან/ფილმი: "სკუბი დუ" **11.00** "ეთნოგრაფიული ნარკვევები" **11.30** საბ. ტ/სერ "**პირველყოფილი**" **12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.50** "მოამბე" **12.30** ქართ. მხ/ფ "**თეთრი ქარავანი**" **14.00 კალათბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა: "**სტუ**" – "**ქუთაისი**" (პ/რ) **16.30** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.00** "აღმოაჩინე საქართველო" **17.30** დ/ფ "წიგნის მშვენება" **18.00** "ეტალონი" **19.00** "გურმანია" **21.00** კონცერტი: ეტა ჯეიმსი **22.00** ტ/სერ "**ერთი სასიყვარულო ღამისთვის**" **23.00** "ახალი ქართული კინო" **23.30** მხ/ფ "**მარილივით თეთრი**" (ქ.მაჭავარიანი) **00.50** მხ/ფ "**მამაცი**" (ჯ.ფოსტერი)

**08.20** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" **1–2** სერ. **09.20** ან/ფ "წითელქუდას ნამდვილი ამბავი" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან.ფ. "ავატარი" **12.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **13.00** სერ. "**აიქარლი**" **14.20** მხ/ფ "**უიმბლდონი**" **16.00** სერ. "**გმირები – 4**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ "**რემბო-4**" **01.40** მხ/ფ "**ცეცხლოვანი ველი**" (შ.ტერონი) (ტიტ.) **03.25** მუსიკა

**08.00** კურიერი. დაიჯესტი **10.00** MTV TEEN CRIBS **11.00** სერ. "**კლუბი**" (ს**1**) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **15.30** შერეკილები **16.30** "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **20.05** სერ. "**ღირსება და ამბიცია**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" (ს.**2**) **00.00** პოკერის ტურნირი **3 01.00** "Latin Angels" **02.00, 04.30** მხ/ფ

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 11.20, 12.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 17.05, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20** უცხოეთის ამბები **9.30** კვირის არგუმენტები (გამ) **11.00** ყოველდღიური ამბები (გამ) (პარასკ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00** ამბები მოკლედ **13.05** ყოველდღიური ამბები (გამ) (ორშ) **14.05** ყოველდღიური ამბები (გამ) (სამშ) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.05** ყოველდღიური ამბები (გამ) (ოთხშ) **16.35** ყოველდღიური ამბები (გამ) (ხუთშ) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **20.10, 1.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნ. გამოძიება **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 2.00** "პრეს-პრესი" **23.00, 3.30** "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება) **1.00** ახალი ამბების კოლაჟი

**08.30, 02.45** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანიმაცია **10.00** "დილის ტალღა" **12.00** "ფერისცვალება" **12.30** სერ. "**ჯეკი და ლობიოს ხე**" **13.30** დ/სერ. "დები ტრვისის სახლები" **14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **15.00** დ/ს "კონფიდენციალურობა" **16.00** სერ. "**დი-ნოტოპია**" **17.00** დოკ/ფ "დიადი მუსიკა **17.00** დოკ/ფ "დიადი მუსიკა" **18.00** დოკ/ფ "ფოკუსის ისტორია" **19.30** ქართ. მხ/ფ "**სპირალი 3**" **21.20** სერ. "**ვნებიანი შურისძიება**" **23.00** "ერთი ცეკვის ისტორია" **23.30** მხ/ფ "**ჩემი საუკეთესო მეგობარი**" **01.00** მხ/ფ "**88 წუთი**"

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** შემეცნებით - დოკუმენტური ფილმი "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე,ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ "**რობინზონიადა,ანუ ჩემი ინგლისელი პაპა**" **13.25** დოკ/ფ "მიგებება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა" **13.50** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **15.10** ოპერა-"**ტურანდოტი**" **17.15** სატელევიზიო არქივიდან - შორეული ახლობელი **17.40** სალბუნი **18.10** ფოტოგალერეა **18.15** აქტუალური თემა **18.35** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** "კარაბადინი" **22.25** დოკ/ფ "ხიდები სამშობლოსაკენ" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.30** ქართული კინოს ვარსკვლავები **01.15** მხ/ფ "**გლადიატორი**" I ნაწ.

## კვირა 17 თებერვალი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ/ფ "**ფიქრები თავისუფ-ლებაზე**" **10.00** "ეტალონი" **11.00** "ჩვენი ექსპრესი" **11.30** საბ. ტ/სერ "**პირველყოფილი**" **12.00, 14.00, 16.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სპექტაკლის დრო" – მუსკომედიის თეატრის სპექტაკლი: "მარლენ დიტრიხი" **16.30** "ჩვენი ეზო" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00** ნუნუ გაბუნია **20.00** მხ/ფ "**ღამეები როდანტაში**" (რ.გირი) **22.00** ტ/სერ "**ერთი სასიყვარულო ღამისთვის**" **23.00** "აღმოაჩინე საქართველო" **23.30** "უცნობი მუსიკა" **00.30** კონცერტი **01.30** მხ/ფ "**ოუშენის 13 მეგობარი**" (ტიტ.) (ბ.პიტი)

**08.20** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" **3-4** სერ. **09.20** ან/ფ "ლეგენდა სიდიზე" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **13.00** მხიარული სტარტები **14.20** ქ.მხ.ფ. "**ყველაფერი კარგად იქნება**" **16.00** სერ. "**გმირები – 4**" **17.40** იმედის გმირები **18.00** კონცერტი: "ვლადიმერ ვისოცკის საღამო თბილისში" **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** რომ გადახვალ, გააჩერე **23.25** მხ/ფ "**აუტანელი სისასტიკე**" (ჯ.კლუნი) **01.10** მხ/ფ "**ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი**" (პ.ნიუმენი) (ტიტ.) **03.00** მუსიკა

**08.00** კურიერი. დაიჯესტი **10.00** MTV TEEN CRIBS **11.00** სერ. "**კლუბი**" (ს**1**) **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **13.00** ეკი ვოკი **15.30** შერეკილები **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **20.05** სერ. "**ღირსება და ამბიცია**" **21.00** P.S. **22.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი (ს**2**) **01.00, 03.30** მხ/ფ

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 10.35, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.25, 4.25, 5.25, 6.25** უცხოეთის ამბები **10.00** ღია კარის დღე (გამ. წინა კვირის) **10.55** "პრეს-პრესი" (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ამბები მოკლედ **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.05** "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ) **17.05** მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00, 1.30** დისკუსია - სტუდია "რე" **20.10, 23.25** ღია კარის დღე **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **23.00, 0.00, 1.00** ახალი ამბების კოლაჟი

**08.30, 02.10** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანიმაცია **09.30** "ფერისცვალება" (გან.) **10.00** "დილის ტალღა" **12.00** სერ. "**საიდუმლო აგენტები**" **12.30** სერ. "**ჯეკი და ლობიოს ხე**" **13.30, 20.10** მუსიკა **14.00** "ერთი ცეკვის ისტორია" **14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **15.00** დ/ფ "კონფიდენციალურობა" **16.00** სერ. "**დი-ნოტოპია**" **17.00** დოკ/ფ "დიადი მუსიკა" **18.00** მხ/ფ **18.00** მხ/ფ "**პოლიციის აკადემია 3**" **19.30** "ერთი დღე სოფელში" **21.15** სერ. "**ვნებიანი შურისძიება**" **23.00** "გალერეა" **23.30** მხ/ფ "**ლედი ჩატერლეი**"

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.35** გამოყენებითი ხელოვნება **10.45, 21.35** ლექსით ქებათა ქება **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.15** ერთსულოვნების სალონი **13.10** დოკ/ფ "ხიდები სამშობლოსაკენ" **13.40** "ჩვენი ტრაპეზი" **13.50** ქართული მულტფილმი **14.05** მოკ/ფ "**ზღარბი**" **14.30** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.25** მგზავრები წუთისოფლისა **15.50** ეპოქის სახელები **16.10** ქართული კინოს ვარსკვლავები **17.00** დრო და ტრადიციები "ქართულ-ებრაული ურთიერთობები" **17.25** საღვთისმეტყველო საუბრები **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დროის ჩანაწერები **19.50** მხ/ფ "**წისქვილი ქალაქის გარეუბანში**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.40** "კვირიაკე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ფოტოგალერეა **23.20** გაცოცხლებული წარსული **23.40** დრო და ადამიანები **00.10** პატრიარქის ქადაგება **01.35** მხ/ფ "**გლადიატორი**" II ნაწ.

**კრრრ!.. – დღეიდან, ანუ 11 თებერვლიდან, ყოველ დილას, შაბათ-კვირის გარდა, ასე მხიარულად გააღვიძებენ მაყურებელს „მაესტროს“ ახალი გადაცემის წამყვანები: კახა, ლევანი, მანიკა და ნინუცა. ასე რომ, მხიარულ წამყვანებთან ერთად, ხალისიანი, საინტერესო და როგორც მანიკა ასათიანი და ნინუცა მაყაშვილი ამბობენ, განსხვავებული „მაღვიძარა“ გველოდება, რომლის გათიშვა, იმედია, არ მოგვინდება.**

# ვისთან ერთად მოხვდნენ მანიკა ასათიანი და ნინუცა მაყაშვილი საოცნებო პლანეტაზე და როგორ აპირებენ ისინი ყოველ დილას მაყურებლის გაღვიძებას

**ნინუცა მაყაშვილი**: ორივემ გავიარეთ ქასთინგი, შემდეგ სხვადასხვა ეტაპი, ასე ვიპოვეთ ერთმანეთი და დაიწყო ჩვენი სიყვარულის ისტორია. ვგიჟდებოდი მანიკაზე. ზოგჯერ ადამიანს არ იცნობ, მაგრამ მოგწონს, დადებითი აურა აქვს – ასე ვიყავი მანიკას მიმართ განწყობილი. რამდენჯერმე შემხვდა ქუჩაში საერთო მეგობრებთან ერთად, ვილაპარაკეთ და იმდენად დადებითი ემოციები წამოვიდა, ისეთი აურა აქვს, რომ კარგად განვეწყვე. თავიდან ამ გადაცემისთვის მე შემარჩიეს, ძალიან გამიხარდა და რა თქმა უნდა, მაინტერესებდა, ვინ იქნებოდა სხვა გოგო.

**მანიკა ასათიანი**: მე ბოლოს მოვედი. ვერ წარმომიდგენია, რომ სხვა გოგო იყოს ნინუცას ადგილას – ძალიან კარგად გავუგეთ ერთმანეთს. ნინუცა ზუსტად ისეთია ცხოვრებაში, როგორიც ეკრანზე – ყველგან ერთნაირია, არ თამაშობს, პირდაპირი და „ჯიგარია“, უშუალო და ადვილად საურთიერთობო.

**ნინუცა**: ძალიან გაგვიმართლა ორივეს... ყოველ შემთხვევაში, მე გამიმართლა, რომ მანიკა ჩემთან ერთად იქნება.

**მანიკა**: როდესაც 4 ადამიანი მუშაობს ერთად მთელი სამი საათის განმავლობაში, ჩვენ დილის 8 საათიდან – 11 საათამდე გავდივართ ეთერში, რთულია, მათ ვერ უგებდე. მაგრამ, როცა ცხოვრებაში ეს ურთიერთობა აწყობილი გაქვს და რაღაცეებში უგებ, მერე უფრო გიადვილდება და შეხმატკბილებულად მუშაობ.

**ნინუცა**: ერთ პლანეტაზე ვართ ყველანი. მე და კახა, ანუ ჩვენი კიდევ ერთი წამყვანი ერთმანეთს ვიცნობდით, ლევანი აქ გავიცანი. დაძაბული ურთიერთობა არ გვაქვს. თუმცა მე და მანიკამ კოალიცია შევქმენით, ვჩაგრავთ ბიჭებს. მე კახა მყავს „გაგდებული“, მანიკა ლევანს ჩაგრავს.



**ნინუცა: „სტუმრები რომ მოდიოდნენ ჩვენთან, რუსკას ბავშვები შეჰყავდა აბაზანაში, ტანსაცმელზე ფხვნილს აყრიდა და „დუშის“ ქვეშ ცივი წყლით რეცხავდა. დედამ „ჯაყო“ დაარქვა“**

**– ყველა არხზე გადის დილის გადაცემები, რატომ უნდა უყუროს მაყურებელმა „მაღვიძარას“, ანუ რით იქნება ის სხვა გადაცემებისგან განსხვავებული?**

**მანიკა**: ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, დილის 8 საათიდან 11 საათამდე ვიქნებით პირდაპირ ეთერში. ძალიან რთული რეჟიმი გვექნება, მაგრამ მზად ვართ. აქ იმდენად შინაური გარემო დაგვხვდა, რომ უფრო მეტი სტიმული გვაქვს. მამუკაც ყველაფერს მეგობრულად გვიხსნის.

**ნინუცა**: ისე გექცევა, რომ რაღაცის კეთება გინდება.

**მანიკა**: მასთან სიამოვნებით ავდივართ ხოლმე, რადგან ვიცით, რჩევას მოგვცემს ან რაიმე ახალს შემოგვთავაზებს. სულ სიახლის ძიებაშია – ეს მაოცებს და სტიმულს მაძლევს. ჩვენი პროდიუსერი, თამუნა მჟავანაძე – ეს არის ყველაფერი, ოქრო ადამიანია.

**ნინუცა**: ჩვენი მეორე პროდიუსერი, ნანა არჩვაძე, ვგიჟდებით, ისეთი ადამიანია... ესენი აკეთებენ ყველაფერს. კიდევ ჟურნალისტები, მემონტაჟეები... მოკლედ საოცარ, იდეალურ გარემოში მოვხვდით და ძალიან გვიხარია.

**მანიკა**: გვეყოლება ძალიან საინტერესო სტუმრები, დიალოგები, მაყურებელიც აქტიურად იქნება ჩართული. არ გვინდოდა, გადაცემა ბანალური ყოფილიყო, ამიტომ განსხვავებულია. სუფლიორის გარეშე ვმუშაობთ, ჩვენს იმპროვიზაციაზე, ურთიერთობაზე იქნება მთელი გადაცემა აწყობილი.

**ნინუცა**: სიუჟეტებშიც ჩვენ ვმონაწილეობთ, რადგან უფრო სახალისოა, როცა ამ თემის მოქმედი პირიც შენ ხარ, შენზე აკეთებ ყველაფერს. თემები არ არის ისეთი, რაზეც არავის უსაუბრია, ან რომელიმე ტელევიზიას არ გაუშუქებია, უბრალოდ, სხვა კუთხით იქნება მოწოდებული და კარგად აღსაქმელი.

**მანიკა**: ჩვენ უფრო ქალბატონებისთვის მოვამზადებთ თემებს, ბიჭები – მამაკაცებისთვის. რაც მთავარია, ოთხივე წამყვანი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულები ვართ და ჩემი აზრით, ეს გადაცემას უფრო საინტერესოს გახდის.

**– მანიკა, „მაღვიძარა“ სახლშიც გყავს – შენი პატარა, უსაყვარლესი გიო.**

– ჰო, არ მაძინებდა, მაგრამ ახლა დაჭკვიანდა.

**– ნინუცა, შენი შედარებით დიდია.**

**ნინუცა:** გიჟი და გადარეულია, მესამე სართულიდან ისროლა ვედრო და ვიღაცას მანქანა დაუმტვრია. ჩემი შვილი წყნარი და მშვიდი რომ ყოფილიყო, მაგას ვერც დავიჯერებდი, მაგრამ ასეთი გიჟი თუ იქნებოდა, არ მეგონა. მე ძალიან წყნარი ვიყავი, „მუთაქას“ მეძახდნენ. ერთ ადგილას ვიდე და მეძინა. ჩემი და უფრო აქტიური იყო და მგონი, მისი გენები აქვს. სტუმრები რომ მოდიოდნენ ჩვენთან, ბავშვები შეჰყავდა აბაზანაში, ტანსაცმელზე ფხვნილს აყრიდა და დუშის ქვეშ ცივი წყლით რეცხავდა. დედამ „ჯაყო“ დაარქვა. მანიკას შვილი არის ცომიკი, ფუნთუშა.

**მანიკა**: ვინც მოდის, ყველას ჰგონია, რომ დავსვამთ, უნდა გაიაროს, ან ყველაფერი ესმის და უნდა გელაპარაკოს – ისეთი აზრიანი თვალები აქვს. ძალიან მენატრება ხოლმე, მაგრამ, ჩემს შვილს არ ვაკლებ ყურადღებას. დილით მე ვაჭმევ და საღამოს რომ მივდივარ სახლში, აღარსად გავდივარ, ანდა თუ გავდივარ სადმე, ისიც გიორგისთან ერთად. ბექაც ძალიან მიწყობს ხელს, სტიმულია. სულ უნდოდა, რომ მემუშავა, ჩემი საქმე მეკეთებინა.

**მანიკა: „ მამუკასთან სიამოვნებით ავდივართ ხოლმე, რადგან ვიცით რჩევას მოგვცემს ან რამე ახალს შემოგვთავაზებს. სულ სიახლის ძიებაშია – ეს მაოცებს და სტიმულს მაძლევს“**

**– ახლახან ორივე მილანში იყავით. რას უკავშირდებოდა თქვენი გამგზავრება?**

**ნინუცა**: სამსახურიდან გაგვიშვეს შვებულება-მივლინებით. გადაწყვიტეს, რომ დილის ეთერში უნდა ვიყოთ ლამაზად ჩაცმულები და მილანში გაგვიშვეს საშოპინგოდ.

**მანიკა**: 4 დღით ვიყავით მე და ნინუცა. ბიჭების ჩაცმა უფრო ადვილი აღმოჩნდა და თბილისშიც მოახერხეს მათი კარგად გამოწყობა. ჩვენზე ნაკლებად არ აცვიათ, პირიქით, ძალიან კარგად ეცმევათ. გოგონებისთვის ეს ცოტა რთული იყო, ამიტომ გადაწყვიტეს ჩვენი გამგზავრება.

**ნინუცა**: იმ დღეს წინასწარ შეგვამზადეს: ბატონ მამუკასთან უნდა ახვიდეთ თქვენი პასპორტებითო.

**მანიკა**: სერიოზული „ტისკი“ გელითო... მოკლედ, ავედით და უცებ გვეკითხება: გოგონებო, მილანში წახვალთ?

**ნინუცა**: დავიბენით, ისე ვიყავით, რომ ვერ ხვდები, რა უნდა გააკეთო: აბა, რაა.. ძალიან მეზარება, მაგრამ წავალ... არ ვიცოდით რა გვეთქვა. მთელმა დაგროვილმა ემოციებმა, მესამე დღეს ამოხეთქა მაკასთან სახლში. ერთმანეთს ვასკდებოდით და ვყვიროდით სიხარულისგან.

**– მაკა ასათიანთან ცხოვრობდით?**

**მანიკა**: მაკასთან ვცხოვრობდით სახლში, მთელი დღე შოპინგებზე დავდიოდით და საღამოს რესტორანში ვამთავრებდით.

**ნინუცა**: სამი დღე გამოგვივიდა. ფიზიკურად დრო არ გვქონდა, რადგან შვეიცარიიდან ჩამოვდიოდით მილანში. თან ერთი დღე დაგვაგვიანდა და რეალურად, ორი დღე დავრბოდით მაღაზიებში. ორ დღეს ამდენი მაღაზიის შემორბენა, 18-19 რაღაცის ჩაცმა, ძალიან ძნელი იყო. თან, ყველაფერი მოგწონს, იზომებ, დრო არ გაქვს, 7 საათზე მაღაზიები იკეტება და როგორ გინდა, ორ ადამიანს მთელი წლის ტანსაცმელი შეურჩიო. გიჟებივით დავრბოდით. რომ წამოვედით, 31 კილოგრამით მეტი ბარგი გვქონდა. ვიყიდეთ „ივ სენ ლორანი“, „პრადა“, „ფენდი“... არ გვინდა, რომელიმე გამოგვრჩეს.

**მანიკა**: თან, შეიძლება, სამოსი მოგწონებოდა, მაგრამ უნდა გაგეთვალისწინებინა, მოუხდებოდა თუ არა ეთერს. რაც მთავარია, ამ ყველაფერში გვეხმარებოდა ჯაბა დიასამიძე. მუნჯებივით ვიყავით, იმდენად გემოვნებიანები არიან, რომ ჩვენი შესწორებები არ სჭირდებოდათ.

**ნინუცა**: მაკასაც და ჯაბასაც სხვანაირი თვალი აქვთ, ზუსტად ხვდებიან: რა გიხდება და რა – არა. იმას გვაძლევდნენ, რაც გვიხდებოდა და ჩვენს სტილში ჯდებოდა. რამდენიმე საათი იყო დარჩენილი და ჯაბა მანიკას მიუბრუნდა: გეხვეწები, ახლა მთელი ორიენტირი ამაზე გავაკეთოთო. მანიკამ შარვლები მომიტანა – აი, შოკი...

**– როგორი მასპინძელია მაკა?**

**მანიკა**: მთელი დღე შეგვიძლია, ამაზე ვილაპარაკოთ. ეს არის ადამიანი, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სხვას ასიამოვნოს. მგონია, იმით „კაიფობს“, რომ სხვას უანგაროდ ასიამოვნოს – შენგან არაფერს ითხოვს.

**ნინუცა**: ძალიან კეთილია, დადებითია, გაბრაზებული ვერც წარმომიდგენია.

**მანიკა**: თან, რა სილამაზის პატრონია და როგორი უბრალოა, ამაზე ვარ შოკში. ასეთი ლამაზი ხარ, მთელი ერი გიჟდება შენზე. შენ კი ასეთი უბრალო ხარ, ხომ წარმოგიდგენია, როგორი ადამიანი იქნება.

**ნინუცა**: მეორე დღეს რომ ავდექით, ვემზადებოდით, უცებ მანიკა ეუბნება: შეიძლება, ფოტო გადაგიღოთო. დადგა და ჩვენ ჩხიკ, ჩხიკ... იცი, რამდენი ხანი ვუღებდით.

**ნათია უტიაშვილი**

# ბურღულეულის დიეტა

**წიწიბურა** ეკოლოგიურად სუფთა და დაბალკალორიული პროდუქტია. ის არ ექვემდებარება გენმოდიფიცირებას და მისი მოყვანისას არ არის საჭირო სასუქები და პესტიციდები.

წიწიბურა ამაგრებს კაპილარების კედლებს, სასარგებლოა კუჭ-ნაწლავისთვის, ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლისთვის. წიწიბურას ფაფას ექიმები უნიშნავენ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს.

ეს ბურღულეული აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს ცხიმების წვას, თრგუნავს შიმშილის შეგრძნებას.



**ქერს** აქტიურად გამოაქვს ორგანიზმიდან ცხიმები, ტოქსინები და ზედმეტი მარილები. ქერის („ფშენის“) რეგულარული მიღება აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაგრებს ძვლებსა და კბილებს, აუმჯობესებს თმისა და ფრჩხილების ხარისხს. ეს ბურღულეული სასარგებლოა ქრონიკული დაღლილობის, ნერვული დაძაბულობის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს. ასევე, მისი მიღება აუცილებელია ავიტამინოზის, დაქვეითებული იმუნიტეტისა და ალერგიისკენ მიდრეკილების შემთხვევაში.

ეგრეთ წოდებული **„პერლოვკა“** მზადდება ლიზინის შემცველი ქერისგან. ეს ნივთიერება (ლიზინი) ეხმარება ორგანიზმს კოლაგენის გამომუშავებაში, რომელიც ანელებს ნაოჭების გაჩენას და უნარჩუნებს კანს სიმკვრივეს.

**შვრია** სწრაფად ხსნის დაღლილობას და აღადგენს ენერგიას, შველის ასთენიას (ფიზიკური და ნერვული სისუსტე) და აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას. შვრიის ფაფა (უცხიმოდ) სასარგებლოა გასტრიტისა და კუჭის წყლულის დროს; აუმჯობესებს შარდსასქესო და ენდოკრინულ სისტემებს, ამაგრებს ძვლებს, გამოაქვს ტოქსინები, თავიდან არიდებს ორგანიზმს დერმატიტებს.

**ბრინჯი** განსაკუთრებით სასარგებლოა გასტრიტითა და კუჭის წყლულით დაავადებულთათვის. ბრინჯის ფაფა (უცხიმოდ) კარგია მათთვის, ვისაც აქვს სიმსუქნისკენ მიდრეკილება. ის არ შეიცავს ნივთიერება გლუტენს, რომელიც ალერგენად ითვლება. ბრინჯის ფაფა არ არის რეკომენდებული მათთვის, ვისაც დიაბეტი აწუხებს.

გთავაზობთ ზემოთ ჩამოთვლილი ბურღულეულის ენერგეტიკული ღირებულებების ცხრილს:

**წიწიბურა:** 100 გრამი – 329 კილოკალორია; აღადგენს ენერგიასა და ამტანობას.

**ქერი („ფშენი“):** 100 გრამი – 334 კილოკალორია; წინააღმდეგობას უწევს ქოლესტერინის წარმოქმნას.

**ბრინჯი:** 100 გრამი – 323 კილოკალორია; ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გაჩენის რისკს.

**შვრია:** 100 გრამი – 345 კილოკალორია; აწესრიგებს სისხლში შაქრის შემცველობას.

**„პერლოვკა“:** 100 გრამი – 324 კილოკალორია; შველის გაციებისა და ალერგიის დროს ახალგაზრდავებს კანს.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული დიეტა ხუთდღიანია და გათვლილია ხუთჯერად კვებაზე. უფლება გაქვთ, დღეში მიიღოთ მხოლოდ 900-1 000 კილოკალორია (სითხისა და ხილის ჩათვლით). დილასა და სადამოს შეგიძლიათ მიირთვათ თითო ვაშლი (ან რომელიმე სხვა ხილი); დღის განმავლობაში – 2 პატარა ფინჯანი უშაქრო ყავა და 2 ჩაის ჭიქა ახალგამოწურული ხილის წვენი (უშაქროდ).

რაც შეეხება ბურღულეულს, თავად აირჩიეთ ვარიანტი:

ა) თითო დღის განმავლობაში მიირთვით მხოლოდ ერთი სახეობის ბურღული (ერთ ჯერზე უნდა მოხარშოთ 50-60 გრამი);

ბ) დღის განმავლობაში თითო ჯერზე მიირთვით თითო სახეობის ბურღული.

# იდეალური თვალები

***ლამაზი თვალის ჭრილი, სხივიანი მზერა, ვნებიანი გამოხედვა... – ამ ყველაფრის მიღწევა მხოლოდ სწორად გაკეთებული მაკიაჟით არის შესაძლებელი. გთავაზობთ მაკიაჟის ვარიანტებს სხვადასხვა ფორმის თვალებისთვის.***



*თუ თვალის ვიწრო ჭრილი გაქვთ,* ზედა ქუთუთოზე, წამწამების ძირების გასწვრივ, გაიკეთეთ შავი კონტური; ქუთუთოდან ზემოთ – წარბებისკენ (საფეთქლების მიმართულებით), წაისვით ღია ფერის ჩრდილი და დაიტუშეთ მხოლოდ ზედა ქუთუთოს წამწამები.

*ღრმად ჩამჯდარი თვალების* შემთხვევაში, შავი ფანქრით (ან ლაინერით) გაიკეთეთ კონტური ზედა ქუთუთოზე – თვალის შიდა კუთხიდან გარე კუთხემდე, ქვედა ქუთუთოზე კი – შუიდან გარე კუთხემდე ამ ორი კონტურის გარე კუთხესთან შეერთების წერტილი ოდნავ ზემოთ აწიეთ.

*მრგვალი თვალებისთვის* უნდა შეარჩიოთ შედარებით უფრო მკვეთრი ტონების „ჩრდილები“: ზედა ქუთუთოს შუიდან გარე კუთხისკენ მიმართულებით წაისვით ერთი ფერის „ჩრდილი“, მეორე ფერი კი გარე კუთხესთან ზემოდან გადაისვით და ოდნავ „ასწიეთ“ წარბისკენ.

*ახლო-ახლო განლაგებული თვალების* შემთხვევაში, კონტური გაიკეთეთ ზედა და ქვედა ქუთუთოებზე – შუიდან გარე კუთხისკენ, კონტურების შეერთების წერტილი ოდნავ გააგრძელეთ საფეთქლისკენ. ზედა ქუთუთოს ერთ მესამედზე (საფეთქლისკენ) წაისვით საშუალოდ მუქი „ჩრდილი“ მხოლოდ ერთი ტონალობის.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორი უნდა იყოს თმის მოვლის რეჟიმი, რომ ძირები გამაგრდეს, ღერების ბოლოები არ გაიყოს და თმა ბზინვარე გახდეს?**

**პასუხი:** თმა სრულყოფილად მოვლილი რომ გქონდეთ, უნდა დაიცვათ შემდეგი რეჟიმი:

ა) სამ თვეში ერთხელ მიდით სალონში და 2-3 სანტიმეტრზე შეიჭრით თმის ბოლოები.

ბ) რეგულარულად (კვირაში ერთხელ მაინც) გაიკეთეთ მკვებავი და აღმდგენი ნიღბები თმის მთელ სიგრძეზე, განსაკუთრებული ყურადღება კი მიაქციეთ თმის დაბოლოებებს.

გ) ჩართეთ თქვენს რაციონში უფრო მეტი ცოცხალი ხილი, ბოსტნეული და მარცვლეული. დალიეთ დღეში 2-2,5 ლიტრი წყალი.

**კითხვა: ვიცი, რომ აუცილებელია კანის დატენიანება. მაინტერესებს, ერთი და იგივეა თუ არა კანის სიმშრალე და კანის გაუწყლოება? გარდა ამისა, ძალიან გთხოვთ, ცოტა დაწვრილებითი ინფორმაცია მომაწოდეთ დამატენიანებლების შესახებ.**

**პასუხი:** დამატენიანებელი საშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანის გაახალგაზრდავებაში, უბრუნებს მას ტონუსს, სიგლუვესა და ჯანმრთელ ფერს.

გაუწყლოებული კანი ყოველთვის უფრო დაბერებულად გამოიყურება. ეს რომ არ მოხდეს, დღის განმავლობაში აუცილებლად უნდა სვათ 2-2,5 ლიტრი წყალი. არ შეიძლება გაუწყლოების გამოშრობასთან გაიგივება. გამოშრობის შემთხვევაში, დაბანის შემდეგ ან ჰაერის ტემპერატურის ცვლილების დროს, ჩნდება კანის დაჭიმვის შეგრძნება, სიწითლე, აქერცლა. ამიტომ, აუცილებელი ხდება დატენიანება სპეციალური ნიღბებით, რომლებიც შეიცავს E ვიტამინს, წყალმცენარეების ექსტრაქტებს, ჰიალურონის მჟავას. ეს ინგრედიენტები აჩერებს ტენს კანის ზედაპირზე და არ აძლევს მას აორთქლების საშუალებას. არ დაგავიწყდეთ ლიფტინგ-კრემები. რა თქმა უნდა, ისინი ვერ შეედრებიან სალონურ პროცედურებს, მაგრამ, მაინც ახდენენ კანის მსუბუქ დაჭიმვას და ვიზუალურად გადაჭიმვას. ყურადღება მიაქციეთ, რომ მის შემადგენლობაში შედიოდეს: პეპტიდური კომპლექსები, კოენზიმი Q10, კოლაგენი. ლიფტინგ-კრემის ზემოქმედება უფრო ეფექტური რომ იყოს, ის უნდა წაისვათ კარგად გაწმენდილ და ტონიკით დატენიანებულ კანზე.



თუ კანის გამოშრობის შეგრძნება სამსახურში გაგიჩნდათ, 2-3 საათში ერთხელ დაინამეთ სახე თერმული წყლით ან ვიტამინიზებული სპრეით.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# ვინ და როგორ შეკრიბა თბილისელი ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებსაც მეტრო უნდა აეფეთქებინათ

***პუბლიკაციის ზოგიერთი მონაწილის ვინაობა შევცვალეთ. მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.***

## „ცანგალა“

1968 წლის 12 მარტს საქართველოს უშიშროების კომიტეტის კონტრდაზვერვის განყოფილების თანამშრომელს, აკაკი თევზაძეს ტელეფონზე დაურეკეს. მან ყურმილი აიღო და უპასუხა:

– კაპიტანი თევზაძე გისმენთ.

– გამარჯობა, აკაკი, – მოესმა თევზაძეს მამაკაცის ხმა, – ხომ არ მოგაცდინე?

– გაგიმარჯოს. ვის ველაპარაკები?

– ალბათ, არ გემახსოვრები. მე ნოდარ ლომიძე – „ცანგალა“ ვარ.

– როგორ არ მახსოვხარ. ორი წლის წინ ხომ მე თვითონ მოგეცი ჩემი ტელეფონი და გითხარი, გაჭირვების შემთხვევაში დაგერეკა. გისმენ, მითხარი რა გიჭირს?

– მე – არაფერი. მოკლედ, სადმე, მყუდრო ადგილზე უნდა შევხვდეთ.

– კი, ბატონო. მითხარი, სად და როდის მოვიდე?

– რესტორან „დარიალში“ შევხვდეთ. კუპეს შევუკვეთავ, რომ ხელი არავინ შეგვიშალოს.

1968 წლის 12 მარტს, დღის 2 საათზე, რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორან „დარიალში“ ერთმანეთს შეხვდნენ „სუკის“ კაპიტანი – აკაკი თევზაძე და კანონიერი ქურდი – ნოდარ ლომიძე, მეტსახელად „ცანგალა“. მათი ნაცნობობა ჯერ კიდევ ორი წლის წინ შედგა. მაშინ ლომიძე ერთ საქმეში ფიგურირებდა, თუმცა, უდანაშაულო იყო. საქმეს თევზაძე იძიებდა. მაშინ თევზაძემ ცანგალას მიმართ კორექტულობა და ობიექტურობა გამოიჩინა და საქმიდან ამოაგდო. თან, საკუთარი ტელეფონის ნომერიც მისცა იმ იმედით, რომ ქურდი გამოსწორდებოდა და საჭიროების შემთხვევაში, დახმარებასაც შეჰპირდა.

– აბა, ნოდარ, გისმენ. მითხარი, რა გაგჭირვებია. მზად ვარ, დაგეხმარო, თუკი შევძლებ, – უთხრა ცანგალას კაპიტანმა და კანონიერი ქურდის პირისპირ მოკალათდა.

– პირადად, მე, არაფერი მიჭირს. ძველებურად ვარ. მაგრამ, მგონი, ცუდი ამბავი ხდება და ამიტომ დაგიძახე. იქნებ ყურადღებით მომისმინო და ერთად გავარკვიოთ საქმის არსი.

– გისმენ. მოყევი.

– „ბეკეკოა“... ერთი პატარა ბიჭი, 19 წლის ნუგზარ ღლონტი. ვიღაც დაჭრა, თან ჩალიჩობს, წვრილმანი ქურდია. მოკლედ, პაბეგშია და ერთ ჩემს ნაშასთან იმალება,

> **ღლონტი მთაწმინდის ტყეში იპოვეს მკვდარი... ის ტრუსების ამარა იყო**

რომელიც მისი თანასოფლელი და კარის მეზობელია. ეს ბეკეკო იმ ჩემმა ნაშამ გამაცნო, ერთხელ დავლიეთ კიდეც. მოკლედ, მელკი ნაბიჭვარია და თავში აქვს ავარდნილი, რომ ვიღაც მისნაირი უკანალში დაჭრა. ერთი სიტყვით, გუშინ ჩემს ნაშასთან დავრჩი. ქალი რომ სამსახურში წავიდა და ბეკეკოც – სადღაც, მე კარადაში პირსახოცს ვეძებდი და კუთხეში პატარა, ტყავის ჩემოდანი შევნიშნე. ადრე ის არ მენახა. მოკლედ, დამაინტერესა, გავხსენი და შიგ 120 ათასი მანეთი, ორი ცარიელი პისტოლეტი „ტეტე“ და ძალიან ბევრი ასაფეთქებელი აღმოვაჩინე. ბეკეკო, ის ლაწირაკი, იმის კაცი არაა, რომ კრუპნი საქმე გააკეთოს ან კაცი გააგოროს ზაკაზით. აქ სხვა რაღაცაშია საქმე. თანაც, ეს ასაფეთქებელია ყველაზე საეჭვო. მოკლედ, გუშინწინ საღამოს იმ ბეკეკომ ჩემოდანი სადღაც წაიღო და არც გუშინ გამოჩენილა, არც დღეს. რატომღაც ვფიქრობ, ამ ყველაფერს ქვეყნის ღალატის სუნი უდის. ქურდი კი ვარ და ჩაშვება არ შემეფერება, მაგრამ ინტუიცია არასოდეს უმტყუნია ჩემთვის და თუკი ის ნაბიჭვარი ბეკეკო უდანაშაულო ადამიანების აფეთქებას აპირებს, უნდა გაბდღვნა. აი, ამისთვის შეგხვდი და დანარჩენი შენ იცი.



## განწყვეტილი კვალი

ცანგალას ინფორმაცია უშუალოდ აკაკი თევზაძის განყოფილების კომპეტენციაში შედიოდა და კაპიტანი უმალვე შეუდგა მოქმედებას. ინაურის დავალებით, ქართველმა ჩეკისტებმა, უპირველესად, საქართველოს ყველა სტრატეგიული ობიექტის დაცვა გააძლიერეს. კონტრმზვერავები კი 19 წლის ნუგზარ ღლონტის, იგივე ბეკეკოს, ინტენსიურ ძებნას შეუდგნენ. ფარულად და გულდასმით გადაამოწმეს ბეკეკოს ყველა სავარაუდო ადგილსამყოფელი, მაგრამ ვერსად აღმოაჩინეს. 1968 წლის 15 მარტს კი, ანუ იმ ინფორმაციის მიღებიდან მესამე დღეს, ფუნიკულიორის ტყეში ნუგზარ ღლონტის ცხედარი იპოვეს. 19 წლის ყმაწვილი ტრუსისამარა იყო, შარვალი კი იქვე ეგდო. სხეულზე ძალადობის არანაირი კვალი არ აღენიშნებოდა. გაკვეთისას პათანატომებმა დაადგინეს, რომ გული ჰქონდა გახეთქილი. კუჭში ალკოჰოლის, კერძოდ კი, კონიაკის კვალი აღმოაჩნდა. თუმცა, შემთხვევის ადგილზე ვერც სასმელი აღმოაჩინეს და ვერც დალევის დამადასტურებელი რაიმე მტკიცება. ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს 19 წლის ყმაწვილი სექსის დროს ინფარქტით გარდაიცვალა...

„სუკის“ პათანატომმა, უმაღლესი კატეგორიის ექსპერტ-კრიმინალისტმა მამია გოშაძემ თავი გააქნია და აკაკი თევზაძეს უთხრა:

– ისეა დადგმული, რომ იფიქრო, თითქოს ამ ბიჭს სექსის დროს გაუსკდა გული. შენ წარმოიდგინე, ბევრი მოტყუვდებოდა და შეიძლება, მეც მეჭამა, რომ არა ერთი რამ.

– და, რა არის ეს? – დაინტერესდა თევზაძე.

– რა და, ორგანიზმში აღმოჩენილი ალკოჰოლი. კერძოდ კი კონიაკის დოზა. საქმე ისაა, რომ იქვე ვერც ბოთლი ვიპოვეთ, ვერც ჭიქა და რაც ყველაზე საინტერესოა, 19 წლის ჯანმრთელ ბიჭს არანაირად არ გაუსკდებოდა გული სექსის დროს. მით უმეტეს, თუ მას კონიაკი ჰქონდა მიღებული. როგორც ცნობილია, გულის უკმარისობით დაავადებული მამაკაცები სექსის დროს კონიაკს სპეციალურად სვამენ, მცირე დოზით, გული რომ არ გაუსკდეთ. აქ კი პირიქით მოხდა. ეს საფუძველს მაძლევს, დავასკვნა, რომ კონიაკი მოწამლული იყო. ანუ, სპეციალურად ისეთი ნივთიერება გაურიეს მასში, რომ გაკვეთას ინფარქტი ეჩვენებინა. მკვლელმა კი ბოთლი და ჭიქა იმიტომ წაიღო, საწამლავის კვალი არ აღმოგვეჩინა. მოკლედ, სასწრაფოდ მკვლელი ქალი უნდა ვეძებოთ – ის, ვინც ბიჭი ტყეში სექსის მიზეზით შეიტყუა და სინამდვილეში – მოკლა, რომ სავარაუდოდ, რაღაცის კვალი წაეშალა.

გოშაძის კვალიფიციური დასკვნა დიდად დაეხმარა ქართველ კონტრმზვერავებს და მომწამვლელი ქალის გაძლიერებულ ძებნას შეუდგნენ. დრო არ ითმენდა და გამწყდარ კვალს შეიძლება დიდი უბედურება მოეტანა, რასაც გამოუსწორებელი შეცდომა მოჰყვებოდა.

## აღკვეთილი სუპერტერაქტი

1968 წლის 20 მარტს თბილისის მეტროპოლიტენში მოთვალთვალე „სუკის“ თანამშრომლებმა ოთხი ახალგაზრდა შეამჩნიეს,

რომელთა შორის გოგონაც იყო. მათ სპორტული ჩანთები ჰქონდათ თან და სწორედ ეს გარემოება მიიჩნიეს საეჭვოდ. ახალგაზრდებმა, რომლებსაც კუდზე ორ-ორი „სუკელი“ ეჯდა, ფარულად, პიკის საათის დროს, საღამოს 6 საათზე, მაშინ, როცა მეტროს მატარებლები ხალხით იყო გაჭედილი, სპორტული ჩანთები ვაგონებში დატოვეს, თავად კი სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას. „სუკის“ ოპერჯგუფმა ახალგაზრდები დააკავეს და ჩანთები ვაგონებიდან ამოიღეს, შეამოწმეს და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა – ჩანთებში საათისმექანიზმიანი მოწყობილობები იყო ჩამონტაჟებული და 1968 წლის 20 მარტს, 18 საათსა და 45 წუთზე, ერთდროულად ოთხ ელექტრომატარებელში საშინელი ძალის აფეთქებები უნდა მომხდარიყო, რაც 2 ათასამდე ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა. დაკავებულები იყვნენ: თბილისის მუზეუმის თანამშრომელი – 21 წლის მირიან ჯოხაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი – 20 წლის ფარნაოზ ფსუტური, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი – 20 წლის ლევან ხელაია და სამედიცინო ტექნიკუმის მოსწავლე – 18 წლის კლარა ივანოვა. ისინი შევჩენკოს ქუჩაზე, „სუკში“ მიიყვანეს და დაკითხეს. მათ აღიარეს, რომ მატარებლების აფეთქებას აპირებდნენ და ეს იმით ახსნეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდნენ. კლარა ივანოვამ ღლონტის მკვლელობა აღიარა და თქვა, რომ ბეკეკო მან მოწამლა, საწამლავით სავსე ბოთლი და ჭიქა კი თან წაიღო.

– რას ერჩოდით ღლონტს? – ჰკითხა ივანოვას თევზაძემ, – ის ხომ თქვენი თანამოაზრე იყო?

ივანოვას ისტერიკა დაემართა და თევზაძეს მიუგო:

– ბატონმა ჯემალმა მიბრძანა. მან მითხრა, რომ ის მოღალატე იყო.

– ჯემალი ვინაა?

– ჩვენი უფროსი მეგობარი და მასწავლებელი. ჩვენ მის სახლში ვიკრიბებით და ვსაუბრობთ ხოლმე.

ივანოვას სიტყვები დანარჩენებმაც დაადასტურეს და გაირკვა, რომ სწორედ ამ საუბრებისას წარმოიშვა მსხვილმასშტაბიანი ტერაქტის მოწყობის იდეა თბილისის მეტროში, რომელიც ქართველმა ჩეკისტებმა აღკვეთეს. დაკავებულები ხელს 60 წლის ჯემალ ქუნთურს ადებდნენ, რომელიც, მათი თქმით, კბილის ექიმი იყო.

**ბესალაშვილი და ქეროფიანი დახვრიტეს, ახალგაზრდები კი შეიწყალეს და 15-15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს**

### ლვოვის ჯალათი

ჯემალ ქუნთურის ასაყვანად საბურთალოზე „სუკის“ სპეცრაზმი გაემართა. თუმცა, კბილის ექიმი სახლში არ აღმოჩნდა – მან გაქცევა მოასწრო. „სუკი“ მის ინტენსიურ ძებნას შეუდგა. კონტრდაზვერვამ ქუნთურის სურათის იდენტიფიცირება მოახდინა და დაადგინა, რომ 60 წლის ჯემალ ქუნთური, სინამდვილეში 57 წლის აპოლონ ბესალაშვილი იყო, რომელიც გერმანული ოკუპაციის დროს ქალაქ ლვოვის „გესტაპოში“ მუშაობდა და უკიდურესი სადიზმით გაითქვა სახელი. მას ათასზე მეტი ადამიანი ჰყავდა ნაწამები, დახვრეტილი და ცოცხლად დამწვარი. როგორც დადგინდა, აპოლონის მამა მსხვილი მიწათმფლობელი იყო და კომუნისტებმა გააკულაკეს. თავად აპოლონი კი სამამულო ომში მოხალისედ წავიდა. პირველსავე ხელსაყრელ მომენტში ფაშისტებს ჩაბარდა და მათ სამსახურში ჩადგა. ომის დამთავრების შემდეგ კი დასავლეთის სპეცსამსახურებში განაგრძო მუშაობა, სამშობლოში ყალბი საბუთებით დაბრუნდა და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას შეუდგა. როგორც მოგვიანებით დადგინდა, ბესალაშვილს, ისევე, როგორც თხუთმეტამდე მისნაირ გარეწარს, ანალოგიური დავალება ჰქონდა მიცემული სხვადასხვა ქალაქში მასშტაბური ტერაქტების მოსაწყობად. პირველ სამიზნედ თბილისი იყო შერჩეული და მას სხვებიც უნდა მიჰყოლოდა.

თბილისში აღკვეთილმა მსხვილმასშტაბიანმა ტერაქტმა უკვე მთელ საბჭოთა კავშირში გაააქტიურა „სუკი“ და კიდევ თხუთმეტ ქალაქში აღკვეთეს ტერაქტები. თავად აპოლონ ბესალაშვილი 1968 წლის 1 აპრილს ქალაქ გაგრაში, ვინმე აშოტ ქეროფიანის სახლში დააკავეს. ქეროფიანი მისი კოლეგა იყო ლვოვის „გესტაპოდან“ და ახლა მასთან ერთად უცხოეთში აპირებდა გაქცევას.

დახურულ სასამართლო პროცესზე, რომლის დეტალებიც მხოლოდ 40 წლის შემდეგ გაახმაურეს, ბესალაშვილს, ქეროფიანსა და თბილისელ ახალგაზრდებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მოგვიანებით, ახალგაზრდები შეიწყალეს და 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ჯალათები დახვრიტეს, ხოლო ცანგალამ, რომელიც დღესაც ცოცხალია, კრიმინალურ სამყაროს თავი დაანება.

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 11 თებერვალი

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 660 – ლეგენდის მიხედვით, ამ დღეს პირველმა იმპერატორმა ჩიმუმ დააარსა იაპონიის სახელმწიფო.

1809 – რობერტ ფულტონმა დააპატენტა თბომავალი.

1922 – კანადელმა ქიმიკოსმა ფრედერიკ ბანტინგმა აღმოაჩინა ინსულინი.

1970 – იაპონია მეოთხე ქვეყანა გახდა, რომელმაც ხელოვნური თანამგზავრი გაუშვა კოსმოსში.

### 12 თებერვალი

1561 – დაარსდა ქალაქი სანტიაგო – ჩილეს დედაქალაქი.

1864 – გაიხსნა მოსკოვის ზოოპარკი.

1955 – მიიღეს ბაიკონურის კოსმოდრომის მშენებლობის გადაწყვეტილება.

### 13 თებერვალი

1668 – ესპანეთმა ცნო პორტუგალიის დამოუკიდებლობა, რომელიც მას 1640 წელს გამოეყო.

1917 – ინგლისის პარლამენტმა ქალებს უფლება მისცა, ტაქსის მძღოლებად ემუშავათ.

1940 – მიხაილ ბულგაკოვმა დაასრულა რომანი „ოსტატი და მარგარიტა“.

1960 – საფრანგეთმა გამოსცადა თავისი პირველი ატომური ბომბი.

1975 – კვიპროსი გაიყო ორ – ბერძნულ და თურქულ ნაწილებად.

### 14 თებერვალი

1918 – ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნები გადავიდნენ „ახალ სტილზე“ – 31 იანვრის შემდეგ დადგა პირდაპირ 14 თებერვალი.

1924 – დაარსდა კომპანია IBM.

1956 – გაიხსნა სკკპ მეოცე ყრილობა, სადაც ხრუშჩოვმა დაგმო სტალინის პიროვნების კულტი.

1984 – ამ დღეს ელტონ ჯონმა იქორწინა ქალზე – რენეტა ბაუელზე. ერთმანეთს დაშორდნენ 1988 წელს.

### 15 თებერვალი

1113 – რომის პაპმა აკურთხა პირველი რაინდული ორდენი („წმიდა იოანეს სახელობის ჰოსპიტალიერთა ორდენი“, უფრო ცნობილია „მალტის ორდენის“ სახელწოდებით).

1902 – გაიხსნა ბერლინის მეტროპოლიტენი.

1925 – ლონდონის ზოოპარკში ცხოველებისთვის დაამონტაჟეს ელექტროგანათება, რათა „გაეუმჯობესებინათ მათი განწყობილება ხშირი ნისლების დროს“.

1947 – საბჭოთა კავშირის მთავრობის პირდაპირი განკარგულებით აიკრძალა ქორწინება საბჭოთა მოქალაქესა და უცხოელს შორის.

1965 – კანადის პარლამენტმა დაამტკიცა ქვეყნის ახალი დროშა (ნეკერჩხლის ფოთოლი).

1989 – დასრულდა საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან.

### 16 თებერვალი

1923 – ეგვიპტეში ჰოვარდ კარტერის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ტუტანჰამონის აკლდამის შესასვლელი (მის გათხრას ერთი წელი დასჭირდა).

1937 – ამერიკელმა ქიმიკოსმა უოლეს ჰიუმ კაროზესმა დააპატენტა ნეილონი.

1956 – დიდ ბრიტანეთში გაუქმდა სიკვდილით დასჯა.

1968 – ქალაქ ჰეილვილში (ალაბამა) გაიხსნა პირველი სასწრაფო სამაშველო სამსახური – 911.

1980 – ქალაქ ლიონთან (საფრანგეთი) წარმოიშვა საავტომობილო საცობი, სიგრძით 176 კილომეტრი.

### 17 თებერვალი

1876 – ჯულიუს ვოლფმა ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველმა დაამზადა თევზის კონსერვი (სარდინები).

1947 – რადიოარხმა „ამერიკის ხმამ“ დაიწყო ტრანსლირება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

# რატომ განირა მამაკაცმა საყვარელი ქალი სასიკვდილოდ და როგორ მოაწყო მან თვითმკვლელობის ინსცენირება



ინფორმაცია 34 წლის მარიკა კ-ძის გაუჩინარების შესახებ პოლიციაში მას შემდეგ შევიდა, რაც დაკარგულ ახალგაზრდა ქალს ოჯახი ოთხი დღის განმავლობაში ეძებდა. ორი მცირეწლოვანი შვილის დედა ერთ-ერთი რაიონული საავადმყოფოს ექთანი იყო, მას ხშირად უწევდა მუშაობა ღამის ცვლაში. შესაბამისად, როდესაც ის მორიგეობის მეორე დღესაც არ დაბრუნდა სახლში, მშობლებმა და მეუღლემ უპირველესად სამსახურში მოიკითხეს და აღმოჩნდა, რომ ქალბატონი იმ ღამეს სამსახურში საერთოდ არ მისულა და ამის შესახებ თანამშრომლები წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული. უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული ქალის ძებნა ოჯახმა თავად დაიწყო – მოიკითხეს ნათესავებსა და მეგობრებში, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს. მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადა მარიკა კ-ძის ოჯახმა პოლიციაში, სადაც ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

სამართალდამცველებმა დაკარგული მარიკა კ-ძის კვალს სამდღიანი ძებნის შემდეგ მიაგნეს ბინაში, რომელიც, როგორც გაირკვა, ორი თვის წინ დაექირავებინა უცნობ მამაკაცს. ბინის მეპატრონემ, რომელიც იმავე რაიონში არ ცხოვრობდა, მოგვიანებით განაცხადა, რომ მეზობლის მეშვეობით მას დაუკავშირდა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც განუცხადა, რომ ბინა მოხუცი მშობლების საცხოვრებლად ესაჭიროებოდა და მათთვის ქირაობდა სამი თვის ვადით. მამაკაცს ბინის საფასური მისთვის წინასწარ ჰქონდა გადახდილი. მარიკა კ-ძე სამართალდამცველებმა ბინაში ჩამომხრჩვალი იპოვეს. იქვე იყო წერილი, რომელიც ქალს თვითმკვლელობამდე დაეწერა, სადაც ის პატიებას სთხოვდა შვილებსა და ოჯახს. ამონაწერი მოწმის, ლუდა კორკოტაშვილის ჩვენებიდან: „ქალის გვამი პირველად მე აღმოვაჩინე. იმავე კორპუსში ვცხოვრობ, სადაც პირველ სართულზე ბინა იყო გაქირავებული. ჩვენს ბინებს საერთო კედელი აქვს – იმ ბინის აბაზანა ჩემს საძინებელს ემიჯნება. ერთ ღამეს წყლის ხმაურმა შემაწუხა. მივხვდი, რომ ღია იყო დატოვებული, რაც ჩემს კედელსაც შეუქმნიდა საფრთხეს. მეზობელ ბიჭს ვთხოვე, აივნიდან გადამძვრალიყო სახლში და წყალი დაეკეტა, ბავშვი აივნიდან გადავიდა და ყვირილი ატეხა – ლოჯიაში მან ნახა ქალი, რომელიც ძირს ეგდო, ყელზე კი თოკი ჰქონდა მობმული. ბავშვი ისე შეშინდა, ხის კარი გამოამტვრია და ისე გამოვიდა გარეთ. ბინაში პოლიციის მოსვლამდე პირველი მე შევედი. შიშველი ქალი იატაკზე ეგდო. როგორც ჩანს, თოკით თავი ლოჯიის სვეტზე ჩამოეხრჩო, თოკმა ვერ გაუძლო და ძირს დავარდა. ამ საზარელი სურათის მოწმე ძალიან ბევრი თვითმხილველი გახდა, მაგრამ, ვერც ერთი ვერ მივხვდით, ვინ იყო ის ქალი და იმ ბინაში საიდან გაჩნდა.” გარდაცვლილი ქალის ამოცნობა პოლიციელებმა და მისი ოჯახის წევრებმა შეძლეს – ის რამდენიმე დღის წინ დაკარგული მარიკა კ-ძე აღმოჩნდა.

იმის მიუხედავად, რომ თვითმკვლელობის ფაქტი სახეზე იყო, გარდაცვლილის ოჯახის წევრებს ძალიან უჭირდათ იმის დაჯერება, რომ მარიკა კ-ძემ თავი მოიკლა. მას ახლობლები და ნაცნობები ხალისიან, სიცოცხლის მოყვარულ ადამიანად ახასიათებდნენ, კარგი რეპუტაცია ჰქონდა და ყველას უკვირდა, რა შეიძლებოდა გამხდარიყო თვითმკვლელობის მიზეზი, რას შეიძლებოდა, მიეყვანა ის ასეთ მძიმე გადაწყვეტილებამდე. ახალგაზრდა ქალს კარგი ოჯახი ჰქონდა; მამაკაცზე, რომელთანაც ორი შვილი ჰყავდა, სიყვარულით დაქორწინდა. ისინი ფინანსურადაც ნორმალურად ცხოვრობდნენ და ვერავის წარმოედგინა, რა შეიძლებოდა გამხდარიყო ასეთი ტრაგიკული დასასრულის რეალური მიზეზი. იმის მიუხედავად, რომ ყველა გარემოება თვითმკვლელობის ფაქტს მიუთითებდა, გამოძიებასაც ბევრი საეჭვო კითხვა გაუჩნდა: როგორ მოხვდა ახალგაზრდა ქალი ბინაში, რომელიც უცნობი მამაკაცის მიერ იყო დაქირავებული? რატომ იყო ის შიშველი? ყველაზე მთავარი და საეჭვო მტკიცებულება აღმოჩნდა ნარკოტიკული ნივთიერების კვალი, რომელიც ბინაში იყო დატოვებული.

გამოძიების ოპერატიულმა სამსახურმა უცნობი მამაკაცის ძებნა დაიწყო, რომლის შესახებ თითქმის არაფერი იყო ცნობილი, რადგან მას ყველა კვალის წაშლა მოეხერხებინა – ტელეფონის ნომერი, რომელიც მან ბინის მეპატრონეს დაუტოვა, მასზე არ იყო გაფორმებული, თუმცა, იმ ნომრიდან, როგორც გამოძიებამ დაადგინა, ბევრჯერ იყო დარეკილი გარდაცვლილი ქალის მობილურ ტელეფონზე. საბოლოოდ, გამოძიებამ მაინც სატელეფონო კავშირების მეშვეობით შეძლო მამაკაცის კვალზე გასვლა – ის წარსულში ყაჩაღობისთვის ორჯერ ნასამართლევი, 37 წლის ვალერი მ-შვილი აღმოჩნდა. მამაკაცი მეზობელ რაიონში ცხოვრობდა და მცირე კერძო ბიზნესით იყო დაკავებული. ვალერი მ-შვილმა სამართალდამცველებთან თავიდან საერთოდ უარყო გარდაცვლილ ქალთან ნაცნობობა, თუმცა, გამოძიებას მის წინააღმდეგ ბევრი მტკიცებულება ჰქონდა, რის გამოც მას ქალთან ახლო ურთიერთობის აღიარება მოუხდა.

**წერილი, რომელიც, გამოძიების ვარაუდით ქალს თვითმკვლელობამდე უნდა დაეწერა, მკვლელის დაწერილი აღმოჩნდა**

ამონაწერი ვალერი მ-შვილის ჩვენებიდან: „მარიკა კ-ძე ინტერნეტით გავიცანი. ერთი თვე ვწერდით ერთმანეთს, მერე შევხვდით კიდეც და დავმეგობრდით. მარიკა მიყვებოდა თავისი ცხოვრების შესახებ. გამანდო, რომ იძულებით, ბავშვების ხათრით ცხოვრობდა მამაკაცთან, რომელიც არ უყვარდა. მე ბინა დავიქირავე, რომ ინტიმური შეხვედრებისთვის ადგილი გვქონოდა. სამ თვეში, ალბათ, სულ ხუთჯერ შევხვდით ერთმანეთს იმ ბინაში. გასაღები მარიკასაც ჰქონდა და თვითონაც მიდიოდა ხოლმე იქ, უჩემოდ. ალბათ, თვითმკვლელობის დღესაც ასე მოიქცა, რადგან ბოლოს ის თვითმკვლელობამდე ორი კვირით ადრე ვნახე.” გამოძიებისთვის ეს ვერსია, რა თქმა უნდა, არ აღმოჩნდა სარწმუნო. იმაზე, რომ თვითმკვლელობის დროს მარიკა კ-ძე ბინაში მარტო არ იყო, ბევრი გარემოება მიუთითებდა, პირველ ყოვლისა კი ნარკოტიკული ნივთიერების კვალი. გამოძიებას ძალიან დაეხმარა გარდაცვლილის ოჯახის წევრების მიერ აღმოჩენილი მარიკა კ-ძის დღიური, რომელმაც ბევრ დაფარულ დეტალს მოჰფინა ნათელი, კერძოდ, ახალგაზრდა ქალი თავის ჩანაწერებში გულახდილად წერდა ვალერი მ-შვილთან ურთიერთობის შესახებ. მოგვიანებით, უკვე დაკავებულმა ვალერი მ-შვილმა ჩადენილი დანაშაული აღიარა, თუმცა, მანამდე მან გაქცევა და მიმალვა სცადა. ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ის ნარკოტიკების მომხმარებელი იყო, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ნარკოტიკით მას მარიკა კ-ძე ამარაგებდა, რომელიც მის მოპარვას სამსახურიდან ახერხებდა. ამონაწერი ვალერი მ-შვილის ჩვენებიდან: „ურთიერთობის დაწყებიდან ორ კვირაში მარიკას საუბრიდან მივხვდი, რომ მას სამსახურში ნარკოტიკთან ჰქონდა შეხება. შევაპარე, ერთი ამპულა მოიპარე-მეთქი. ძალიან იუარა, იტირა, ნარკომანი ყოფილხარ და არ ვიცოდიო, თუმცა, შემდეგ შეხვედრაზე, არ ვიცი, რა გზით მოიპოვა, მაგრამ, მორფინი მომიტანა. შემდგომში ეს კიდევ რამდენჯერმე გააკეთა ჩემთვის, ვგრძნობდი, რომ ძალიან შევუყვარდი. ორი თვის შემდეგ ურთიერთობის გაგრძელება აღარ მინდოდა, მაგრამ, მითხრა, რომ მიმატოვო, თავს მოვიკლავო. ეს კარგად ჩამრჩა გონებაში, ბევრჯერ ვცადე თავის არიდება, მაგრამ არ გამომდიოდა. ბოლოს მუქარა დამიწყო – შენს ცოლთან მოვალ, ყველაფერს მოვუყვები და პოლიციაშიც განვაცხადებ, რომ ნარკომანი ხარო. მივხვდი, რომ, თუ მივატოვებდი, ამას აუცილებლად გააკეთებდა. გზიდან უნდა ჩამომეშორებინა, თორემ, საფრთხეს მიქმნიდა. ბოლოს უკვე აშკარა მუქარაზე გადავიდა. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. იმ დღეს მორიგე იყო და შეხვედრა მთხოვა. ღამით სახლიდან ვერ გამოვიდოდი, ეს რომ ვუთხარი, მაშინ, მე მოვალ შენთანო – მითხრა, იძულებული გავხდი წავსულიყავი იმ ბინაში, თან, დამპირდა, დღეს ნარკოტიკს აუცილებლად მოგიტანო. ბინაში ჯერ მარიკა მივიდა, მე უფრო მოგვიანებით მივედი. უკვე გადაწყვეტილი მქონდა მისი თავიდან მოშორება. მარიკა უკვე საწოლში იწვა, როცა სახლში შევედი. ჩხუბი დამიწყო – აღარ გიყვარვარ, შენ მარტო ნარკოტიკისთვის გჭირდებოდიო. მე ჯერ ნარკოტიკი გავიკეთე, შემდეგ გვერდით მივუწექი და საწოლშივე მოვახრჩვე. ამის შემდეგ მანქანიდან ამოვიტანე თოკი, რომელიც სპეციალურად წავიღე, მარიკას გვამს თოკი ყელზე შემოვახვიე და ლოჯიის ბოძზე ჩამოვკიდე. გვამის სიმაღლეზე ჩამოკიდება ძალიან გამიჭირდა. ცოტა ხანს გავჩერდი. მერე წინასწარ მომზადებულ ფურცელზე გაკრული ხელით დავწერე გამოსამშვიდობებელი წერილი, რომ უფრო დამაჯერებელი გამხდარიყო თვითმკვლელობა. ბევრი არ დამიწერია, მხოლოდ სამი სიტყვა დავტოვე ფურცელზე „შვილებო, მშობლებო, მაპატიეთ”. ყველაფერი ისე გავაკეთე, რომ თვითმკვლელობის ინსცენირება მომეწყო. შემთხვევის ადგილი ძალიან მალევე დავტოვე. ბინიდან რომ გამოვედი და ავტომანქანაში ჩავჯექი, მივხვდი, რომ ბინაში ნარკოტიკის კვალი დავტოვე. მაგრამ, კარი გამოხურვისთანავე, თავისით იკეტებოდა, ამიტომ, უკან აღარ მივბრუნდი – კარს მაინც ველარ გავხსნიდი, რადგან, გასაღები შიგნით დამრჩა, ხოლო, რომ შემემტვრია, მეზობლები ხმაურს აუცილებლად გაიგებდნენ. რამდენიმე დღე შორიდან ვაკვირდებოდი მოვლენებს. ძალიან ვიყავი აფორიაქებული, მაგრამ, როცა გავიგე, რომ ყველას ეგონა, თითქოს მარიკამ თავი ჩამოიხრჩო, ცოტა დავმშვიდდი. პოლიციამ ავტოსაგზაო წესების დარღვევისთვის გამაჩერა. ვერ მივხვდი, რომ მეძებდნენ და ეს მხოლოდ საბაბი იყო. მერე, როცა მივხვდი, რომ გამოძიება ჩემს გამოჭერას ცდილობდა, სახლიდან გავიქეცი – აზერბაიჯანში მინდოდა გადასვლა, თუმცა, ვერ მოვახერხე, რადგან ჩემზე უკვე ძებნა იყო გამოცხადებული.”

ვალერი მ-შვილმა სასამართლო პროცესზეც აღიარა ჩადენილი დანაშაული, სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის განზრახ მკვლელობის მუხლით და 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
**მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მერსედესი ე 270", 2001 წლის მოდელი, CDI ძრავით, ტიპტრონიკის ტიპის გადაცემათა კოლოფით. მაინტერესებს, რას აღნიშნავს სიჩქარეების გადამრთველ კოლოფთან არსებული W და S სიმბოლოები და რა შემთხვევაში რომელ რეჟიმზე უნდა ვამუშაო მანქანა?**

**პასუხი**: W და S ლათინური სიტყვების პირველია ასოებია, რომლებიც მარტივად იშიფრება: WINTER – ზამთარი და STANDART – სტანდარტული. თუმცა, ჩვენს რეალობაში „სტანდარტულს" ხშირად „სპორტ რეჟიმს" უწოდებენ, იმიტომ, რომ S-ს შეცდომაში შეჰყავს, რადგანაც, ამ რეჟიმში გადართვის დროს ავტომობილის ძრავა და სიჩქარეების კოლოფი უფრო აგრესიულად იწყებს მუშაობას, სიჩქარეში ძრავის უფრო მეტი ბრუნების დროს რთავს და აჩქარების დროსაც დაბალ სიჩქარეში უფრო მკვეთრად ჩამოაქვს. ხოლო ზამთრის რეჟიმის დროს ყველანაირ სიმკვეთრეს ანულებს, სიჩქარის ნებისმიერი გადართვა ძალიან რბილია, ძრავა ცდილობს, რაც შეიძლება დაბალ ბრუნებზე იმუშაოს, რომ დაბუქსავებისა და მოცურების ალბათობა გამორიცხოს. შესაბამისად, ამ რეჟიმით სიარულის დროს, ავტომობილი ნაკლებ საწვავსაც მოიხმარს. მაგრამ, ეს რეჟიმი მაღალ დინამიკაში, სწრაფად სიარულის დროს არაკომფორტულია.

*ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
**მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: ამერიკაში შევიძინე ავტომობილი „ისუზუ ვეიკროსი", რომელიც თბილისში ამ თვეში ჩამოდის. მაინტერესებს, ამ მოდელზე რას მეტყვით, როგორი მანქანაა?**

**პასუხი**: ეს ავტომობილი შეზღუდული რაოდენობით გამოდიოდა იაპონური ბაზრისთვის და, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტესტი კარგად ჩააბარა, მოხდა მისი რეალიზება მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც. ამერიკული ბაზრისთვის ამ ავტომობილში საკმაოდ ბევრი ცვლილება განახორციელეს, რათა იმ სისტემის მიმართ კარგად ყოფილიყო ადაპტირებული. მაგრამ, ვერ ვიტყვი, რომ ცვლილებებმა მოდელი უარესობისკენ შეცვალა, პირიქით, რიგ შემთხვევებში, უკეთესობისკენ მოხდა მისი შეცვლა. მაგალითისთვის, იაპონური ბაზრისთვის გამოშვებული „ვეიკროსი" 3.2 ძრავით არის აღჭურვილი, ამერიკისთვის კი – 3.5-ით; ასევე, ამერიკული ბაზრისთვის დაემატა უკანა სავარძლებზე თავის დამცავი, ასევე, კრუიზ-კონტროლი (ავტოპილოტი) და სხვა. მისი დადებითი თვისებებიდან შეიძლება გამოვყოთ დაკიდების სისტემა. ამ ტიპის ავტომობილებში ეს ერთადერთია, რომელიც ქარხნიდანვე აღჭურვილია სპორტული, შესაბამისად, გაძლიერებული ამორტიზატორებით. ის, აგრეთვე, აღჭურვილია, ეგრეთ წოდებული მძლავრი „რაზდატკით", სიჩქარეების გამაძლიერებლით და უკანა ბლოკირებული ხიდით, რაც უზრუნველყოფს მის კარგ თვისებებს რთული უგზოობის პირობებში. „ვეიკროსის" დიზაინზეც საკმაოდ ბევრია ნამუშევარი, მათ შორის ისეთ წვრილმანებზეც კი, როგორიცაა, მაგალითად, წინა ხუფი. წინა ხუფის შუა ნაწილი განსხვავებული საღებავითაა შეღებილი, რათა მზის სხივის დაცემის დროს არ მოხდეს შუქის არეკვლა და მძღოლისთვის თვალის მოჭრა. აღარაფერს ვამბობ ძარის ფორმაზე, რაც უზრუნველყოფს ამ ავტომობილის როგორც პარკირების, ისე სხვადასხვა ტიპის უგზოობის დროს მისი გაბარიტებით ეფექტურად მანიპულირებას. ავტომობილის ოთხივე ბორბლის ამორტიზაცია დგას ზამბარებზე, რაც მას საკმაოდ კომფორტულსა და მოქნილს ხდის როგორც კარგ გზაზე, ასევე, უგზოობის პირობებშიც. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ ასეთი თვისებები თითზე ჩამოსათვლელია, მაგრამ, მაინც არის. ყველაზე დიდი მინუსი ისაა, რომ მოდელი შეზღუდული რაოდენობით გამოდის, ამიტომ, თუ ჩვენ მისი სათადარიგო ნაწილის შეძენა დაგვჭირდა, უმეტეს შემთხვევაში, მოგვიწევს შეკვეთის გაკეთება და, შესაბამისად – დალოდება.

**კითხვა: სახიფათოა თუ არა იაპონიიდან ჩამოყვანილი მანქანები რადიაციულობის თვალსაზრისით? ხდება თუ არა მისი შემოწმება რადიაციულ დაბინძურებაზე ადგილზე ან საქართველოში?**

**პასუხი**: რა თქმა უნდა, ავტომობილის რადიაქტიურად დაბინძურების ალბათობა შესაძლებელია, თუკი ის იმ ქვეყნიდან ჩამოვიდა, სადაც არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა რადიაციული აფეთქება. მაგრამ როგორც გამომგზავნი ქვეყანა, მით უფრო, რომ იაპონიაში გზავნილების შემოწმების საკმაოდ მაღალი კულტურაა, ისე მიმღები ქვეყანა, ვალდებულია, შეამოწმოს ნებისმიერი ნივთი რადიაციულ დაბინძურებაზე. გემი ან გემთა წყება, რომლებშიც ტვირთის გადატვირთვა მოხდა, წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის საკუთრებას, ანუ, სხვადასხვა სახელმწიფოს და, არსებობს მკაცრი მოთხოვნა იმის შესახებ, რომ შეუმოწმებელი ტვირთი მათ გემზე არ მოხვდეს. გემის შემთხვევაში, ერთ პატარა სივრცეში ისეა აკუმულირებული, რომ დაბინძურება საფრთხეს შეუქმნის მთელ ეკიპაჟს, ანუ, იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლის საკუთრებაცაა გემი. როგორც გამცემ, ისე მიმღებ ქვეყანას აღებული აქვს ეს ვალდებულება და მას ასრულებს კიდეც, მით უმეტეს, თუ ტვირთი გაბარიტულია. ამისთვის ჩვენს საბაჟოზეც არსებობს სპეციალური მოწყობილობა: კონტეინერის გახსნის შემდეგ ჩამოყვანილი ავტომობილი გადის რადიაციულ რადარში, ისე საზღვარს ვერ გადმოკვეთს.

**კითხვა: მაინტერესებს, 2002 წლის „ლექსუს ჯიპი ერიქსი" არის თუ არა აწყობილი „ტოიოტას" ბაზაზე და გამოდგება თუ არა ის საქართველოში?**

**პასუხი**: ზოგადად, „ლექსუსი" ფუფუნების საგანია – ეს არის „ტოიოტა" ფუფუნების მოყვარულთათვის. შესაბამისად, ის ისევე გამოდგება საქართველოს პირობებში, როგორც „ტოიოტა" და აღჭურვილია დამატებითი ფუფუნების ელემენტებით როგორც სალონში, ისე ზოგადად. რაც შეეხება „ერიქსს," მისი გამოშვება 1998 წლიდან დაიწყო და დღემდე უკვე სამი თაობის მოდელებია გამოშვებული. პირველი თაობა უფრო კომპაქტური იყო, შემდეგ კი მისი მოცულობა გაიზარდა. არსებობს როგორც წინა, ასევე ოთხივე წამყვანი ბორბლის აღჭურვილი „ერიქსები" სხვადასხვა ტიპის ძრავებით, მათ შორის – ჰიბრიდული ძრავითაც.

**კითხვა: მაინტერესებს, 2000 წლის „ჰონდა" „ცეერვე", „მიცუბიში" „აირტეკი" და „ნისან იქსტრალი" – ამ მოდელებიდან რომლის შეძენას მირჩევთ ჩვენი ქვეყნის პირობებში, რა არის მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები?**

**პასუხი**: თქვენ მიერ ჩამოთვლილი ყველა მოდელი სხვადასხვა კითხვაში დეტალურად მაქვს დახასიათებული, თანაც, არაერთხელ. ამიტომ, მოკლე პასუხს გაგცემთ, ჩაღრმავების გარეშე: მიუხედავად იმისა, რომ „ჰონდას" კომფორტის ელემენტები ნაკლებად აქვს სალონში, მაინც ბევრად ჯობნის დანარჩენ ორს თავისი პრაქტიკულობით, საწვავის ეკონომიურობით, არაფუჭებადი და იაფი დეტალებით. ერთი, რასაც ზემოთ ჩამოთვლილი მოდელების, მათ შორის – „ჰონდას", სუსტ წერტილად მივიჩნევდი, არის სიჩქარეების ავტომატური კოლოფი. თუ „ცეერვეს" მართვის მექანიკური კოლოფით აღჭურვილს იყიდით, მომავალში შეძლებთ, ის შვილიშვილებსაც გადაულოცოთ.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

ინდონეზიის დედაქალაქი

პიტლერის პოლიცია / ნაპოლეონის მარშალი

ბარბაროსების ბელადი / იხილე ფოტო

თეატრალური სანახაობა

რბილი ლითონი

ხელში ატატება ანუ?

მერცხლის სიმღერა

ცუდი სამსახური ასეთია

ჯაშუში

ინგლისური თანხმობა / ევროპის ქვეყანა

(........) მანიანი

(.......)-კერვა / გრამატ. კავშირი

სხვის სიკეთე მოსვენებას არ აძლევს

აფრიკის სავანის ბინადარი / ვილაც, მავანი

ვულკანი ფილიპინებზე

ბერძნული ანბანის ასო

ასე ვთქვათ გადაგვარება

ყანწის მასალა

ცეკვა ანუ? / მეცნიერება

მოლოდინის სახეობა

მანანწალა

კავშირის მომხმარებელი / დროის სტილი

ორმაგის ნინსართი

ქართული ანბანის ასო

ჩრდილოატლანტიკური გაერთიანება / „ეს" – დასავლურქართულად

ზღვის დიდი ფრინველი

ფრანგი მომღერალი ....მატიე

(.....) ბესინჯერი / ქალის ევროპული სახელი

შეცხადება

არც გუშინ, არც ხვალ... ანუ? / (........) ბოტიჩელი

შექსპირის მეფე

რუსი მეფეების გვარი



ცხელი სასმელი

წყალკურთხევა

კინო, თეატრი მუსიკა / მუნჯი ანუ?

ოთახის სანათი

თხელი ზედაპირი

....მოდილიანი

წარმართების ქურუმი

ჩვენი კინოსასიძო / დიდი ოსკარი

(......) წინაღი

ამერიკელი კაცი

ქალის სახელი / ევროპის ქვეყანა

წინასწარი თანხა / ინტერნეტში შესასვლელი პროგრამა

ძველი ბრაზილიელი ფეხბურთელი

ინგლისელი მწერალი ივლინ....

თბილისის ტბა

რომანი „(.....) უხმობს ზარი"

იგივე ბუხარი

ფხანა / ავტობუსის გზა

უილიამი მოკლედ

ქალაქი საფრანგეთში

ჩვენი მდინარე / ავსტრალიური ძაღლი

(......) დე მოპასანი

(.....)-მუსიკა

საქართველოს ისტორიული მხარე

გერმანიის ყოფილი დედაქალაქი

რაჭაში

ინდოეთის ფულის ერთეული

შემდეგ

(.......) მირონოვი

მექობრე / ფეხბურთის მეფე

კროსვორდის დასასრული

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | 2 | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 1 | 4 | 3 | | | | | | | | | 2 | 2 | 3 | 9 | 11 | 9 | 3 | 2 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 3 | 5 | 5 | | | | | | | | | 8 | 7 | 6 | 1 | 3 | 1 | 6 | 7 | 8 | | | | | 1 | | | | | | | | | | 2 | 2 | 1 | |
| 11 | 8 | 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | | 15 | 17 | 1 | 20 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 20 | 1 | 17 | 15 | 5 | 4 | | | | | 5 | 6 | | | 2 | 3 | 2 | 2 |
| 6 | 10 | 12 | 4 | 3 | 3 | 3 | 8 | 14 | 1 | 1 | 19 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 19 | 1 | 1 | 1 | 3 | 14 | 14 | 15 | 15 | 7 | 4 | 2 | 9 | 1 | 1 | 2 | 1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 2 |
| | | | 5 | 2 |
| | 1 | 2 | 2 | 1 |
| | 1 | 3 | 1 | 2 |
| | | 4 | 1 | 2 |
| | | 3 | 1 | 1 |
| | | 2 | 1 | 1 |
| | | | 5 | 2 |
| | 2 | 2 | 2 | 2 |
| 2 | 2 | 3 | 1 | 2 |
| | 2 | 2 | 3 | 2 |
| | 2 | 2 | 1 | 2 |
| | | | 5 | 3 |
| | | | 11 | 3 |
| | | | 13 | 4 |
| 4 | 1 | 3 | 1 | 5 |
| | | 7 | 15 | 6 |
| | | | 25 | 4 |
| | | 3 | 19 | 5 |
| | | | 3 | 24 |
| | 3 | 9 | 8 | 6 |
| | 3 | 8 | 7 | 7 |
| | 3 | 8 | 7 | 6 |
| 3 | 7 | 1 | 6 | 6 |
| 3 | 6 | 3 | 5 | 6 |
| 3 | 7 | 1 | 6 | 5 |
| | 4 | 8 | 7 | 5 |
| | | 14 | 7 | 5 |
| | | 14 | 8 | 4 |
| | | | | 24 |
| | | | | 17 |
| | | | | 17 |
| | | | | 15 |
| | | | 1 | 1 |
| | | | | 17 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | 7 | 2 | 1 | | 9 | 5 | |
| 9 | | 8 | | 6 | 5 | | 1 | 7 |
| | 5 | | | 8 | | 6 | | |
| | | | 1 | | 8 | 3 | | 9 |
| 8 | | 9 | 5 | 4 | | 7 | 2 | |
| | 2 | 1 | 6 | | 7 | | 8 | 4 |
| 7 | 1 | | 4 | 5 | 6 | 8 | | 2 |
| | 8 | 6 | 9 | | | 1 | 3 | 5 |
| 2 | 9 | 5 | | 3 | 1 | 4 | 7 | |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 | | 3 | 4 | | |
| | | 2 | 7 | | | | | 5 |
| | 5 | | 1 | | 9 | | 7 | |
| | | 1 | | 9 | | | | 4 |
| 5 | | | 8 | | 4 | | 2 | |
| | | 9 | 3 | | | | | 1 |
| 6 | | 5 | | | | 7 | | 2 |
| 2 | | 3 | | 6 | | 5 | | |
| | | | | | 5 | | 1 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. წრის ფორმით დაიწყეთ ლეკვის ხატვა



2. მიახატეთ დრუნჩი



3. ლეკვს მიახატეთ პირიც



4. ჯერ მიახატეთ თვალ-წარბი და შემდეგ – ყურები





5. ლეკვს მიახატეთ ტანი და წინა თათები



6. მიახატეთ უკანა თათები და კუდიც



7. კუდზე მიახატეთ ფოჩები და გააფერადეთ

ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## რა გზით მივა ბიჭი ველოსიპედთან



## იპოვე 2 ერთნაირი რვაფეხა



# რწყილი

## (იგავ-არაკი)

ერთ მეომარს ფეხზე რწყილმა უკბინა, მეომარმა ჰერაკლეს დაუძახა, მიშველეო. მაგრამ, როცა რწყილმა ისკუპა და გადახტა, მეომარმა ამოიოხრა: ეჰ, ჩემო ჰერაკლე, რწყილთან ბრძოლაში ვერ მიშველე და გოლიათებთან რაღას იზამო?!

# რიცხვრებუსი

5,,, 10,, ,,0

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| მიწისქვეშა ტრანსპორტი / რძის ნაწარმი | | | სადღესასწაულო ნამცხვარი / ძაღლის სახელი | |
| | | | | |
| პირველი ორნიშნა რიცხვი / ქვეყანა | | | | |

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რადიოში მოვისმინე, რომ არსებობს ძაღლის ჯიში – ჰერკულესი, რომელიც ძალიან დიდი იზრდება, თითქმის ცხენის სიმაღლე. მაინტერესებს, საქართველოში თუ არის ასეთი ძაღლი?**

**პასუხი:** არა, საქართველოში ასეთი ჯიშის ძაღლი ნამდვილად არ არსებობს.

**კითხვა: ჩემი ძაღლი პერიოდულად ფეხს ითრევს და კოჭლობს. ბოლო პერიოდში ორ თვეში ერთხელ მაინც ხდება ასე. სახსრების ბრალი შეიძლება იყოს ეს თუ სხვა რამის ბრალია?**

**პასუხი:** დიდი მნიშვნელობა აქვს, წინა ფეხზეა საუბარი თუ უკანაზე. თუ უკანა ფეხია, შეიძლება, მენჯ-ბარძაყის სახსარში აქვს რამე პრობლემა, რაც შესაძლოა, ქრონიკული ანთებით გამოიხატოს. არ არის გამორიცხული, ტკივილმა პერიოდულად გაუაროს, მაგრამ სიცივეზე და დატვირთვაზე განუახლდეს. თუ წინა ფეხია, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, ტრავმული იყოს – ან მყესი იყოს დაზიანებული, ან ძვლოვანი სტრუქტურა იყოს შეცვლილი. ამ ყველაფერს გამოკვლევა და ზუსტი დიაგნოზის მიხედვით მკურნალობა სჭირდება.

**კითხვა: ჩემს ძაღლს სამი კვირის ლეკვები ჰყავს. მაინტერესებს, რა ასაკიდან შეგვიძლია მათი გაჩუქება და როგორ გადავიყვანოთ ხელოვნურ კვებაზე, როცა დედას მოვაშორებთ?**

**პასუხი:** ლეკვების გაჩუქება ერთი თვიდან შეგიძლიათ. რაც შეეხება მათ კვებას, ვეტერინარულ აფთიაქებში იყიდება საკვები ძაღლის ჯიშების მიხედვით: დიდი ჯიშის ძაღლებისთვის სხვა საკვები უნდა შეიძინოთ, პატარა ჯიშებისთვის კი – სხვა. განსხვავებაა, ასევე, საკვების ხარისხსა და ფასებშიც. კონსულტაციას გაივლით ვეტერინართან, რომელიც შეგირჩევთ თქვენი ძაღლის შესაფერის საკვებს; ასევე, დაუნიშნავს რწყილებზე დამუშავებას, დეჰელმინთიზაციას და ასე მოამზადებთ ლეკვებს მომავალი აცრებისთვის.

**კითხვა: მყავს პუდელი. როგორც ვიცი, ამ ჯიშის ძაღლისთვის არ არის დამახასიათებელი ხვრინვა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, ჩემი პუდელი მთელი ღამე ხვრინავს. შეიძლება, რომ მას რამე პრობლემა ჰქონდეს ჯანმრთელობის მხრივ?**

**პასუხი:** ეს ყველაფერი ინდივიდუალურია. შეიძლება თქვენი ძაღლი უკვე ასაკშია. ზოგადად, ამის ბევრი მიზეზი არსებობს. თუ ნერვიულობთ თქვენი ძაღლის ხვრინვის გამო, მაშინ, აუცილებლად მიუყვანეთ ის ვეტერინარს.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ძაღლს ბრჭყალები სახლის პირობებში დავუჭრათ?** 



**რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**პასუხი:** თუ არაპროფესიონალი ხართ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამის გაკეთება, რადგან იქ არის საზღვრები, რომელიც თქვენთვის უცნობია. ძაღლს ბრჭყალები აუცილებლად სპეციალისტმა უნდა დააჭრას. მიიყვანეთ ვეტერინართან და მას მიანდეთ ეს საქმე.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



**რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე**

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა ბინაში ზამიოკულკასის გახარება და აყვავება?**

**პასუხი:** ეს აფრიკული მცენარე ჩრდილში ყოფნას კარგად იტანს და ამიტომ ოთახის პირობებს ადვილად ეგუება. ის იოლად გასაზრდელია და განსაკუთრებული მოვლა არ სჭირდება. დროდადრო სიმშრალესაც იტანს, მაგრამ, შეიძლება, ფოთლები დასცვივდეს. თუმცა, თუ ჩამოვარდნილ ფოთოლს ტენიან მიწაზე დადებთ, დაფესვიანდება და ორ წელიწადში ახალი მცენარე გექნებათ. ზამიოკულკასი გაბნეულ შუქზე უკეთ იზრდება. მას ბუნებრივ გარემოში მწვანე და თეთრი ყვავილები ამოსდის, მაგრამ, ოთახის პირობებში იშვიათად ყვავის.

**კითხვა: რამდენ ხანში ერთხელ მივაწოდო ტილანზიას სასუქი?**

**პასუხი:** ტილანზიას ზრდის პერიოდში მეოთხედად გაზავებული ბალანსირებული თხევადი სასუქი თვეში ერთხელ, დანამვისას ან წყალში ჩაშვებისას შეასხურეთ. შეუქმენით მაქსიმალურად ტენიანი გარემო, მაგრამ, ზედმეტი წყალი მცენარის დაღუპვას იწვევს. ამიტომ, აუცილებელია კარგი დრენაჟის მქონე მიწა. ზაფხულში ან ხშირად დანამეთ, რათა მიწა წყლით გაიჟღინთოს, ან, თუ მიწა თითქმის მშრალია, ოთახის ტემპერატურის რბილ წყალში ჩაუშვით და შემდეგ კარგად დაწრიტეთ. ზამთარში იშვიათად მორწყეთ.

**კითხვა: როგორ პირობებში ხარობს უკეთ მადაგასკარული ჟასმინი?**

**პასუხი:** ამ მცენარეს კაშკაშა სინათლეზე ყოფნა მოსწონს, მაგრამ, მზისგულს მოარიდეთ. იდეალურია სტაბილური ტემპერატურა – დაახლოებით 30 გრადუსი. უფრო მაღალ ტემპერატურაზე კი მეტი ტენი სჭირდება. ვერ იტანს ტემპერატურის ცვლილებას და დაბალ ტენიანობას, ამიტომ, უმჯობესია, მუდმივად ერთნაირ პირობებში ამყოფოთ. დანამეთ რეგულარულად. აქტიური ზრდის პერიოდში მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს. ზამთრის თვეებში მორწყვა შეამცირეთ და მიწას შეშრობა აცალეთ, ოღონდ, მთლიანად ნუ გამოაშრობთ.

**კითხვა: როგორი პირობები უნდა შევუქმნა ჯუჯა ბროწეულს, რომ მან ბინაში კარგად გაიხაროს?**

**პასუხი:** ამ მცენარეს უყვარს ხმელთაშუაზღვისპირული კლიმატი, ამიტომ, ზაფხულობით კარგად განათებულ ადგილას დადგით. ზაფხულში მისთვის მისაღებია ოთახის ტემპერატურა (18-24 გრადუსი), ზამთარში კი – დაახლოებით 10 გრადუსი. ზაფხულობით მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს, ზამთარში კი შედარებით იშვიათად მორწყეთ, ისე, რომ მიწა მთლიანად არ გამოშრეს. მას ნიადაგის რეგულარულად განოყიერებაც სჭირდება. ზამთარში ბროწეულს ფოთლები არ აქვს, ამიტომ, არც განსაკუთრებული სინათლე სჭირდება. შეგიძლიათ, სადმე შეინახოთ, სანამ გაზაფხულზე ფოთლების ზრდა დაიწყება. ფოთოლცვენის შემდეგ მცენარე სიგრილეში, დაახლოებით 10 გრადუსზე უნდა გადაიტანოთ. ბროწეული კარგად ხარობს ზამთრის ბაღში. სიმაღლეში 40 სანტიმეტრი იზრდება და, შეგიძლიათ გვიან შემოდგომამდე აყვაოთ. ყვავილობის სეზონის მიწურულს შეიძლება ნაყოფიც გამოიღოს, თუმცა ის საჭმელად ვარგისი არ არის.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

**სწორი კვება აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის. არასწორად შერჩეული კვების რაციონი პირდაპირ კავშირშია სხვადასხვა დაავადებასთან. ადამიანმა წლის ნებისმიერ დროს ისე უნდა შეარჩიოს საკვები, რომ ის ორგანიზმისთვის სასარგებლო იყოს. თუ რომელ საკვებს მივაქციოთ ყურადღება ზამთრის პერიოდში, ამაზე ექიმი-დიეტოლოგი, ქალბატონი ასმათ კევლიშვილი გვესაუბრება.**

# რომელი სეზონური ხილი აძლიერებს ზამთრის პერიოდში დათრგუნულ იმუნიტეტს და რა უნდა გაითვალისწინოთ ცივ სეზონზე კვების მხრივ

**ასმათ კევლიშვილი**: დღეს საიდუმლო არაა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობასა და მოხმარებულ საკვებს შორის მუდმივი ურთიერთკავშირია. დაავადებებს გარკვეული გენეტიკური განწყობა აქვს, მაგრამ, მერწმუნეთ, არის დაავადებები, რომელთა უმრავლესობა არასწორი ცხოვრების წესით ჩნდება. ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კვების რაციონსა და ჯანსაღი ცხოვრების წესს. კერძოდ, იმას, რაც მისი სწორი და ჯანმრთელი განვითარებისთვის არის საჭირო და აუცილებელი.

**– რას გვირჩევთ და რას მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ზამთრის პერიოდში?**

– ზოგი ფიქრობს, რომ წლის გარკვეულ პერიოდში უნდა მიიღოს ბევრი ცილა, სახამებელი და სხვა, ერთი სიტყვით, დატვირთული კვება უნდა ჰქონდეს; ზოგი კი, პირიქით, ფიქრობს, რომ წლის ნებისმიერ დროს ფორმაში უნდა იყოს და ნაკლებ საკვებს იღებს, რათა წონა დაარეგულიროს. როცა კვების რაციონს ჩვენი შეხედულებისამებრ ვცვლით, ანუ, ცხოვრების წესში გარკვეული ცვლილებები შეგვაქვს, ბევრი რამის გათვალისწინებაა საჭირო. დამიჯერეთ, იმიტომ არ უნდა იკვებო ნაკლები რაოდენობის საკვებით, რომ მხოლოდ ვიზუალურად გამოიყურებოდე კარგად. ამას ჯობია, მეტი ყურადღება დაუთმო სრულფასოვან, ჯანსაღ საკვებს და ჯანმრთელობაც ღრმა სიბერემდე შეინარჩუნო. ზამთარში ადამიანის ორგანიზმი ითრგუნება, დეპრესიულია, შენელებულია ნივთიერებათა ცვლის პროცესი და, ამიტომ, სასიცოცხლო ძალებიც დაქვეითებული აქვს. სწორედ ახლაა ის პერიოდი, როცა ჩვენს ორგანიზმს უნდა მივაწოდოთ ყველა ის ბუნებრივი ვიტამინი და მინერალი, რაც ცივ სეზონზე აუცილებლად წაადგება. იმისთვის, რომ ორგანიზმი მოვამარაგოთ სასიცოცხლო ძალებით, რომელიც მას ფუნქციონირებისთვის სჭირდება, კი არ უნდა ვიშიმშილოთ ან ძალიან დავნაყრდეთ, არამედ, სწორად უნდა ვიკვებოთ, მსუბუქად. კერძოდ, უნდა გამოვრიცხოთ ის ცილოვანი საკვები, რაც დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმოვან ტოქსიკურ მჟავებს. არსებობს ორგანული და არაორგანული ცხიმები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხიმები, ცილები და სახამებლები საერთოდ გამოვრიცხოთ კვების რაციონიდან და მოვაკლოთ ისინი ორგანიზმს. წელიწადის ყველა დროს არის ის სეზონური ხილ-ბოსტნეული, რომელიც ყველამ უნდა მიიღოს. აქვე გეტყვით, რომ, ერთია სამკურნალო კვება, მეორე კი – სწორი კვება, რომელიც ადამიანს სჭირდება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად წლის ნებისმიერ პერიოდში. ზამთარში ნივთიერებათა ცვლა შენელებულია, იმატებს გაციების, ვირუსების ალბათობა და, ამიტომ, უნდა ვიზრუნოთ იმუნური სისტემის გაძლიერებაზე – მივირთვათ ციტრუსები, რადგან მათში შემავალი C ვიტამინი იმუნური სისტემისთვის აუცილებელი პროდუქტია. უნდა მიირთვათ მანდარინი, ფორთოხალი, კივი, ფეიხოა, ვაშლი, გოგრა – ეს პროდუქტები არაჩვეულებრივად არეგულირებს და აძლიერებს ადამიანის იმუნურ სისტემას.

**არანაირი კვებითი ღირებულება არ აქვს ზამთრის პერიოდში დაკონსერვებული სახით შენახულ ხილს. ორგანიზმს ასეთი პროდუქტებით ვერ მოატყუებთ**

**– ეს ხილი დაკონსერვებული რომ მივიღოთ, მაგალითად, მურაბის, ჯემის ან კომპოტის სახით?**

– ეს დიდი შეცდომაა, რადგან, არანაირი კვებითი ღირებულება არ აქვს ზამთრის პერიოდში ამგვარად შენახულ ხილს. ორგანიზმს ასეთი პროდუქტებით ვერ მოატყუებთ. ჯობია, სეზონურად მიიღოთ შესაბამისი ხილ-ბოსტნეული და არა დაკონსერვებული. ამ პერიოდში, ასევე, აუცილებელია, ხორბლის ფაფის ჭამა; კარგია ნატურალური, ახალგამოწურული წვენების დალევა. მერწმუნეთ, აბსოლუტურად ყველა დაავადება, არ ვგულისხმობ, რასაკვირველია, გენეტიკურ პათოლოგიას, სათავეს იღებს არასწორი კვებიდან, ძირითადად კი, დაავადების საწყისი ბავშვობიდან მოდის. ამიტომ, ადრეული ასაკიდანაა საჭირო ჯანსაღი, სწორი კვების რაციონის შემუშავება. აუცილებელია ნატურალური და არა გენმოდიფიცირებული საკვების შერჩევა, ცოცხალი ხილისა და ბოსტნეულის ხილფაფების ჭამა. საჭმელი მხოლოდ კუჭის გასაძღომი საშუალება არ არის – ეს ყველამ უნდა გაითავისოს. ზამთრისთვის დამახასიათებელ, ეგრეთ წოდებულ მომატებულ დეპრესიულ სინდრომსაც რომ ადვილად დააღწიოთ თავი, მოამარაგეთ ორგანიზმი საჭირო მინერალებით, ფერმენტებით, მინერალური მარილებით, ვიტამინებით და, მერწმუნეთ, ზამთარში ვერანაირი ვირუსი ვერ მოგერევათ. ისწავლეთ სწორი სეზონური კვება და ამით ბევრ პრობლემას აიცილებთ თავიდან.



**იმისთვის, რომ ორგანიზმი სასიცოცხლო ძალებით მოვამარაგოთ, რომელიც მას ფუნქციონირებისთვის სჭირდება, კი არ უნდა ვიშიმშილოთ ან ძალიან კი არ უნდა დავნაყრდეთ, არამედ, სწორად ვიკვებოთ**

**– რომელი საკვებით შეგვიძლია, გავიძლიეროთ დაქვეითებული იმუნიტეტი ცივ სეზონზე?**

– ბევრი უჩივის საერთო სისუსტეს, ადვილად დაღლას, შრომის უნარის დაქვეითებას და ასე შემდეგ. ამას ზოგი ზამთრის სიცივეს აბრალებს, ზოგი – არასწორ კვებას, ზოგი რას და ზოგი – რას. რეალურად კი ეს იმაზე მეტყველებს, რომ თქვენი იმუნიტეტი დაქვეითებულია და ის სასწრაფოდ საჭიროებს აღდგენას. იმუნიტეტის დონე კი იმაზეა დამოკიდებული, იღებთ თუ არა საჭირო ვიტამინებს, ნახშირწყლებს, ცილებსა და ამინომჟავებს ყოველდღიური საკვებიდან. თავი მხნედ, ჯანმრთელად და ძლიერად რომ ვიგრძნოთ, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება სწორ და სრულფასოვან კვებას. როგორც ზემოთ გითხარით, არასწორად შერჩეული კვების რაციონი ათასგვარი დაავადების გამწვავების მიზეზი ხდება. მოკლედ, ახლა სწორედ ის დროა, როცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ორგანიზმის იმუნური სისტემის გაძლიერებას, რათა ასე გახშირებულ გაციებებს, ვირუსებსა და ათასგვარ ინფექციურ დაავადებას ავარიდოთ თავი. ამისთვის კი უნდა მივირთვათ სხვადასხვა ბოსტნეული და სეზონური ხილი. შეგიძლიათ, მიირთვათ ბოსტნეული როგორც მოხარშული, ასევე ცოცხალი სახით. ასევე, აუცილებელია ორგანიზმის მომარაგება C ვიტამინით, მას კი დიდი რაოდენობით შეიცავს: კივი, ვაშლი, ციტრუსები და გოგრა. ეს პროდუქტები საგრძნობლად აძლიერებს და ამყარებს ადამიანის იმუნურ სისტემას. ეს არის ამ სეზონის სწორი კვება და, როგორც გითხარით, ის ჩვენი ჯანმრთელობის საწინდარია.

საკვები რაციონიდან უნდა გამორიცხოთ ის საკვები პროდუქტები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმოვან, ტოქსიკურ მჟავებსა და სახამებელს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ ამოვიღოთ კვებიდან ცხიმები, ცილები და სახამებელი. უბრალოდ, უპირატესობა იმ პროდუქტს უნდა მივანიჭოთ, რომელიც შეიცავს ბუნებრივ, ნატურალურ ორგანულ ცილებს, ცხიმებსა და სახამებელს. არც პური ამოიღოთ რაციონიდან, რადგან ხორბალი შეიცავს B ჯგუფის ყველა ვიტამინს, ანუ, მასში თავმოყრილია ყველა ის ორგანული სახამებელი, რომელიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისთვის და, გარდა ამისა, ის ენერგიით გვავსებს. მიირთვით არარაფინირებული ხორბლის ფქვილისგან გამომცხვარი პური – ის ძალიან სასარგებლოა ნორმალური განვითარებისა და ჯანმრთელობისთვის.

**ნონა დათეშიძე**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(550)-6(632)

ცოტა ხნის წინ სანკტ-პეტერბურგში ვიყავი ერთ საქმეზე და, ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას, სადაც არაქართველის სტატუსით ვიმყოფებოდი, ერთმა ცნობილმა რუსმა თქვა:

– მე მგონი, ქართველები გაგიჟდნენ. ვუყურებ მათ და ჩემს საყვარელ, ღრმად პატივსაცემ ერს ველარ ვცნობ. ნუთუ შეიძლება, რომ სულ რაღაც ორი ათეული წლის განმავლობაში ასეთი მეტამორფოზა განიცადოს ამ უძველესმა და ცივილიზაციისთვის უძვირფასესმა ერმა?

– რა მეტამორფოზაზე ლაპარაკობთ, პროფესორო? – ვკითხე რუსს, რომელიც ისტორიულ მეცნიერებათა დიქტორი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ის რუსი ნაციონალისტების კოჰორტაშია, ქართველები და საქართველო მისი სისუსტეა.

– იმაზე, ჩემო კარგო, რომ ქართველი ერი, ეს უძველესი და ბრძენი ხალხი, თავის უდიადეს ადამიანს, სტალინს უარყოფს და მის სახელს, მის საქმეებსა და ღვაწლს წყალში ყრის.

– ეს სადავო საკითხია. თქვენ, ალბათ, სტალინის ძეგლის დამხობას გულისხმობთ.

– ძეგლის დამხობა ყველაზე მსუბუქი დანაშაულია, რასაც სტალინის წინააღმდეგ სჩადიან. მთავარი ის არის, რომ სტალინის სახელის მოსპობით ჩვენს ისტორიას სპობენ და, როგორც კი ამას მიაღწევენ, ახალგაზრდებს ტვინს აურევენ და არატრადიციულ ღირებულებებს დაამკვიდრებენ, თავად ქვეყანას კი მიწასთან გაასწორებენ და ერს გადააჯიშებენ.

– ხომ არ აზვიადებთ, პროფესორო? – ვუთხარი ქართველების ფან რუსს, – რა თქმა უნდა, ბოდიშს გიხდით ასეთი კადნიერებისთვის და არ გეწყინოთ, მაგრამ, თქვენ ხომ ისტორიკოსი ბრძანდებით და იცით, რომ ასე იოლად არ ხდება ერისა და ქვეყნის განადგურება. მით უმეტეს, ჩვენი – რუსებისა და რუსეთის.

– საწყენი ნამდვილად არაფერი გითქვამთ, ჩემო მეგობარო, – მომიგო პროფესორმა, – მაგრამ, გარწმუნებთ, რომ არაფერს ვაზვიადებ. ჩვენ ახლა სულ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ და ასეთი სახიფათო პერიოდი, კაცობრიობას ჯერ არ ჰქონია. დავიწყოთ იმით, რომ რუსეთი ყველა ძლიერ, ამბიციურ სახელმწიფოს ყოველთვის ყელში ეჩხირებოდა, მაგრამ, ჩვენი განადგურება მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილმა რეჟიმებმაც კი ვერ შეძლეს. პირიქით, ყოველი ასეთი მცდელობის შემდეგ რუსეთი უფრო მეტად ფართოვდებოდა გეოგრაფიულად და ძლიერდებოდა მისი სამხედრო პოტენციალი. ამიტომ, ჩვენმა ავისმოსურნეებმა ტაქტიკა შეცვალეს: ჩვენთან ომს თავი დაანებეს და ჩვენი მოსპობა ეკონომიკურ-იდეოლოგიურად სცადეს. ეს ყველაზე წარმატებული ტაქტიკაა, რაც ოდესმე ჩვენ წინააღმდეგ გამოუყენებია ვინმეს და, აი, შედეგიც – საბჭოეთი დაიშალა. ახლა ჯერი რუსეთზეა და, თუ დროზე არ შევაჩერეთ ეს პროცესი, მართლა გავნადგურდებით. ყველაზე კარგად ეს სტალინს ესმოდა და ამერიკელებს ყოველმხრივ უშლიდა ხელს ამ საშინელი ბოროტების ჩადენაში. სწორედ ამიტომაა, რომ სტალინის სახელის მოსპობით, რუსეთსა და პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკურ სივრცეს ძლიერ ჯავშანს მოხსნიან, რის შემდეგაც ჩვენი დამარცხება არც ისე ძნელი იქნება.

– ჯავშნის მოხსნაში, თქვენ, ალბათ, დეიდეოლოგიზაციას გულისხმობთ, ხომ, პროფესორო?

– დიახ, ეგრეთ წოდებულ დესტალინიზაციას, რომელიც დასავლური იდეოლოგიის მამებმა შემოგვიგდეს, სინამდვილეში კი ჩვენი ერის გახრწნა-განადგურების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია და ეს ჩვენ არ უნდა დავუშვათ. ქართველებმა, სამწუხაროდ, ეს დაუშვეს და უარყოფით შედეგებს უკვე იმკიან: მათ გაუმწვავდათ ჩვენთან ურთიერთობა, თავი წამოყვეს ყოვლად უზნეო, ამორალურმა არსებებმა; რაც მთავარია, ქართველ ახალგაზრდებს უმალავენ თავიანთ ისტორიას და არასწორ ზნეობრივ და პოლიტიკურ ორიენტირებს უსახავენ მათ. აი, რატომ მაღელვებს დღევანდელი ქართული სინამდვილე. გამორიცხული არ არის, რომ სულ რაღაც ოციოდე წელიწადში ამერიკულ, ანტირუსულ და, პირველ ყოვლისა, ანტიქართულ იდეოლოგიაზე გაზრდილმა გენეტიკურმა ქართველებმა რუსეთზე გალაშქრება მოინდომონ დემოკრატიის დროშის ქვეშ, რითაც თავსაც დაიღუპავენ და არც ჩვენ დაგვადგება კარგი დღე. განა იმიტომ, რომ ისინი ჩვენ სამხედრო გზით რამეს დაგვაკლებენ – არა, უბრალოდ, ღმერთი არ გვაპატიებს ერთმორწმუნე, მართლმადიდებელი ძმების განადგურებას. ღმერთი კი არსებობს და ზემოდან გვიყურებს. ის ელოდება, როდის მოვალთ გონს როგორც ჩვენ, ასევე ქართველები.



– ჩვენ რა შუაში ვართ, პროფესორო. გონს ქართველები უნდა მოვიდნენ. რა, ჩვენ ვუბიძგეთ მათ ამერიკის მოკავშირეობისკენ?

– სწორედაც რომ ჩვენ ვუბიძგეთ. საჭირო არ იყო სეპარატიზმის გაღვივება და ზემოდან ყურება. საქართველოში ჩვენს ჯარს, მართლაც უნდა დაეცვა სტაბილურობა და წესრიგი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დახმარებოდა სეპარატისტებს. ასეთ შემთხვევაში საქართველოც ერთიანი და განუყოფელი იქნებოდა და იქ დღემდე იდგებოდა ჩვენი ჯარი.

– ჩვენები იქ ისედაც დგანან.

– კი, დგანან, მაგრამ, როგორც ოკუპანტები. ოკუპანტები კი, ადრე თუ გვიან, მაინც ტოვებენ ოკუპირებულ ტერიტორიებს და გამოდიან იქიდან – ამას მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით.

– გასაგებია. რას გვთავაზობთ?

– რას და, ახალ ქართულ მთავრობასთან კავშირების რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად აღდგენას. ქართველებს საგარეო პოლიტიკური ვექტორი უნდა შევაცვლევინოთ. ამისთვის კი მათ მყარი გეოპოლიტიკური გარანტიები უნდა მივცეთ.

– უბრალოდ რომ ვთქვათ, მათ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დავუბრუნოთ?

– აუცილებლად უნდა დავუბრუნოთ.

– მერედა, რას ვეუბნებით აფხაზებსა და ოსებს?

– ამის წინააღმდეგნი არც ისინი იქნებიან. კარგი ცხოვრება მათაც უნდათ და მათაც მობეზრდათ არეულობა, კრიმინალი და მათხოვრული ყოფა. მთავარია, სწორი დიპლომატიური სვლა გაკეთდეს და ყველაფერი მალევე მოგვარდება. ჩვენ, რუსებს, ისევე, როგორც ქართველებს, ბევრი ავტორიტეტული პიროვნება გვყავს, ვისაც მოუსმენენ და დაუჯერებენ.

– კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, პროფესორო, ამ კადნიერებისთვის, მაგრამ, რომ არ გითხრათ, არ შემიძლია, – ვუთხარი პროფესორს.

– ბრძანეთ, ჩემო მეგობარო. ნამდვილად არ მეწყინება.

– ძვირფასო პროფესორო, თქვენი სიტყვები პოლიტიკური მიამიტობა მგონია.

– უფრო პოლიტიკური რომანტიზმი, – მითხრა პროფესორმა, – მაგრამ, მერწმუნეთ, ჩემო კარგო, რომ ეს პოლიტიკური რომანტიზმი სავსებით რეალურად განსახორციელებელია და, უპირველესად, ამას ჩვენი მთავრობის ნება სჭირდება, საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა კი ამაზე უარს არ იტყვის.

ქართველების ფან რუს პროფესორთან ჩემი დიალოგი ასე დასრულდა და ამ საკითხს აღარ შევხებივართ, რადგან, იმ ბინაში შეკრებილი საზოგადოება პოლიტიკიდან კულტურაზე, უფრო სწორად კი – კლასიკურ მუსიკაზე გადაერთო და ერთმა ძალიან ცნობილმა თანამედროვე რუსმა მუსიკოსმა ბეთჰოვენის ძალიან ცნობილი ნაწარმოები შეასრულა...

– ბრავო, მაესტრო, ბრავო! – გაისმა უზარმაზარ სასტუმრო ოთახში, როდესაც ბოლო აკორდები მიილია და იქაურობა წამით სიჩუმემ მოიცვა.

ზემოხსენებული შეკრება საქველმოქმედო იყო და მის მიზანს წარმოადგენდა ერთი ძალიან ცნობილი ისტორიული ძეგლის რესტავრაციისთვის ფულის შეგროვება. მე იმ შეკრებაზე ბიზნესმენის სტატუსით ვიმყოფებოდი. ჩემ გარდა იქ ერთი ცნობილი კრიმინალიც იმყოფებოდა და სწორედ ამ კაცის ლიკვიდაციის შეკვეთა მქონდა მიღებული – მე ის იმ ბინაში უნდა მომეკლა, რადგან, სხვაგან ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელი იყო – ობიექტი კარგად იყო დაცული და თავის ციხესიმაგრესავით სახლს თითქმის არასოდეს ტოვებდა.

შეკვეთა, ტრადიციულად, ეფექტურად შევასრულე: სპეცკალმისტრიდან გასროლილი ტყვია მას მარცხენა თვალში მოხვდა და ტვინი გაასხმევინა. მე კი, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, დავტოვე რუსული ბომონდის „ტუსოვკა“ და ჯერ სხვენში ავედი, იქიდან სხვა სადარბაზოში გადავედი და, სპორტულ სამოსში გამოწყობილმა, ველოსიპედით ჩავუარე უკვე მოკლული კრიმინალის დაცვის „ჯიპებს“, რომლებიც ეზოში იდგნენ და მას ელოდნენ.

კრიმინალური ავტორიტეტის, განსაკუთრებით კი – კანონიერი ქურდის ლიკვიდაცია, ყოველთვის დიდ რისკთანაა დაკავშირებული და ასეთ ქმედებას ყოველთვის საპასუხო ქმედება ან ასეთი ქმედების მცდელობა მოჰყვება ხოლმე. მოკლულის ახლობლები ყოველთვის ეძებენ როგორც მკვლელობის შემკვეთებს, ასევე შემსრულებლებს და, ცდილობენ, სამაგიერო გადაუხადონ მათ. კანონიერ ქურდებს დიდი ფინანსები და ფართო კავშირები აქვთ. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში ისინი იგებენ მკვლელების ვინაობას და უსასტიკესად უსწორდებიან. თუმცა, ჩემ მიერ მოთხრობილ ამბავს ჩემთვის ზიანის მოტანა თითქმის არ შეუძლია, რადგან მე არანაირი კვალი არ დამიტოვებია და, შემკვეთზეც რომ გავიდნენ, ჩემს ვინაობას მაინც ვერ დაადგენენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შემკვეთი მე არ მიცნობს. თუმცა, გამორიცხული არაფერია და მავანს, შეიძლება, ჩემი სიტყვები ტრაბახადაც კი მოეჩვენოს. მაგრამ, ეს ტრაბახი კი არა, ჩემი პროფესიონალიზმისა და დიდი გამოცდილების შედეგია.

მე, როგორც მარტოხელა შემსრულებელი, არავის ვუმხელ ჩემს საქმეებს და ჩემი მოხელთება თითქმის შეუძლებელია. თუმცა, ერთ-ერთი მსგავსი ლიკვიდაციის შემდეგ, რომელიც „კაგებეს“ დავალებით განვახორციელე, მოკლულის კოლეგებმა ჩემი პიროვნება დაადგინეს და „აბაროტის აღება“ სცადეს.

ობიექტი მე ტაშკენტში მოვკალი სნაიპერული შაშხანიდან და, შჩუკინის თხოვნით ჯერ მოსკოვში ჩავედი და ანგარიში ჩავაბარე, შემდეგ კი ჩემს მოსკოვურ ბინაში წავედი დასასვენებლად. ღამე იქ გავათიე, დილით კი ტაქსი გამოვიძახე და აეროპორტში გავემართე, რომ თბილისში დავბრუნებულიყავი. ერთი კვარტალიც არ მქონდა გავლილი, რომ კალინინის გამზირზე „კუდი“ შევნიშნე. თეთრი ფერის „ჟიგული“ ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით, ფრთხილად მოგვყვებოდა. მძღოლს მანევრები გავაკეთებინე და რომ დავრწმუნდი, არ ვცდებოდი, მარშრუტი შევცვალე. მერე ტაქსი ერთ მიყრუებულ ქუჩაზე გავაჩერებინე, ფული გადავუხადე და „კაგებეს“ კონსპირაციულ ბინაში შევედი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, თავის შესაფარებლად მქონდა გამოყოფილი და მის შესახებ მხოლოდ შჩუკინმა და მუხინმა იცოდნენ.

„კუდი“ სულ სამი იყო: ორი ჩემს მოსაძებნად გადმოვიდა, მესამე კი „06-ის” საქესთან დარჩა. თავდაპირველად ვერ მივხვდი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მოთვალთვალეები. აბა, რას წარმოვიდგენდი, თუ სულ რაღაც 48 საათის წინ მოკლული კრიმინალის ახლობლები სამაგიეროს გადასახდელად მომაკითხავდნენ, მით უფრო, რომ ჩემი დავალების შესახებ მხოლოდ „კაგებეში“ იცოდნენ, თანაც, ძალიან ცოტა და სანდო ადამიანებმა.



მოთვალთვალეებმა, კონსპირაციული ბინის კარი ქურდული პროფესიონალიზმით, უხმაუროდ გააღეს და მაყუჩიანი პისტოლეტებით შეიარაღებულები, ფეხაკრეფით შემოვიდნენ. ორივე თვალის დახამხამებაში განვაიარაღე, ერთ-ერთი მათგანი რადიატორზე მივაბი, მეორეს კი წიხლი ყელზე დავაჭირე, იარაღი მივუშვირე და ვკითხე:

– ვინ ხართ და ვინ გამოგგზავნათ?

– წადი, შენი დედაც! – მომაგინა რადიატორზე მიბმულმა. მე კი მას მშვიდად ვუთხარი:

– ეგ სიტყვები აღარ გაიმეორო, თორემ სამუდამოდ დაგადუმებ.

– წადი, შენი დედაც! – გაიმეორა მიბმულმა. მე მას მაყუჩიანი პისტოლეტიდან ტვინი გავასხმევინე, პირველს მივუბრუნდი, რომელსაც სახეზე ცარცისფერი ედო და ვუთხარი:

– თუ გაჯიუტდები, შენც უკან მიგაყოლებ...

მოთვალთვალემ კითხვა აღარ დამასრულებინა და სხაპასხუპით მითხრა:

– თქვენს მოსაკლავად გამოგვგზავნეს. ჩვენ ქურდული მასტები ვართ, თქვენზე კი ვიღაც პოლკოვნიკმა სომოვმა გაგვიყვანა.

ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი, რადგან პოლკოვნიკი სომოვი „კაგებეს“ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში მუშაობდა და საიმედო თანამშრომლად ითვლებოდა. ჩემი დავალების შესახებ კი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იცოდა, რომ ტაშკენტში „კაგებეს“ ვერტმფრენით გადავფრინდი და მან პირადად უზრუნველყო ეს.

გვარი რომ გავიგე, მეორე მოთვალთვალეც პირველთან „გავგზავნე“. შემდეგ მესამეც მივაყოლე, რომელიც „ჟიგულიში“ იჯდა და მაშინვე სომოვისკენ გავემართე ქალაქგარეთ, „კაგებეს“ ტექნიკური უზრუნველყოფის ბაზაზე. სომოვის კაბინეტში რომ შევედი, პოლკოვნიკს სახე დაეჯღანა, რადგან იმ მომენტისთვის უკვე მკვდარი უნდა ვყოფილიყავი და მან ეს იცოდა. თუმცა, სომოვმა თავს ძალა დაატანა, გაიღიმა და მკითხა:

– კოკი, ხომ მშვიდობაა?

– ამხანაგო პოლკოვნიკო, პირადად შჩუკინმა მთხოვა თქვენი ლუბიანკაზე მიყვანა და სასწრაფოდ უნდა გავემგზავროთ მოსკოვში.

– ხომ არ მაპატიმრებენ? – შიშნარევად გამეხუმრა პოლკოვნიკი, მე კი მივუგე:

– ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, რაღაც საიდუმლო მისიისთვის ტექნიკური უზრუნველყოფაა საჭირო.

სომოვმა „ჭამა“. მეტი არაფერში დაეჭვებულა და სამსახურებრივი „ვოლგის“ საჭეს მიუჯდა. მე გვერდით დავუჯექი და მოსკოვისკენ ავიღეთ გეზი. ორიოდე კილომეტრი რომ გავიარეთ და ხშირი ტყის მასივის ზონაში შევედით, სომოვი გავთიშე და მანქანა ტყეში შევიყვანე. პოლკოვნიკი აზრზე რომ მოვიდა, ვუთხარი:

– კიდევ ვინ იცის ჩემ შესახებ?

პოლკოვნიკი კარგად მიცნობდა, მიხვდა, რომ ჩემთან თამაში მას მხოლოდ ტანჯვა-წამებას მოუტანდა და მითხრა:

– მეტი არავინ.

– რატომ გამყიდე?

– ორი რამის გამო: პირველი – ობიექტი ჩემი ცოლის ნათესავი იყო; მეორე – დიდი ფული გადამიხადეს.

– რამდენი მოგცეს?

– ხუთი ათასი მანეთი.

– მშვიდობით, იუდა, – ვუთხარი პოლკოვნ-



ერდო ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...
მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%. 3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31



იკს, შემდეგ შუბლი გავუხვრიტე, მანქანიდან გადმოვედი და მოსკოვში გავემგზავრე.

ლუბიანკაზე მას მერე მივედი, რაც შჩუკინს კონსპირაციული ტელეფონიდან დავურეკე. მის კაბინეტში რომ შევდგი ფეხი, ვიქტორ იაკოვლევიჩმა მკითხა:

– რა მოხდა?

მე ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი და ბოლოს ვუთხარი:

– ახლა კი შეგიძლიათ, დამაპატიმროთ.

– დაგაპატიმრო? კი მაგრამ, რისთვის? შენ სწორად მოიქეცი, მე ბოლომდე გენდობი, სომოვი კი ჯანდაბას წაულია, კრიმინალები – მით უმეტეს. იუდები და ბოროტმოქმედები რაც უფრო შორს იქნებიან ჩვენგან, მით უკეთესი. ამიტომ, წადი და დაისვენე, ყველაფერი რიგზეა. ნახვამდის.

– ნახვამდის, ვიქტორ იაკოვლევიჩ, გმადლობთ, – ვუთხარი შჩუკინს. ლუბიანკიდან წამოვედი და რამდენიმე საათში უკვე თბილისში ვიყავი.

– დაიღალე, ძვირფასო? – მკითხა ჩემმა უსაყვარლესმა მეუღლემ, რომელსაც ეგონა, რომ ხუთი დღით უკრაინაში მყავდა წაყვანილი ფრანგი ტურისტები, რომლებსაც იმ რესპუბლიკას ვაცნობდი.

– ისე რა, – მივუგე მერიკოს და ვკითხე, – როგორ ხართ, ბავშვები სად არიან?

– გელოდნენ და ჩაეძინათ.

– აი, ეს თქვენ, – მერიკოს მოსკოვიდან ჩამოტანილი სუვენირები მივეცი, რომლებიც სავალუტო მაღაზია „ბერიოზკაში“ მქონდა ნაყიდი. ისინი მიჩვეულები იყვნენ, რომ ყოველი მივლინების შემდეგ მე მათთვის იმპორტული საჩუქრები ჩამომქონდა.

როგორც არაერთხელ მითქვამს, ოჯახი ჩემი პრიორიტეტი იყო ყოველთვის და, მზად ვიყავი, თავი გამეწირა მათთვის. მართალია, „კაგებეში“ ვმუშაობდი და უაღრესად იდეოლოგიზებული ვიყავი, მაგრამ ზომბირებული არასდროს ვყოფილვარ და ჩემთვის წმიდათაწმიდა იყო ჯერ ოჯახი, შემდეგ – სამსახური, რომელიც სამშობლოსთან იყო გაიგივებული და ბოლოს – ყველაფერი დანარჩენი. ჩემდა საბედნიეროდ, ჩემი ოჯახისა და სამსახურის ინტერესები არასდროს გადაკვეთილა და, თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ამ მხრივ აშკარად გამიმართლა. საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება თითქმის ყოველდღე სიკვდილის ზღვარზე დავდივარ, ბედნიერი და რეალიზებული ადამიანი ვარ, თუმცა, არავის ვურჩევ ჩემს ბედს და, ნურავინ იფიქრებს, რომ ჩემი პროფესიის ყველა ადამიანი ჩემსავით წარმატებულია.

კოჯრის სპეცსკოლას რომ ვამთავრებდი, ერთ-ერთმა უხუცესმა ინსტრუქტორმა მირჩია:

– იცოდე, რომ შენ „კაგებეს“ ლიკვიდატორი ხარ, ასე ვთქვათ, მოსიარულე გვამი, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი ჰყავს ჩასაფრებული და ამ ფილოსოფიით უნდა იცხოვრო, თუ გინდა, რომ ცოცხალი გადარჩე. ასე კი ბედნიერი ვერ იქნები და არც უნდა ესწრაფოდე ბედნიერებას. როგორც კი ბედნიერებისკენ სწრაფვას დაიწყებ, მაშინვე თავს წააგებ და სიკვდილი გაჯობებს, – ინსტრუქტორმა პაუზა გააკეთა, მოჭუტული თვალებით შემათვალიერა, ჩაეცინა და დაამატა – არა, სიკვდილს მაინც ვერსად გაექცევი, ის ბოლოს მაინც მოვა და თავისას იზამს. მაგრამ, რაც უფრო გვიან მოხდება ეს, მით უკეთესი შენთვის. აი, მე თითქმის ოთხმოც წელს მივაღწიე და ჯერაც ცოცხალი ვარ. არადა, თითქმის სამოცი წელიწადი უფსკრულის პირას გავდიოდი, მაგრამ, გადავრჩი. იცი, რატომ?

– რატომ? – ვკითხე ინსტრუქტორს.

– იმიტომ, კოკი, რომ ბედნიერებისკენ არასოდეს ვისწრაფოდი – ცოლ-შვილი არასდროს მყოლია და საქმის გარდა არაფერი მაღელვებდა.

– თქვენი აზრით, ბედნიერება მხოლოდ ცოლ-შვილის ყოლაა?

– ცოლ-შვილი და კარგი ოჯახი თავისთავადაა ბედნიერება. ადამიანის დანიშნულება, მისი არსი, რისთვისაც ის ღმერთმა შექმნა, სწორედ ესაა, – მითხრა ინსტრუქტორმა, რომელსაც უამრავი რამ ჰქონდა ცხოვრებაში გამოცდილი და ნანახი საკუთარი ოჯახის გარდა და, რომელმაც აბსოლუტურად ზუსტად განსაზღვრა ადამიანის დანიშნულება.

– განა ბედნიერება არაა ის, რომ ამდენი ხიფათის შემდეგ კვლავ ცოცხალი ხართ? განა სიცოცხლე ბედნიერება არ არის? – ვკითხე მას.

– მარტო სიცოცხლე არა, ცოლ-შვილთან ერთად სიცოცხლე და გახარება – აი, რა არის ჭეშმარიტი ბედნიერება. ამიტომ, ჩემო კარგო, მყარი არჩევანი უნდა გააკეთო ბედნიერებასა და პროფესიას შორის. მერწმუნე, შენი პროფესია ნამდვილად ვერ მოგიტანს ბედნიერებას, მაგრამ, კარგი მეოჯახე და კარგი პროფესიონალი ერთდროულად ვერ იქნები და ორივეს რომ წაეპოტინო, ორივეში ხელი მოგეცარება.

ინსტრუქტორთან ლაპარაკი იმით დასრულდა და, მისადმი პატივისცემის გამო, აღარ შევკამათებივარ. თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ოჯახურ ცხოვრებასაც ავაწყობდი, სამსახურებრივ მოვალეობასაც წარმატებით გავუძლვებოდი და ბედნიერიც ვიქნებოდი. ისე აგიხდათ ყველა სიკეთე, როგორც მე ეს ამიხდა და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ. თუმცა, აქვე დავამატებ: იმ მოხუც ინსტრუქტორს აბსოლუტურად ვეთანხმები და მე მაგალითად ვერ გამოვდგები – მე უფრო გამონაკლისი ვარ, ვიდრე წესი. ხოლო ჩვენი წესებისამებრ კი, ან პროფესია უნდა აირჩიო, ან – ოჯახი. სამწუხაროდ, მე თავისუფალი არჩევნის საშუალება არ მქონია და, ყველაფერი თავიდან რომ იწყებოდეს და არჩევნის საშუალება მომეცეს, ჩემს ახლანდელ პროფესიას ახლოსაც არ გავეკარებოდი. ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, თუ რა გზას დავადგებოდი იმ შემთხვე-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | ყ | ო | ჩ | ი |
| | | | | | | | | | | | | ნ | | ნ |
| | | | | | | | | | | | ყ | ა | ვ | ა |
| | | | | | | | | | | | | ს | | ზ |
| | | | | | | | | | | | ჯ | ი | ნ | ა |
| | | | | | | | | | | | | ს | | ლ |
| რ | ე | ზ | ი | დ | ე | ნ | ც | ი | ა | | ფ | ი | ლ | ა |
| ქ | | მ | | უ | | ა | | ს | ვ | ლ | ა | | ა | |
| ა | ბ | ა | კ | ე | ლ | ი | ა | | ს | | ლ | ე | გ | ა |
| | ე | | | ტ | ე | რ | | მ | უ | რ | ა | | ო | ჯ |
| ა | ნ | ჯ | ე | ი | | ი | რ | ა | ლ | | ვ | ა | დ | ა |
| ნ | | | ლ | | მ | | ა | კ | ი | | ა | ბ | ე | |
| ა | ლ | პ | ი | ნ | ი | ა | დ | ა | | | ნ | ო | ხ | ი |
| | | ა | ს | ა | რ | | | კ | ა | ბ | ი | რ | ი | ა |
| ძ | ა | ლ | ო | ს | ნ | ო | ბ | ა | | ი | | ი | | მ |
| მ | | ო | | ა | ი | ნ | | | ე | ლ | ე | გ | ი | ა |
| ა | | | | ხ | | ტ | ბ | ა | | ი | | ე | რ | ი |
| კ | ა | კ | უ | ლ | ი | ა | | ი | კ | ა | ი | ნ | ო | კ |
| ა | კ | ო | | ა | ო | რ | ტ | ა | | რ | | ი | ნ | ა |
| ც | ა | ღ | ა | რ | | ი | | ლ | უ | დ | ი | | ი | |
| ი | მ | ო | | ი | ნ | ო | თ | ა | | ი | ა | ვ | ა | ჰ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 7 | 8 | 5 | 1 | 4 | 2 | 9 |
| 5 | 9 | 2 | 4 | 3 | 6 | 8 | 7 | 1 |
| 4 | 8 | 1 | 7 | 9 | 2 | 3 | 5 | 6 |
| 7 | 1 | 4 | 9 | 6 | 3 | 5 | 8 | 2 |
| 9 | 5 | 3 | 2 | 8 | 7 | 6 | 1 | 4 |
| 8 | 2 | 6 | 1 | 4 | 5 | 9 | 3 | 7 |
| 1 | 6 | 5 | 3 | 2 | 4 | 7 | 9 | 8 |
| 2 | 4 | 9 | 5 | 7 | 8 | 1 | 6 | 3 |
| 3 | 7 | 8 | 6 | 1 | 9 | 2 | 4 | 5 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 8 | 3 | 2 | 1 | 6 | 4 | 7 |
| 2 | 1 | 6 | 7 | 8 | 4 | 3 | 5 | 9 |
| 4 | 7 | 3 | 5 | 9 | 6 | 1 | 2 | 8 |
| 3 | 5 | 7 | 8 | 6 | 9 | 2 | 1 | 4 |
| 6 | 4 | 9 | 2 | 1 | 5 | 7 | 8 | 3 |
| 1 | 8 | 2 | 4 | 7 | 3 | 9 | 6 | 5 |
| 7 | 2 | 5 | 6 | 3 | 8 | 4 | 9 | 1 |
| 8 | 6 | 1 | 9 | 4 | 7 | 5 | 3 | 2 |
| 9 | 3 | 4 | 1 | 5 | 2 | 8 | 7 | 6 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი – „სიყვარულის ხელოვნება“. 2. პამფილიუსი (აქედან – პამფლეტი) 3. ოფიცერი. 4. ბეჭდვის ხარვეზით – ღილები სარკულად იყო გამოსახული. 5. ჰომეროსი. 6. იერუსალიმს. 7. სუნამო „კრისტიან დიორს“. 8. ადოლფ ჰიტლერის – „ჩემი ბრძოლა“. 9. მაფია. 10. არტისტები.**



ვაში, თუკი „კაგებეში“ არ ვიმუშავებდი. რა გზას და, შექსპიროლოგიას გავყვებოდი და შევეცდებოდი, მწვერვალისთვის მიმეღწია ამ საქმეში. ერთხელ ეს ჩემი სურვილი შჩუკინს გავუზიარე. მას კი გაეცინა, თავი გააქნია და მითხრა:

– არავითარი შექსპიროლოგია, ჩემო კარგო, თუმცა, არც ამ საქმეში ხარ უკანასკნელი. შენი ნამდვილი მოწოდება სამშობლოს სამსახურია, რაშიც დიდი ხანია, ოლიმპოს მწვერვალზე ხარ და, სანამ ცოცხალი იქნები, არა მგონია, რომ ვინმეს დაუთმო პირველობა.

შჩუკინის სიტყვებზე ჩამეცინა და მივუგე:

– საქმე ისაა, რამდენ ხანს ვიცოცხლებ. ჩემი პროფესიის ადამიანები, როგორც ვიცი, დიდხანს არ დადიან ამქვეყნად.

ეს საუბარი რომ შედგა, „კაგებეში“ მუშაობის ათწლიანი სტაჟი მქონდა. შჩუკინთან ახლომეგობრული დამოკიდებულება მქონდა და ჩვენი ურთიერთობები იმაზე მეტი იყო, ვიდრე „კაგებეს“ გენერლისა და კაპიტნის. ამიტომ, ვიქტორ იაკოვლევიჩმა მითხრა:

– სტალინის დრო რომ იყოს, გაციმბირება არ აგცდებოდა, – შემდეგ გაეცინა და დაამატა – აბსოლუტურად სერიოზულად გეუბნები, ყოველგვარი ირონიის გარეშე. ახლავე ვწერ ბრძანებას და სპეცოპერაციების დაგეგმვის სამმართველოს უფროსად გნიშნავ, თანაც, მაიორის ჩინზე წარგადგენ და, საერთოდ, მგონი, დროა, მშვიდ ცხოვრებას შეუდგე.

შჩუკინს გავუღიმე, თავი გავაქნიე და ვუთხარი:

– ვიქტორ იაკოვლევიჩ, ხომ იცით, რომ კაბინეტური მუშაობა საჩემო საქმე არ არის! თუ ამას მიპირებთ, მაშინ, ტაბელური იარაღი ამოიღეთ და შუბლში მესროლეთ!

– ეგ კარგს არაფერს მოგვიტანს, – მომიგო შჩუკინმა, – მე შენი უფროსი ვარ და სრული უფლება მაქვს, გაგამწესო იქ, სადაც საჭიროდ ჩავთვლი. ამჟამად კი მიმაჩნია, რომ კაბინეტური მუშაობა უფრო შეგეფერება. ამიტომ, ახლავე ვწერ ბრძანებას და გაწინაურებ.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიქტორ იაკოვლევიჩ შჩუკინი „კაგებეშნიკურ“ ტრიუკს მიმართავდა და ასე იმიტომ იქცეოდა. თუმცა, მე რომ წინააღმდეგობა არ გამეწია, „კაგებეს“ აპარატში დაწინაურება მართლაც არ ამცდებოდა. ამიტომ, პაუზა გავაკეთე და შჩუკინს მტკიცედ ვუთხარი:

– ვიქტორ იაკოვლევიჩ, ან იმავე სტატუსით მტოვებთ, ან „კაგებედან“ მივდივარ!

– „კაგებედან“ წასვლა ასე მარტივად არ ხდება, მით უმეტეს, შენი სტატუსის თანამშრომლისთვის. ამიტომ, ჯერ კარგად გააანალიზე ყველაფერი და პასუხი შემდეგ გამეცი.

– ეს ჩემი საბოლოო სიტყვაა, ამხანაგო გენერალო: ან ძველი სტატუსით ვიმუშავებ, ან სამსახურიდან წავალ, ან დამაპატიმრეთ და დამხვრიტეთ...

– კარგი, კარგი, ნუ ცხარობ, – გაეცინა შჩუკინს, – შენი სიტყვების მერე ვიფიქრე, რომ ძველი სამუშაო არ მოგწონდა და კაბინეტი ამიტომ შემოგთავაზე, თორემ, შენზე უკეთესს ამ საქმეში სად ვიპოვით?

მართალია, შჩუკინთან ახლობლური დამოკიდებულება მქონდა, მაგრამ, „კაგებე“ მაინც „კაგებეა“ და ასეთი თავისუფალი ლაპარაკი, მით უმეტეს – ლუბიანკის კედლებში, დაუშვებელი იყო. ამიტომ, შჩუკინს გამოვეჯგიმე და მოვახსენე:

– ზედმეტი მომივიდა, ამხანაგო გენერალო... ბოდიშს გიხდით! მზად ვარ ნებისმიერი რთული დავალების შესასრულებლად!

– კარგი, კარგი, ოფიციალურობა არაა საჭირო. ჩვენ კვლავ ძველი ურთიერთობა გვაქვს, – გამიღიმა ვიქტორ იაკოვლევიჩმა, – რადგან კაბინეტზე უარს ამბობ, დარჩი სუპერმენად, მაგრამ, დღეიდან მაიორი სუპერმენი იქნები.

შჩუკინს კვლავ გამოვეჯგიმე:

– ვემსახურები საბჭოთა კავშირს!

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ქალეიდოსკოპი

## უნიკალური სამხედრო თვითმფრინავ-დირიჟაბლი

ამერიკულმა კომპანია Aeros-მა განაცხადა, რომ უნიკალური ჰიბრიდული თვითმფრინავ-დირიჟაბლ Aeroscraft-ის გამოცდა წარმატებით დამთავრდა. სამხედრო დანიშნულების მაღალტექნოლოგიურ აპარატზე, რომლის დამზადებასაც ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო და „ნასა“ აფინანსებს, დიდ იმედებს ამყარებენ – როგორც ამბობენ, მან რევოლუცია უნდა მოახდინოს შორეული ფრენის სფეროში.

ექსპერიმენტი ჩატარდა კალიფორნიის შტატში, ლოს-ანჯელესის მახლობლად, ტასტინში, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ანგარებია განლაგებული. 70 მეტრის სიგრძის დირიჟაბლი დამზადებულია ზემსუბუქი ნახშირბადის ბოჭკოსა და ალუმინისგან. გარსის შიგნით კი ჰელიუმია.

ასეთი ტიპის დირიჟაბლს შეუძლია, ათასობით კილომეტრზე სამჯერ მეტი ტვირთი გადაიტანოს, სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავთან შედარებით. ასევე, მას არ სჭირდება ასაფრენ-დასაჯდომი ბილიკი, რადგან ვერტიკალური სტარტისა და დაშვების სისტემითაა აღჭურვილი. ამასთანავე, თვითმფრინავთან შედარებით, მას სამჯერ ნაკლები საწვავი სჭირდება.

სავარაუდოდ, ჰიბრიდული დირიჟაბლი გადაზიდვების ლოჯისტიკაში კოლოსალურ ცვლილებებს გამოიწვევს. დღეს ხომ დიდგაბარიტიანი და ზემძიმე ტვირთები დანიშნულების ადგილამდე თბომავლებით, მატარებლებით, ტრაილერებით გადააქვთ და ამით დიდ დროს კარგავენ. ახალი ტრანსპორტი კი ამერიკელებს უპირატესობას მიანიჭებს. მას დიდი მომავალი აქვს, ასევე, აეროკოსმოსურ დარგში, ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში, გზების მშენებლობასა და ასე შემდეგ.

ექსპლუატაციისთვის Aeroscraft-ს 3 წელიწადში დაამზადებენ. აპარატი 137 მეტრის სიგრძის იქნება და 66 ტონა ტვირთს გადაიტანს.

## ირანი კოსმოსს ითვისებს

ირანმა, ეგრეთ წოდებული, „სიცოცხლის კაფსულის“ კოსმოსურ ორბიტაზე გასაყვანად რაკეტამატარებელი გაუშვა. აპარატის ბორტზე იყო მაიმუნი, რომელიც მშვიდობით დაბრუნდა დედამიწაზე. პრიმატი კოსმოსში – ესაა მოსამზადებელი ნაბიჯი ადამიანის მიერ პილოტირებული კოსმოსური აპარატის გასაშვებად, რაც ირანის კოსმოსური უწყების ხელმძღვანელის, ჰამიდ ფიზელის თქმით, აუცილებლად განხორციელდება 2020 წლამდე.

2010 წლის თებერვლის დასაწყისში თეირანმა თავისივე წარმოებული რაკეტამატარებელი „კავოშგარ 3-ით“ სამეცნიერო გამოცდებისთვის კოსმოსში გაუშვა თაგვი, კუ და ჭიები.

ირანის კოსმოსური პროგრამა დასავლეთის ქვეყნების შეშფოთებას იწვევს – შიშობენ, რომ ირანელები ამ ტექნოლოგიებს ბირთვული მუხტით აღჭურვილი, საიდუმლო ბალისტიკური რაკეტების დასამზადებლად გამოიყენებენ.

## სამი წლის გენიოსი

ბრიტანელი შერვინ შარაბი საერთაშორისო „გენიოსების საზოგადოება“ Mensa-ს სიაში შეიყვანეს. სამხრეთ იორკშირის საგრაფოს, ქალაქ ბარნსლის მცხოვრები ბიჭუნა მსოფლიოს ყველაზე ჭკვიან ადამიანებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პატარაა.

ინტელექტის დონის (IQ) ტესტის ჩაბარების დროს, მისი შედეგი 136 ქულა იყო. ეს იმ დროს, როცა მოზრდილი ადამიანის საშუალო მაჩვენებელი 100-ია, განსაკუთრებით ნიჭიერთა კი – 130.

შერვინმა ლაპარაკი 10 თვისამ დაიწყო. წლისა და 8 თვისა უკვე რთული წინადადებებით საუბრობდა. ახლა კი შეუძლია 200-მდე დათვლა, რუკაზე ნებისმიერი სახელმწიფოს მონახვა და მისი დროშის ჩვენება. ამ ასაკში ინტელექტის ასეთი მაღალი დონე იშვიათია. თუმცა, შარაბი რეკორდსმენი ვუნდერკინდი არ არის. 2011 წელს სამი წლის საფრონ პლეჯერმა ბრიტანული ტელევიქტორინის რვაგზის გამარჯვებულის ქალიშვილმა, IQ ტესტში 140 ქულა დააგროვა, 2009 წელს კი 2 წლისა და 4 თვის ელიზ ტან რობერტსმა – 156.

Mensa სულ 110 ათას ადამიანს აერთიანებს 100 ქვეყნიდან. მათ შორის ყველაზე მეტი ამერიკელია – 56 ათასი, დიდი ბრიტანეთი, 22 ათასი წევრით, მეორე ადგილზეა. მათგან მხოლოდ 100-ია 10 წლამდე ასაკის.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# კრემლში ქართველთა ბატონობის დამხობის ვერაგული გეგმა



**პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლაში სტალინი არავის ინდობდა, მათ შორის ისეთ ადამიანებსაც, რომლებიც მის ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ**

***ბელადის განუზომელ ძალაუფლებასა და საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყველა წარმატებისა თუ მიღწევის სტალინის დამსახურებად აღქმა დიდად აღიზიანებდა საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ელიტის ნაწილს. აგრეთვე, რუსულ ინტელიგენციას უზომოდ აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის ერთპიროვნული მმართველი იყო არა რუსი, არამედ ქართველი და ეს ქართველი გაცილებით დიდ ძალაუფლებას ფლობდა, ვიდრე ბოლო რომანოვი იმპერატორები. სწორედ ამ თემაზე იქნება ჩვენი სტატია, რომელიც მომზადდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ვახტანგ გურულის მასალების მიხედვით.***

საბჭოთა კავშირის ქართველი მმართველისადმი ზიზღმა კულმინაციას მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, ფართომასშტაბიანი პოლიტიკური რეპრესიების დროს მიაღწია. მართალია, დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, მაგრამ, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, საბჭოთა პოლიტიკური ელიტის ნაწილი სტალინის გადაყენებასა და მისი უფრო ლოიალური პოლიტიკური ლიდერით ჩანაცვლებას გეგმავდა. ცხადია, იოსებ სტალინი გრძნობდა ყოველივეს და სავარაუდო კონკურენტებსა და მათ მხარდამჭერებს დაუნდობლად უსწორდებოდა.

პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლაში სტალინი არავის ინდობდა, მათ შორის ისეთ ადამიანებსაც, რომლებიც მის ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ.

სიკვდილით იქნა დასჯილი დიდი რეპრესიების ორი გამოჩენილი ორგანიზატორი – საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრები (მინისტრები): ჰენრიხ იაგოდა და ნიკოლაი ეჟოვი, ხოლო 1938 წელს ამ თანამდებობაზე ლავრენტი ბერია დანიშნა.

ქართველმა ლავრენტი ბერიამ სპეცსამსახურებში დიდი წმენდა ჩაატარა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე თბილისიდან გადაყვანილი ერთგული თანამებრძოლები (სერგო გოგლიძე, ბოგდან ქობულოვი, ვლადიმერ დეკანოზოვი და სხვები) დანიშნა.

ახლა კი ზიზღი უკვე სტალინისა და ბერიასადმი დღითიდღე იზრდებოდა, მაგრამ, მათი ხელისუფლებიდან ჩამოშორების მცდელობის საკითხი დღის წესრიგიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ მოხსნა. რუსები მიხვდნენ, რომ ამ დიდი განსაცდელისგან სტალინის გარეშე თავს ვერ დაიხსნიდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ვითარება კიდევ უფრო შეიცვალა. საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ელიტის ნაწილს მიაჩნდა, რომ ამიერიდან ფონს სტალინისა და ბერიას გარეშეც გავიდოდნენ. ძალიან ფრთხილად, კონსპირაციის ყველა წესის დაცვით, დაიწყო სტალინისა და ბერიას წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რუსებმა ჯერ ბერიას თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. ყველა კარგად გრძნობდა, რომ სტალინი დიდხანს ველარ იცოცხლებდა და, თუ მას ლავრენტი ბერია შეცვლიდა, რუსებს კიდევ დიდხანს მოუხდებოდათ კრემლში ქართველების ბატონობის ატანა. ამის დაშვება კი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის დიდ ნაწილს (ნიკიტა ხრუშჩოვი, ლაზარ კაგანოვიჩი, ნიკოლაი ბულგანინი, გიორგი ჟუკოვი და სხვები) არასგზით არ სურდა.

გადაწყდა ლავრენტი ბერიას გზიდან ჩამოცილება, რაც ადვილი საქმე არ იყო...

უპირველეს და ყველაზე ძნელ ამოცანას წარმოადგენდა სტალინის დარწმუნება ბერიას მოღალატეობაში, რადგან, სტალინის ნებართვის გარეშე ბერიას ხელს ვერავინ ახლებდა. საინტერესოა, ისეთი რა ბრალი უნდა წაეყენებინათ ლავრენტი ბერიასათვის, რომ დამაჯერებელი ყოფილიყო; ბერიასთვის, რომელსაც მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი ავტორიტეტი შესძინა და იმჟამად ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა. საბჭოთა პოლიტიკური ელიტის იმ ნაწილმა, რომელსაც ნიკიტა ხრუშჩოვი ედგა სათავეში, ძალზე ვერაგული გეგმა მოიფიქრა: ბერიასთვის ბრალი უნდა დაედოთ „მეგრელ ნაციონალისტთა" მფარველობასა და წაქეზებაში. გეგმის რეალიზების გზაც ძალზე ეშმაკურად მოხაზეს. ინფორმაცია ბერიას „მეგრელ ნაციონალისტთა" მფარველობის შესახებ მოსკოვში თბილისიდან უნდა შესულიყო და ისე უნდა ყოფილიყო შედგენილი, რომ სტალინი მის ჭეშმარიტებაში არ დაეჭვებულიყო. უკეთეს გეგმას ბერიას დასამხობად რუსები ვერ მოიფიქრებდნენ.

ბერიას წინააღმდეგ შეთქმულების წარმატებით განხორციელებაში მთავარი როლი უნდა ეთამაშა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საიდანაც უნდა წასულიყო ინფორმაცია მოსკოვში „მეგრელ ნაციონალისტთა" შესახებ. ეს კი შეუძლებელი ჩანდა, რადგან საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, ავქსენტი რაფავა, ბერიას ერთგული იყო. ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა ჯგუფმა მოახერხეს ბერიას ნების წინააღმდეგ მინისტრობიდან ავქსენტი რაფავას გათავისუფლება და მის ადგილას ნიკოლოზ რუხაძის დანიშვნა. ნიკოლოზ რუხაძე თავიდანვე იყო საქმის კურსში, რომ ბერიას წინააღმდეგ უნდა შეეთხზა „მეგრელ ნაციონალისტთა საქმე". რუხაძის კანდიდატურა შემთხვევით არ შერჩეულა, მას ბერია ეზიზღებოდა და პიროვნულადაც დაინტერესებული იყო მის განადგურებაში.

1951 წლის ნოემბრიდან ნიკოლოზ რუხაძის მეთაურობით დაიწყო „მეგრელ ნაციონალისტთა საქმის" შეთხზვა. მისი პირველი მსხვერპლი გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი მიხეილ ბარამია. დააპატიმრეს საქართველოს იუსტიციის მინისტრი ავქსენტი რაფავა, საქართველოს მთავარი პროკურორი ვლადიმერ შონია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პეტრე შარია და ბევრი თანამდებობის პირი სამეგრელოს რეგიონიდან. აპატიმრებდნენ მეგრული წარმოშობის იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც თბილისში, ბათუმში და სხვაგან თავის დროზე ლავრენტი ბერიას მიერ იყვნენ დანიშნულები. საგამოძიებო მასალებში ჩნდება აშკარად შეთხზული ცნობები ორგანიზაცია „ჭმეგრელი ნაციონალისტების" არსებობის შესახებ.

ნიკოლოზ რუხაძე საიდუმლო მოხსენებებს უშუალოდ სტალინს უგზავნიდა. თავად რუხაძე ხვდებოდა, რომ ცეცხლს ეთამაშებოდა და, ამიტომ, სტალინისთვის გასაგზავნი მოხსენების მანქანაზე გადაბეჭდილ ტექსტში, მემანქანეს გვარების ადგილს ატოვებინებდა და შემდეგ თავისი ხელით ავსებდა მათ. ასე რომ, რუხაძის მოხსენებით ბარათში ჩამოთვლილი პირების ვინაობა იცოდა ორმა ადამიანმა: თავად ნიკოლოზ რუხაძემ და იოსებ სტალინმა.

მეტად საინტერესოა, – გრძნობდა, თუ არა სტალინი, რომ „მეგრელ ნაციონალისტთა საქმე" თავიდან ბოლომდე შეთხზული იყო და ის ბერიას დამხობას ისახავდა მიზნად? ენდობოდა, თუ არა სტალინი ნიკოლოზ რუხაძეს? ერთი რამ ცხადია: საქართველოში უამრავი ადამიანი დააპატიმრეს, სასტიკად აწამებდნენ მათ ციხეებში, გამოძიების მასალები უკვე ათეულ ტომს ითვლიდა, მაგრამ მოსკოვში ეს საქმე გახმაურებული არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ თბილისში გამოძიების პროცესში დაგროვილ ათეულობით ტომში ლავრენტი ბერიას გვარი არსად ფიგურირებდა. ძალზე საინტერესოა ისიც, რომ სტალინს ბერიასთან „მეგრელ ნაციონალისტთა საქმის" ძიების დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგაც კი, არავითარი საუბარი არ ჰქონია. სტალინი რაღაცას ელოდა, გადაწყვეტილებას არ იღებდა, თუმცა, თბილისში მიმდინარე გამოძიებით დიდად იყო დაინტერესებული. არც ლავრენტი ბერია ჩქარობდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში თანამდებობის პირები – ბერიას უერთგულესი ადამიანები დააპატიმრეს, ამ უკანასკნელს თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი ხდებოდა. ლავრენტი ბერია იმთავითვე მიხვდა, რომ „მეგრელ ნაციონალისტთა საქმე" მის დასამხობად იყო გამოგონილი. ბერია რომ საქმის ძიების მსვლელობით დაინტერესებულიყო ან დაპატიმრებულთაგან რომელიმე პიროვნების დაცვა ეცადა, ამით არაპირდაპირ დაადასტურებდა თავის კავშირს „მეგრელ ნაციონალისტებთან". ასეთ შეცდომას კი ლავრენტი ბერია არ დაუშვებდა. დუმდა სტალინი, დუმდა ბერიაც. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ სტალინს დიდად არ სჯეროდა არც მეგრელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის არსებობა და არც მეგრელ ნაციონალისტებთან ლავრენტი ბერიას კავშირი. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ „მეგრელ ნაციონალისტთა საქმის" ძიება ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როცა სტალინმა ერთ-ერთი ოფიციალური გამოსვლისას ყველას აგრძნობინა, რომ მას არ სჯეროდა ბერიას მონაწილეობა ამ საქმეში. იქნებ, სტალინის ეს ღია და პირდაპირი განცხადება იმ ადამიანების გასაგონად იყო ნათქვამი, ვინც ბერიას წინააღმდეგ „მეგრელ ნაციონალისტთა საქმე" ააგორეს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ასეთი კატეგორიული განცხადებისა, სტალინს „მეგრელ ნაციონალიტთა საქმის" ძიების შეწყვეტის ბრძანება არ გაუცია, პირიქით, დაპატიმრებები კვლავ მიმდინარეობდა. ბელადის პოზიციის გასარკვევად, ძალზე მნიშვნელოვანია

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

## მანდარია

**მანდარია** მარღანიების შტო-გვარია.

არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, ორი ძმა მოსისხლეობის გამო ლეჩხუმში გადასახლდა. **მანდარიების** ძმა დადიანს მოუკლავს. შურისმაძიებელმა ძმებმა თავადს ერთიანად ამოუძირკვეს უცხოეთიდან ჩამოტანილი ვაზის ჯიში – „უსახლოური“.

ასევე, არსებობს სოფელი **მანდაეთი**, რომელიც თავის დროზე შედიოდა ქუთაისის ოლქის იმერეთის მაზრაში. ფიქრობენ, რომ სოფელს სახელი **მანდარიების** გამო შეარქვეს. ყველაზე ბევრი **მანდარია** სწორედ სოფელ **მანდაეთში** ცხოვრობს.

აგრეთვე, არსებობს მოსაზრება, რომ გვარი **მანდარია** წარმოიშვა მამაკაცის საკუთარი სახელიდან – **მანდარი**, რომელიც ალექსანდრე ღლონტს ლეჩხუმში აქვს დაფიქსირებული.

საქართველოში 469 **მანდარია** ცხოვრობს: თბილისში – 150, ცაგერში – 98, ქუთაისში – 56. არიან სხვაგანაც.

## გოგაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გოგა**.

სოფელ ერტისში, თამაზ თურქისტანიშვილის ყმების სიაში მოიხსენიება გურგენა **გოგაშვილი**.

1832 წელს, ქრისტესია **გოგაშვილისა** და მაიას ვაჟის, თევდორეს მიმრქმელი იყო თავად ზაზა სოლოღაშვილის ყმა, ბორბალოში მცხოვრები ტეტია ასურელი.

საქართველოში 814 **გოგაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 228, გურჯაანში – 123, სიღნაღში – 86. არიან სხვაგანაც.

## ბიძინაშვილი

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ბიძინა**. ეს სახელი მომდინარეობს სიტყვიდან **ბიძა**. ადრე ეს გვარი იწერებოდა როგორც ბიძინასშვილი.

**„ბიძინასშვილი**, ქალაქს მცხოვრები მეწისქვილე, ერთი კომლი, შაჰნავაზმა მისი წყალობა განუახლა ეინალ მირიმანაშვილს” (1661 წელი).

**„ბიძინაშვილი**, ერთი კომლი, მამულით, კათალიკოსმა იოვანე დიასამიძემ უწყალობა არქიმანდრიტ ნიკოლოზ გაბადიძეს” (1698 წელი).

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათას გვარს შორის, **ბიძინაშვილებს** რაოდენობით 520-ე ადგილი უჭირავთ.

**ბიძინაშვილები** ცხოვრობენ სამეგრელოშიც. ადგილობრივი ვარიანტია ბინძასქუა. ასევე, გვხვდება **საბიძნასქუო** – დასახლებული უბანი გალენწყაროს ნაპირას (დარჩელი). გვარი დასტურდება მეჩვიდმეტე საუკუნის საბუთებშიც.

**ბიძინაშვილები** ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში. არის როგორც დამოუკიდებლად გაჩენილი, ისე ჯანდიერიშვილ-ჯანდიერიდან, ავალიშვილიდან და სხვა გვარიდან ნაწარმოები შტო-გვარიც.

**„ბიძინაშვილი** ნიკოლა, კარბს მცხოვრები, ჰყავს ძმა ბეჟუა, ავთანდილ ამილახორის მეკოდისპურე ყმა” (1700 წელი).

**„ბიძინაშვილი** თამაზ, ქარელს მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის დროს, ის და მისი განაყოფი ბერა, მამულებით, წილად ხვდნენ ედიშერს” (1688-1703 წლები).

საქართველოში 1 785 **ბიძინაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 525, გორში – 270, თელავში – 171. არიან სხვაგანაც.

## ხატიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ხატია**.

1736 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელიც იესე სოლოღაშვილს ორხელიშვილისთვის მიუცია, მოიხსენიება ბეჟუა **ხატიაშვილი.**

1721 წელს ახალშენში მოიხსენიება სულხანა ქავთარაშვილის ყმა – ვახუშტი **ხატიაშვილი.**

საქართველოში 2 601 **ხატიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 893, სიღნაღში – 613, თელავში – 322. არიან სხვაგანაც.




## ხაბაზაშვილი

გვარის ფუძეა მესაქმეობის აღმნიშვნელი სიტყვა **ხაბაზი**, რაც პურის მცხობელს ნიშნავს.

ბაგრატ **ბაგრატიშვილის** მამულში მოიხსენიება ქიტუა **ხაბაზაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები **ხაბაზი** და **ხაბაზიშვილი**.

საქართველოში 96 **ხაბაზაშვილი** ცხოვრობს: ახმეტაში – 43, თბილისში – 24, გორში – 11. არიან სხვაგანაც.

467 **ხაბაზი**: ქობულეთში – 381, ბათუმში – 34, ქედაში – 31. არიან სხვაგანაც.

## მაილაშვილი

გვარის ფუძე – **მაილა** აღმოსავლეთ მთიანეთში დიალექტია.

ვერც ეს გვარი გადაურჩა ცვლილებებს და გვხვდება გვარის ორი ფორმა, კერძოდ, **მაილანი** და **მაილოვი**.

საქართველოში 178 **მაილაშვილი** ცხოვრობს: ახმეტაში – 141, გურჯაანში – 17, თბილისში – 11. არიან სხვაგანაც.

## მდივნიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **დივანა.**

**მდივანი** თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვაა.

**„დივანიშვილები** არიან გვარით დვინთის გვარისა თუმანისშვილებთაგანი. ამათმა გვარმა პირველმა განითვისა თუმანიშვილობა და მეორემ **დივნიშვილობა.”**

1690 წელს, სოფელ კუმისში, დავითს სოლოღაშვილის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება გოლუა **დივანიშვილი.**

1721 წლიდან გვარი **დივანაშვილი** მდივნიშვილად გავრცელდა და დღეს ამ ფორმით გვხვდება.

საქართველოში 550 **მდივნიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 215, გარდაბანში – 56, ხარაგაულში – 47. არიან სხვაგანაც.

## კოსტანაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კონსტანტინე** და მისი შემოკლებითი ფორმა **კოსტა. კონსტანტინე** ლათინური სახელია და უმტკიცესს, მედგარს ნიშნავს.

**კონსტანტინეს** კნინობითმა ფორმამ, კოსტამ მოგვცა გვარი **კოსტანაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები **კოტეტიშვილი** და **კოსტავა**.

საქართველოში 35 **კოსტანაშვილი** ცხოვრობს: ახალციხეში – 31, ადიგენში – 2, გურჯაანში – 2.

## აბაშიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **აბაშა**. მისგანაა ნაწარმოები გვარები: **აბაშიძე, აბაშიშვილი** და **აბაშია.**

„თავადი **აბაშის** შვილნი იყვნენ ძველად ყიფიანნი ეგვიპტის ნაწილითგან. ოდეს მეფესა დიმიტრის ბრძოლასა შინა ეგვიპტელთასა ცხენი მოუკლეს, მაშინ **აბაშმან** ამან ცხენი თავისი მიართო და განარინა მათ წელსა ქრისტესა აქეთ 1285-სა და, შემდგომად ბრძოლისა, მეფემან მიილო **აბაში** იგი მერეთ, შემდგომად მოსვლისა ქართლსა შინა, თანა მოჰყვა **აბაში** იგი და მეფემან ჯილდოდ უბოძა თავადობა **აბაშადვე** წოდებით და სომხითსა შინა სამეფოთგან ადგილნი და სოფელნი ორბისის მხარეს და სხვაგან და მუნ ჟამითგან არიან თავადად **აბაშად** აღიარებულნი გარნა ამა დროსა შინა ასწუდა გვარი მათი და არ ვილა არიან შთამომავლობანი მისნი.”

**აბაშიშვილები** ქვემო ქართლში იყვნენ მებატონეები. დავით **აბაშიშვილს** 1721 წელს ყმები ჰყოლია კიკეთში, გოლთეთში, ფარცხისში, ოშეთში, მჟავისში, გარისში, ეცოში, უკანდაღეთსა და დიაში.

1721 წელს **აბაშიშვილი** და ეპისკოპოსი იოსებ სააკაძე მანგლისის საეკლესიო მიწისა და იქ მოსახლე გლეხებზე პრეტენზიას აცხადებდნენ და ამის თაობაზე ვახტანგ მეფესთან წარდგნენ.

1785 წელს ლუარსაბ **აბაშიშვილმა** იოანე ეპისკოპოსს შესწირა სოფელი არმანეთი.

საქართველოში 153 **აბაშიშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 115, თბილისში – 27, გორში – 11.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

შემდეგი ფაქტი: 1952 წლის ივლისში თანამდებობიდან გაათავისუფლეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, „მეგრელ ნაციონალისტთა საქმის“ მთავარი შემთხზველი ნიკოლოზ რუხაძე. ვისი დამსახურება იყო ეს – იოსებ სტალინის მიერ დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილება, თუ სტალინისა და ბერიას საიდუმლოო მოლაპარაკების? ერთი რამ ცხადია, სტალინი რუხაძეს აღარ ენდობოდა და ამიტომ გაწირა ის. რუხაძე თბილისიდან მოსკოვში, ლეფორტოვოს ციხეში გადაიყვანეს. დაიწყო მისი საქმის გამოძიება. სამი წლის განმავლობაში რუხაძე თავის მართლებას ცდილობდა, თუმცა მისი არავის სჯეროდა. ლავრენტი ბერიას ნიკოლოზ რუხაძის სწრაფად დახვრეტა ხელს არ აძლევდა, რადგან, მას უნდა დაესახელებინა ბერიას წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ორგანიზატორები. რუხაძემ კარგად იცოდა, როგორც კი ამ ინფორმაციას გასცემდა, მას მაშინვე დახვრეტდნენ. სტალინიც არ ჩქარობდა რუხაძის დახვრეტას – ეტყობა, მასაც ბევრი კითხვა გაუჩნდა „მეგრელ ნაციონალისტთა საქმის“ ძიების პროცესში. ნიკოლოზ რუხაძეს ბედმა გაუღიმა – მან ციხეში მყოფმა შეიტყო, ჯერ სტალინის გარდაცვალების, შემდეგ კი ბერიას დახვრეტის ამბავი. თუმცა, ბედმა გაუღიმა მხოლოდ დროებით. რუხაძე იმავე ადამიანებმა (ხრუშჩოვმა და მისმა თანამოაზრეებმა) გაწირეს, რომლებმაც ბერიას წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მთავარი როლის შესრულება დააკისრეს: 1955 წელს იგი გაასამართლეს და სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს.

სტალინის გარდაცვალებამ და ბერიას მკვლელობამ „მეგრელ ნაციონალისტთა საქმეში“ ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი დატოვა. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში დროებით ზავი ჩამოვარდა – სტალინის სიკვდილმა ხელისუფლებისთვის მებრძოლები გარკვეულ დრომდე შეარიგა.

**მოამზადა ანრი შავლაძემ**

# ხართ წესრიგის მოყვარული?

*ზოგიერთ ადამიანს შინაგანად აქვს წესრიგის მოთხოვნილება და ამისთვის სულაც არ სჭირდება განსაკუთრებული ძალისხმევა. თქვენ როგორ ხართ?*

**1. ხდება ისე, როცა ხელფასამდე ფული არ გყოფნით?**

ა) ძალიან ხშირად სწორედ ასე ხდება;

ბ) საკმაოდ იშვიათად, მაგრამ, ხდება;

გ) მსგავსი რამ არასდროს მომხდარა.

**2. მშვიდად ხართ, როცა სამზარეულოს ქურა კერძით არის დაწუწული?**

ა) დიახ. სულ დასვრილია და ეს არ მაწუხებს;

ბ) არ დავკვირვებივარ;

გ) ეს ძალიან მანერვიულებს და სულ ვწმენდ.

**3. თქვენს ოჯახში ვინ აუთოებს მამაკაცის პერანგებს?**

ა) არც არავინ. რა საჭიროა?

ბ) ჩემი ქმარი (ცოლი);

გ) მხოლოდ მე.

**4. თუ სტუმარი მოულოდნელად გეწვევათ, სუფრაზე მიიტანთ:**

ა) ნახევარფაბრიკატებს;

ბ) რამეს, ჩემს მომზადებულს;

გ) რასაც იმ მომენტისთვის უახლოეს მაღაზიაში ვიყიდი.

**5. ჩვეულებრივ, გჭირდებათ დამხმარე წესრიგის დასამყარებლად?**

ა) არა, მე თავადაც ვახერხებ;

ბ) მხოლოდ დამხმარე მშველის;

გ) ზოგჯერ მჭირდება.

**6. ჩვეულებრივ, როდის ასუფთავებთ და რეცხავთ ზამთრის ტანსაცმელს?**

ა) როგორც კი ზამთრის სეზონი მთავრდება, მაშინვე;

ბ) ზამთრის დასაწყისში;

გ) როცა გაჭუჭყიანდება, მაშინ.

**7. თქვენს ბინაში წესრიგი მიღწეულია, როცა...**

ა) ნიჟარაში ჭუჭყიანი ჭურჭელი არ არის დახვავებული;

ბ) იატაკი სუფთაა და მტვერი არსად ჩანს;

გ) ყველაფერი ბრწყინავს და ლაპლაპებს.



**8. ხშირად გიფუჭდებათ პროდუქტები და ყრით?**

ა) არა. ძალიან იშვიათად.

ბ) არასოდეს გამფუჭებია პროდუქტი;

გ) სულ ასეა.

**9. ძირითადად, რა მდგომარეობაშია თქვენი ნივთები?**

ა) იდეალურ წესრიგშია. ყოველთვის ყველაფერი თავის ადგილზე დევს;

ბ) მთელ ოთახშია მიმოფანტული;

გ) კარადებშია შეყრილი და თვალს მოფარებული.

**10. სახლში რომ თავი კარგად იგრძნოთ, თქვენთვის აუცილებელია:**

ა) იდეალური წესრიგი და სისუფთავე;

ბ) თბილი, კეთილგანწყობილი ატმოსფერო;

გ) შემოქმედებითი უწესრიგობა.

**ტესტის გასაღები**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 1 | 5 | 3 | 1 | 5 | 5 | 1 | 3 | 5 | 5 |
| ბ | 3 | 1 | 1 | 5 | 3 | 1 | 3 | 5 | 1 | 3 |
| გ | 5 | 3 | 5 | 3 | 1 | 3 | 5 | 1 | 3 | 1 |

**ნახეთ შედეგები:**

*10-23 ქულა: ოჯახური მეურნეობა და წესრიგი სათქვენო საქმე არ არის. ვერც კი ხვდებით, რატომ უნდა დახარჯოთ ამ ყველაფრისთვის ენერგია – ცხოვრებაში ხომ უამრავი საინტერესო რამეა.*

*24-37 ქულა: თქვენი სახლი იდეალური წესრიგით არ გამოირჩევა, თუმცა, თქვენ ამის სურვილი გაქვთ. ცდილობთ, ნივთებს თავისი ადგილი მიუჩინოთ, მაგრამ წესრიგი თქვენი ცხოვრების აზრი არ არის.*

*38-50 ქულა: დაავადებული ხართ წესრიგით. მზად ხართ, მთელი დრო სახლის დალაგება-დასუფთავებას დაუთმოთ. არც ძალა და ღონე გენანებათ. ერთხელ მაინც წადით კინოში...*

## საგვარეულო ოქრო



მაკედონიის ის ნაწილი, სადაც დიდი ალექსანდრე მაკედონელი დაიბადა, დღეს ბულგარეთის საკუთრებაა. ადგილობრივი არქეოლოგებიც ხელებდაკაპიწებულები ეძებენ ყველაფერს, რაც ამ უდიდესი პიროვნების სახელთან არის დაკავშირებული.

ქალაქ სვეშტარის მიდამოებში ნაპოვნი იქნა სამკაულები, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელის მამას, ფილიპე მეორეს ეკუთვნოდა. თრაკიული სამარხის ზედა ფენაში აღმოაჩინეს უძველესი ხის ყუთი დამწვარი ძვლებით, სარიტუალო ნივთებითა და ოქროთი ნაქარგი ქსოვილის ნარჩენებით; ასევე, ოქროს ბეჭდები, ქალის ოქროს ფიგურები, 100 ცალი ოქროს ღილი და ყელსაბამი. ყველაზე ფასეული აღმოჩენაა დიადემა, რომელზეც უძველესმა იუველირმა ლომის თავი ამოტვიფრა და აქეთ-იქით ცხენის ოქროს ფიგურებით შეამკო. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ყველა ეს ნივთი ფილიპე მეორის საკუთრება იყო.

## ტროას „დაბრუნება"

მეცხრამეტე საუკუნეში ტროას აღმოჩენას შლიმანის მიერ ბევრი უარყოფითი შედეგიც მოჰყვა: გათხრები წესების დარღვევით და დილეტანტურ დონეზე მიმდინარეობდა. განძის დიდი ნაწილი კონტრაბანდის გზით თურქეთიდან გაიტანეს და მსოფლიოს დიდ მუზეუმებს მიჰყიდეს. დღეს ეს ნივთები 47 კოლექციაშია მიმოფანტული.



უკვე რამდენი წელია, თურქეთის მთავრობა კატეგორიულად მოითხოვს საგანძურის მათთვის გადაცემას. მარტო მოსკოვის პუშკინის სახელობის გამომსახველობით მუზეუმში 8 800 ექსპონატია დაცული, ერმიტაჟში – 11 000 ექსპონატი. გამორიცხული არ არის, რომ, ადრე თუ გვიან, ამ საგანძურმა ისევ თურქეთში გადაინაცვლოს, თუმცა, რუსეთი ამას ძალიან ეწინააღმდეგება.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# „მკვლელი" ფანჯარა

## ელ ბერტენი

ძალიან წვიმდა, თორემ, უცხო ეზოში ფეხს არ შედგამდა. ეზო რომ იყო და შიგნით ბაღი, ამასაც მესერით მიხვდა, ისე იყო გავერანებული იქაურობა, არადა, ერთ დროს ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყო. გაველურებული იასამნისა და ვარდის ბუჩქებიდან, ქარის ოდნავ ამოქროლებაზე ნაკადულივით იღვრებოდა წყალი. ეს ქარი ძვალსა და რბილში ატანდა. სახლიც უკაცრიელი ჩანდა და, ერთი შეხედვით, პირქუშიც. თითქოს მობინადრეებმა მიატოვესო, ფანჯრებზე ფარდები არ ეფარა. ძველებური, გოთური ტიპის სარკმლები ჰქონდა – ვიწრო, მაღალი და ტიხრებით რამდენიმე ნაწილად გაყოფილი მინებით. ისევ წვიმამ აიძულა, ვარდებით დაფარულ ბილიკზე რამდენიმე ნაბიჯი გადაედგა. სახურავი რომ ჰქონოდა სახლს, ცოტას მაინც ამოისუნთქებდა ამ საშინელი ნიაღვრისგან... უცებ, მისთვის სრულიად მოულოდნელად, ბუჩქებს შორის მამაკაცის ფიგურა აღიმართა. ეს ისეთი უცნაური იყო, რომ ცოტათი შეკრთა კიდეც. არ ელოდა, რომ აქ ადამიანის მსგავსი არსება დახვდებოდა. შიში არ უგრძნია. მამაკაცი მშვიდობისმოყვარე ჩანდა. ოდნავ პუტკუნა ლოყებით, მელოტი და ღვთისმსახურის მოძველებულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ისე მიდიოდა თავსხმა წვიმაში, თითქოს საერთოდაც ვერ გრძნობდა. თავშიშველს წყალი ნაკადულებივით ჩამოსდიოდა სახეზე, მაგრამ, მაინც იღიმებოდა... უცებ შეჩერდა და უცნობს განცვიფრებით მიაჩერდა.

– შეიძლება, თქვენთან შევეფარო?

– ჩემთან შეეფაროთ?! – ისე გაიმეორა კაცმა, თითქოს სიტყვების არსს ვერ ჩასწვდაო.

– დიახ. ძალიან წვიმს...

– აჰ, წვიმა... მართალია, წვიმს... და, თქვენ გინდათ, რომ სახლში შემოხვიდეთ?

– თუ თქვენ რამე პრობლემას არ შეგიქმნით, ცოტა ხნით შემიკედლეთ, სანამ წვიმა გადაიღებს... იქნებ, გავშრე კიდეც.

– აა, დიახ, მართალი ბრძანდებით... მაგრამ, მინდა, თავიდანვე გაგაფრთხილოთ, რომ ცოტათი უცნაური სახლია... არც მოწყობილი გვაქვს და ვერც ვერაფრით გაგიმასპინძლდებით. ჩემი წინამორბედი ღვთისმსახური იყო და კომფორტზე არ იზრუნა.

– არა უშავს, არაფერი მინდა. ეს წვიმა ისეთი შემაწუხებელია...

– მაშინ, წავიდეთ. პრინციპში, მე უკვე გითხარით, რისი თქმაც მინდოდა... – მხრები აიჩეჩა უცნაურმა მასპინძელმა და ბილიკს ფეხათრევით გაუყვა...

წვიმა რომ არა, ალბათ, ასეთ უხასიათო მასპინძელთან და ასეთ პირქუშ გარემოში ერთ წუთსაც არ გაჩერდებოდა... გული უსიამოვნოდ შეუფრთხიალდა, მაგრამ, საშიშროება ისევ ვერ იგრძნო. ახლა მხოლოდ ერთი მწველი სურვილი ამოძრავებდა – მალე შეჰფარებოდა ჭერს და ამ საზიზღარი სისველის განცდას გაჰქცეოდა...

სახლი შიგნიდან უფრო უბადრუკად გამოიყურებოდა, თითქმის ცარიელი ოთახებით, გაქუცული ხის კიბითა და ნახევრად ბნელი დერეფნით.

– სკამები მხოლოდ ერთ ოთახში გვაქვს, აი, აქ... ტანსაცმელიც სველი გაცვიათ... ანაფორას შემოგთავაზებთ – ჩემმა წინამორბედმა დატოვა.

– არა, ნუ შეწუხდებით, ძალიანაც არ მაწუხებს ეს სისველე. მთავარია, თავზე აღარ მაწვიმს.

– სამზარეულო გვაქვს, მაგრამ, მე ამაში არაფერი გამეგება. სოფლიდან ქალი ამოდის ხოლმე დილით და საღამოს და საჭმელი ამოაქვს. შეგიძლიათ, ჩაი მოიდუღოთ. მე ამასაც ვერ მოვახერხებ.

– არ მინდა. ისედაც, მგონი, შეგაწუხეთ.

– თქვენ თუ აქ თავს კარგად იგრძნობთ, მაშინ მე პრობლემა არ მაქვს. ისედაც მინდოდა, ხმის გამცემი. მჭირდებოდა... ზოგჯერ ისეთი დათრგუნული ვარ...

ოთახი, რომელშიც აღმოჩნდნენ, ისეთივე ულიმღამო იყო, როგორც მთლიანად შენობა. ოთახის შუაგულში უბრალო ხის მაგიდა იდგა, გარშემო შემოწყობილი ექვსი სკამით. კუთხეში კიდევ ერთი, შედარებით პატარა მაგიდა ედგათ. ზედ მბჟუტავი ლამპა ხრჩოლავდა. სახლის პატრონმა ერთ-ერთ სკამზე მიუთითა.

– მანდ დაბრძანდით.

– გმადლობთ. დიდხანს არ შეგაწუხებთ...

– თითქოს ამ სიტყვების საპირისპიროდ, წვიმამ უმატა და ქარიც გაძლიერდა. ფიგურებიან ფანჯრებში გამოსახულება აირეკლა. სტუმარმა საკუთარი თავი ხუთად დაინახა და უსიამოვნო განცდა დაეუფლა... უხერხულობა რომ გაეფანტა, საუბარი წამოიწყო:

– ესე იგი, თქვენ ღვთის მსახური ხართ. ახლა მესმის თქვენი მოკრძალებული საცხოვრისის.

– არა, – გააქნია მასპინძელმა თავი, – საცხოვრებელი, როგორც უკვე გითხარით, ჩემი წინამორბედისგან დამრჩა. ღვთისმსახური ის იყო. ეს ტანსაცმელიც, რაც მაცვია, აქ დამხვდა. ისე კი, მე მკვლელი ვარ... აი, თქვენ იცინით – ესე იგი, არ გჯერათ, მაგრამ, სიმართლეს მოგახსენებთ. რამდენი ხანია, მინდა, ვინმეს გული გადავუშალო და ჩემი დანაშაულის შესახებ მოვუყვე... ხომ არ შეგაშინეთ? არა? ძალიან კარგი. თუმცა, ეს კარგი რატომ უნდა იყოს... იმასაც არ შეშინებია. აი, იმას, ჩემს წინამორბედს. მე კი ისე მინდოდა, ჩემი აღსარება მიეღო და, ალბათ, ცოტათი გულზეც მომეშვებოდა...

– ხუმრობთ, ალბათ... – სტუმარმა ნაძალადევად გაუღიმა, – მკვლელს სულაც არ ჰგავხართ. საერთოდ არ ჰგავხართ.

– ასეა. მე იმას ვგავარ, ჩემს წინამორბედს – მისი ზუსტი ასლი ვარ...

– მართლა? რა უცნაურია...

– დიახ, ცოტათი უცნაური ნამდვილად არის. იმ საღამოს ისიც ზუსტად მაგ ადგილას იჯდა მოწყენილი და საკუთარ გამოსახულებას აკვირდებოდა. შეამჩნიეთ, ხომ? – ფანჯარაში ზუსტად თქვენი ხუთი „მე" ჩანს. დააკვირდით კარგად... ხუთი ერთი და იგივე პიროვნება. ხუთი „მე" და ხუთივე ერთნაირი უნდა იყოს... ხომ ასეა?

– ასეა... – სტუმარს ხმა გაუწყდა, რადგან იგრძნო, რომ მასპინძელმა ნელ-ნელა გადაინაცვლა მის ზურგს უკან, თან საუბარს განაგრძობდა, ოღონდ, უკვე ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით.

– ხუთი „მე" და ამ ხუთიდან ერთი მოულოდნელად ქრება... ეს სახლი იდუმალებით არის სავსე: შენ ხარ და, უცებ – არც ხარ.

– სისულელეა ეს ყველაფერი, არსად არ გავმქრალვარ. აი, ხუთად ვარ ამ მინაში...

– უყურეთ, კარგად უყურეთ, დიდხანს უყურეთ... ისიც ასე ამბობდა, ის, ჩემი წინამორბედი, მერე კი გაქრა...

სტუმარი დაიძაბა. წამოდგომას შეეცადა... უცებ აღმოაჩინა, რომ მისი ერთ-ერთი გამოსახულება ნელ-ნელა ფერმკრთალდებოდა და ერთბაშად პანიკური შიში იგრძნო...

– უნდა წავიდე... გმადლობ მასპინძლობისთვის, – მისი სიტყვები ჰაერში გამოკიდებულივით დარჩა, ვეღარც წამოდგომა შეძლო – მასპინძლის ძლიერი ხელები მას მხრებზე ეწყო და განძრევის საშუალებას არ აძლევდა...

– მე თქვენ გაგაფრთხილეთ ამ სახლის შესახებ... ხომ გაგაფრთხილეთ? თქვენი ერთი „მე" კი გაქრა – უკვე აღარ ჩანს... – ხმა სულ უფრო ავბედითად გაისმოდა. მერე ყელზე ცივი თითების შეხება იგრძნო. შეაჟრჟოლა და უკანასკნელად გაიბრძოლა. ყვირილსაც ვეღარ ახერხებდა და, რომც ეყვირა, მაინც ყველაფერი ამაო იქნებოდა... მხოლოდ ექო თუ გამოეპასუხებოდა ყრუ გამოძახილით... თითები კი თავის საქმეს აკეთებდნენ – სულ უფრო მაგრად უჭერდნენ, უჭერდნენ და, ბოლოს, საკუთარ ხროტინთან ერთად, გამაყრუებელი ხარხარი გაიგონა და... ამით დასრულდა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია

გარდაცვლილი ახალგაზრდა 30-32 წლის მამაკაცი იყო. ის დივანზე მჯდომარე მდგომარეობაში დარჩენილიყო. თავი გვერდზე გადაეხარა. სახე კი მშვიდი ჰქონდა. ღიად დარჩენილი თვალები რომ არა, მნახველს ჩაძინებული ეგონებოდა. მარჯვენა ხელი მუხლზე ედო. მარცხენა კი გვერდზე გადავარდნოდა. გარდაცვლილს მკერდზე, გულის მიდამოებში, ნატყვიარი ემჩნეოდა. ნატყვიარიდან გადმონადენ სისხლს უხვად გაეჟღინთა ტანსაცმელი, დივანი და დიდ გუბედ დამდგარიყო იატაკზე. გვამის წინ ჟურნალის მაგიდა იდგა. მაგიდაზე სიგარეტის კოლოფი, სანთებელა, საფერფლე და მობილური ტელეფონი ეწყო.

კრიმინალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აუჩქარებლად მოავლო მზერა ოთახს და შემდეგ თანამშრომლებს გადაულაპარაკა – საქმეს შეუდექითო. ისინი ოთახში შევიდნენ, ჩანთებიდან დათვალიერებისთვის საჭირო ხელსაწყოები ამოალაგეს და მუშაობას შეუდგნენ.

კრიმინალისტებს მუშაობა არ ჰქონდათ დამთავრებული, როდესაც შემთხვევის ადგილზე პროკურატურის გამომძიებელი რეზო ფიფია მივიდა. მას ბინის შესასვლელში საბურთალოს რაიონის კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელი ზურაბ კვაჭაძე შეეგება.

ზურაბი გაოცებული დარჩა დანაშაულის ადგილზე რეზო ფიფიას გამოჩენით. მას შორიდან იცნობდა, მაგრამ, იცოდა, რომ ახალი გადასული იყო პროკურატურაში და თითქმის არ ჰქონდა მკვლელობების გამოძიების გამოცდილება.

– გამარჯობა, – ფიფია ხელის ჩამორთმევით მიესალმა ზურაბს, – რა ხდება აქ?

– შენ დაგნიშნეს ამ საქმეზე? – ზურაბმა შეფარვით მიანიშნა მის გამოუცდელობაზე.

– რა გეჩვენება ამაში უცნაური? – ფიფიამ უმალ გამოავლინა თავისი სიფიცხე და ქედმაღლობა.

– არაფერი. რიგითი მოკვდავი როგორ ჩავერევი პროკურატურის საქმეებში, საქმე შენ უნდა გამოიძიო. ასე რომ... – აღარ დაასრულა ზურაბმა.

– საქმეზე გადავიდეთ... – მბრძანებლურად წამოისროლა რეზომ, – რა ხდება აქ?!

– კრიმინალისტებს ჯერ არ დაუმთავრებიათ მუშაობა, თავიანთ მოსაზრებებს ისინი მოგვიანებით გაგაცნობენ. თუმცა, გარკვეული დეტალები უკვე სრულიად ნათელია. შეტყობინება მკვლელობის შესახებ დღის 3 საათზე შემოვიდა. გარდაცვლილი ამავე სადარბაზოში მცხოვრებმა ქალმა – ვერა ბურდულმა აღმოაჩინა. ის ერთი სართულით მაღლა ცხოვრობს. სადარბაზოში ამოსვლისას მან შენიშნა, რომ მეზობლის ბინის კარი ღია იყო. ქალმა იცოდა, რომ ამ დროისთვის მეზობლები შინ არ უნდა ყოფილიყვნენ, ამიტომ, რამდენჯერმე დარეკა ზარი. როდესაც ზარს არავინ გამოეხმაურა, ბინაში შევიდა და გარდაცვლილი მეზობელი აღმოაჩინა. შეშინებული ქალი მაშინვე სადარბაზოში გავარდა და ყვირილით მოიხმო მეზობლები, მათ კი ჩვენ გვაცნობეს მომხდარის შესახებ.

– სად არის ახლა ბურდული? – ჰკითხა ფიფიამ.

– თავის ბინაში ჩემი თანამშრომლები ჰკითხავენ. ისე, გირჩევ, დროს ნუ დაკარგავ მასთან საუბრით, ამაზე მეტს მაინც ვერაფერს გეტყვის, – უპასუხა ზურაბმა.

– ვინაა მოკლული? – განაგრძო რეზომ.

– ბინის პატრონი 30 წლის ანდრო სირაძე... დაკავებული იყო ბიზნესით, ძირითადად – კვების ობიექტებით... ნასამართლევი არ არის, კრიმინალურ სამყაროსთან ურთიერთობაში შემჩნეული არ არის... ამ ბინაში მეუღლესთან – ნანა სირაძესთან ერთად ცხოვრობდა. შვილები არ ჰყავთ. გარდაცვლილის დედ-მამა ვაჟაზე ცხოვრობს. მამა – კოტე სირაძე – ბიზნესმენია, დაკავებულია ბინათმშენებლობით, დედა...

– როდის მოასწარი ყოველივე ამის დაზუსტება? – შეაწყვეტინა ფიფიამ.

– მე ამ რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსი ვარ და ასეთი დეტალების დასაზუსტებლად ბევრი დრო არ მჭირდება, – უკმაყოფილო სახით უპასუხა ზურაბმა.

– მოგვიანებით გავაგრძელოთ! – პასუხით გაღიზიანებულმა ფიფიამ ზურგი შეაქცია თანამოსაუბრეს და ბინაში მომუშავე კრიმინალისტების ხელმძღვანელთან, გურამ ბრეგვაძესთან განაგრძო საუბარი, რომელიც სწორედ ამ დროს მიუახლოვდა.

– როგორია პირველადი მონაცემები?

– ამას კრიმინალისტის დასკვნაც კი არ სჭირდება, – უპასუხა გურამმა, – განზრახ მკვლელობაა დამამძიმებელ გარემოებებში. სავარაუდოდ, გარდაცვლილი კარგად იცნობდა მკვლელს – მან ის წინააღმდეგობის გარეშე შეუშვა ბინაში. ჩემი აზრით, ისინი საუბრობდნენ. გარდაცვლილი დივანზე იჯდა, მკვლელი – სავარძელზე ჟურნალების მაგიდის საპირისპირო მხარეს. საუბარი მშვიდი უნდა ყოფილიყო – ამაზე მიანიშნებს გარდაცვლილის სახის გამომეტყველება. თავდასხმა იმდენად სწრაფად მოხდა, რომ მან შეშინებაც კი ვერ მოასწრო. მკვლელმა ერთი და ზუსტი გასროლით მოუღო მას ბოლო.



სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა თავის დასკვნას გადმოგცემთ, მაგრამ, ახლავე შემიძლია, გითხრათ, რომ მკვლელობა პროფესიონალმა ჩაიდინა. ტყვიამ პირდაპირ გულში გაუარა გარდაცვლილს. ესაა ჭრილობა, რომელიც მსხვერპლს წინააღმდეგობის უნარსაც დააკარგვინებდა და უეჭველად მაშინვე მოუღებდა ბოლოს...

კრიმინალისტს ლაპარაკი არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ზურაბს სადარბაზოდან ხმაური ჩაესმა. მან სასწრაფოდ დატოვა ბინა და კიბის უჯრედზე გავიდა. ხმაურის მიზეზი ახალგაზრდა შეშფოთებული ქალი აღმოჩნდა, რომელიც ბინისკენ მოიწევდა, პოლიციის თანამშრომლები კი მის შეჩერებას ცდილობდნენ.

– გამიშვით... გამატარეთ... რა ხდება აქ?! – განუწყვეტლივ იმეორებდა ქალი, – სად არის ანდრო?!

ზურაბმა ორიოდ ნაბიჯი გადადგა და ქალს მიმართა:

– ნანა, შეგიძლიათ, მომისმინოთ?

– ვინ ხართ?.. – დაბნეული სახით შეხედა ქალმა.

– ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაგრამ, მე ვიცი, ვინც ხართ. გამომყევით... – ზურაბი მის პასუხს არ დალოდებია, მკლავში გამოსდო ხელი და საპირისპირო ბინისკენ წაიყვანა, რომლის სანახევროდ ღია კარიდან ხანში შესული ქალი იცქირებოდა.

მეზობელი ქალის დანახვისას ნანა ისევ ალაპარაკდა.

– ქალბატონო ლალი, გთხოვთ, მითხარით რა მოხდა:

ხანში შესულმა სახეზე აიფარა ხელები და უკან დაიხია. ამის დანახვისას ნანა ულონოდ შებარბაცდა და კედელს მიეყრდნო.

– წყალი მოიტანეთ, – დიასახლისს მიმართა ზურაბმა, თავად კი ნანას წელზე მოხვია ხელი, სასტუმრო ოთახში შეიყვანა და დივანზე დასვა.

რამდენიმე წამში ოთახში დიასახლისიც შემოვიდა და ნანას წყლიანი ჭიქა აკანკალებულ ხელში ჩაუდო. მან გაჭირვებით მოსვა ერთი ყლუპი და ზურაბს მოლოდინით აღსავსე მზერა მიაპყრო.

– მე რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსი ვარ, – წამოიწყო ზურაბმა, – ჯობია, ჩემგან მოისმინოთ რაც მოხდა: გამაგრდით, ნანა, თქვენი მეუღლე გარდაიცვალა...

ნანას მზერა გაუშეშდა. მერე თვალებიდან მძიმედ ჩამოუგორდა ცრემლის წვეთები. მან მძიმედ დაუშვა ჭიქა მაგიდაზე და ოდნავ გასაგონად დაიჩურჩულა:

– როგორ?..

– ის მოკლულია... ვიცი, თქვენთვის ძალიან ძნელია ამის მოსმენა, მაგრამ, ვიდრე ჩვენ შემთხვევის ადგილს არ შევისწავლით, ბინაში შესვლის საშუალებას ვერ მოგცემთ... მანამდე აქ მოგიწევთ დარჩენა. შეძლებთ ამას?

ნანამ უხმოდ დაუქნია თავი.

– მოგვიანებით გამომძიებელი შეგხვდებათ და რამდენიმე კითხვას დაგისვამთ, – თქვა ზურაბმა და კარისკენ წავიდა.

* * *

კრიმინალისტებს უკვე დაემთავრებინათ მუშაობა. რჩებოდა ბოლო და ყველაზე მძიმე პროცედურის ჩატარება – გარდაცვლილის პროზექტურაში გადასვენება. ზურაბს ყოველთვის უჭირდა ასეთ დროს შემთხვევის ადგილზე ყოფნა. როგორც წესი, სადარბაზოს სიახლოვეს თავს

იყრიდნენ გარდაცვლილის ოჯახის წევრები, ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები, შემთხვევითი გამვლელები. ყოველი მათგანი თავისებურად გამოხატავდა ემოციას: ტირილით, მოთქმით, აღშფოთებით. მრავალი საკუთარ ვერსიას გამოთქვამდა მომხდარის შესახებ. ყოველივე ეს კი აუტანელ, მძიმე ატმოსფეროს ქმნიდა. საბედნიეროდ, ცხედრის გამოსვენებამდე ზურაბს გურამმა გამოსდო მკლავი და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის მიკროავტობუსისკენ წაიყვანა: საინტერესო რამ უნდა გიჩვენოო.

– იცი ჩემი ხასიათი და ამიტომ გამომარიდე იქაურობას? – ჰკითხა ზურაბმა, როგორც კი გურამმა მიკროავტობუსის კარი დახურა.

– ვიცი... მაგრამ, მხოლოდ ეს არ არის მიზეზი. ეს ნახე... – ამ სიტყვებთან ერთად გურამმა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მობილური ტელეფონი უჩვენა, – სირაძის კავშირებს მოგვიანებით შენც შეისწავლიდი, მაგრამ, ჩემი ყურადღება მისმა უკანასკნელმა მესიჯმა მიიპყრო. ტექსტი ასეთია: „ორ საათზე ჩემთან ამოდი. მარტო ვიქნები. იმ საქმეზე მინდა გებაზრო”. ორი საათი მკვლელობის სავარაუდო დროა. როგორ გგონია, ეს შემთხვევითობაა?

– არაფერია გამორიცხული, – უპასუხა ზურაბმა.

– მართალი ხარ, არაფერია გამორიცხული. შეიძლება, ის სრულიად სხვა პიროვნებას უკავშირდებოდა, რომელმაც არად ჩააგდო მიწვევა. შესაძლოა, უბრალოდ დააგვიანდა და ახლა ჭირისუფალთა და ცნობისმოყვარეთა შორის დგას. მაგრამ, ვინ იცის. იქნებ, სწორედ ეს პიროვნება იყო, ვინც დათქმულ დროს მივიდა სირაძესთან და მან მშვიდად შეუშვა სახლში, – შემპარავი ხმით თქვა გურამმა და ხელში მცირე ზომის ფურცელი ჩაუდო.

ზურაბმა სწრაფად დახედა ფურცელს. მასზე სახელი გვარი და მისამართი ეწერა.

„გენო ბარათაშვილი. ყიფშიძის 5, ბინა 16”.

ზურაბი მიხვდა, რომ ეს იმ პიროვნების ვინაობა და მისამართი იყო, ვისაც სირაძემ თავის სიცოცხლეში ბოლო მესიჯი გაუგზავნა.

– ოქრო ხარ! – ასეთი საქმისთვის მაღარიჩზე ნაღდად არ დავიხევ უკან. კმაყოფილი სახით გახედა გურამს და მიკროავტობუსის კარის სახელურს წაეტანა.

კრიმინალური პოლიციის ოპერატიული ჯგუფი ყოველგვარი ხმაურის გარეშე მივიდა ყიფშიძის ქუჩაზე. მგზავრობისას ზურაბი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა და ბარათაშვილის შესახებ მონაცემების გადამოწმება სთხოვა. პასუხი მალე მიიღო. სამინისტროს მონაცემებით, ის აღნიშნულ მისამართზე დედასთან, მეუღლესთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა.

ოპერატიული ჯუფის თანამშრომლებმა სწრაფად გადაკეტეს ზედა და ქვედა სართულები. ზურაბი კი ერთ თანამშრომელთან ერთად ბარათაშვილის ბინის კარს მიუახლოვდა.

თეორიულად, სამართალდამცველებს ბარათაშვილის მიმართ რაიმე პრეტენზია არ გააჩნდათ. შესაძლოა, გზავნილში მითითებული საათი და მკვლელობის დრო მართლაც შემთხვევით ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგრამ არსებობდა სხვა შესაძლებლობაც და, არ იყო გამორიცხული, ამ წუთებში კარსმიღმა თავზეხელაღებული მკვლელი იმალებოდა.

ზურაბმა ერთადერთი გაფრთხილება მისცა თავის თანამშრომლებს: რაც არ უნდა მოხდეს, გახსოვდეთ, რომ, დიდი ალბათობით, ბინაში



ქალები და ბავშვებიც იმყოფებიანო და ზარის ღილაკს დააწვა.

კარი სანდომიანი გარეგნობის, 50 წელს გადაცილებულმა ქალმა გააღო.

– ვინ ბრძანდებით? – ქალმა გაოცებით შეათვალიერა უცნობი მამაკაცი.

ზურაბი სწრაფად სწვდა მაჯაში, სადარბაზოში გამოიყვანა, იქვე მყოფ თანამშრომელს გადასცა და ხმადაბლა უთხრა:

– ჩუმად, ქალბატონო... პოლიციიდან ვართ... სად არის გენო?

ქალმა დაბნეული მზერა შეავლო პოლიციელისფორმიან მამაკაცებს, რომლებიც სწრაფად დაეშვნენ ზედა სართულიდან და შემდეგ უპასუხა:

– უცხოეთში.

ეს აშკარა ტყუილი იყო. შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციით, ბარათაშვილი ამჟამად საქართველოში იმყოფებოდა. ზურაბმა პისტოლეტი შემართა, თანამშრომლებს ანიშნა, მომყევითო და ფრთხილად დაიძრა ბინისკენ. პირველი, ვინც შემოხვდა სამიოდე წლის გოგონა იყო. მას საერთოდ არ გამოუხატავს შიში იარაღმომარჯვებული უცნობების მიმართ. პირიქით, ფართო, ბავშვურად ცნობისმოყვარე თვალებით შემოსცქეროდა. ზურაბის ნიშანზე ერთ-ერთმა თანამშრომელმა გოგონა ხელში აიყვანა და სადარბაზოში მყოფ ბებიას მიუყვანა.

სასტუმრო ოთახში ოჯახის კიდევ ორი წევრი აღმოჩნდა – ახალგაზრდა ქალი და ერთი წლის ბიჭუნა. ქალი დივანზე იჯდა და ტელევიზორს უყურებდა, ბიჭუნა კი იატაკზე გაფენილ ხალიჩაზე თამაშობდა. პოლიციელების შემჩნევისას ქალმა ბიჭუნა აიტაცა, მკერდში ჩაიკრა და დივანზე მოიკუნტა. პოლიციელები აღარ დალოდებიან ზურაბის განკარგულებას. სამზარეულო და სასტუმრო ოთახი მათი თვალთახედვის არეში იყო. რჩებოდა ორი საძინებლის შემოწმება და ისინიც უმალ განაწილდნენ ბინაში.

ჩხრეკას რამდენიმე წუთი დასჭირდა. ბარათაშვილი ბინაში არ აღმოჩნდა. ზურაბის განკარგულებით, პოლიციელებმა ქალი და გოგონა ბინაში შემოიყვანეს, შემდეგ მათი უმეტესობა კვლავ სადარბაზოს დაუბრუნდა. ზურაბმა კი სადარბაზოში დაწყებული საუბარი განაახლა:

– გენო თქვენი ვაჟია?

– დიახ, – დაუდასტურა ქალმა.

– ისევ გკითხავთ, ქალბატონო: სად არის თქვენი ვაჟი? – თქვა ზურაბმა.

– ხომ გითხარით, უცხოეთშია, – აუღელვებლად უპასუხა ქალმა.

– ჩვენი მონაცემებით, ის საქართველოშია!

– ახლა გასაგებია, რატომაც არ უნდოდა საქართველოში დარჩენა. რა საქმეზე ეძებთ?! – უკმაყოფილოდ ჩაურთო ახალგაზრდა ქალმა.

– მამა ციხეში ზის.. – დაამატა გოგონამ.

პოლიციელებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

– რომელ ციხეში? – ახალგაზრდა ქალს გახედა ზურაბმა.

– ჩვეულებრივში... რომელსაც გისოსები და რკინის კარი აქვს. მგონი, ციხე ყველა ქვეყანაში ერთნაირია – საქართველოშიც და ავსტრიაშიც.

– თქვენი ნებართვით... – ქალებს მიმართა ზურაბმა, შემდეგ კი კარადას მიუახლოვდა, რომელიც ერთ-ერთ საძინებელ ოთახში იდგა, გამოაღო და ყურადღებით დაათვალიერა. მაშინვე მიხვდა, რომ ბინაში მამაკაცი არ ცხოვრობდა – კარადაში არც ერთი პერანგი და შარვალი არ აღმოჩნდა.

– ესე იგი, ავსტრიაში? – ქალებს მიუბრუნდა ზურაბი.

– ავსტრიაში, – დაუდასტურა ახალგაზრდა ქალმა, – ერთი წლის წინ გერმანიიდან ექსტრადაციით დააბრუნეს საქართველოში. არ მოისვენა: აქ არაფერი მესაქმებაო, მაგრამ, ლეგალურად წასვლას ვერ ახერხებდა და არალეგალურად, უკრაინის გავლით შეაღწია ევროკავშირში. შემდეგ რა მოხდა, ზუსტად ჩვენც არ ვიცით. გარკვეული პერიოდი სკაიპით გვეხმიანებოდა და ფულსაც გვიგზავნიდა, შემდეგ კი გაქრა. ახლახან შევიტყვეთ, რომ უკვე სამი თვეა, რაც ავსტრიაში ციხეში ზის.

– ეს ნომერი თუ გეცნობათ? – ზურაბმა ტელეფონის ნომერი დაუსახელა, რომელზეც სირაძემ შეტყობინება გაგზავნა.

– დიახ, – თავი დაუქნია ქალმა, – ეს გენოს ნომერია. ევროპაში წასვლამდე ამით სარგებლობდა.

– ახლა ვინ სარგებლობს ამ ნომრით? – ჰკითხა ზურაბმა.

– წარმოდგენა არ მაქვს, – მხრები აიჩეჩა ქალმა, – ალბათ, რომელიმე ნაცნობს მისცა.

– რა ურთიერთობა ჰქონდა გენოს ანდრო სირაძესთან?

– ვისთან?! – ჩაეძია ქალი.

– ანდრო სირაძესთან, – გაიმეორა ზურაბმა.

– პირველად მესმის. შეიძლება, გენოს რომელიმე ნაცნობია. ჩვენ არაფერი ვიცით ამის შესახებ, – უპასუხეს ქალებმა.

საუბარი ამით დასრულდა. ზურაბმა ბინაში ორი თანამშრომელი დატოვა დაწვრილებითი ჩვენებების ჩამოსართმევად, თავად კი ჯგუფის დანარჩენ წევრებთან ერთად სამმართველოს მიაშურა.

* * *

ანდრო სირაძის ოჯახის წევრებისა და ნაცნობ-მეგობრების დაკითხვა იმავე დღეს დაიწყო. თავდაპირველად, პოლიციის სამმართველოში ნანა მიიყვანეს – გარდაცვლილის მეუღლე.

დაკითხვის დაწყებამდე ფიფიამ მასა და ზურაბს შორის წარმოქმნილი დაძაბულობის განმუხტვა სცადა.

– ჩვენი ურთიერთობა მაინცადამაინც კოლეგიალურად არ დაიწყო, – საქმიანი იერით მიმართა ზურაბს, – რატომ არ მაცნობეთ, რომ ოპერაციის ჩატარებას აპირებდით?

– რატომ?! – გაიკვირვა მან, – არ მიყვარს სუბორდინაციის დარღვევა და კარგად მახსოვს, რომ მე პოლიციელი ვარ და ვმოქმედებ, როგორც პოლიციელი, შენ კი პროკურატურას წარმოადგენ. ასე რომ, ნუ მოგერიდება, მდგომარეობის შესაბამისად იმოქმედე.

– ესე იგი, არ მოგწონს ამ საქმეში ჩემი ჩართვა! – შენიშნა ფიფიამ.

– არ მომწონს, – დაუდასტურა ზურაბმა.

– რატომ?.. გგონია, რომ შავ სამუშაოს შენ შეასრულებ, ქულებს კი მე დავიწერ?

– არა... შურიანი კაცი არ ვარ. პირიქით, მომწონს დამწყებ გამომძიებლებთან მუშაობა, მაგრამ, ისეთ გამომძიებლებთან, რომლებიც ითვალისწინებენ ჩემს გამოცდილებას და ჩემგან რაღაცის სწავლას ცდილობენ. შენში რაიმე ამდაგვარი ვერ შევნიშნე. შენ პროკურატურაში გატარებული სამწლიანი სტაჟის იმედით, ამ საქმის მთლიანად ხელში აღებას ცდილობ. იცი, რას ნიშნავს ეს?

– რას? – მოსწავლესავით ჰკითხა, ფიფიამ.

– იმას, რომ, საქმეზე მუშაობის ნაცვლად, უკან უნდა გდიო, რომ რამე შეცდომა არ დაუშვა. ახლა შენ თვითონ მიპასუხე, მაქვს თუ არა სიხარულის მიზეზი?! – ჰკითხა ზურაბმა.

ფიფიამ დუმილით უპასუხა.

– ვიცი, რისი თქმაც გინდა: ჩემი ამ საქმეზე დანიშვნა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა და მე მხოლოდ განკარგულებას ვასრულებო... – თქვა ზურაბმა.

– მართალია... ეს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, – უპასუხა ფიფიამ.

– იცი, რატომ?

– რატომ?

– შენმა ხელმძღვანელობამ იცის, რომ საქმეს ნებისმიერ შემთხვევაში გავხსნი, ქულებს კი შენ დაიწერ! – ზურაბმა მეგობრულად დაჰკრა ხელი მხარზე და მერე დაამატა, – კარგი... დავზავდეთ... ახლა ყველაზე მეტად ერთმანეთის კბენა შეგვიშლის ხელს. ასე თუ გავაგრძელეთ, მე საქმეს ვერ გავხსნი, შენ კი ქულებს ვერ დაიწერ...

– შენ გგონია, რომ მხოლოდ ქულების დაწერაზე ვფიქრობ? – ჰკითხა ფიფიამ, – და, საერთოდ არ მაინტერესებს საქმის გახსნა?!

– ახლა შენ ორივე გჭირდება. გამომძიებლის პროფესიას შემთხვევით არ ირჩევენ, ამას გარკვეული ხასიათი და ჩვევები სჭირდება. იმაში, რომ, როგორც გამომძიებელს, საქმის გახსნა და მკვლელის აყვანა გაინტერესებს, ეჭვი არ მეპარება. მაგრამ, გულის სიღრმეში იმ ქულებზეც ფიქრობ, რომელთა დაგროვებასაც საქმის გახსნით აპირებ. მაგრამ, მთავარი მაინც ისაა, რომელს აყენებ წინ.

– რა თქმა უნდა, საქმის გახსნას! – სწრაფად უპასუხა ფიფიამ.

– მაგრამ, იმ ქულებზეც ფიქრობ!

ფიფია წამით შეყოყმანდა და შემდეგ უპასუხა:

– რატომ არ უნდა ვფიქრობდე? ახალგაზრდა გამომძიებელი ვარ. ეს ჩემთვის პირველი მკვლელობაა, აქამდე უბნის შპანას, ბიჭბუჭებს დავდევდი. სხვათა შორის, ყველა საქმე გავხსენი. სწორედ ამისთვის გადამიყვანეს პროკურატურაში. რატომ უნდა დავამახსოვრებინო ხელმძღვანელობას ჩემი თავი პირველივე ჩაფლავებული საქმით?!

– სწორედ ამის მოსმენას ვცდილობდი შენგან. დასაწყისისთვის ორ რჩევას მოგცემ: პირველი უშუალოდ მე მეხება – თანამშრომელში უპირველეს ყოვლისა, გულწრფელობას ვაფასებ, შემდეგ – პროფესიონალიზმს. შენს პროფესიონალიზმზე ნუ დამიწყებ დავას. თავად რომ არ გეთქვა, ისედაც ვიცი, რომ ეს შენი პირველი მკვლელობაა. ასე რომ, რჩება მხოლოდ გულწრფელობა. იყავი ჩემთან გულწრფელი, ნუ მოგერიდება იმის აღიარება, რომ რაღაც არ იცი, რაღაცაში ვერ ერკვევი და ყველაფერი კარგად იქნება... შევთანხმდით?

– შევთანხმდით, – უყოყმანოდ უპასუხა ფიფიამ.

– და, მეორე: გამოდი პროკურატურის კომფორტული კაბინეტის ხიბლიდან. ზემოდან ნუ დახედავ პოლიციის თანამშრომლებს. ის „ოპერები," – ძველი ტერმინი მოიშველია ზურაბმა, – ქუჩაში, დაძაბული მუშაობით აგროვებენ მონაცემებს, რომლებსაც შენ შემდგომ ოფიციალურად გააფორმებ სისხლის სამართლის საქმის სახით, ისევე იმ ბიჭების მიერ აყვანილ მკვლელთან ერთად გადასცემ სასამართლოს და კმაყოფილი იერით მოირგებ დაფნის გვირგვინს. შენს თანამშრომლებად, მეგობრებად ჩათვალე ისინი და ამ შემთხვევაშიც ყველაფერი კარგად იქნება...



– გასაგებია... აუცილებლად გავითვალისწინებ, – თავი დაუქნია ფიფიამ.

– ძალიან კარგი, – გაეღიმა ზურაბს, – მაშინ შეგვიძლია, პროკურატურის მიერ „არასანქცირებული" ოპერაციის განხილვაზე გადავიდეთ.

– ჰო... რა ოპერაციაზე გახვედით? – სწრაფად ჰკითხა ფიფიამ.

– კრიმინალისტებმა ოპერატიული ინფორმაცია მოგვაწოდეს იმ მობილურის მფლობელზე, რომელსაც ბოლოს დაუკავშირდა სირაძე. დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. სტატისტიკურად, ყველაზე იოლად დანაშაული ცხელ კვალზე იხსნება. შენ გარდაცვლილის მეზობლების დაკითხვით იყავი დაკავებული. რისთვის უნდა მომეცდინე? რასაც იმ წუთებში აკეთებდი, ძალიან საჭირო საქმედ მიმაჩნია. შემოვიკრიბე ჩემი ხალხი და ინფორმაციის გადასამოწმებლად გავედი.

– და, რა ინფორმაცია მოიპოვეთ?

– კრიმინალისტების მონაცემებით, ნომერი, რომელსაც დაუკავშირდა სირაძე, ვაკეში მცხოვრებ ვინმე ბარათაშვილზე იყო გაფორმებული. ალბათობით შესაძლოა, ის ყოფილიყო მკვლელი, მაგრამ, ვერსია მცდარი აღმოჩნდა: გაირკვა, რომ ის არალეგალურად გავიდა საქართველოდან და ამჟამად ავსტრიაში, ციხეში იმყოფება, – უპასუხა ზურაბმა.

– ეს ინფორმაცია ვინ მოგაწოდა?

– მისი ოჯახის წევრებმა.

– მაგრამ, ხომ არსებობს ალბათობა, რომ ისინი ტყუიან? ბარათაშვილი ოფიციალურად საქართველოშია. ვინ იცის, იქნებ, მართლაც აქ არის და მისი ოჯახის წევრებს მისი მითითებით შევყავართ შეცდომაში? – თქვა ფიფიამ.

– გამორიცხული არაფერია. როგორც გამომძიებელმა, ყველა შესაძლო ვერსია უნდა განიხილო. მაგრამ, გარწმუნებ, რომ ეს სიმართლეა... ერთი რამ გაითვალისწინე სამომავლოდ: ყველაზე ადვილი ამოსაცნობი ჯგუფური ტყუილია. ბარათაშვილის ოჯახში მისი დედა, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დამხვდნენ. შეიძლება, დედამ დაფაროს შვილის ადგილსამყოფელი. მეუღლემ – ზრდასული ადამიანი უფრო ადვილად აკონტროლებს ემოციებს, მაგრამ, მცირეწლოვანი ბავშვის ნათქვამში პირდაპირ ყვირის ტყუილი. თუმცა, ასეთ მოსაზრებებს სისხლის სამართლის საქმეს ვერ დავურთავთ. ამ მონაცემების გადასამოწმებლად ჩემი ბიჭები დავტოვე ვაკეში. მათ ბარათაშვილის მეზობლები დაკითხეს, მოინახულეს რამდენიმე ჩვენი ინფორმატორიც: ამასთან ერთად, ამოვწიეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებიც. საერთო სურათი ასეთია: ჩვენი მონაცემებით, ბარათაშვილი არასდროს ყოფილა შემჩნეული კანონდარღვევაში. ნასამართლევი არაა და კრიმინალურ სამყაროსთანაც არ აქვს კავშირი. მეზობლები ადასტურებენ, რომ ის ნამდვილად ავსტრიაში გაემგზავრა. ერთ-ერთმა მათგანმა კი თქვა, რომ ბარათაშვილმა მისგან ისესხა გასამგზავრებლად საჭირო ფული. შემდეგ კი ეს თანხა ავსტრიიდან გამოუგზავნა.... ამ ისტორიისთვის წერტილის დასასმელად ხვალ ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წერილით მივმართავთ და ვთხოვთ, დაადასტურონ, იმყოფება თუ არა მათ ციხეში ბარათაშვილი.

– როდის მოასწარით ეს ყველაფერი? – დაუფარავი გაოცებით ჰკითხა ფიფიამ.

– ვმუშაობთ... – ჩაიცინა ზურაბმა, – მაგრამ მხოლოდ ესეც არაა საქმე. მეზობლების ჩვენებებსა და ოფიციალურ დადასტურებებზე უფრო მეტად საკუთარ გამოცდილებასა და ინტუიციას ვენდობი. ბარათაშვილი თბილისშიც რომ ყოფილიყო, მის დამუშავებაზე დროს არ დავკარგავდი. ის არის 35 წლის კაცი. გატაცებულია ქუჩის ავტორბოლებით. დღედაღამ თავის მანქანას დასტრიალებდა და, მეზობლების ჩვენებებით, მანქანას უფრო მეტ ფულს ახარჯავდა, ვიდრე ცოლ-შვილს. ისაა ბავშვობაში ჩარჩენილი კაცი, რომელსაც უკანალი მეზობლებისა

და უბნის მაღაზიის ვალებით აქვს გამოტენილი. სწორედ ამ ვალების გასასტუმრებლად და ოჯახის საქმეების გამოსასწორებლად გაემგზავრა ავსტრიაში, მაგრამ, ორი თვის შემდეგ ციხეში მოხვდა. ის მკვლელი არ არის. ჩვენ სრულიად სხვა პიროვნებასთან გვაქვს საქმე – ცივსისხლიან პროფესიონალთან, რომელიც ავსტრიაში ბევრად მეტხანს გაქაჩავდა!..

* * *

განვლილ რამდენიმე საათს საგრძნობლად შეეცვალა ახალგაზრდა ქალი. ზურაბს მისი ცნობაც კი გაუჭირდა. ნანას სახე გაცრეცილი ჰქონდა, თვალის უპეები ჩაშავებოდა. ხელები გამუდმებით უკანკალებდა, თითქოს თბილ ოთახში კი არა, გაყინულ ტუნდრაში იმყოფებოდა.

რეზო ფიფიამ დაჯდომა შესთავაზა ნანას, თავად მის პირისპირ მოეწყო და მაშინვე საქმეზე გადავიდა:

– თქვენ იკითხებით როგორც დაზარალებული. პროცესუალურად ამის აუცილებლობა არ არსებობს, მაგრამ, თუ თქვენ საჭიროდ მიგაჩნიათ, შეგვიძლია, დაკითხვას ადვოკატიც დავასწროთ.

– არა... საჭირო არ არის, – თავი გაიქნია ნანამ, – მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს.

– ბრძანეთ, – უპასუხა ფიფიამ.

– თუ შეიძლება, მალე გამიშვით აქედან, – თქვა ნანამ.

– რა თქმა უნდა. ჩვენ გვესმის, რა მდგომარეობაშიც იმყოფებით, – ფიფიამ საქაღალდე გახსნა, კალამი მოიმარჯვა და ლაპარაკი განაგრძო – შეგიძლიათ, გვითხრათ რას საქმიანობდა თქვენი მეუღლე?

– ჩვენ რამდენიმე კვების ობიექტი გვქონდა.

– დააზუსტეთ, რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ – „ჩვენ“ – ოჯახის საკუთრებას თუ საერთო ბიზნესს? – ჰკითხა ფიფიამ.

– ანდროს მამა ბიზნესმენია. მას და მის მეგობრებს სამშენებლო კომპანია აქვთ დაფუძნებული, მაგრამ, ანდროს ეს სფერო არ იზიდავდა. ჩვენი ქორწინების შემდეგ მან საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტა. საქმეში ჩასადები ფულის ნაწილი მამამისმა მისცა, ნაწილი – მამაჩემმა. მაგრამ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ოჯახი ვიყავით და, რაც გაგვაჩნდა, ოჯახური საკუთრება იყო. თავად ბიზნესთან მე არაფერი მაკავშირებდა. დოკუმენტაცია ანდროს სახელზე იყო შედგენილი და ყველა საქმეს ის ჩემი მონაწილეობის გარეშე განაგებდა, – უპასუხა ნანამ.

– შეგიძლიათ, კონკრეტულად აგვიხსნათ, რა სახის ობიექტები ჰქონდა თქვენს მეუღლეს? – ჰკითხა ფიფიამ.

– თავიდან ანდრომ ვერაზე შენობა იქირავა და თავად მოაწყო ბარი. საქმე კარგად აეწყო. მას შემდეგ მან კიდევ რამდენიმე ობიექტი გახსნა, მაგრამ, ბევრად მცირე ზომისა. ჰქონდა ორი კაფე, სადაც ძირითადად ნამცხვრებს, ტკბილეულსა და უალკოჰოლო სასმელებს სთავაზობდნენ კლიენტებს. ჰქონდა ერთი საკონდიტრო საცხობიც. ყველა ეს ობიექტი ნაქირავები იყო.

– თქვენს მეუღლეს ბიზნესში მონაწილეები თუ ჰყავდა? – დაკითხვაში ზურაბი ჩაერთო.

– პერიოდულად, მაგრამ, ისინი არ უკავშირდებოდნენ მის ძირითად ბიზნესს, – გახედა ნანამ, – რამდენჯერმე ანდრომ თავის ნაცნობებთან ერთად გახსნა ახალი ობიექტი, მაგრამ, ასეთ საქმეებში მხოლოდ თავისი წილი თანხით ერთვებოდა. ზოგმა წამოწყებამ გაამართლა. ზოგმა – არა. საბოლოოდ, მან გადაწყვიტა, რომ საქმეების დამოუკიდებლად წარმოება ჯობდა და ყველასთან შეწყვიტა ურთიერთობა.



– მათთან კონფლიქტი ხომ არ ჰქონია? – ჰკითხა ზურაბმა.

– არა... ისინი, ძირითადად, მისი ძველი ნაცნობები იყვნენ.

– თქვენ თქვით – „ძირითადად“. ესე იგი, იყვნენ ისეთებიც, რომლებთანაც დიდი ხნის ურთიერთობა არ აკავშირებდა? – ჩაურთო ფიფიამ.

– არ ვიცი... შეიძლება.

– ბინაში გქონდათ რაიმე ისეთი ნივთი, რომელსაც, შესაძლოა, ვინმეს ინტერესი გამოეწვია? – განაგრძო ზურაბმა.

– არა... არაფერი ისეთი არ გვქონია... ვცხოვრობდით ისე, როგორც მრავალი თბილისური ოჯახი.

– სად ინახავდა ანდრო ბიზნესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას?

– ბინაში მხოლოდ ძირითად ხელშეკრულებებს ინახავდა, დანარჩენი საბუთები ერთ-ერთ ობიექტზე, სეიფში ჰქონდა შენახული. არ უყვარდა სახლში მუშაობა, – უპასუხა ნანამ, – ასე ამბობდა, სამუშაო იქაც მყოფნის. შინ დასასვენებლად მოვდივარო.

– ახლა კარგად დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ, – თქვა ზურაბმა, – თქვენ თვითონ როგორ გგონიათ. ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული ანდროს მკვლელობით?.. იქნებ, ვინმე მტრობდა, ან, შესაძლოა ვინმესთან კონფლიქტი ჰქონდა? აუცილებელი არაა, რომ ის მისი ბიზნესპარტნიორი ყოფილიყო.

– არ ვიცი, – ყოყმანით თქვა ნანამ, – ანდრო მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანი იყო... მაგრამ, ბოლო დროს...

– რა შეიცვალა ბოლო დროს? – ჰკითხა ზურაბმა.

– ანდრო შეიცვალა. დროდადრო გვიან ბრუნდებოდა შინ, ჩაფიქრებული იყო. მობილურით სასაუბროდ აივანზე ან მეზობელ ოთახში გადიოდა.

– ანუ, მას არ სურდა, რომ თქვენ საუბარი მოგესმინათ? – თქვა ფიფიამ.

– შეიძლება, ასეც იყო, – ყოყმანით თქვა ნანამ.

– საწყენად ნუ მიიღებთ. რა თქმა უნდა, ეს თქვენი ოჯახური საქმეა, მაგრამ, სხვა ქალისთვის ხომ არ დაგიკავშირებიათ ანდროს უცნაური საქციელი?

– არ ვიცი... არ მიფიქრია ამაზე, – პასუხს გაერიდა ნანა.

– კარგი... ახლა კიდევ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ და ამით დავამთავროთ, – თქვა გამომძიებელმა, – უფრო სწორად, ეს კითხვაც არ არის: ჩვენ გვჭირდება ყველა იმ ადამიანის ვინაობა, ვისთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ანდროს – ნებისმიერი პიროვნების, რომელსაც რაიმე ინფორმაციის მოწოდება შეუძლია, მეგობრების, ბიზნესპარტნიორების, მეზობლების... – მოკლედ, მიმიხვდით...

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ნანამ, შემდეგ მცირე ხნით ჩაფიქრდა და სახელებისა და გვარების ჩამოთვლას შეუდგა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



გოჩა მანველიძის
„მგლები“
იყიდება
სრული
ვერსია

**ყველასთვის ცნობილმა აჩი ფურცელაძემ სასურველი ქალი იპოვა და მასთან ოჯახის შექმნას წლის ბოლოს გეგმავს. შევიტყვეთ რა, გაია ხაჩიძის თბილისში ვიზიტის შესახებ, შევხვდით და ინტერვიუც ჩავწერეთ. გაია საკმაოდ საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა და მომავალი მეუღლის მსგავსად, მხიარული, კომუნიკაბელური და ენერგიული ადამიანია. როდის აპირებს წყვილი დაქორწინებას და რა გეგმები აქვთ. ამას უკვე ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რაში გამოადგა აჩი ფურცელაძის მომავალ მეუღლეს ფიარის სპეციალობა და რა აკავშირებს მას ჟურნალ „ვოგთან“ და სხვა პოპულარულ გამოცემებთან

**– გაია, დიდი ხანია, მოსკოვში ცხოვრობ, თუმცა ვიცი, რომ თბილისში დაიბადე.**

**გაია:** აქ დავიბადე, მაგრამ 3 თვის ვიყავი, მოსკოვში რომ წამიყვანეს.

**– თუ გავითვალისწინებთ, რომ აქედან წასვლისას ლაპარაკი საერთოდ არ იცოდი და მას შემდეგ მოსკოვში ცხოვრობ, სიმართლე გითხრა, გამიკვირდა ქართულად კარგად რომ ლაპარაკობ.**

– დედა რუსი მყავს, ასე რომ, ნახევრად ქართველი ვარ. დიდი მადლობა ბებიაჩემს, რომელმაც მომცა საშუალება, მშობლიურ ენაზე მესაუბრა და ქართული მასწავლა.

**– ოჯახის ყველა წევრი ერთად გადახვედით საცხოვრებლად რუსეთში?**

– კი ყველანი წავედით, თბილისში მხოლოდ მამიდაჩემი დარჩა. ბაბუა, თემურ ხაჩიძე დიპლომატი იყო, გასულ წელს გარდაიცვალა. მოსკოვის გარდა, 5 წელი პოლონეთში ვცხოვრობდი ბებიკოსთან და ბაბუკოსთან ერთად.

**– სკოლა და უმაღლესი, შესაბამისად, რუსეთში დაამთავრე, განათლებით კი, როგორც ვიცი, ფიარის სპეციალისტი ხარ.**

– დამთავრებული მაქვს, მგიმოს საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, ფიარის განხრით.

**– საკმაოდ საინტერესო სივი გაქვს.**

– ვმუშაობდი სხვადასხვა კომპანიაში, რომელთაც არაერთ ლუქსბრენდთან ჰქონდათ შეხება. ამიტომ, თავისთავად მიხდებოდა მუშაობა ისეთ ცნობილ ჟურნალებთან, როგორიც „ვოგია” და ასე შემდეგ. ვაცმევდი სხვადასხვა პროექტის წამყვანებს. ვმუშაობდით „ესტეესთან,” პირველ არხზე, თუ იცით, „მოდნი პრიგავორ” – იყო ასეთი პროექტი.



**გაია: „ერთი თვის წინ სამსახურს დავანებე თავი და მაშინვე სუპერშემოთავაზება მივიღე, რომელზეც ყოველთვის ვოცნებობდი. ახლა უკვე აჩის დირექტორი ვარ“**

**– გამოდის, რომ შენს გარეშე არ იცვამდნენ წამყვანები.**

– კი ასეა.

**– ახლა ცოტა პირადზეც მინდა, გადავიდეთ. როცა აჩის (ფურცელაძის) ინტერვიუს ვწერდი, თქვა, რომ შენი სახით სასურველი ქალი იპოვა და უზომოდ შეყვარებულია. როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

– მე და აჩიმ ერთმანეთი დაახლოებით 3 წლის წინ გავიცანით. ბევრი საერთო მეგობარი გვყავს, რომლებთან ერთადაც აქეთ-იქით დავდიოდით და ვერთობოდით. ამის მერე კი, დაახლოებით, წელიწად-ნახევრის შემდეგ, ურთიერთობა სხვა ფაზაში გადავიდა და ერთმანეთი შეგვიყვარდა. ერთი დამთხვევაა ის, რომ ორივე ჩაჩავაში ვართ დაბადებული: მე 1984 წელს, აჩი კი – 1979-ში.

**– როგორი ბიჭია ჩვენი აჩი?**

– აჩი გადასარევი ბიჭია და ძალიან მიყვარს.

**– გარდა იმისა, რომ ერთმანეთი გიყვართ, ამ ეტაპზე აჩის დირექტორიც ხარ.**

– ერთი თვის წინ სამსახურს დავანებე თავი და მაშინვე სუპერშემოთავაზება მივიღე, რომელზეც ყოველთვის ვოცნებობდი. ასე რომ, ახლა უკვე აჩის დირექტორი ვარ.

**– ანუ, მხოლოდ ამ საქმით ხარ დაკავებული?**

– ჯერჯერობით კი. თუმცა, რამდენიმე შემოთავაზება მაქვს. ვფიქრობ და არ ვიცი, პარალელურ რეჟიმში თუ შევითავსებ სხვა საქმესაც. სიმართლე გითხრა, აჩის დირექტორობა ძალიან მაწყობს. ახლა საიტი უნდა გავაკეთო და ასე შემდეგ.

**– დირექტორისა და შეყვარებულის ფუნქცია, ხელს ხომ არ უშლის ერთიმეორეს?**

– არა, პირიქით, ეს ძალიან კარგია. როცა მე და აჩი 24 საათიდან 20-ს ერთად ვატარებთ, კარგად ვართ.

**– დირექტორს ხელფასს უხდიან. თქვენს შემთხვევაში როგორ არის? აჩი გიხდის ჰონორარს?**

– სხვათა შორის, მარტის დასაწყისში მივიღებ პირველ ჰონორარს.

**– როდის გეგმავთ ურთიერთობის დაკანონებას?**

– ალბათ, წლის ბოლოს მოვაწერთ ხელს და ჯვარსაც დავიწერთ. აჩი ქორწილის წინააღმდეგია, მე კი – პირიქით, დიდი არა, მაგრამ პატარა წვეულებით ნამდვილად მინდა ამ ყველაფრის აღნიშვნა. წლის ბოლომდე შევთანხმდებით.

**– ამ ყველაფერს სად გეგმავთ, საქართველოში თუ რუსეთში?**

– რუსეთში ოფიციალური ნაწილი შედგება. ხელს მოსკოვში მოვაწერთ, ჯვარს კი თბილისში დავიწერთ.

**– ვისარგებლებ აჩის აქ ყოფნით და ორივეს გკითხავთ, ერთმანეთს როგორ დაახასიათებთ?**

**აჩი:** შეიძლება, ეგოისტური მომენტია, არ ვიცი, მაგრამ სულ ვამბობდი, რომ ჩემ გვერდით ისეთი ადამიანი უნდა იყოს, რომელიც დაახლოებით მაინც იქნება ჩემნაირი-მეთქი. ორივენი მხიარული, ენერგიული და კომუნიკაბელურები ვართ. გაია ძალიან ჭკვიანი გოგოა. თავის საქმის პროფესიონალია. ვიცი, რომ მასზე მინდობილ ნებისმიერ საქმეში შეცდომა არ იქნება დაშვებული. ამიტომ, მე არაფერი მახსოვს, ყველაფერი გაიჩკაზე მაქვს მინდობილი. ძალიან მეგობრული და ერთგულია. კომპანიონი ტიპია, რაც ძალიან მომწონს. გაიჩკას ისეთი ეშხი აქვს, გვერდს ვერ აუვლი, თავისი „იზიუმინკა” აქვს. ერთხელ რომ ნახავ, იტყვი, რა სიმპათიური გოგოაო, მაგრამ რომ დააკვირდები, უფრო და უფრო მოგეწონება. ძალიან ლამაზი ნაკვთები აქვს. მოკლედ, ყველანაირად კარგი ტიპია. ჩვენ ერთმანეთი კარგშიც გამოვცადეთ და ცუდშიც. რაც მთავარია, არ გვეზარება და არ გვეთაკილება ერთმანეთისთვის ბოდიშის მოხდა. ორივემ ვიცით, რომ ბოდიში ძალიან კარგი სიტყვაა, მაგრამ ამ სიტყვას ვუფრთხილდებით, მას „მიყვარხარზე“ დიდი ძალა აქვს, არ უნდა გაცვდეს. ისეთი სკანდალური რაღაცეები ნამდვილად არ გადაგვხდენია თავს, ერთმანეთს არ ვაპატიოთ. პატარ-პატარა შეცდომები ორივეს გვქონდა დაშვებული, მაგრამ რადგან დღეს ერთად ვართ, ეს იმას ნიშნავს, ყველაფერი გამოსწორებული და მოგვარებულია. ისე, გაიასგან განსხვავებით, ერთი კარგი პლუსი მაქვს – მალე ვივიწყებ ყველაფერს. მე თუ 5 წუთი მჭირდება, მას – 10.

**გაია:** აჩის დახასიათება მოკლედ შემიძლია. რა თვისებებიც ჩემშია, აჩის ყველაფერი კუბში აყვანილი აქვს. უფრო თბილი და მხიარულია. მიყვარს ისეთი აჩი, როგორიც სახლშია. კარს რომ მოიხურავს, სულ სხვანაირია. სახლში ძალიან წყნარი, მშვიდი, ტკბილი და თბილი ბიჭია, თავიდან ბოლომდე ჩემია.

**– ერთმანეთის ოჯახებმა როგორ მიგიღეს?**

**აჩი:** ხატულას (აჩის დედა) ძალიან უყვარს გაიჩკა, რაც ძალიან მსიამოვნებს. მათ ერთმანეთის მიმართ პატივისცემასთან ერთად, უდიდესი სიყვარული აქვთ. სიამაყით შემიძლია, ვთქვა, რომ ხატულასა და გაიჩკას ურთიერთობა რძალდედამთილური კი არა, მეგობრულია. რაღაც „სეკრეტებიც” აქვთ ერთმანეთში, რასაც მე არ მიმხელენ. კოალიცია აქვთ თავისი. მე და გაიას მამას, კოკას, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. გვეშინოდა დედა როგორ მიმიღებდა, საბედნიეროდ, მოკლე ხანში ალიონასთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. კოკასთან იმდენად კარგი ურთიერთობა მაქვს, რომ მინდა, ალიონასთანაც ანალოგიური მქონდეს.

**– გაია, ვისი სახელი გქვია?**

**გაია: „ხელს მოსკოვში მოვაწერთ, ჯვარს კი თბილისში დავიწერთ“**

**გაია:** ბებიაჩემის. ყველას ჰგონია, გაიანე სომხური სახელია, მაგრამ რეალურად, ასე არ არის – ისტორიულად ბერძნული სახელია. სომხური არაფერი არ მირევია, მხოლოდ ქართულ-რუსული სისხლი მაქვს.

**აჩი:** ამაშიც ვგავართ ერთმანეთს, დიდი ბებია მეც რუსი მყავდა – დუბინინა.

**– რამდენი შვილის ყოლას გეგმავთ?**

– გაიას ძალიან მაგარი შვილი ჰყავს – 5 წლის ნიკუშა, რომელზეც ვგიჟდები, ისე მიყვარს. ერთმანეთს მეორედ რომ შევხვდით, გამოიქცა და ჩამეხუტა. ბევრი რამ გვაქვს საერთო. ვილაცას რაღაცას რომ უყვება, პირზე ჩემი სახელი აკერია – აჩიმ ის გააკეთა, აჩიმ ეს გააკეთაო. ჩემთვის ეს ძალიან სასიამოვნო და საპასუხისმგებლო მომენტია.

**გაია:** რაც შეეხება ჩვენს საერთო შვილებს, მინიმუმ, ორს აუცილებლად გავაჩენ. ნიკუშა გვყავს, ახლა გოგო გვინდა, მერე ვნახოთ.

**აჩი:** სულ ვამბობ, გოგოები მამის ინფარქტები არიან, ბიჭები – დედის-მეთქი. ყოველთვის მინდოდა გოგო მყოლოდა, მაგრამ თუ ბიჭის მამაც გავხდი, მას აუცილებლად აჩის დავარქმევ. მე ბაბუაჩემის სახელი მქვია. სულ მინდოდა, არჩილ არჩილის ძე ვყოფილიყავი, რაც არ გამომივიდა, ზურაბის ძე ვარ. დედაჩემს ვეუბნებოდი, მაინც არ არის ის კაცი ჩვენთან, გადამიყვანე ბაბუაჩემის გვარზე და მაშინ უკვე არჩილ არჩილის ძე ვიქნები-მეთქი.

ასე რომ, ბიჭი უკვე გვყავს, ახლა მინდა, გოგო გვეყოლოს და მერე უკვე დავფიქრდებით.

**მარიკა ხიდურელი**



# გიორგი სუხიტაშვილის პრესკონფერენცია

***მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი ჟურნალ „რეიტინგისგან" ბოდიშის მოხდას ითხოვს. ამის მიზეზია ჟურნალში და საიტზე გამოქვეყნებული სტატია, სათაურით: „ლექს-სენის გულაობა ბიუჯეტის ხარჯზე, ანუ, ცნობილების უცნობი სტატუსები", სადაც, შოუ-ბიზნესის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, გიორგის „ფეისბუქიდან" აღებული ერთ-ერთი სტატუსიცაა შესული. ამასთან დაკავშირებით მომღერალმა პრესკონფერენციაც გამართა, რომელზეც თავისი აზრი და მოთხოვნები ღიად დააფიქსირა.***

**გიორგი სუხიტაშვილი**: ამ სტატიაში თავმოყრილია რამდენიმე ადამიანის პოსტი, რომლებიც მათ სოციალური ქსელის, „ფეისბუქის" საკუთარ კედელზე გამოაქვეყნეს. მათ შორის შესულია ჩემი სტატუსი, რომელიც დაახლოებით ერთი თვის წინ დავწერე და მას არანაირი კავშირი არ ჰქონია არც პოლიტიკასთან, არც ძველ და ახალ ხელისუფლებებთან. მაგრამ, ჟურნალმა ჩემს სტატუსს სხვა კონტექსტი და მიმართულება მისცა. ამიტომ, ჩემი მოთხოვნაა: ჟურნალმა „რეიტინგმა," გადაუმოწმებელი ინფორმაციის დაბეჭდვისა და ხალხის შეცდომაში შეყვანის გამო, იმავე ფორმით, რა ფორმითაც გამოაქვეყნა ეს სტატია, მომიხადოს ბოდიში, რადგან, ამას მოჰყვა ტელეფონზე და სოციალურ ქსელში ადამიანების მხრიდან ჩემი ლანძღვა-გინება. თუ გადამოწმებულია ეს ინფორმაცია და მე მართლა „ვიჯექი" ბიუჯეტზე, კავშირი მაქვს პოლიტიკასთან და ტენდენციურობასთან, მაშინ მე მოვიხდი ბოდიშს, მანამდე კი მათ უნდა მომიხადონ ბოდიში ჩემი პოსტის ასეთი სათაურის ქვეშ გაერთიანებისა და იმ ინტერპრეტაციისთვის, რომელიც მას მისცეს. ეს პოსტი დავწერე, ორფოჩიანკანფეტებიან ფსევდოქველმოქმედებაზე და არა პოლიტიკაზე ან ახალ და ძველ მთავრობაზე. ვინც კარგად მიცნობს, მან იცის, რომ მაქვს ჩემი საქველმოქმედო ორგანიზაცია და კიდევ ძალიან ბევრ საქველმოქმედო ორგანიზაციაში ვარ გაწევრიანებული. ჩემი რესურსითაც ვეხმარები ბევრ ადამიანს, მაგრამ, არ დავრბივარ კამერებით და არ ვპოპულისტობ...

# რამდენი დავითი ცხოვრობს საქართველოში

8 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დავით აღმაშენებლის დღე აღნიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ კვლევა ჩაატარა.



დღევანდელი მონაცემებით საქართველოში 89 121 დავითი ცხოვრობს. მიმდინარე წელს 127 დავითი დაიბადა. უხუცესი დავითი კი მიმდინარე წელს 98 წლის გახდება.

აღსანიშნავია, რომ სახელი დავითი პოპულარობით გასულ საუკუნეშიც სარგებლობდა. ყველაზე მეტი დავითი საქართველოში 1981 წელს დაბადებულა. გარდა ამისა, მრავლად გვხვდება ამავე ფუძის სახელის კნინობით-ალერსობითი ფორმებიც: დათო – 5 166 და დათუნა – 755.

# 22 თებერვალს კლუბ „მოსკოვს" ჯგუფი „ბუმბოქსი" ეწვევა

28 დეკემბერს თბილისში გაიხსნა ახალი კლუბი – „მოსკოვი," რომლის ხშირი სტუმრები არიან რუსეთიდან ჩამოსული მუსიკალური ჯგუფები, მომღერლები.




31 დეკემბრის ღამეს, ახალ წელს კლუბ „მოსკოვში" თბილისელები ვერკა სერდიუჩკასთან ერთად შეხვდნენ. ვერკამ, როგორც ყოველთვის, ახლაც მოხიბლა მაყურებელი პაროდიული და იმპროვიზებული სიმღერების შესრულებით. ხოლო, ძველით ახალი წლის ღამეს კლუბის სტუმარი იყო ჯგუფი „გრადუსი". 22 თებერვალს კი კლუბი „მოსკოვი" ჯგუფ „ბუმბოქსს" უმასპინძლებს. ასე რომ, თბილისელები „მოსკოვისგან" კიდევ ბევრ სიურპრიზს უნდა ელოდონ.

# მარიამ რომელაშვილი პატარა ანდრიას დედა გახდა



მარიამ რომელაშვილი და მისი მეუღლე გიორგი ოზერი ერთი თვის წინ პატარა ვაჟკაცის მშობლები გახდნენ. წყვილმა დაახლოებით ერთი წლის წინ გადაწყვიტა ერთად ცხოვრება, რომელიც გაზაფხულზე ჯვრისწერით დაგვირგვინდა. მათი პატარა ვაჟკაცი კი ქვეყნიერებას 9 იანვარს მოევლინა. მარიამი იმ დროს გორში იმყოფებოდა, ნაადრევი მშობიარობა დაეწყო, ამიტომ ანდრია გორში დაიბადა: 2 კილოგრამი და 400 გრამი, ხოლო სიგრძეში – 44 სანტიმეტრი. ამჟამად დედაც და შვილიც თავს კარგად გრძნობენ. ახალბედა მშობლები პატარა და უსაყვარლესი ანდრიას გაზრდით არიან დაკავებულები. „თბილისელები" ულოცავს მათ შვილის დაბადებას, პატარა ვაჟკაცს კი ჯანმრთელობასა და ბედნიერებას უსურვებს!

# რატი დურგლიშვილი შეყვარებულს დაშორდა

***რატი დურგლიშვილი, როგორც თვითონ ამბობს, მთლიანად შემოქმედი ადამიანია. ინტერვიუსთვის მაშინ ვეწვიე, როცა შეყვარებულს ახალი დაშორებული იყო.***

**რატი დურგლიშვილი:** სულ ახლახან ერთ გოგოს დავშორდი, რადგან ჩვენი აზრები და შეხედულებები ერთმანეთს არ დაემთხვა, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნებასთან ახლო ურთიერთობა აქვს. ანუ, როგორ არის, იცი? კომუნიკაბელური ვარ, ადვილად შევდივარ ადამიანთან ურთიერთობაში, მაგრამ იმ მომენტში, როცა ერთმანეთს უნდა დავესაკუთროთ, კრიტიკული ვხდები – საკუთარ თავთანაც და მასთანაც ბევრი ტესტი მაქვს, იმიტომ რომ, არ მინდა, თავიდანვე შეცდომა დავუშვა, რადგან, შემდეგ ძნელია მისი გამოსწორება. სიმართლე გითხრათ, ჩემი, ინიციატივა იყო დაშორება. ისე არ გამიგოთ, თითქოს წუნია ვარ, უბრალოდ, ურთიერთობა ვერ აეწყო.



ანტალიაში ახლობლის ქორწილში მთელი ოჯახი ვიყავით. თბილისიდანაც ბევრი სტუმარი იყო, ასევე, ადგილობრივი თურქი პარლამენტარებიც. შემდეგ ხუთი დღე დავისვენეთ. ბევრი ტურისტი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარია. ერთ საღამოს, ნომერში ვიყავი და ჩემთვის ვმღეროდი. უცებ კარზე კაკუნი შემომესმა. რომ გავაღე, ამავე სასტუმროში მცხოვრები თხუთმეტი კაცი მაინც იდგა. მთხოვეს, მათთან წავსულიყავი და მემღერა. უარი ველარ ვუთხარი, იქ ბევრი თურქი მომღერალიც ჰყოლიათ მიწვეული და კარგი საღამო გამოვიდა. რამდენიმე სიმღერა შევასრულე, ისე მოეწონათ, აღარ მიშვებდნენ.

**მოამზადა ნათია უტიაშვილმა**

# რატომ უნდა ატაროს კონკრეტულ თვეში დაბადებულმა ადამიანმა მისთვის შესაბამისი ასტროლოგიური ქვები



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

***კონკრეტულ თვეებში დაბადებულმა ადამიანმა, იმ ასტროლოგიური ქვებით მოჭედილი სამკაულები უნდა ატაროს, რომელიც წარმატებებს მოუტანს, კარიერასა და პირადი ცხოვრების მოწყობაში დაეხმარება. თუ რომელი ქვა შეგეფერებათ 2013 წელს, ამას ქვემოთ იხილავთ:***

ამ წელს, **ვერძის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის წარმატებების მომტანი და თილისმური ძალის მქონე ასტროლოგიური ქვებია: ლალი, ალმასი, ტოპაზი და ცირკონი. ლალის ქვა დაგეხმარებათ ენერგიების სწორად გადანაწილებაში, დაგიცავთ არასწორი ნაბიჯებისგან, შეგმატებთ თვითდაჯერებულობას. ალმასი მოიზიდავს თქვენსკენ წარმატებებს, ასევე, დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოქმედებაში. ტოპაზი აგარიდებთ ავ თვალს, დადებითად იმოქმედებს თქვენს ნერვულ სისტემაზე. ცირკონი კი ხელს შეგიწყობთ და დაგეხმარებათ სასიყვარულო-რომანტიკულ ურთიერთობებისა და ოჯახური ურთიერთობების დარეგულირებაში.

თილისმური ძალა აქვს და წარმატებების მომტანია **კუროს** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის: ზურმუხტის, საფირონის, ამაზონიტისა და აქატის ასტროლოგიური ქვები. ზურმუხტის ქვა დაგეხმარებათ უკეთ წარმოაჩინოთ საკუთარი შესაძლებლობები და რთული სიტუაციებიდან გამოსავალი იპოვოთ. საფირონი თქვენი გონებრივი შესაძლებლობების მობილიზებას მოახდენს, დაგეხმარებათ ინფორმაციის უკეთ აღქმაში. ამაზონიტის ქვა ოჯახური ურთიერთობების დარეგულირებას შეუწყობს ხელს. აქატი კი შეგმატებთ ბრძოლის უნარს, მოგანიჭებთ შინაგან სიმშვიდეს და დაგიცავთ შეცდომებისგან.

2013 წელს, **ტყუპების** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის თილისმის ძალა აქვს და დაგიცავთ შემდეგი ასტროლოგიური ქვები: ბერილი, როდონიტი, სარდიონი, ციტრონი. ბერილის ქვა დაგეხმარებათ ახალი კავშირების დამყარებაში, იზრუნებს თქვენი ორგანიზმის სასიცოცხლო ენერგიით მომარაგებაზე. როდონიტი დაგეხმარებათ საჭირო ინფორმაციის მოპოვებასა და მის გააზრებაში, საპირისპირო სქესთან ურთიერთობების დასტაბილურებაში. სარდიონი ხელს შეუწყობს ძლიერი ბუნების გამოვლენას, დაგიცავთ სასიყვარულო ურთიერთობებში არასწორი ნაბიჯებისგან. ციტრონის ქვა იზრუნებს თქვენი გუნება-განწყობის გაუმჯობესებასა და ძალების მობილიზებაზე.

2013 წელს, **კირჩხიბის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის წარმატებების მომტანი და ერთგვარი თილისმური ძალის მქონე ასტროლოგიური ქვებია: ზურმუხტი, მარგალიტი, მთვარის ქვა და ავანტიურინი. ზურმუხტი დაგეხმარებათ სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობების მოგვარებაში, აგარიდებთ არასასურველ ფიქრებს და სტრესულ სიტუაციებს, იზრუნებს თქვენი ნერვული სისტემის სიმშვიდეზე. მარგალიტი უფრო მეტად მგრძნობიარეს გაგხდით, ხელს მოგიმართავათ სასურველი მეორე ნახევრის პოვნაში, შეგმატებთ გამბედაობას. მთვარის ქვა შემოქმედებითი ნატურის კირჩხიბებს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენაში დაეხმარება. ასევე, – მეგობრულ ურთიერთობებში. ავანტიურინის ქვა აგავსებთ ოპტიმიზმით, გააძლიერებს თქვენს მგრძნობელობას, წაგახალისებთ სარისკო მოქმედებებში და ბედში სასიკეთო ცვლილებებს შემოიტანს.

2013 წლის განმავლობაში წარმატებების მომტანი და თილისმურია ძალის მქონე ასტროლოგიური ქვებია **ლომის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის: ალმასი, ქარვა, ლალი და ჟადეიტი. ალმასი მოგამარაგებთ სასიცოცხლო ძალებით, გამოკვეთს თქვენს სწორ ცხოვრების გზას. ქარვა დაგიცავთ პროფესიული შეცდომებისგან, დაგეხმარებათ კარიერულ წინსვლაში, ხელმძღვანელი პირების ნდობის მოპოვებაში და ორგანიზმს შესაძლო დაავადებებისგან დაიცავს. ლალი მოგამარაგებთ სასიცოცხლო ენერგიით, აგარიდებთ ჭორებს და ინტრიგებს. ჟადეიტი კი თქვენს ოჯახურ ურთიერთობებში მეტ სიმშვიდეს შემოიტანს და დაგეხმარებათ სასურველი ადამიანების მოზიდვაში.

2013 წელს, **ქალწულის** ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის კარგია და ერთგვარი თილისმის ძალა აქვს, ასევე წარმატების მომტანია შემდეგი ასტროლოგიური ქვები: აქატი, ნეფრიტი და კატის თვალი. აქატისქვებიანი სამკაულის ტარება ქალწულებს სიმშვიდეს მიანიჭებს. ასევე, დაეხმარება მათ კონფლიქტების დარეგულირებასა და შინაგანი ძალის გაძლიერებაში. ასევე, მოგანიჭებთ მეტ პოზიტივს სასიყვარულო და რომანტიკულ ურთიერთობებში. ნეფრიტის ქვა მოგანიჭებთ მომხიბვლელობას, დაგეხმარებათ სწავლაში და გონებრივად გაგაძლიერებთ, დაგიცავთ ავი თვალისა და ჭორებისგან. აგაცილებთ თქვენსკენ მომართულ ნეგატიურ ენერგიას. კატის თვალი კი მეტად მიმზიდველს და ამოუცნობს გაგხდით. მის გამო ყოველთვის გარშემო მყოფთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. დაგეხმარებათ, რომ შეცდომები არ დაუშვათ მატერიალური თვალსაზრისით.

2013 წელს, **სასწორის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულების დამცველი და მათთვის ერთგვარი თილისმაა, შემდეგი ქვები: მალაქიტი, ტოპაზი და ნეფრიტი. მალაქიტი გამოკვეთავს თქვენს დადებით თვისებებს ხასიათში. შეგიქმნით ჰარმონიულ გარემოს ირგვლივ. მოიზიდავს საპირისპირო სქესის ყურადღებას და დაგიცავთ შეცდომებისგან. ტოპაზი დაგეხმარებათ, შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენაში, აგავსებთ ენერგიით და დაგიცავთ არასწორი ნაბიჯის გადადგმისგან. ნეფრიტი დაგეხმარებათ იპოვოთ სასურველი მეორე ნახევარი. ასევე, გააძლიერებს თქვენს იღბლიანობას, შეგმატებთ მეტ გამჭრიახობას და გაბედულებას მოქმედების დროს.

**მორიელის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებისთვის, 2013 წელს თილისმის ძალა გააჩნია და წარმატებების მომტანია: ძოწის, ალექსანდრიტის, ლაბრადორისა და ტოპაზის ასტროლოგიური ქვები. ძოწის ქვა თქვენში გააძლიერებს გრძნობებს, დაგიცავთ ეჭვიანობისა და შიშებისგან. ალექსანდრიტი ხელს შეგიწყობთ სამუშაოს შერულებაში, დაგეხმარებათ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენაში. ლაბრადორის ქვა მოგანიჭებთ გამბედაობას და დაგანახვებთ რეალობას, ასევე, ხელს შეუწყობს ოჯახურ კეთილდღეობას. ტოპაზი დაგიცავთ ნეგატიური ემოციებისა და ავი თვალის ზემოქმედებისგან, შეგმატებთ ბრძოლისუნარიანობას.

2013 წელს **მშვილდოსნების** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის წარმატებების მომტანი და თილისმის ძალის მქონე ასტროლოგიური ქვებია: ამეთვისტო, ქრიზოლითი, ბერილი. ამეთვისტო დაგეხმარებათ სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, განავითარებს ინტუიციას და წარმატებებისკენ გიბიძგებთ. ქრიზოლითი მოგიტანთ წარმატებას, მოიზიდავს იღბალს და დაგანახვებთ ცხოვრებას რეალურად. ასევე, სასიცოცხლო ენერგიის აღდგენაში დაგეხმარებათ. ბერილის ქვა გაპოვნინებთ გამოსავალს გაუგებარი სიტუაციებიდან, დაგეხმარებათ კარიერასა და პირადი ცხოვრების დასტაბილურებაში.

2013 წლის განმავლობაში, **თხის რქის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის თილისმის ძალა აქვს და წარმატებების მომტანია, შემდეგი ასტროლოგიური ქვები: მალაქიტი, ობსიდიანი. მალაქიტი დაგიცავთ შეცდომებისა და არასწორი ნაბიჯებისგან, მოიზიდავს თქვენსკენ საპირისპირო სქესის წარმომადგენლების ყურადღებას და ხელს მოგიმართავთ ფინანსებში. ობსიდიანი დაგიცავთ სტრესული სიტუაციებისგან და საკუთარ შესაძლებლობებში კიდევ უფრო დაგარწმუნებთ.

2013 წელს, **მერწყულის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის, წარმატებების მომტანია და თილისმური ძალა აქვს შემდეგ ასტროლოგიურ ქვებს: აკვამარინს, ამეთვისტოს, სარდიონს და ცირკონს. აკვამარინი დაგეხმარებათ სასიყვარულო პრობლემების მოგვარებაში, მეგობრებთან ურთიერთობებში. ამეთვისტო დაგიცავთ ნეგატიური აზრებისგან, დაგეხმარებათ ფინანსების სწორ მართვაში და მოგანიჭებთ სიმშვიდეს პირად ურთიერთობებში. სარდიონი დაგიცავთ შეცდომებისგან რჩეულთან. ასევე, ხელს მოგიმართავთ პროფესიულ საქმიანობაში და ფინანსების მოზიდვაში. ცირკონი კი გაამძაფრებს იღბლიანობას და ინტუიციას.

2013 წელს, **თევზების** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის წარმატების მომტანი და თილისმური ძალის მქონე ასტროლოგიური ქვებია: აკვამარინი, ზურმუხტი, ოპალი და მარგალიტი. აკვამარინი შეგმატებთ თავდაჯერებულობას, მეოცნებე თევზებს დაანახვებს რეალობას, დაეხმარება ახალი ნაცნობების შეძენასა და ადამიანების უკეთ ამოცნობაში, შეგმატებთ გამბედაობას. ზურმუხტი აგარიდებთ ჭორებსა და ავ თვალს. ოპალი დაგეხმარებათ მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებაში. ასევე, დაგიცავთ არასწორი ნაბიჯებისგან. მარგალიტი მოიზიდავს თქვენსკენ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას და დაგეხმარებატ პირადი ცხოვრების მოწყობაში.

## ვერძი



წარმატების გამო ნუ ჩავარდებით ეიფორიაში და რეალურად აღიქვით სინამდვილე. შესაძლოა, ლიდერის პოზიცია დაიკავოთ. გაგიადვილდებათ ურთიერთობები. წვრილმანი ოჯახური პრობლემების გამო ნუ ინერვიულებთ, რათა არ შეგერყათ ჯანმრთელობა. არ გირჩევთ უცხოელებთან კონტაქტს, რადგან ის შედეგს არ გამოიღებს.

## კურო



თქვენი ფიზიკური და ემოციური მდგომარეობა დაქვეითებულია, თუმცა ეს ხელს არ შეუშლის არც პროფესიულ საქმიანობას და არც მიზნის მიღწევას. შესაძლოა, გაიზარდოს თქვენი შემოსავალიც. საყვარელი ადამიანი და ოჯახის წევრები ყოველმხრივ გვერდში დაგიდგებიან.

## ტყუპები



ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება თქვენს მოქმედებებზე და უნარების წარმოჩენაზე. მეტად უსმინეთ ოჯახის წევრების რჩევებს. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. ნებისმიერი საქმიანი მივლინება კარგ შედეგს გამოიღებს. არახელსაყრელი დროა ახალი ცოდნის ასათვისებლად და შორეული მოგზაურობისთვის.

## კირჩხიბი



მოსალოდნელია უთანხმოება პარტნიორებთან. პირად საქმიანობაში დახმარებას გაგიწევენ ახლო ნათესავები და ოჯახის წევრები. საყვარელ ადამიანთან ნუ იქნებით უხეში და უყურადღებო. ეცადეთ, დროულად გამონახოთ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალი. ენერგობალანსი კლებას იწყებს, ამიტომ, არ გირჩევთ ხშირ გადაადგილებებს.

## ლომი



დიდი ალბათობაა, არასასიამოვნო გარჩევების მომსწრე ან მონაწილე გახდეთ. საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობა ბევრად სასიამოვნო გახდება. შეამცირეთ გადაადგილებებისა და მოგზაურობების რაოდენობა. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას.

## ქალწული



ხელმომჭირნედ ხარჯეთ ფული, რათა ზიანი არ მიადგეს თქვენს ბიუჯეტს. კარგია განმარტოება და გამოკვლევების ჩატარება. ადვილად შეძლებთ მტრისა და კეთილმოსურნის გარჩევას ერთმანეთისგან. დაფიქრდით საკუთარ ცხოვრებასა და ურთიერთობებზე კონკრეტულ ადამიანებთან, თუმცა, პირად ცხოვრებაში ცვლილებებს არ გირჩევთ.

## სასწორი



შესაძლოა, უჩვეულო მოვლენების მონაწილე გახდეთ, რაც სრულიად შეცვლის თქვენს მსოფლმხედველობას. ყვეला ფარული მტრის სახეს დაინახავთ. ადვილად დაძლევთ კრიზისულ სიტუაციებს. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს დამატებითი ცოდნის ან ინფორმაციის მიღება. ადრე დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

## ღრიანკალი



კარგი დროა სამსახურის შესაცვლელად, ბევრ ადამიანთან ურთიერთობისთვის და ახალი ინფორმაციის მისაღებად. გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობაც, რაშიც საყვარელი ადამიანები დაგეხმარებიან. არ გირჩევთ მოგზაურობას. კარგია უცხოელებთან კონტაქტი.

## მშვილდოსანი



ნუ ენდობით ახალგაცნობილ ადამიანებს და ნუ აჰყვებით ცდუნებებს. გაგიჭირდებათ ახალი ინფორმაციის მიღება, რაც დაამუხრუჭებს თქვენს პროფესიულ განვითარებას. სასურველია, სამსახურშიც და სასიყვარულო ურთიერთობაშიც მეტად გახსნილი და გულღია იყოთ, რათა ცვლილებებმა დადებითი შედეგი გამოიღოს.

## თხის რქა



თქვენი კონტაქტების უმრავლესობა იქნება საქმიანი და შემოსავლების გაზრდაზე ორიენტირებული. მოვლენები გონივრულად და დინჯად გააანალიზეთ. შემოქმედებითად მიუდექით საქმიანობას. შესაძლოა, უეცრად წამოიწყოთ ფარული სასიყვარულო ურთიერთობა.

## მერწყული



ბევრ დროს წაგართმევთ ოჯახის საქმეები, თუმცა, უმჯობესია, მეტად მოიცალოთ ბიზნესისა და პირადი საქმიანობისთვის. მოემზადეთ ახალი პროექტების დასაწყებად. ეცადეთ ფინანსები ხელმომჭირნედ ხარჯოთ და საბუთები წესრიგში გქონდეთ. სასიყვარულო სფეროში შესაძლოა, საიდუმლო კავშირები დაამყაროთ. ოპტიმისტურად შეხედეთ ცხოვრებას.

## თევზები



თქვენი ენერგეტიკული მაჩვენებელი დაბალია, რაც, შესაძლოა, მუშაობის ხარისხსა და ჯანმრთელობაზე აისახოს. გაგიჭირდებათ მიღებული ინფორმაციის გადამუშავება, რაც სამსახურში პრობლემების მიზეზი შეიძლება გახდეს. არ გამოიყენოთ მიღებული ინფორმაცია გადაუმოწმებლად, მით უმეტეს, თუ ის თქვენს პირად ცხოვრებას ან სასიყვარულო ურთიერთობას ეხება. კარგია მკურნალობის დაწყება.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი



**ახალმთვარეობა – 11 მარტი, 19 სთ: 52 წთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

იყავით წინდახედული და ფრთხილი. მოერიდეთ გაღიზიანებას. ატარეთ მწვანე, ლურჯი, იისფერი, ფირუზისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, გიაცინტი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი ან მარჯანი. შეამცირეთ აქტიურობა. მეტად დაეყრდენით ინტუიციას. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, მასაჟი, იურისტებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება, სასიყვარულო კავშირები, კონტრაქტების გაფორმება. სუსტდება ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

ეცადეთ, მოახდინოთ თქვენი მიზნების ზუსტი ფორმულირება. ხასიათში გამახვილდება ორგანიზატორული ნიჭი, გონებამახვილობა, პასუხისმგებლობა. ჯობია, იმოქმედოთ დამოუკიდებლად. მეტი ყურადღება მიაქციეთ წვრილმანებს. კარგია ფიზიკური ვარჯიში. მოერიდეთ ეჭვიანობას, დეპრესიისა და აგრესიის გამოვლენას. ატარეთ წითელი, მწვანე, ყავისფერი, ნაცრისფერი ან ზურმუხტისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, გიშერი, ალექსანდრიტი ან მარჯანი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, იურიდიული საკითხების გადაწყვეტა, მოგზაურობა, კაპიტალდაბანდება, სასიყვარულო შეხვედრები. სუსტდება ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ოთხშაბათი

გაამახვილეთ ყურადღება წვრილმანებზე, რათა ადვილად მიაღწიოთ წარმატებებს. ნუ გადაიტვირთებით. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, სარდიონი ან ფირუზი. სიზმრები აგიხდებათ ხანგრძლივი დროის შემდეგ. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, სასიყვარულო შეხვედრებს, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, ხელშეკრულებების დადებას, თმის შეჭრას, წესების დარღვევას, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას. კარგია ხელმძღვანელებთან შეხვედრა, მოგზაურობა. მოერიდეთ კამათს. სუსტდება თავი, გრძნობათა ორგანოები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

კარგია სოლიდური პროექტების რეალიზება და კარგად მოფიქრებული საქმეების დაწყება. არ მიმართოთ სხვებს რჩევისთვის. ნუ იკამათებთ და შეინარჩუნეთ სიმშვიდე. მეტი ყურადღება დაუთმეთ ახლობლებს. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, კაპიტალდაბანდებას, თმის შეჭრას, წესების დარღვევას, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას. ატარეთ ყვითელი, წითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ქარვა ან ტოპაზი. ნუ მიაქცევთ დიდ ყურადღებას სიზმრებს. კარგია ხელმძღვანელებთან ურთიერთობა, მოგზაურობა, ვარჯიშების ჩატარება. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, თვალები.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

### პარასკევი

კარგია ახალი ნივთის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. იყავით მეტად აქტიური და ენერგიული. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი, ლიმონისფერი, ყავისფერი, მწვანე ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, აქატი, მალაქიტი ან წითელი იასპი. ნურავის მოუყვებით თქვენს სიზმარს. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს, საფინანსო ოპერაციებს, სტომატოლოგიურ პროცედურებს. კარგია ახალი ნაცნობობა, მოგზაურობა, ვაჭრობა, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თავი, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

### შაბათი

აკონტროლეთ აზრები და სიტყვები. კარგია ფიზიკური შრომა, თანმიმდევრული მოქმედება. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, ამეთვისტო ან ონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს და სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, შემოქმედებითი მუშაობა, გართობა, ვაჭრობა, მოგზაურობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სამშენებლო მასალების შეძენა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღეა

მაღალია მოტყუებისა და ღალატის ალბათობა. გადაამოწმეთ ყველა ინფორმაცია. ნუ იჭორავებთ სხვებზე და ნუ გასცემთ ისეთ დაპირებებს, რასაც ვერ შეასრულებთ. მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებს. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ყვითელი იასპი, ქრიზოპრაზი ან მარგალიტი. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, გართობა, მოგზაურობა, ახალი ნივთების შეძენა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**ნიკა წულუკიძე საკმაოდ აქტიურად ცხოვრობს და, შესაბამისად, აქტიურადაც ინტერესდებიან მისი ცხოვრებით. თუ რა სიახლეებია ნიკას კარიერაში, ვისთან ერთად და რა მიზნით იმოგზაურა მან ეგვიპტეში და როგორ ანებივრებს და ამდიდრებს ნიკა წულუკიძეს საკუთარი პროფესია, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# როგორ მოიტაცა ეგვიპტელმა ბედუინმა ნიკა წულუკიძე და დათო ტურაშვილი და რა ტრადიციული თავისებურება შეიტყო ნიკა წულუკიძემ ეგვიპტელი შეიხისგან

**ნიკა წულუკიძე**: რამდენიმე თვის წინ ამირჩიეს საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტად და, შესაბამისად, კიდევ უფრო გართულდა ჩემი გრაფიკი. ცოტა მეხამუშება ამხელა სათაური, მაგრამ, ძალიან ისეთია – საპასუხისმგებლო და ტევადი. მნიშვნელოვანი პროექტი გვაქვს მაისში – კრიტიკის პრიზის გადაცემა გვინდა. მანამდეც არსებობდა ეს პრიზი, მაგრამ, მიზეზთა გამო შეჩერდა.

რაც შეეხება ჩემს ერთ ჩვეულებრივ დღეს, – დილით „რადიო იმედში" მაქვს გადაცემები, რომლებიც მე და ნანუკა ხაზარაძეს მიგვყავს. შემდეგ ლექციები ან თეატრალურში, ან ილიას უნივერსიტეტში; ასევე ახლახან დავიწყე ნანუკა ჟორჟოლიანის შოუში მუშაობა. სექტემბერში ვიცავ სადოქტორო დისერტაციას, პარალელურად ბევრი საქმე მაქვს, მაგრამ, ძალიან მეამაყება, რომ თეატრზე მაქვს გადაცემა სამშაბათობით „რადიო იმედში" – ეს ჩემი სულიერებისთვის ძალიან საჭირო გადაცემაა. კიდევ გეტყვით იმას, რომ ილიას უნივერსიტეტში იდგმება სპექტაკლი, სადაც თამაშობენ პედაგოგები და პროფესორ-მასწავლებლები, მწერლები, თეატრთმცოდნეები.... და, ერთ-ერთ მთავარ როლს ამ სპექტაკლში ვთამაშობ მე.



**ადამიანი, რომელიც ერთხელ გიღალატებს, ის მეორედაც აუცილებლად გიღალატებს, მანამდე არ გიღალატა იმიტომ, რომ არ მიეცა ამის შესაძლებლობა; როგორც კი მიეცა შანსი, მაშინვე ჩაიდინა ღალატი. ანუ, მის მორალურ კოდექსში ზის ეს პუნქტი**

**– რა სპექტაკლია?**

– ეს არის შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი". სიამოვნებით ვირგებ მსახიობის ამპლუას.

**– ეს პირველად არ ხდება. მაყურებელს ახსოვს „შუა ქალაქში" თქვენი გარდასახვა, მშვენივრად მოირგეთ როლი...**

– „შუა ქალაქმა" დიდი სიხარული და საზოგადოების მხრიდან სიყვარული მომიტანა. მიუხედავად იმისა, რომ რაღაცა, ალბათ, გამიკეთებია ამ ცხოვრებაში, წიგნი დამიწერია თუ სხვა რამ, საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც ამ სერიალიდან მიცნობს.

**– ბარემ, ისიც მიამბეთ, თუ როგორ მოხვდით თქვენ და დათო ტურაშვილი ერთ გადასაღებ მოედანზე.**

– ეს იყო სარეკლამო ფილმი ერთ-ერთი არაჩვეულებრივი ტურისტული კომპანიისა, რომელმაც 10 დღით წაგვიყვანა ეგვიპტეში. ფილმის რეჟისორი იყო გიგა აგლაძე. ვცხოვრობდით საოცარ გემზე, ულამაზეს კაიუტაში. წარმოიდგინეთ, წევხარ, ღია გაქვს ფანჯარა... მოჩანს მინდვრები, პალმები, ფინიკები... ნიანგები ჭამენ წეროებს, წეროები – თევზებს, შენ კი ამ პეიზაჟს უყურებ და მიჰყვები ნილოსის დინებას. თუკი რამე შეიძლებოდა გვენახა, ბოლომდე, ასოანის კაშხალამდე მივედით.

**– ფილმის სცენარზეც მიამბეთ.**

– დავდიოდით ეგვიპტეში, ვათვალიერებდით. დათო ყვებოდა და ჩვენს რეაქციებს იღებდნენ – ასე შეიძლება ამ სცენარის გადმოცემა ორი სიტყვით.

**– ადგილობრივ მოსახლეობასთან თუ გქონდათ საუბრები?**

– როგორ არა. მიგვიპატიჟეს ბედუინების სოფელში და საოცარი სუფრა გაგვიშალეს. დაგვსვეს უდაბნოში, შუა ცეცხლი ააგიზგიზეს, ბალიშებში ჩაგვფლეს და ულამაზესი ჩადრიანი ქალები ჩვენს პატივსაცემად ასრულებდნენ მუცლის ცეკვებს... ვეკითხები ჩვენს მასპინძელ შეიხს: ვთქვათ, გინდათ ცოლი შეირთოთ, როგორ ხვდებით ლამაზია, შეუხედავია-მეთქი?

**– მე რომ მამაკაცი ვყოფილიყავი, ალბათ, მეც იგივე კითხვა დამებადებოდა... რაო, რა გიპასუხათ?**

– უცნაური ტრადიცია ჰქონიათ: თურმე, რომ შეათვალიერებს მამაკაცი ქალს და კეთილგანწყობა გაუჩნდება, მიდის მის მამასთან და ეუბნება: მინდა, შვილის ხელი გთხოვოთ და დამანახვეთო. ამის შემდეგ, ტრადიციულად, მამა თავის ქალიშვილს ჩადრს ხდის 10 წუთით. თუ გოგონასაც მოეწონა მის სანახავად მისული მამაკაცი, ჩაი უნდა მიართვას. თუ ჩაი ცხელია, ესე იგი, გოგოს ის მოსწონს, თუ ცივია – არა. თუ ჩაი ცხელია, ნიშნავს, რომ ქალს უნდა, მის სანახავად მისულ მამაკაცს გაჰყვეს ცოლად. კაცმა თუ მოსვა ეს ჩაი, ესე იგი, მას მოჰყავს ის ქალი ცოლად, თუ არ მოსვა – ესე იგი, არ მოეწონა და არ მოჰყავს.

**– რამხელა ფილოსოფიაა... კიდევ რას გაიხსენებთ თქვენი ეგიპტური დღეებიდან?**

– ფაეტონმა გაგვიტაცა... ვინც დაგვხვდნენ ეგვიპტელი მასპინძლებიდან, ძირითადად, კულტურისა და ტურიზმის სფეროს წარმომადგენლები, კატეგორიულად გაგვაფრთხილეს, რომ ჩვენი ვიზიტი წინასწარ იყო დაფინანსებული, ამიტომ, ფულს თუ მოგთხოვენ, აღარ გადაიხადოთო. ეთფუში, გემთან დაგვხვდა ცხენი და ფაეტონი და გაგვასეირნა. ვათვალიერებთ მე და დათო ტურაშვილი ამ გრანდიოზულ ნაგებობას და, არ გადაუხვია მარჯვნივ ჩვენმა ბედუინმა?! მარცხნივ უნდა წავეყვანეთ, არადა, მოხვევას არ ფიქრობს, მხოლოდ გაიძახის: „ფარა, ფარა!" – ფული მომეცითო. – ტურიკა, – ვეუბნები დათოს, – ამ ოხერმა არ წაგვიყვანოს ახლა უდაბნოში, წაგვისვას თაფლი და არ დაგვყაროს გველების საჭმელად-მეთქი. ჰოდა, მივეცი ფული და მიგვაბრუნა, თორემ, კაცმა არ იცის, რას გვიზამდა...

**– ცხოვრებამ და პროფესიამ საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობებით გაგანებივრათ – სწორედ ასეთი ურთიერთობები ამდიდრებს ადამიანების სულიერ სამყაროს... მდიდარი კაცი ხართ...**

– დღეს სულიერება აღარ უნდათ... პოეზია, ხელოვნება, თეატრი – ეს რომ მნიშვნელოვანი და აუცილებელია მათივე სულიერებისთვის, დაავიწყდათ ადამიანებს. მარტო გასტრონომიულ სიამოვნებაზეა გადასული საზოგადოება და ეს ტრაგედიაა. სულიერება ისეთი მნიშვნელოვანია, რომ მის გარეშე არაფერი არ გამოვა.

უდიდესი დანაკლისია ქართული საზოგადოებისათვის გურამ საღარაძის გარდაცვალება. მისი გარდაცვალების დღეს ერთად ვიყავით დიდუბის ეკლესიაში. ძია გურამ, როგორა ხარ-მეთქი, – ვკითხე. არ ვიცი, ცოტა გული მიჩმახებსო – მიპასუხა. მოვედი სახლში და მირეკავენ, გურამ საღარაძე გარდაიცვალაო. ის იყო რაინდი ქართული საზოგადოების, მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა, როგორი უნდა იყოს ქალის მიმართ, როგორ უყვარდეს, როგორი ურთიერთობა ჰქონდეს მეგობრის მიმართ, როგორ უყვარდეს სამშობლო.... ზოგჯერ ხალხში სხვანაირები ვართ და გარეთ – სხვანაირები... გურამ დოჩანაშვილს აქვს გენიალურად დაწერილი: დაწოლიდან დაძინებამდე არის პერიოდი, როცა ზუსტად ისეთები ვხდებით, როგორებიც სინამდვილეში ვართო. ყველა კონტექსტში მისაბაძი იყო გურამ საღარაძე...

**– თქვენ იგი „მოხუც ჯამბაზებზე" მუშაობისას გაიცანით?**

– უფრო სწორად რომ ვთქვა, „მოხუც ჯამბაზებზე" მუშაობისას დავუახლოვდი. ცხრა თვე ერთ ოთახში ვიყავით და თვალს ვადევნებდი, როგორ მუშაობდნენ ეს გენიალური მსახიობები თავიანთ როლებზე. რა უბედურებაა, რომ ასე გახშირდა ქართული ხელოვნების ფოთოლცვენა და ასე ობლდება ის ხე, რომელსაც ქართული ხელოვნება და კულტურა ჰქვია, მაგრამ, გურამ საღარაძის სახელი მარადიული საქართველოს თანამგზავრია. მას არაფერი არ ემუქრება, ის ყოველთვის იქნება, სანამ საქართველოში ლექსი, თეატრი და ხელოვნება ეყვარებათ და ქართველს ქართველი ეყვარება. ბედნიერებაა, როდესაც ცხოვრებაში გეძლევა შესაძლებლობა, ასეთ ადამიანებთან იახლობლო. მან თვითონვე თქვა „მოხუცი ჯამბაზების" პრეზენტაციაზე, რომ ნიკა წულუკიძე ჩემი უმცროსი მეგობარიაო და ამაზე სასიამოვნო მე არაფერი მომისმენია. მიდიან, კაცო, მიდიან და ვინც რჩებიან, იმათი ფასიც ბოლომდე არ ვიცით. საუბედუროდ, ადამიანები უყვართ, უვლიან და აქებენ ორ შემთხვევაში: თუ ის უკვე გარდაცვლილია, ან, თუ სიკვდილის პირასაა. კიბო თუ აქვს, მოვუვლით, გადავყვებით, ვუმკურნალებთ... გვიყვარდეს ერთმანეთი, თორემ, სიყვარულის გარეშე, სიძულვილი შთანთქავს ყველაფერს, ანადგურებს...

არ უნდა შეგშურდეს არასდროს. არავისზე მეტობა არ გინდოდეს, უბრალოდ, ნაკლები არ უნდა იყო. ერთხელ რეზო თაბუკაშვილმა თქვა ასეთი რამ და სულ ვიმეორებ: პატრიოტობა პროფესია არ არის, მაგრამ, პროფესიონალიზმი პატრიოტიზმიაო. ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს ყოველგვარი შურის, მტრობისა და ქიშპის გარეშე და ყველაფერი გამოვა.

ქეთინო კიკნაძემ მითხრა ასეთი რაღაც: ნიკა, ცხოვრებაში ყველას ყველაფერი რომ გაუხსენო,

**ვცხოვრობდით საოცარ გემზე, ულამაზეს კაიუტებში. წარმოიდგინეთ, წევხარ, ღია გაქვს ფანჯარა... მოჩანს მინდვრები, პალმები, ფინიკები... ნიანგები ჭამენ წეროებს, წეროები – თევზებს, შენ კი ამ პეიზაჟს უყურებ და მიჰყვები ნილოსის დინებას**

მარტო დარჩებიო – გენიალური ნათქვამია.

**– თქვენ პატიობთ?**

– ვპატიობ.... თუმცა, ვიცი, რომ, ადამიანი, რომელიც ერთხელ გიღალატებს, ის მეორედაც აუცილებლად გიღალატებს. მანამდე არ გიღალატა იმიტომ, რომ არ მიეცა ამის შესაძლებლობა, როგორც კი მიეცა შანსი – ჩაიდინა ღალატი. ანუ, მის მორალურ კოდექსში ზის ეს პუნქტი. ასეთი ადამიანი უნდა მოიკვეთო, მაგრამ, არ უნდა იზრუნო მისთვის სამაგიეროს გადახდაზე. ამის გამო შევიქმენი მეხამრიდივით წინაღობა, რომ ჯანსაღი ურთიერთობით ვიცხოვრო ადამიანებთან, ისეთებთან, რომლებიც ვიცი, როგორები არიან თავიანთი დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით.

**ეკა სალაღაია**

**გიორგი ნაზღაიძისა და მისი მშვენიერი საცოლის – მარიამ ქინქლაძის (რომელსაც ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს), საქმიანი ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა. რადგან მარი ამერიკაში ცხოვრობს, გიორგი კი – თბილისში, ჯერჯერობით ხშირად ვერ ახერხებენ ერთმანეთის ნახვას, მაგრამ, უკვე გადაწყვეტილი აქვთ, როგორ იცხოვრებენ მომავალში. ქორწილს ნიუ-იორკშიც გადაიხდიან და თბილისშიც, თუმცა, როდის – ეს ჯერ არ აქვთ გადაწყვეტილი.**

# როგორ სთხოვა ნიუ-იორკში ხელი გიორგი ნაზღაიძემ მარიამ ქინქლაძეს ზღაპრის წიგნის დახმარებით და ვის აჩვენებდა ის დუბაიში ბეჭდიან ხელს

**გიორგი**: როგორც იცით, მარიამი არის საქველმოქმედო ორგანიზაციის Honor Vitae-ს დამფუძნებელი. მათ რაღაც ღონისძიების გაკეთება უნდოდათ და ვიღაცამ ჩემი თავი ურჩია. შევხვდით ერთმანეთს, შემომთავაზეს თავისი იდეა, მაგრამ, მე შევთავაზე, გაგვეერთიანებინა მოდა და ქველმოქმედება. სულ ვცდილობდი, საქმეები „გამეხალტურებინა“ და ვურეკავდი, ვითომ საქმე მქონდა. „მერიოტში“ ვხვდებოდით, ვითომ საქმეზე ვსაუბრობდით, იქ კი ყავას ვსვამდით და ვცდილობდით, ერთმანეთი კარგად გაგვეცნო.

**მარიამი**: თბილისში ჩემი ერთ-ერთი ვიზიტის პერიოდში, გიორგიმ რესტორანში დამპატიჟა. სადილის დროს ერთმანეთს ჩვენი ცხოვრების შესახებ ვუყვებოდით. დავაფიქსირე, რომ გიორგის ლაპარაკი კი მესმოდა, მაგრამ, სიტყვებს ველარ ვიჭერდი. საკუთარ თავზე გამეცინა: სმენა და მხედველობადაკარგული ბედნიერად შევციცინებდი თვალებში.

**გიორგი**: იმ დღეს ფრანგულ რესტორანში გამოპრანჭული მივედი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მის მიმართ უკვე მქონდა გრძნობები. სხვა შემთხვევაში, მივიდოდი ჯინსებით და არა პიჯაკ-



**გიორგი: „დამალვას აზრი აღარ ჰქონდა – მეგობრები არ დადიან ერთად მალდივებზე“**

სა და პერანგში გამოწყობილი. თავს ვაწონებდი.

**– ამისთანა რა მოუყევი, რომ დამუნჯდა და ხმა ვერ ამოიღო?**

– გავიხსენეთ ჩვენი ცხოვრების ის რთული წლები, რომლებიც მან დაძლია და ფეხზე დადგა; ასევე, მეც როგორ დავძლიე, როგორ ვშრომობთ ორივე. აი, ამაში ვგავართ ერთმანეთს – ყველაფერს შრომით, წვალებით მივაღწიეთ და ამიტომაც მიხარია, რომ მარი ჩემ გვერდითაა. ერთი პლუსი, რის გამოც ეს ადამიანი შემიყვარდა, ის არის, რომ მარიმ ყველაფერი თავისით გააკეთა, იწვალა, ფეხზე დადგა, ძლიერი ადამიანია. ლამაზი რომ არის, ჭკვიანი და უნაკლო, ამაზე აღარაფერს ვამბობ.

**მარიამი**: გიორგი სიმართლის მოყვარული ადამიანია, მასთან ყველაფერზე შემიძლია საუბარი. სულიერად ძლიერი პიროვნებაა და არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა აქვს. გიორგი ცხოვრებას არ უყურებს მოსაწყენ ფერებში და ეს განსაკუთრებულად მომეწონა, რადგან, არც მე ვუყურებ ცხოვრებას ასეთ ფერებში.

**გიორგი**: რომ ვსაუბრობდით, მარი, თავის მხრივ, არკვევდა: მყავდა თუ არა მეორე ნახევარი, მე კი ჩემი მხრივ, ვარკვევდი, მას ჰყავდა თუ არა ვინმე – ერთმანეთს ჩავეძიეთ. ბოლოს, „შემოვლითი გზებით“, ყველაფერი გავარკვიეთ და ბედნიერები ვიყავით.

**– თუმცა, გარკვეული პერიოდი სულ მარტო გიწევთ ყოფნა, რაც, ალბათ, იწვევს ურთიერთობაში გარკვეულ სირთულეებს...**

– რთულია, მაგრამ, ორი ადამიანი, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ, რომ, დღეს თუ არა, ხვალ, ერთად იქნებიან, უნდა შეეცადონ სირთულეებს მსუბუქად შეხედონ. თან, ახლა ურთიერთობის ბევრი საშუალებაა: ინტერნეტი, ტელეფონი... ჯობია, ცოტა ხანი გაიჭირვოთ, მოითმინოთ და მერე იყოთ ბედნიერები. ჩვენ ეს შევძლეთ. ვლაპარაკობთ, ფოტოებს ვუგზავნით ერთმანეთს, უფრო სწორად, მე ვუგზავნი ჩემს ფოტოებს – ახლა როგორ გამოვიყურები. თვითონ მალავს, სად არის – მაეჭვიანებს.

**მარიამი**: არ მიყვარს ბევრი ფოტოს გადაღება.

**გიორგი**: ფოტოს გადაღებაში არ არის საქმე, მე სადაც ვზივარ, ყველგან ვაკეთებ „ჩექინს“. ვიღაცეებს ჰგონიათ, რომ „ვმარიაჟობ“, არადა, ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ მარიმ იცოდეს, იმ მომენტში სად ვარ, ვისთან ერთად, საეჭვიანო რომ არ ჰქონდეს.

**მარიამი**: ახლა პირველად გავიგე, რატომ აკეთებდა ამ ყველაფერს. რაც შეეხება ეჭვიანობას, არ ვარ ეჭვიანი. ვფიქრობ, როცა ადამიანი გიყვარს, დისტანცია არ თამაშობს დიდ როლს ცხოვრებაში. მოვლენებს წინ არ ვუსწრებ, მაგრამ, შიში ნაკლებად მაქვს.

**– ცოტა ხნის წინ ნიუ-იორკში თქვენი საქმიანი ურთიერთობაც შედგა: ივენთზე, რომელსაც მარი უკეთებდა ორგანიზებას, გიორგიმ საკუთარი კოლექციის ჩვენება მოაწყო. სიყვარული საქმიან ურთიერთობაში ხომ არ გიშლიდათ ხელს?**

**გიორგი**: ძალიან რთულია, როცა ადამიანებს ერთმანეთი უყვართ და ერთ საქმეს აკეთებენ. მარიამის საქველმოქმედო ორგანიზაციამ – Honor Vitae-მ დააფინანსა ჩემი ჩვენება. ძალიან კარგი საქმე გავაკეთეთ – ნაძალადევის ბავშვთა სახლს დავეხმარეთ. მაგრამ, მარიმ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შეყვარებულები ერთ საქმეში არ უნდა იყვნენ.

**მარიამი**: ივენთის, ბიზნესის დროს იმდენი დეტალია გასარკვევი, რომ ძნელია, ორივე მხარე ეთანხმებოდეს ერთმანეთს.

**გიორგი**: ნიუ-იორკში რომ ჩავედი, მარის 5 დღის განმავლობაში არხეინად ვეუბნებოდი: ვერაფერი ჩამოგიტანე-მეთქი. ერთ საღამოს ფრანგულ რესტორანში დავპატიჟე და ბეჭედი ზღაპრის წიგნში ჩავდე. წიგნს რომ შლიდა, ფიქრობდა: ეს ბიჭი ბოლო დონის დებილია, ახლა უკან, თბილისში გავაგდებო. ზღაპრის წიგნს რომ

**მარიამი: „საკუთარ თავზე გამეცინა: სმენა და მხედველობადაკარგული, ბედნიერად შევციცინებდი თვალებში“**

შლი, ბოლოში ულამაზესი სასახლე იშლება თავისი საძინებლებით, ბავშვებით და იმაში იყო ბეჭედი დამალული.

**მარიამი**: თავიდან ცოტა შემრცხვა, დავიბენი. ეს ყველაფერი იმდენად სწრაფად მოხდა, რომ ცოტათი მოულოდნელი იყო. მაგრამ, რომ დავფიქრდი, მერე მივხვდი, რაც მოხდა. პასუხსაც ემოციების გარეშე ვეუბნებოდი და მხოლოდ სამი დღის მერე გამოვხატე ჩემი გრძნობები.

**გიორგი**: იმდენად დაიბნა, მეც სამი დღის შემდეგ მივხვდი, რომ ძალიან ბედნიერი იყო და ძალიან გამახარა, თორემ, უკან წამოვათრევდი ბეჭედს.

**– ახლახან მალდივებზე იყავით ერთად...**

– მალდივებზე ყოფნა ჩვენთვის, ორი ადამიანისთვის, ძალიან კარგი რამ იყო, რადგან,



პირველად მოვახერხეთ მარტო წასვლა. მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით, უფრო კარგად გავიცანით ერთმანეთი და, მივხვდით, რომ არც საჩხუბარი გვაქვს და არც საკამათო. ძალიან ბედნიერი იყო ჩვენთვის ყველა დღე და ყველა წუთი.

**მარიამი**: გიორგი ათი საათით ადრე ჩავიდა, მე გვიან ჩავედი და მეძებდა. სამაგიეროდ, დიდი სიყვარულითა და რომანტიკული მუსიკით დამხვდა.

**გიორგი**: ყველაზე მაგარი ის იყო, რომ მანიაკი გვივარდებოდა სახლში – რაღაცას ვაკეთებდით და ფანჯრიდან ვიღაც გვიყურებდა. მთელი ღამე გავათენეთ.

**მარიამი**: დაცვას დავუძახეთ და გაირკვა, რომ ამ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, შესანიშნავ კუნძულზე, კამერებიც კი არ იყო.

**გიორგი**: პრეზიდენტისა და პრეზიდენტის მეუღლესავით გავატარეთ მთელი ღამე – 5 დაცვა იდგა გარეთ.

**– გარკვეული პერიოდის განმავლობაში თქვენს ურთიერთობას არ ხდიდით საჯაროს.**

– სანამ მარი ოფიციალურად არ იტყოდა, რომ ვუყვარვარ, ჩემთან ერთად არის, არ მინდოდა ჩვენი ურთიერთობის გასაჯაროება.

**მარიამი**: სულ ვეუბნებოდი: მოვიცადოთ, მოვიცადოთ-მეთქი.

**გიორგი**: ახლა უკვე დამალვას აზრი აღარ ჰქონდა – მეგობრები არ დადიან ერთად მალდივებზე. მალდივებიდან დუბაიში გადავფრინდით, მარი ამერიკაში გაფრინდა, მე კი დავრჩი. მიხარია, რომ მან ჩემ მიმართ დიდი ნდობა გამოიჩინა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ღალატის ბევრი საშუალება იყო და ამით კიდევ უფრო შემიყვარდა. ღმერთის წინაშე ვამბობ, რომ კლუბში გოგონები გამომელაპარაკნენ, მაგრამ, მე თამამად და ამაყად ავწიე თითი და დავანახვე, რომ ბეჭედი მეკეთა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მყავს საყვარელი ადამიანი, რომელიც ჩემი საცოლეა, მალე მეუღლე და ჩემი შვილების დედა გახდება. ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ჰელვეციუსი**: უმეცრების მფარველნი კაცობრიობის ყოვლად დაუძინებელი მტრები არიან.

**დიდრო**: როცა ადამიანი კითხვას წყვეტს, აზროვნებასაც წყვეტს.

**რუსო**: თუ ბავშვში სიცელქე ჩაკალით, რიგიანად ვერასდროს აღზრდით.

**ბიუფონი**: ყველაზე მძიმე დანაკარგი დაკარგული დროა.

**ვოლტერი**: ცუდად გადმოცემული მშვენიერი აზრი ფასს კარგავს.

**ლესაჟი**: ზოგჯერ დუმილი ყოველგვარ მეტყველებაზე ბევრისმეტყველია.

**მონტესკიე**: უსასტიკესი ტირანი ისაა, რომელიც კანონებისა და სამართლიანობის დროშით გამოდის.

**ლაბრიუიერი**: შეცდომა შეცდომაა, მოსდის ის უდიდეს ადამიანს თუ უმცირესს... დიდი ხანია, რაც ნიუტონმა შეცდომით იხილა და შეცდომითვე დაასკვნა.

**ბუალო**: სალი აზრის წინააღმდეგ ხუმრობას ერიდეთ.

**პასკალი**: ადამიანებს რას არ ასწავლიან, წესიერებას კი არა, მერედა ისინი ცდილობენ, თავი გამოიჩინონ სწორედ წესიერებით. იმით, რაც მათთვის არასოდეს უსწავლებიათ.

**ლაფონტენი**: იმეგობრე ჭკვიან კაცთან, რადგან ზოგჯერ მეგობარი ჭკვიან მტერზე საშიშია, უნდილი და უმეცარი.

**მოლიერი**: წიგნის სიბრძნე სულელს უფრო ასულელებს.

**ლაროშფუკო**: ყოველ ადამიანსაც და ყოველ საქციელსაც გარკვეული მანძილიდან უნდა შევხედოთ. ზოგს ახლოდანაც გაუგებთ, ზოგი კიდევ მხოლოდ შორიდან დაკვირვებით იცნობა.

**კორნელი**: ვინც სამშობლოს ფიცულობს, ის ოჯახს დაემშვიდობება.

**დეკარტი**: მოუარეთ თქვენს სხეულს, თუ გსურთ, რომ თქვენი გონება სწორად მუშაობდეს.

**მონტენი**: ვისაც ტანჯვის ეშინია, უკვე იტანჯება შიშით.

**ვალა**: რწმენა ცოდნის ნაკლებობა როდია, რამეთუ, სადაც რწმენაა, იქ ცოდნა არაა, ხოლო ჩვენი აზრი ემყარება ან ცოდნას, ან რწმენას, ორ შეუთავსებელ საწყისს.

**რაბლე**: ადამიანის გონება მუშტებზე ძლიერია.

**შოუ**: უდიდესი შეცოდება ჩვენი თანამემამულეების მიმართ – ესაა არა სიძულვილი, არამედ მათი ბედისადმი გულგრილობა.

**უაილდი**: ჩვენ ყველანი ორმოებში ვართ, მაგრამ ზოგი ჩვენგანი იქიდან მაინც ჭვრეტს ვარსკვლავიან ცას.

**დარვინი**: უმეცარი ყოველთვის უფრო თავდაჯერებულია, ვიდრე მცოდნე.

**ბლეიკი**: ენერგია – აი, მარადიული ნეტარება.

**ბილინბროკი**: ვერც ერთი მიკროსკოპი საგანს ვერ გაადიდებს, როგორც თავმოთნე კაცი საკუთარ თავს.

**ფილდინგი**: ბედნიერია ის, ვინც თავს ბედნიერად რაცხს.

**ბეკონი**: ყოველ ადამიანში ბუნება შედის ან მარცვლეულის ან სარეველას სახით. დროზე უნდა მოირწყას პირველი და ამოიძირკვოს მეორე.

**მაზინი**: ქალი ყველაზე ძლიერი სასმელია.

**ბოდლერი**: ქალზე მგრძნობელობის ორი ხერხი არსებობს, მაგრამ მათ შესახებ არავინ იცის.

# თუ გამოიცნობთ

1. 1956 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა ერიკ ფრომის წიგნი, რომელიც 12 წლის განმავლობაში ბესტსელერი იყო. თავის ნაშრომში ფილოსოფოსი ცდილობდა, გადაეწყვიტა სულიერების კრიზისიდან გამოყვანის საკითხი. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე კი, რომაელი მწერალი, რომელიც მთავრობის მორალური სიწმიდისთვის იბრძოდა, ანალოგიური დასახელების წიგნის გამო სახელმწიფოს უკიდურეს აღმოსავლეთში გადაასახლეს. **ვინ და რომელი წიგნის გამო გადაასახლეს?**

2. დასავლეთ ევროპაში მეთორმეტე საუკუნეში პოპულარული იყო მოკლე, მაგრამ ნათელი, პოლიტიკური შინაარსის, საჭირბოროტო ხასიათის მწვავე პაროდია. **რა ერქვა ამ კომედიის მთავარ გმირს?**

3. 1942 წელს სტალინის მითითებით თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებით, მებრძოლთა წახალისების მიზნით, საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალების ჩაცმულობაში შემოიღეს დეტალები თეთრგვარდიელთა უნიფორმიდან, მათ შორის ეპოლეტებიც. ამისთვის სპეციალურ ატელიებში აღადგინეს მეფისდროინდელი, დავიწყებული ტექნოლოგია, ეძებდნენ ოქროს ნახატებიანი ლენტის ქსოვის ძველ ოსტატებს. თავდაცვის სახალხო კომიტეტის 03.01.43 ბრძანებით კი რეაბილიტირებული იქნა კონტრრევოლუციური სიტყვა. **რომელი?**

4. 1964 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართა ქვეყნის ქალთა კონგრესი. **რატომ აცვია ამ მოვლენისადმი მიძღვნილ მარკაზე გამოსახულ გლეხ ქალს მამაკაცის ბლუზონი?**

5. ეს ისტორიკოსი-მწერალი ცხოვრობდა კუნძულ ხიოსზე სმირნის ახლოს. გარდაიცვალა და დაკრძალულია პატარა კუნძულ კოსზე, თესალიაში. მას მელისიგენი ერქვა. ჩავარდა ტყვედ, დაასახიჩრეს, მაგრამ შეძლო გათავისუფლება და ისტორიაში შევიდა ფსევდონიმით, რაც „ტყვეს“, „მძევალს“ ნიშნავს. **როგორ გამოითქმის ეს სიტყვა მის მშობლიურ ენაზე?**

6. **რომელ ქალაქს სცემენ ისეთ პატივს** არაბები, რომ უბრალოდ, ალ-კუდსს, ანუ „წმიდას“ უწოდებენ?

7. „კრისტიან დიორის“ თაყვანისმცემლები ხშირად იძენენ შამპანური ღვინოების ქარხნის „მოეტ ენესის“ პროდუქციას. **რას აწარმოებს „მოეტ ენესი“?**

8. მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების მოაზროვნეს, იოაჰიმ სლოველს მიაჩნდა, რომ დედამიწაზე გარდაუვალად დადგება წმიდა სულის მეუფების ათასწლეული, მშვიდობიანობისა და სამართლიანობის ზეიმი უწმინდურთა განდევნით. **დაასახელეთ მეოცე საუკუნეში გამოსული წიგნი, რომელიც სწორედ ამ ფილოსოფოსის იდეების პოპულარიზაციას ეწევა.**

9. ტროინის ლექსიკონში, რომელიც 1868 წელს გამოვიდა, ეს სიტყვა მოხსენიებული იყო, როგორც ნეოლოგიზმი, რომელიც გამოხატავს უშიშარ, გმირულ მოქმედებებს. სამხრეთ აპენინზე – სილამაზეს, დახვეწილობას, ტოსკანაში იგივე სიტყვა სილარიბის, სილატაკის სინონიმია, პიემონტში კი ის ქედმაღლობას, მედიდურობას ნიშნავდა. ზოგი ფიქრობს, რომ ის, უბრალოდ, არაბული სიტყვაა და „არას“ ნიშნავს... რომელსაც, ალბათ, სიკვდილს ეუბნება. **დაასახელეთ სიტყვა.**

10. ისინი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში გამოჩნდნენ და პროტაგონისტებს ეძახდნენ. მოგვიანებით – დეიტეროგონისტებს და ტროტოგონისტებს. ისინი სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრობდნენ. საბერძნეთში თავისუფალი მოქალაქეები იყვნენ, რომში კი – მონებისგან ირჩევდნენ, მაგრამ დომინცების ცნობილი გვარიც არ იყო წინააღმდეგი მათ შორის აღმოჩენილიყვნენ. ისინი დღესაც ძალიან პატივში არიან და საკმაოდ შემოსავლიანები. **ვინ?**

***პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* 1836 წელს ყოველწლიურ სატირულ ჟურნალში მუშაობდა ინგლისელი მხატვარი რობერტ სეიმური. მან შემოიღო სიახლე – გრავიურების სერია ლონდონელებსა და სპორტზე, რომლებისთვისაც გონებამახვილურ წარწერებს წერდა... დიკენსი.

* 1539 წელს ფრანცისკო დე ორელიანო და მისი გუნდი ელდორადოს მოსაძებნად პერუდან აღმოსავლეთისკენ დიდი, წყალუხვი მდინარის ნაკადს გაჰყვნენ. მოგზაურობის დროს მათ არაერთხელ მოუხდათ ინდიელთა შეიარაღებულ რაზმებთან შეტაკება. ორელიანო განაცვიფრა იმან, რომ რაზმები მხოლოდ ქალებისგან შედგებოდა.

* ვლადიმირ ულიანოვის პირველი ფსევდონიმი კუბიშკინი იყო. გრანატისა და ვენგეროვის ლექსიკონში მითითებულია – ილინი, ხოლო ბროკჰაუზისა და ეფრონის ლექსიკონში – ლენინი.

* მარი-ჟოზეფინა როზა ტაშე დე ლა პაჟერი კუბასთან და იამაიკასთან ახლოს მდებარე კუნძულ მარტინიკაზე დაიბადა. ადგილობრივი პლანტატორის შვილი იყო და შერეული სისხლი ჰქონდა. მის პირველ ქმარს, ალექსანდრ ბოჰარნეს, რობესპიერზე სამი დღით ადრე გილიოტინით მოჰკვეთეს თავი. ჟოზეფინას მისგან ორი შვილი დარჩა – ჰორტენზია და ეჟენი. 1767 წელს მან თავისზე 6 წლით უმცროს ნაპოლეონ ბონაპარტეზე იქორწინა. ამბობენ, იმპერატორისთვის ყველაზე რთული ადამიანი სწორედ მისი გერი – ეჟენი იყოო.

* ბრაზილიიდან დაბრუნებულ საბჭოთა ფეხბურთელებს უყვარდათ იმის მოყოლა, თუ როგორ იმეორებდნენ კოპაკაბანას პლაჟზე ადგილობრივი ბიჭები მათ მიერ ნაჩვენებ ნებისმიერ ილეთს, თუმცა, არასდროს გაუმხელიათ, რომ თავად არ შეეძლოთ ბრაზილიელი ბიჭების ილეთების გამეორება.

* 1917 წელს რუსული ენიდან სიტყვების ბოლოში მაგარი ნიშნის ამოღების შესახებ დეკრეტის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს იმ დროის ცნობილმა მეცნიერებმა, აკადემიკოსებმა: გროტმა, შახმატოვმა, კორშმა და ბოდუენ დე კურტენემ. შედეგად, ყველა მათგანის გვარი შეიკვეცა, გარდა დე კურტენესი.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლa2-a3!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



უფროსების საყვარელი ფრაზა „შეუცვლელები არ არსებობენ"... შვებულებამდე მოქმედებს.

***

აუდიოკურსით – „ინგლისური – ძილში" შესანიშნავი შედეგი მივიღე: როგორც კი ინგლისურ ლაპარაკს გავიგონებ, მაშინვე ვიძინებ.

***

ყველაზე ძნელია სამსახურის შოვნა ქალისთვის: თხოულობენ, აუცილებლად 18 წლის, კარგი გარეგნობის გოგონას, 20-წლიანი სამუშაო სტაჟით, ორი დიპლომით და ინგლისურის ცოდნით და მოზრდილი შვილებით.

***

მიხო თბილისში ჩამოვიდა. ისე როგორ წავიდეო და მსუბუქი ყოფაქცევის ორი ქალი აიყვანა, მაგრამ, ბედი არ გინდა?! – პოლიციელების „აბლავაში" მოყვა.

– შენ ვინ ხარ? – ეკითხებიან ქალს.

– მე მასაჟისტი ვარ...




– შენ? – ახლა მეორეს მიუბრუნდნენ.

– პედიკიურს ვაკეთებ...

– ამ შობელძაღლებს უყურე?! – გადაირია მიხო, – ისე ლაპარაკობენ, ბოზსა მე გამამიყვანენ, კაცო!!!

***

– რა გჭირს, მოხდა რამე?

– რა ვიცი, ბიჭო, მეტროში მაგარი ქალი დავინახე, ახლოს დავდექი, ჩემი „ჯადოსნური" ღიმილი მოვიმარჯვე, მანაც გამიღიმა და.... ადგილი არ დამითმო?!.

***

– ყველაზე მეტად რას აფასებთ თქვენს ცოლში?

– მის ქმარს.

***

15 წლის გოგონა გინეკოლოგთან მივიდა:

– თქვენ ფეხმძიმედ ხართ... 3 თვის... კი მაგრამ, თქვენთვის ადრე არ არის მშობიარობა?

– რა თქმა უნდა, ადრეა... 6 თვის შემდეგ ველოდები...

***

ის ისეთი მახინჯი იყო, რომ აფთიაქში მისგან ფულს არ იღებდნენ, როცა პრეზერვატივებს ყიდულობდა.

***

მაიმუნები ადამიანებზე ჭკვიანები არიან: ლაპარაკი იმიტომ არ ისწავლეს, რომ მუშაობა არ დაეძალებინათ...

***

– დეიდა, აქედან საავადმყოფოში როგორ მოვხვდები?

– კიდევ ერთხელ დამიძახე დეიდა და... მიგიტანენ...

***

– თუ შეიძლება, აი ის ფაიფურის ვირთხა მომეცით.

– ეს ვირთხა არ არის, პუტინის ბიუსტია.




– აუ, მაშინ ორს ავიღებ....

***

ერთადერთი – პარაშუტების ბიზნესში შეიძლება კლიენტების გადაგდება ისე, რომ ყველა მათგანი კმაყოფილი იყოს.

***

– ალო, „სამართლიანობის სწრაფი და ეფექტური აღდგენის სააგენტოა"?

– დიახ.

– ჩემი საქმე სასამართლოშია გადაცემული, შეგიძლიათ, სამართლიანობის დაცვასა და აღდგენაში დამეხმაროთ?

– არა, ბატონო, ასეთ შემთხვევაში, თქვენ საადვოკატო ბიუროს უნდა მიმართოთ.

– აბა, თქვენ რას მთავაზობთ?

– ქილერის მომსახურებას...

***

– არ მინდა გამხელა, მაგრამ, ყველა იმ ბგერას, რომელსაც სექსის დროს გამოვცემდი ხოლმე, ახლა დივანიდან ადგომის დროს გამოვცემ...

***

– ბიჭო, ნახე, რა შორს წავიდა პროგრესი?

– რაზე ამბობ?

– ადრე, წვიმა რომ გამოგეწვია, ელიაზე უნდა ჩამოგევლო, ათასნაირი შელოცვა სჭირდებოდა, ბოლოს და ბოლოს, ბაყაყი მაინც უნდა მოგეკლა.... ახლა კი მანქანის გარეცხვაც საკმარისია...

***

– ბიჭო, გოგოს მივწერე – შენთან ძალიან კარგი იყო-მეთქი და ასეთი პასუხი მივიღე: „არა მარტო შენთვის"... არ ვიცი, როგორ გავიგო...

***

– რა ღირს მომსახურება?

– 50 ლარი.

– თან მარტო 10 ლარი მაქვს... თუ გინდა, აიღე და მობილურსაც მოგცემ.

– ჯანდაბას...

მიიღო, რაც უნდოდა, გაუწოდა 10 ლარი და მიდის.

– მობილური?!

– უჰ, მავიწყდებოდა, ჩაიწერე: 5 99...

***

– როგორ გავუკეთოთ ადამიანს კარგი?

– ჯერ გავუკეთოთ ცუდი და შემდეგ ყველაფერი უნდა გაგრძელდეს ისე, როგორც მანამდე იყო....

***

– გინდა, ახალი ანეკდოტი სიდედრზე?

– მიდი...

– მოვიდა ჩემთან სიდედრი, დალია ჩაი, წავიდა და მეორედ აღარც მოსულა...

– ჰმ, და სად არის აქ მარილი?

– მარილი შაქარშია...

***

– მაგრები არიან იაპონელები... საინტერესოა, ტექნოლოგიებში რამდენი წლით გაგვისწრეს?

– სამუდამოდ...

***

– მამი, დედა სულ თავსაფარწაკრული რატომ დადის?

– იმიტომ, რომ სულ თავი სტკივა.

– რატომ სტკივა?

– იმიტომ, რომ ცოტა ფული შემომაქვს.

– რატომ შემოგაქვს ცოტა ფული?

– იმიტომ, რომ ფულის დიდი ნაწილი იმ ქალებთან მიდის, ვისაც ხშირად არ სტკივათ თავი...

***

ბრეჟნევი მოხვდა ჯოჯოხეთში.... ცეცხლის ალები... დუღს კუპრი... ხედავს, განაპირას ზის ჰიტლერი და წიგნს კითხულობს. აღშფოთდა ლეონიდ ილიას ძე:




– როგორ, ჩემზე მეტი ცოდვა აქვს და წიგნის კითხვით ისჯება?

– წიგნს კი არ კითხულობს, კარლ მარქსის შრომებს ივრითზე თარგმნის...

***

– რაზე ჩაფიქრებულხარ?

– ბიჭო, მოვდივარ, მიწისქვეშა გადასასვლელში, ახალგაზრდა ზის, ფანდური უჭირავს, მშვენივრად უკრავს და მღერის... საფულე გავხსენი, მინდა, ვაჩუქო რამე, ვხედავ, ორლარიანი მიგდია.... და შევჩერდი... კარგა ხანს ვიფიქრე: გავაგრძელო გზა თუ მეც გვერდით მივუჯდე?..

***

გვიანია. ფიზიკოსი კაფეში ზის, ყავას სვამს და წიგნს კითხულობს. მასთან ოფიციანტი მივიდა, წიგნის ყდას დააკვირდა და ნელ-ნელა კითხულობს: ლანდაუ, ლიფშიცი – „ველის თეორია"... უკაცრავად, ბატონო აგრონომო, ვიკეთებით...

# „დიდთავა" ტარიელ საყვარელიძე და ქეიფის მოყვარული ვირტუოზები

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები არა მხოლოდ სცენის, ქეიფის მოყვარულები და ვირტუოზები იყვნენ. ქეიფს კი ყოველთვის ახლდა ერთმანეთთან ანგლობა და ალალი მხიარულება.

და აი, ერთ დღესაც, რესტორან „არაგვში" გრიალებენ ცნობილი მსახიობები: კოტე მახარაძე, გივი ბერიკაშვილი, თავადი გელოვანი, ტარიელ საყვარელიძე, ამირან ბუაძე, ჯემალ მონიავა და სხვები.

სუფრას განუმეორებელი დოდო აბაშიძე თამადობს. რატომღაც, იმ საღამოს ტარიელ საყვარელიძე ამოიჩემა:

– რამხელა თავი გაქვს, ტარიელ, კაცო, შენ?! რამხელა, ა?!

– დიდ თავში დიდი ტვინია, – „მოიგერია" ტარიელმა პირველი შეტევა, მაგრამ, დოდო იმ საღამოს, რატომღაც, ტარიელის თავით იყო „დაპროგრამებული".

ორი სადღეგრძელოს შემდეგ ომახიანი ხმით წამოიწყო:

– „ჟუჟუნა წვიმა მოვიდააა, დიდი თავები დანამააა"... – და გადახედა ტარიელს „თავსზემოდან".

საყვარელიძემ „გაატარა".

თავშეკავებულ-თავშეუკავებელი სიცილის ტალღამ გადაიარა სუფრაზე. აბაშიძემ მორიგი სადღეგრძელო წამოიწყო და გრძელი მონოლოგის შემდეგ ისევ სიმღერა დასჭექა:

„თავოოოო ჩემო, ბედიიი არ გიწერიააა!" – და ისევ მიაშტერა ტარიელის თავს თვალი.

– რა ვქნა, – „შეწუხდა" საყვარელიძე, – ასეთი ვარ და თავს ხომ არ მოვიკლავ ახლა, შეკაცო...

დოდოს „რაზგონი" ჰქონდა აღებული. ასეთ




დროს კი მისი გაჩერება, როგორც იტყვიან, მამაზეციერსაც არ შეეძლო და თავისებური, მოგონილი არტისტიზმით ახლა ლექსი დააქუხა:

– „თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის, შეიძლება, ქეიფში მოკვდეს!!!"

– ამას ჰგონია, ჩემზე პატარა თავი აქვს, ამ საწყალს... – გადაულაპარაკა ტარიელმა გვერდით მჯდომ მსახიობს ვითომ საიდუმლოდ, მაგრამ ისე, რომ დოდოს გაეგონა.

დოდომაც „მოწვა".

– ლას ამბობს ეს კაცი... ბიწო, მე ლო შენხელა თავი მქონდეს, თავს მოვიკლავდი... – აროხროხდა და აიყოლია სუფრაც.

ტარიელმა ველარ მოითმინა. დემონსტრაციულად წამოხტა, მტკიცე ნაბიჯით გადაკვეთა რესტორანი, გარდერობში მივიდა და ორ წუთში თავისი ქუდით დაბრუნდა უკან.

უჩვეულოს მოლოდინში სუფრის წევრები კინაღამ გამოფხიზლდნენ. საყვარელიძე დოდოს ჯიქურ მიეჭრა.

– ა... ეს ჩემი ქუდია!

– მელე ლა? – დაიბნა დოდო.

– დაიხურე ახლავე! ახლავე დაიხურე თავზე! ახლავე, რომ გეუბნები!

– მივდივალთ თუ?.. – გაუკვირდა დოდოს.

– დაიხურე, მე შენ გეუბნები!

შემოტევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დოდომ ქუდი გამოართვა და დაიხურა.

დაიხურა, მაგრამ, ერთი პრეზიდენტის არ იყოს, – „ნურას უკაცრავად!" – ქუდი ნახევარ თავზეც „არ ეყო".

ატყდა სიცილი და რა სიცილი... ორი მსახიობი კინაღამ სკამიდან გადავარდა.

ფაქტი სახეზე იყო.

– ვის უფრო დიდი თავი აქვს, მე თუ შენ?! – ახლა ტარიელმა იქუხა და მიაყოლა: შენი თავი, ჩემი თავი, ორივეა ტოლი თავიიი!!! მეიკალი ახლა თავი, თუ ბიჭი ხარ, მეიკალი!

დოდომ მაინც მონახა გამოსავალი:

– შენ ეს ქუდი, ალბათ, აქ წამოსვლამდე გარეცხე და შედგა, დაპატარავდა, ჩემო ძამია... გადაეხვია და გადაკოცნა „თანამოთავე".

ასეთი ისტორიები მარჯანიშვილის თეატრში იმდენი იყო, ორი სიცოცხლეც არ ეყოფა მოსაყოლად, თუმცა, ეს ერთი იყოს და სხვა – მომავალში...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 237-79-91(საავარიო); 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 240-40-45; 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი); 243-81-78 (კანცელარია)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 11, 111, 275-20-85, 241-17-71, 241-17-72
35. საპატრულო პოლიცია 122
36. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 133" 13; 254-70-04; 254-70-03
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 247-87-78; 571 478-778
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24-01 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაციები 177
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების გატანა 245-20-23
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-85-71
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 251-70-34; 241-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის" 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი" 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 239-95-08 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11



რისთვის
არ სჭირდება
მაკა ძაგანიას
ოჯახში კაცი
და ვინ
აკონტროლებს
მის ყველა
ნაბიჯს

გვ. 35

ISSN 1987-569X
9 771987 569002